მაქს ფრიში
Homo Faber

Homo Faber (ჩანაწერები)

სერია «მსოფლიო კლასიკა»

მთარგმნელი: დალი ფანჯიკიძე

ქართული გამოცემა © «ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა», 2010, 2013

Max Frisch

HOMO FABER Ein Bericht

პირველი გაჩერება

ქარბუქის გამო ნიუ-იორკიდან სამი საათის დაგვიანებით გამოვფრინდით. ამ ხაზზე ჩვეულებრივ სუპერკონსტელეიშენი დაფრინავს. მე მაშინვე დასაძინებლად მოვემზადე. ღამე იყო. ასაფრენ ბილიკზე კიდევ ორმოცი წუთი დაგვაყოვნეს. პროჟექტორების შუქზე მოჩანდა ფიფქი თოვლი. ლა გარდიას აეროდრომზე თოვლის კორიანტელი იდგა. ნერვები ამეშალა და ძილი გამიტყდა, მაგრამ ეს იმ გაზეთის ბრალი როდი იყო, სტიუარდესამ რომ ჩამოგვირიგა: First Pictures of Word's Greatest Air Crash in Nevada[1]. ეს ცნობა ჯერ კიდევ სადილობამდე წავიკითხე. ნერვებს მხოლოდ გაჩერებული თვითმფრინავის მოტორების ვიბრაცია და ის ახალგაზრდა გერმანელი მიშლიდა, ჩემ გვერდით რომ იჯდა. გერმანელმა მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება, რატომ, არ ვიცი. თვალში მომხვდა, როგორ გაიხადა პალტო, როგორ დაჯდა, როგორ გაისწორა შარვალზე ნაკეცები. იგი მაშინაც კი მეჩხირებოდა თვალში, როცა არაფერს არ აკეთებდა. უბრალოდ, იჯდა სავარძელში და სტარტს ელოდა, როგორც ყოველი ჩვენგანი. ქერა, ვარდისფერსახიანი ახალგაზრდა მაშინვე გამეცნო, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ქამრებს შევიკრავდით. მისი გვარი ვერ გავარჩიე – ერთმანეთის მიყოლებით აღმუვლდნენ მთელი ძალით ამუშავებული მოტორები.

საშინლად დავიღალე.

აივის სამი საათი ენა არ გაუჩერებია, თუმცა მშვენივრად იცოდა, რომ ცოლის შერთვას პრინციპულად არ ვაპირებდი.

მარტო დარჩენა გამიხარდა.

როგორც იქნა, დადგა გაფრენის წამი.

სტარტზე ასეთ ქარბუქს არ მოვსწრებივარ. ისე ხვავრიელად ბარდნიდა, თვითმფრინავი თეთრ ბილიკს მოსწყდა თუ არა, სასიგნალო ყვითელი ფანრები მაშინვე ნისლში ჩაიკარგა, მათი ციმციმა შუქიც გაუჩინარდა და სულ მალე მანჰეტენის სინათლეებიც თვალს მიეფარა. მხოლოდ ჩვენი თვითმფრინავის ფრთაზე ვხედავდი მოციმციმე მწვანე სინათლეს. ფრთა ძლიერად ირყეოდა. როცა თვითმფრინავი ჩაყვინთავდა, წუთით ის მწვანე შუქიც იკარგებოდა უკუნეთში და, გეგონებოდა, დავბრმავდიო.

«მოწევა ნებადართულია».

ჩემი მეზობელი დიუსელდორფელი აღმოჩნდა. ახალგაზრდა აღარც ეთქმოდა, ოცდაათს იქნებოდა გადაცილებული, თუმცა ჩემზე უმცროსი კი გახლდათ. მაშინვე მითხრა, გვატემალაში მივფრინავო. რამდენადაც გავიგე, იქ საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი.

ქარი საკმაოდ ძლიერად უბერავდა. მეზობელმა სიგარეტი შემომთავაზა. მე ჩემი ვამჯობინე, თუმცა მოწევა სულაც არ მინდოდა. მადლობა გადავუხადე და ისევ გაზეთს მივუბრუნდი; იოტისოდენა სურვილიც არ მქონდა, ვინმესთან საუბარი გამება. შეიძლება უზრდელად ვიქცეოდი, მაგრამ მძიმე კვირა მქონდა გამოვლილი. ყოველდღე სხდომები, სხდომები... მარტო ყოფნა და სიმშვიდე მენატრებოდა. ხალხი ღლის ადამიანს. პორტფელიდან ჩანაწერები ამოვიღე, რომ ცოტა წამემუშავა, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ იმ წუთში ჩამოატარეს ცხელი ბულიონი და ჩემი გერმანელის გაჩერება (როცა დამტვრეულ ინგლისურზე გერმანულად ვუპასუხე, მაშინვე მიხვდა, რომ შვეიცარიელი ვიყავი) უკვე შეუძლებელი იყო. ლაპარაკობდა ამინდზე, ამასთან დაკავშირებით კი რადარებზე, თუმცა რადარების ბევრი არაფერი გაეგებოდა. მერე, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩვეულებად იქცა ყველგან, პირდაპირ ევროპულ თანამეგობრობაზე

ჩამოაგდო სიტყვა. მე ცოტას ვლაპარაკობდი, ბულიონი დავხვრიპე და ფანჯარაში გავიხედე, თუმცა გარეთ არაფერი ჩანდა, მხოლოდ მწვანე სასიგნალო ნათურა ციმციმებდა სველ ფრთაზე, ხანდახან ნაპერწკლების წვიმა წამოვიდოდა, მოტორის ბუდე წითლად ვარვარებდა. ჯერ კიდევ მაღლა მივიწევდით.

მერე დავიძინე.

ქარი ჩადგა.

არ ვიცი, ეს კაცი რატომ მიშლიდა ნერვებს. საიდანღაც მეცნაურებოდა მისი ტიპური გერმანული სახე. თვალები დავხუჭე და თავს ძალა დავატანე, იქნებ გავიხსენო, საიდან მეცნობა-მეთქი, მაგრამ – ამაოდ. მაშინ ვცადე, როგორმე დამევიწყებინა ჩემი მეზობლის ვარდისფერი სახე. ეს კი მოვახერხე და ექვსი საათი მეძინა – მე ხომ საშინლად გადაღლილი ვიყავი – მაგრამ გამეღვიძა თუ არა, მაშინვე ვიგრძენი, რომ იგი კვლავ ნერვებს მიშლიდა.

ის უკვე საუზმობდა.

მე თავი მოვიმძინარე.

ჩვენ (ამას მარჯვენა თვალით ვხედავდი) სადღაც მისისიპის თავზე ვიყავით, მშვიდად მივფრინავდით დიდ სიმაღლეზე, დილის მზეზე ელავდა ჩვენი პროპელერები, ჩვეულებრივი დისკოები, რომლებსაც ხედავ და მათ მიღმაც იხედები; ასევე ელავდნენ სიცარიელეში უძრავად დაკიდებული ფრთები. თვითმფრინავი ოდნავადაც არ ირყეოდა. მივფრინავდით. ასე ასჯერ მაინც მიფრენია ჩემს ცხოვრებაში. მოტორები შეუფერხებლად მუშაობდა.

– დილა მშვიდობისა! – მომესალმა იგი.

მე სალმითვე ვუპასუხე.

– კარგად გეძინათ? – მკითხა მან.

თუმცა ქვევით ნისლი იყო ჩამოწოლილი, მაინც ვიცანი ფართოდ განტოტვილი მისისიპი. მდინარე თითბერივით თუ ბრინჯაოსავით ელავდა მზეზე. სისხამი დილა იდგა. ამ ტრასას კარგად ვიცნობდი და თვალი ისევ დავხუჭე, ცოტას კიდევ წავიძინებ-მეთქი.

ის თავის ro-ro-ro-ს[2] კითხულობდა. თვალის დახუჭვამ ვეღარ მიშველა – უკვე გამოფხიზლებული ვიყავი და ჩემი მეზობლის სახე არ მშორდებოდა, როგორც იტყვიან, თვალდახუჭულიც ვხედავდი. საუზმე მოვითხოვე... შტატებში ის პირველადაა (ასეც ვფიქრობდი), მაგრამ ამერიკაზე უკვე შეუქმნია მტკიცე აზრი (საერთოდ, ამერიკელები უკულტურო ხალხად მიაჩნია), თუმცა იძულებული გამხდარა, რაღაც-რაღაცები მაინც ეღიარებინა, თუნდაც ის, რომ ამერიკელების უმრავლესობა გერმანელებისადმი მეგობრულადაა განწყობილი.

არ შევკამათებივარ.

არც ერთ გერმანელს არ უნდა ხელახლა შეიარაღება, ამერიკასაც რუსი აიძულებს, შეიარაღდესო. განა ეს ტრაგედია არ არის? მაგრამ შვეიცარიელი (მოფერებით სვეიცარიელი თქვა) ამას რას გაიგებსო. თქვენ ხომ კავკასიაში არ ყოფილხართ, მე კი ვიყავი და კარგად ვიცნობ ივანს, მას მხოლოდ იარაღით თუ ასწავლი ჭკუასო. ეს რამდენჯერმე გაიმეორა, იარაღით თუ ასწავლი ჭკუას, თორემ ივანზე სხვა არაფერი ჭრისო.

მე ვაშლს ვთლიდი.

ადამიანთა დაყოფა გაბატონებულ და დაბლა მდგომ რასებად, როგორც ამას პატივცემული ჰიტლერი სჩადიოდა, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ აზიელები მაინც აზიელები არიანო...

მე ვაშლს ვჭამდი.

ჩემოდნიდან ელექტროსამართებელი ამოვიღე. ვითომ პირის გაპარსვა მინდოდა, უფრო კი იმისთვის, რომ თხუთმეტ წუთს მაინც დავრჩენილიყავი მარტო. გერმანელებს ვერ ვიტან, თუმცა ჩემი მეგობარი იოახიმი გერმანელი იყო... საპირფარეშოში ვიფიქრე, ხომ არ აჯობებს, სხვაგან გადავჯდე-მეთქი. უბრალოდ, სულაც არ მეპრიანებოდა, უფრო ახლოს გამეცნო ეს ვაჟბატონი, მით უმეტეს, რომ მეხიკო-სითიმდე, სადაც ჩემი მეზობელი სხვა თვითმფრინავზე უნდა გადამჯდარიყო, ოთხ საათზე მეტი უნდა გვეფრინა. გადავწყვიტე, სადმე სხვაგან დავმჯდარიყავი. თავისუფალი ადგილები კიდევ მოიძებნებოდა თვითმფრინავში. სალონში გაპარსული რომ დავბრუნდი, თავს უფრო თავისუფლად და მხნედ ვგრძნობდი. ვნერვიულობ, როცა გაუპარსავი ვარ. მან მომახსენა, თავს ნება მივეცი, იატაკიდან თქვენი ქაღალდები ამეკრიფა, ვინმეს ზედ ფეხი არ დაედგაო, და ქაღალდები

მომაწოდა. ზრდილობის განსახიერება გახლდათ. ქაღალდები პორტფელში ჩავტენე და ეტყობა, მეტისმეტად გულთბილად გადავუხადე მადლობა, რაკი ჩემი გულისხმიერება დაუყოვნებლივ შემდგომი შეკითხვისთვის გამოიყენა.

იუნესკოში ხომ არ მუშაობთო.

მე ვგრძნობდი კუჭს. ამ ბოლო დროს ხშირად მემართებოდა ასე: კი არ მტკიოდა, უბრალოდ, ვგრძნობდი, რომ მაქვს კუჭი. რა სულელური შეგრძნებაა!.. შეიძლება ამიტომაც ვიყავი აღრენილი. ჩემს ადგილზე დავჯექი და ახალ ნაცნობს აუტანელი რომ არ მოვჩვენებოდი, მოვუყევი, რა დარგში ვმოღვაწეობდი. «სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა» – ამ თემაზე შემიძლია ისე ვილაპარაკო, რომ თავი სულ სხვა ფიქრებით მქონდეს სავსე. არ ვიცი, მაშინ რაზე ვფიქრობდი. ეტყობა, «იუნესკომ», როგორც ჩვეულებრივ ყველაფერმა ინტერნაციონალურმა, მასზე გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა. მის თვალში უკვე შვეიცარიელი აღარ ვიყავი; ისე მისმენდა, როგორც ავტორიტეტულ პიროვნებას, დიდი ინტერესით, მოწიწებითაც კი, მაგრამ ნერვებს მაინც მიშლიდა.

თვითმფრინავი რომ დაჯდა, გამიხარდა.

თვითმფრინავიდან გამოვედით, საბაჟოს წინ ერთმანეთს დავშორდით და მაშინვე მივხვდი, ადრე რაზე ვფიქრობდი: მისი სახე (ვარდისფერი, აფუებული, როგორიც არასოდეს ჰქონია იოახიმს) მაინც საოცრად მაგონებდა ჩემს მეგობარს.

ჩემი აღმოჩენა მალე გადამავიწყდა.

ეს იყო ჰიუსტონში, ტეხასის შტატში.

საბაჟოში ჩვეულებრივ ბევრი უკირკიტეს ჩემს კინოაპარატს. სხვათა შორის, ნახევარი მსოფლიო ისე შემოვიარე, ეს აპარატი არ მომიცილებია. ერთი ჭიქა კონიაკის დასალევად ბარში შევედი. ჩემი დიუსელდორფელი უკვე იქ დამხვდა, დახლის წინ მაღალ სკამზე შემომჯდარიყო და ეტყობოდა, მეორე სკამი ჩემთვის დაეკავებინა. მაშინვე გარეთ გამოვედი, საპირფარეშოში ჩავედი და უსაქმობისგან ხელების ბანა დავიწყე.

გაჩერება: ოცი წუთი.

სარკეში, სანამ ხელებს ვიბან და მერე ვიმშრალებ, მოჩანს ჩემი სახე, სანთელივით გაყვითლებული, გაცრეცილი, ზედ ამობურცული მოიისფრო ძარღვები მაჩნია. გვამივით ამაზრზენი სახე მაქვს. იქნებ ეს ნეონის შუქის ბრალია? როგორც კი ხელები შევიმშრალე, ისეთივე მოყვითალო-მოიისფრო ხელები, მაშინვე რადიორეპროდუქტორის ხმა გავიგონე. რადიოქსელი მთელ აეროპორტს ემსახურება, სარდაფსაც კი.

– Your attention, please, your attention, please[3].

რა დამემართა, არ ვიცი, ხელები უცებ გამიოფლიანდა, თუმცა საპირფარეშოში გრილოდა. გარეთ კი იწვოდა ქვეყანა. მხოლოდ ერთი რამ ვიცი: როცა გონს მოვედი, ჩემ ახლოს მუხლებზე დაჩოქილი სქელი ზანგი დედაკაცი დავინახე. დამლაგებელი აქამდე არ შემინიშნავს. ახლა იგი სულ ახლოს იდგა. გარკვევით ვხედავდი შავ უზარმაზარ პირს, ვარდისფერ ნუნებს, მესმოდა რეპროდუქტორის ხმა. ჯერ კიდევ მუხლებზე ვიდექი.

– The plane is ready for departure[4].

ორჯერ:

Plane is ready for departure.

ეს სიტყვები ათასჯერ მაქვს მოსმენილი.

All passengers for Mexico-Guatemala-Panama, – შიგადაშიგ ერთვის მოტორების ღმუილი, – kindly requested, – მოტორების ღმუილი, – gate number five, thank you[5].

ფეხზე წამოვდექი.

ზანგის დედაკაცი ისევ მუხლებზე იდგა.

დავიფიცე, ჩემს სიცოცხლეში აღარ მოვწევ-მეთქი და ვცადე სახე ონკანისთვის შემეშვირა, მაგრამ ბაკანი ხელს მიშლიდა. ცივმა ოფლმა დამასხა და თავბრუ დამეხვა, ეს იყო და ეს.

– Your attention, please...

თავი მაშინვე უკეთ ვიგრძენი.

– Passenger Faber, passenger Faber![6]

მე მიხმობდნენ.

– Please to the information-desk![7]

ეს სიტყვები კარგად გავიგონე, სახე ბაკანში ჩავმალე, ვფიქრობდი, იქნებ უჩემოდ გაფრინდნენ-მეთქი. წყალი ჩემს ოფლთან შედარებით ოდნავ გრილი იყო. აზროვნების უნარი დავკარგე, არ ვიცი, უცებ ზანგის ქალმა ისე გულიანად რატომ გადაიხარხარა, რომ მკერდი პუდინგივით აუთახთახდა. მისმა უშველებელმა პირმა, ხუჭუჭა თმამ უზარმაზართეთრონებიანმა შავმა თვალებმა აფრიკის გადიდებული სურათი მომაგონა. შემდეგ კვლავ გაისმა: – Passenger Faber, passenger Faber!

სანამ ზანგის ქალი შარვალს მიწმენდდა, სახე ცხვირსახოცით შევიმშრალე, დროის გასაყვანად თმაც გადავივარცხნე. რეპროდუქტორი აცხადებდა და აცხადებდა: ჩამოსვლა... გასვლა... შემდეგ ისევ:

– Passenger Faber, passenger Faber!

ქალმა ფული არ გამომართვა. ჩემთვის ისიც კმარა, რომ უფალმა შეისმინა ჩემი ვედრება და ცოცხალი ხართო.

ფული წინ დავუდე, მაგრამ კიბემდე მომდია (როგორც ზანგს, ამის იქით უფლება არ ჰქონდა, ნაბიჯი გადმოედგა) და ფული ხელში ჩამიკუჭა.

ბარი ცარიელი იყო.

მაღალ სკამზე ავფოფხდი. სიგარეტს მოვუკიდე. შევცქეროდი, ბარმენი ცივ ჭიქაში როგორ ყრიდა ჩვეულებრივ ზეთისხილს. შემდეგ სასმელი ჩაუმატა. ჩვეულებრივი ჟესტი: მიქსერის საწურს ცერს აშველებს, რომ ყინულმა ჭიქაში არ მოადინოს ტყაპანი.

ის ფული წინ დავუდე. გარეთ სუპერ-კონსტელეიშენმა ჩაიქროლა და სტარტის ასაღებად ასაფრენ ბილიკზე გავიდა. უჩემოდ! მარტინის ვწრუპავდი, როცა კვლავ ახმაურდა რეპროდუქტორი:

– Your attention, please!

ერთ წუთს არაფერი ისმოდა. სწორედ ამ დროს აღმუვლდა ასაფრენად გამზადებული სუპერ-კონსტელეიშენის მოტორები. თვითმფრინავმა, ჩვეულებრივ, გრუხუნით გადაგვიფრინა

თავზე და კვლავ გაისმა:

– Passenger Faber, passenger Faber!

ვინ მიხვდებოდა, რომ ეს მე ვიყავი. გულში ვთქვი, მეტხანს ვეღარ დაიცდიან-მეთქი და ჩვენი თვითმფრინავის დასანახად მაღლა ავედი.

თითქოს სტარტისთვის მზად იყო, ბენზინის ავზი უკვე მოეცილებინათ, მაგრამ პროპელერები ჯერ კიდევ უძრავად ეკიდა. შვებით ამოვისუნთქე, როცა ტრიალ მინდორზე თვითმფრინავში ჩასასხდომად მიმავალი მგზავრები დავინახე. ჩემი დიუსელდორფელი თითქმის ყველაზე წინ მიდიოდა. ვუცდიდი, როდის ამუშავდებოდა პროპელერები. რეპროდუქტორი აქაც ქაქანებდა: Please, to the information-desk!

ამჯერად სხვას უხმობენ.

– Miss Sherbon, mr. and mrs. Rosenthal.[8]

ვუცდიდი და ვუცდიდი, მაგრამ ოთხი პროპელერი კვლავ უძრავად ეკიდა ჰაერში. გაუთავებელი ლოდინი მომბეზრდა და ისევ ქვევით ჩავედი. ის იყო, საპირფარეშოში ჩავიკეტე და მომესმა კიდეც:

– Passenger Faber, passenger Faber!

ქალის ხმა იყო. კვლავ ოფლმა დამასხა, იძულებული გავხდი, ჩავმჯდარიყავი, რომ გონი არ დამეკარგა. ფეხები ალბათ მომიჩანდა.

– This is our last call.[9]

ორჯერ:

– This is our last call.

კაცმა რომ თქვას, არც კი ვიცოდი, რატომ ვიმალებოდი. შემრცხვა. საერთოდ, არ მჩვევია დაგვიანება. ჩემს სამალავში მანამდე დავყავი, სანამ არ დავრწმუნდი, რომ რეპროდუქტორი სულ ცოტა ათი წუთით მაინც მომეშვა. გაფრენა აღარ მინდოდა. ეს იყო და ეს. ჩარაზულ კარს უკან მანამდე ვიცდიდი, სანამ ასაფრენად გამზადებული თვითმფრინავის გრუხუნი არ გავიგონე. სუპერკონსტელეიშენი იყო, კარგად ვცნობ მის ხმას! შემდეგ ლოყები მოვისრისე, რომ ჩემი გაფითრებული სახე

თვალში არავის სცემოდა და საპირფარეშოდან არხეინად გამოვედი. ჩემთვის ვუსტვენდი კიდეც. ჰოლში შევჩერდი. რომელიღაც გაზეთი ვიყიდე. აქ, ჰიუსტონში, ტეხასში რა მესაქმებოდა, ისიც არ ვიცოდი. საოცარია! მგონი, უჩემოდ მიფრინავდნენ. ყური რეპროდუქტორისკენ მეჭირა. თავის გასართობად საფოსტო განყოფილებაში შევედი. გადავწყვიტე, დეპეშები გამეგზავნა: ერთი – ჩემი ბარგის თაობაზე, რომელიც უჩემოდ მიფრინავდა მეხიკოში, მეორე დეპეშით კი კარაკასში უნდა მეცნობებინა, ჩვენი ტურბინების მონტაჟი ოცდაოთხი საათით გადაედოთ, შემდეგ ერთი დეპეშა – ნიუ-იორკში... ის იყო, ბურთულიან კალამს ჯიბეში ვიდებდი, რომ სტიუარდესამ მკლავში ჩამავლო ხელი.

– There you are![10]

ენა ჩამივარდა.

– We’re late, mister, Faber! we’re late![11]

დეპეშები ხელში შემრჩა. სტიუარდესას თვითმფრინავისკენ მივყვებოდი და თან თავის გასამართლებლად რაღაცას მივედ-მოვედებოდი. სამსჯავროზე მიმავალი ტუსაღივით თავჩაღუნული მივაბიჯებდი და მიწას, უფრო სწორად, ტრაპს თვალს არ ვაშორებდი. სალონში ფეხი შევდგი თუ არა, კიბე მოხსნეს და თვითმფრინავს მოაცილეს კიდეც.

– I’m Sorry! – ვთქვი მე, – I’m sorry.[12]

მგზავრებს ქამრები უკვე შეეკრათ. ყველამ უსიტყვოდ მოაბრუნა ჩემკენ თავი. ჩემმა დიუსელდორფელმა, რომელიც აღარც კი მახსოვდა, ფანჯარასთან დამითმო ადგილი. შეწუხებული ჩანდა: რა დაგემართათო. ვუპასუხე, საათი გამიჩერდა-მეთქი და საათი მოვმართე.

სტარტი ჩვეულებრივად ავიღეთ.

ჩემმა მეზობელმა საინტერესო საუბარი წამოიწყო. კუჭი აღარ მაწუხებდა და დიუსელდორფელიც უფრო სიმპათიური მეჩვენებოდა. მან აღიარა, გერმანული სიგარა მსოფლიოს საუკეთესო სიგარებს ჯერ კიდევ ვერ შეედრებაო, კარგ სიგარას კარგი თამბაქო სჭირდებაო.

მერე რუკა გაშალა.

ის ადგილი გვატემალაში, სადაც მისი ფირმა პლანტაციის გაშენებას აპირებდა, ეტყობოდა, სადღაც დასაკარგავში უნდა ყოფილიყო. ფლორესიდან იქამდე მხოლოდ ცხენით თუ მიაღწევდა კაცი, პალენკედან კი (მექსიკის სამფლობელო) ჯიპითაც თავისუფლად შეიძლებოდა მისვლა. იმ ჯუნგლებში ნეშიც გააღწევსო, ამტკიცებდა იგი.

თვითონ იმ მხარეში პირველად მიდიოდა.

მოსახლეობა: ინდიელები.

ეს საინტერესო იყო ჩემთვის. მეც ხომ სუსტად განვითარებული მხარეების ათვისების დარგში ვმოღვაწეობ. ორივეს ერთი აზრი გვქონდა – ასეთ ქვეყნებში ჯერ გზები უნდა გაიყვანონ, ერთი პატარა აეროდრომის აშენებაც შეიძლება. მთავარია, არსებობდეს მიმოსვლის საშუალებანი. თამბაქოთი გემს პუერტო ბარიოსში დატვირთავდი. გაბედული საქმე წამოუწყიათ, მაგრამ არა უგუნური. იქნებ მართლა ჩაჰყროდა გერმანული სიგარის მომავალს საფუძველი.

რუკა დაკეცა...

წარმატება ვუსურვე.

მის რუკაზე (1:500000) მაინც ვერაფერს გაარჩევდით, ზედ თეთრი, უსახელო ქვეყანა ეხატა, სახელმწიფო საზღვრის მწვანე ზოლებს შუა მოქცეული ლურჯი ხაზები მდინარეებს აღნიშნავდა, ერთადერთი წარწერა კი (წითელი წარწერა, რომელიც მხოლოდ გამადიდებელი შუშით იკითხებოდა) მაიას ნანგრევებზე მიუთითებდა.

წარმატება ვუსურვე.

მისი ძმა თურმე რამდენიმე თვეა იქ ცხოვრობს. იქაური ჰავა ნამდვილად არ დააყრიდა კარგ დღეს. წარმომიდგენია, რა სიცხე ეცოდინება იმ დაცემულ ადგილას; ტროპიკულ სიცხეს წვიმა და სინესტე რომ დაერთვის თან, მაშინ ხომ საშინელება იქნება. იქ მზე მუდამ უმოწყალოდ აცხუნებს.

ამით მოთავდა ეს საუბარი.

სიგარეტს ვეწეოდი და თან ფანჯარაში ვიცქირებოდი: ჩვენ ქვევით მექსიკის ლურჯი ყურე იყო გადაშლილი, მომწვანო ზღვას პაწაწინა ღრუბლების ჩრდილები ეფინა. ფერთა

ჩვეულებრივი თამაშია, ბევრჯერ გადამიღია. თვალი დავხუჭე, რომ აივისთან უძილოდ გატარებული წუთები ცოტათი მაინც ამენაზღაურებინა. მშვიდად მივფრინავდით. ჩემი მეზობელიც მშვიდად იყო.

რომანს კითხულობდა.

რომანები ჩალის ფასად არ მიღირს, სიზმრებზეც ამ აზრის გახლავართ. მგონი, აივი მესიზმრა. ყოველ შემთხვევაში, გულზე ლოდივით მაწვა რაღაც. მესიზმრა, ვითომ ლას-ვეგასის კაზინოში ვარ (სინამდვილეში იქ არასოდეს ვყოფილვარ), ირგვლივ გნიასია, რეპროდუქტორები ჩემს სახელს გაჰკივიან, ერთმანეთში ირევა ლურჯი, წითელი, ყვითელი ავტომატები, სადაც ფულის მოგება შეიძლება. დავბორიალებ ტიტლიკანა ადამიანების ბრბოში და განქორწინებას ველოდები (სინამდვილეში ცოლი არასოდეს მყოლია). საიდანღაც ციურიხის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი 0.-ც გაჩნდა, ჩემი პატივცემული მასწავლებელი. პროფესორი მთლად გასენტიმენტალებულა, ღაპაღუპით ჩამოსდის ცრემლები, თუმცა მათემატიკოსია და თან ელექტროდინამიკის პროფესორიც გახლავთ. უცნაური გრძნობაა. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ მე დიუსელდორფელზე ვიყავი ჯვარდაწერილი! მინდოდა პროტესტი განმეცხადებინა, მაგრამ პირზე ხელს თუ არ მივიფარებდი, ისე ხმას ვერ ვიღებდი, პირში კენჭებივით მეწყო ჩამოცვენილი კბილები...

თვალი გავახილე თუ არა, მივხვდი, რაც მომხდარიყო.

ჩვენ ქვევით გაშლილი ზღვაა.

მარცხენა მოტორი ჩამქრალა. პროპელერი გაშეშებული ჯვარივით კიდია მოწმენდილ ცაზე. ეს არის და ეს.

ჩვენ ქვევით, როგორც ვთქვი, მექსიკის ყურეა.

სტიუარდესას, ოცი წლის ქალიშვილს, რომელიც გარეგნულად მაინც მთლად ბავშვივით გამოიყურებოდა, ჩემთვის მხარში ჩაევლო ხელი და მაღვიძებდა. უსიტყვოდ მივხვდი ყველაფერს. ქალიშვილმა მწვანე მაშველი ჟილეტი მომაწოდა. ჩემი მეზობელი ჟილეტზე უკვე ზონრებს იკრავდა. ისე გულმოდგინედ ირჯებოდა, ვითომ სასწავლო განგაში ყოფილიყოს.

სულ ცოტა, ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე მივფრინავდით.

რა თქმა უნდა, არც ერთი კბილი არ ჩამომვარდნია, არც ის ხელოვნური კბილი, ზედა ყბაზე, მარჯვნივ რომ მაქვს. გულზე მომეშვა, უფრო მეტი, ნასიამოვნებიც კი დავრჩი.

სალონში კაპიტანი გამოჩნდა:

– There is no danger at all...[13]

ეს მხოლოდ სიფრთხილისათვის, თორემ ჩვენს მანქანას ორი მოტორითაც მშვენივრად შეუძლია იფრინოს. ჩვენ ვიმყოფებით 8,5 მილზე მექსიკის ნაპირებიდან, კურსი ტამპიკოსკენ გვაქვს აღებული, ყველა მგზავრს გულითადად ვთხოვთ, მშვიდად იყოს. ჯერჯერობით ნუ მოსწევენ.

– Thank you![14]

მწვანე ჟილეტებში გამოჭიმული მგზავრები ისე გასუსული ისხდნენ, თითქოს ეკლესიაში არიანო. მე ენით ვამოწმებდი, კბილები მართლა ხომ არ მერყევა-მეთქი, სხვა არაფერი მენაღვლებოდა.

დრო: 10.25.

ჩრდილოეთის შტატებში ქარბუქს რომ არ დავებრკოლებინეთ, ახლა მეხიკო-სითიში ვიქნებოდით-მეთქი, ვუთხარი ჩემს დიუსელდორფელს მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე მეთქვა. ვერ ვიტან ასეთ საზეიმო განწყობილებას. პასუხი არ მიმიღია.

ვკითხე, რომელი საათია-მეთქი.

პასუხი არ მიმიღია.

დანარჩენი სამი მოტორი წესიერად მუშაობდა. საფრთხე არ იგრძნობოდა. ისევ მაღლა მივფრინავდით. შემდეგ ნისლში რაღაც ლაგუნის მსგავსი სანაპირო გამოიკვეთა, სანაპიროს უკან ჭაობი მოჩანდა, ტამპიკოს ჯერ ვერსად ვხედავდი.

ტამპიკოში ნამყოფი ვიყავი. იქ თევზით ისე მოვიწამლე, ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება!

– ტამპიკო მსოფლიოში უბინძურესი ქალაქია, – ვთქვი მე, – აი, ნახავთ, მთელი ნავსადგური ნავთისა და თევზის სუნითაა აყროლებული.

ის მაშველ ჟილეტზე თითებს ათამაშებდა.

– ნამდვილად გირჩევთ, არავითარ შემთხვევაში თევზს პირი არ დააკაროთ.

გაღიმება სცადა.

– იქაურებს, რა თქმა უნდა, იმუნიტეტი აქვთ გამომუშავებული, – განვაგრძე მე, – მაგრამ ჩვენებურ კაცს...

თავი ყასიდად დამიქნია. ყურს არ მიგდებდა. ამებებსა და ტამპიკოს სასტუმროებზე, მგონი, მთელი ლექცია წავუკითხე. როგორც კი შევნიშნე, რომ ჩემი დიუსელდორფელი ყურს არ მიგდებდა, სახელო მოვქაჩე. საერთოდ, არ მჩვევია ასეთი რამ, პირიქით, მეჯავრება კიდეც, სახელოში ერთმანეთს ხელს რომ ავლებენ, მაგრამ ვიცოდი, სხვანაირად ყურს არ მათხოვებდა. მოვუყევი, ტამპიკოში როგორ მოვიწამლე. ეს ექვსი წლის წინანდელი ამბავი იყო, ესე იგი, 1951 წლის ამბავი. ამასობაში ჩვენმა თვითმფრინავმა მოულოდნელად ხმელეთისკენ აიღო გეზი. მაშ, ტამპიკოში აღარ მივფრინავთ! ენა დამება. დავაპირე, სტიუარდესასთვის მეკითხა, რა მოხდა-მეთქი.

მოწევა კვლავ ნებადართულია!

იქნებ ტამპიკოს აეროდრომი ჩვენი სუპერ-კონსტელეიშენისათვის მეტისმეტად პატარაა (მაშინ მე DC-4-ით მივფრინავდი) ან იქნებ მითითება მიიღეს, მიუხედავად იმისა, რომ მოტორი მწყობრიდან გამოვიდა, მეხიკო-სითიმდე მიეღწიათ. ეს ჩემთვის სავსებით გაუგებარი იყო, მით უმეტეს, რომ ჯერ სიერა მადრე ორიენტალი წინ გვქონდა.

ჩვენს სტიუარდესას – მე მას იდაყვში ჩავავლე ხელი, თუმცა, როგორც ვთქვი, ასეთი რამ არ მჩვევია – არ ეცალა, კაპიტანთან გამოუძახეს.

ჩვენ მართლა მაღლა მივიწევდით.

შევეცადე აივიზე მეფიქრა.

ისევ მაღლა მივიწევდით.

ჩვენ ქვემოთ კვლავ ჭაობები მოჩანს, თავთხელი და უღიმღამო, მათ შორის აქა-იქ ქვიშნარი ხმელეთია შემოჭრილი. ჭაობს ზოგან მწვანე ფერი დაჰკრავს, ზოგან კი მოწითალო პომადისფერი. საგონებელში ჩავვარდი. კაცმა რომ თქვას, ამ

ადგილებს ჭაობი არც ეთქმის, უფრო ლაგუნებს ჰგავს. სადაც მზის სხივი ეცემა, სირმასავით ბრწყინავს, უფრო სწორად, ფოლგასავით, ყოველ შემთხვევაში ფოლადისფრად მაინც, შემდეგ კვლავ ცისფრად ელავს (აივის თვალებივით), ზოგან ყვითელი ღრმულები გამოერევა, იისფერი მელნის ლაქებივით ჩამუქებული ადგილები ალბათ წყალმცენარეებია, ერთგან რაღაც შესართავი მოჩანს, ამერიკული რძიანი ყავის ფერი. გულისამრევია! რამდენიმე მილზე მხოლოდ ლაგუნებია გადაჭიმული. დიუსელდორფელსაც ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს მაღლა მივიწევდეთ.

მგზავრები ისევ ალაპარაკდნენ.

ერთი ხეირიანი რუკა, როგორიც შვეიცარიული ავიაკომპანიის თვითმფრინავებში ყოველთვის ხელთა გაქვს ხოლმე, აქ არ მოიძებნებოდა და ყველაზე მეტად ეს იდიოტური ინფორმაცია მიშლიდა ნერვებს: «კურსი ტამპიკოსკენ გვაქვს აღებული». თვითმფრინავი კი, როგორც ვთქვით, ხმელეთის შუაგულისკენ მიდის, სამი მოტორით მაღლა მიიწევს. სამ მოელვარე დისკოს ვაკვირდებოდი. ხანდახან მეჩვენებოდა, რომ დისკოები ტოკავდნენ, მაგრამ, ალბათ, თვალი მატყუებდა. ასაღელვებელი თითქოს არაფერი ჩანდა, მხოლოდ სასაცილო იყო, მთელი სისწრაფით მიმავალ თვითმფრინავს როგორ ეკიდა პროპელერის გაშეშებული ჯვარი.

ჩვენი სტიუარდესა მეცოდებოდა.

რეკლამაზე დახატული მოღიმარი ქალივით უნდა ევლო რიგებშუა და მგზავრებისთვის ეკითხა, საცურაო ჟილეტები ხომ არ გეხამუშებათო. ვინმე თუ გაეხუმრებოდა, სტიუარდესას მაშინვე უქრებოდა სახეზე ღიმილი.

– ვითომ მთებში შეიძლება ცურვა? – ვკითხე მე.

ბრძანება ბრძანებაა.

ამ ქალიშვილს (იგი შვილად მერგებოდა) მკლავში ჩავავლე ხელი, თითით დავემუქრე და ვუთხარი (რა თქმა უნდა, ხუმრობით!), თქვენ არ იყავით, თვითმფრინავში ძალით რომ ჩამსვით-მეთქი.

მან მიპასუხა:

– There is no danger, sir, no danger at all. We are going to land in mexico-

city in about one hour and twenty minutes.[15]

ამასვე ეუბნებოდა დანარჩენებსაც.

ქალიშვილს ხელი გავუშვი და საშუალება მივეცი, კვლავ ღიმილით ჩამოევლო რიგებშუა და თავისი მოვალეობა შეესრულებინა, ენახა, ღვედები ყველას შეკრული ჰქონდა თუ არა. სულ ცოტა ხანში სტიუარდესას უბრძანეს, ლანჩი ჩამოეტარებინა, თუმცა ჯერ ლანჩის დრო არ იყო...

საბედნიეროდ, მშვენიერი ამინდი იდგა: თითქმის უღრუბლო ცაში მივფრინავდით, მხოლოდ ქარი გვარყევდა, როგორც, ჩვეულებრივ, მთაში იცის ხოლმე. ეს თბილი და ცივი ჰაერის მასების შეჯახების ბრალი იყო. თვითმფრინავი ირყეოდა, წონასწორობას კარგავდა, კვლავ სწორდებოდა და მაღლა ადიოდა, მერე ისევ ყვინთავდა და ფრთები ერყეოდა. რამდენიმე წუთს სავსებით მშვიდად მივფრინავდით, შემდეგ ერთი ბიძგი და ფრთები ისევ აყირავდებოდა, ისევ ვყანყალებდით, სანამ თვითმფრინავი გასწორდებოდა და მაღლა ავიდოდა. თითქოს ახლა საბოლოოდ კარგად იყო საქმე. შემდეგ თვითმფრინავი კვლავ ჩაყვინთავდა, როგორც ჩვეულებრივ ქარის დროს იცის ხოლმე.

შორს მოჩანს ლურჯი მთები.

სიერა მადრე ორიენტალი.

ჩვენ ქვემოთ წითელი უდაბნოა.

მე და ჩემს დიუსელდორფელს ის იყო ლანჩი მოგვართვეს (ჩვეულებრივი საუზმე: ხილის წვენი და მწვანე სალათიანი, თოვლივით ქათქათა სენდვიჩი), რომ მეორე მოტორიც გაჩერდა. რა თქმა უნდა, ატყდა პანიკა, დიდი პანიკა, თუმცა ყველას ლანჩი ედო მუხლებზე. ვიღაცამ იკივლა.

ამის შემდეგ ყველაფერი სწრაფად მოხდა...

ეტყობოდა, შეეშინდათ, დანარჩენი მოტორებიც არ გამოსულიყო მწყობრიდან და დაშვება გადაწყვიტეს. ასე იყო თუ ისე, ძირს ვეშვებოდით. რეპროდუქტორი ხრიალებდა. არ ისმოდა, რა მითითებებს გვაძლევდნენ.

ჩემი პირველი საზრუნავი: რა ვუყო ლანჩს?

ვეშვებოდით, თუმცა ორი მოტორი, როგორც ვთქვით,

ფრენისთვის თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო. შასები ჰაერში უძრავად ეკიდა, როგორც ჩვეულებრივ ჰკიდია ხოლმე დაშვების დროს.

მე ჩემი ლანჩი პირდაპირ იატაკზე დავდგი, გასასვლელში. ამ დროს ხუთასი მეტრის სიმაღლეზე თუ ვიქნებოდით მიწიდან.

აღარ ვირყეოდით.

No smoking![16]

მშვენივრად ვიცოდი, ჩვენი თვითმფრინავი იძულებითი დაშვების დროს თავისუფლად შეიძლებოდა ან აფეთქებულიყო, ან დამსხვრეულიყო და ჩემი სიმშვიდე მაკვირვებდა.

არავისზე არ ვფიქრობდი.

როგორც ვთქვი, ყველაფერი სწრაფად მოხდა. ჩვენ ქვემოთ ქვიშა იყო, ბორცვებიანი, ხელისგულივით მოშიშვლებული უდაბნო შორიდან კლდოვანი გეგონებოდა.

კაცმა რომ თქვას, იყო მხოლოდ დაძაბული მოლოდინი.

ისე ვეშვებოდით, თითქოს ქვევით დასაფრენი ბილიკი გვეგულებოდა. სახით სარკმელს მივეკარი – დასაფრენ ბილიკს ხომ უკანასკნელ წამში ხედავ მხოლოდ, თუ შასები უკვე ჩამოშვებულია. მიკვირდა, რატომ არ უშვებდნენ შასებს. თვითმფრინავი აშკარად ერიდებოდა ყოველგვარ ვირაჟს, რომ არ გადატრიალებულიყო. დაბლობის თავზე მივფრინავდით, ჩვენი ჩრდილი სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდა, თითქოს ის ჩვენზე უფრო სწრაფად მიქროდა, რუხი ქაღალდის ნაკუწივით მიფარფატებდა მოწითალო ქვიშაზე.

შემდეგ კლდეები გამოჩნდა.

ისევ მაღლა ავიწიეთ.

შემდეგ, საბედნიეროდ, კვლავ ქვიშნარი გამოჩნდა, მაგრამ აგავებით იყო მოფენილი. ორივე მოტორი მთელი ძალით მუშაობდა. რამდენიმე წუთს ასე მივფრინავდით სახლის სიმაღლეზე. შასები ისევ შეკეცეს. მაშ, მუცელზე ვჯდებით! მივფრინავდით საკმაოდ მშვიდად და უშასოდ, ასე დიდ სიმაღლეზე ფრენენ ხოლმე, მაგრამ, როგორც ვთქვი, ჩვენ სახლის სიმაღლეზე მივფრინავდით. ვიცოდი, რომ არავითარი

დასაფრენი ბილიკი არ იქნებოდა და მაინც სახით ვეკვროდი მინას.

შასები ხელახლა გამოსწიეს ისე, რომ დასაფრენი ბილიკი არ გამოჩენილა. უცებ ისეთი ბიძგი ვიგრძენი, თითქოს კუჭში მუშტი ჩამარტყესო. ღრჭიალი გავიგონე. დაშვების შეგრძნება ისეთი იყო, როგორც ლიფტში იცის ხოლმე. ბოლო წუთებში ნერვებმა მიღალატა. ორივე მხარეს მხოლოდ აგავები მიქროდნენ ელვის სისწრაფით. ორივე ხელი სახეზე ავიფარე და თვითმფრინავის დაჯდომა ისე ვიგრძენი, თითქოს მიბიძგეს და წყვდიადში გადამისროლესო.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ბედნიერ ვარსკვლავზე ვყოფილვართ დაბადებულები. არავის არ გაგვიღია სათადარიგო კარი. არავინ განძრეულა. ყველანი ღვედებზე ვეკიდეთ.

– Go on, – თქვა კაპიტანმა, – go on! [17]

არავინ განძრეულა.

ჩვენდა საბედნიეროდ, ხანძარს გადავრჩით. ახლა მგზავრებისთვის უნდა ეთქვათ, ღვედები შეიხსენითო. კარი ღია იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ტრაპი არ მოუგორებიათ, სამაგიეროდ გარედან ისეთი ცხელი ჰაერი შემოიჭრა, თითქოს ღუმლის კარი გააღესო.

უვნებლად გადავრჩი.

როგორც იქნა, გაჩნდა თოკის კიბე!

არავის გაუცია განკარგულება, ფრთის ჩრდილქვეშ ისე მოიყარა ყველამ თავი. მდუმარედ იდგნენ, თითქოს უდაბნოში ლაპარაკი სასტიკად აკრძალული ყოფილიყოს. ჩვენი სუპერკონსტელეიშენი ოდნავ წინ გადახრილი იდგა, თვითმფრინავი არ დაზიანებულა, მხოლოდ შასის წინა ბორბლები ჩაეფლო ქვიშაში, ბორბლები გატეხილიც კი არ იყო. ოთხი პროპელერი ბრწყინავდა ხასხასა ლურჯი ცის ფონზე. როგორც ვთქვი, ადგილიდან არავინ იძვროდა. ეტყობოდა, კაპიტნისაგან რაღაცას ელოდნენ.

– Well, – თქვა მან, – There we are![18]

მან გაიცინა.

ირგვლივ აგავებისა და ქვიშის მეტი არაფერი ჩანდა. მოწითალო მთები შორს იყო, უფრო შორს, ვიდრე აქამდე მეგონა. ქვიშა და ქვიშა, მოყვითალო ქვიშა, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა. ჰაერი გამდნარი მინასავით იყო გავარვარებული.

დრო: 11.05.

საათი მოვმართე.

ეკიპაჟმა საბურავების მზისგან დასაცავად შალის საბნები გამოიტანა, ჩვენ კი, მწვანე მაშველ ჟილეტებში გამოჭიმულები, უსაქმოდ ვიდექით. არ ვიცი რატომ, მაგრამ მაშველი ჟილეტის გახდას არავინ ფიქრობდა.

არც წინასწარმეტყველების მჯერა და არც ბედისწერისა: ინჟინერი გახლავართ და ალბათობის თეორიის ფორმულებს არ შემიძლია ანგარიში არ გავუწიო. რას მიქვია ბედისწერა? ვაღიარებ, ტამაულიპასში იძულებით რომ არ დავმჯდარიყავით (2. IV), ყველაფერი სხვანაირად მოხდებოდა. მე არც ამ ახალგაზრდა ჰენკეს გავიცნობდი, ალბათ, არც ჰანას სახელს გავიგონებდი კიდევ ოდესმე, ალბათ, დღესაც არ მეცოდინებოდა, რომ მამა ვარ. კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. ტამაულიპასში იძულებითი დაშვება რომ არა, შეიძლება ზაბეტი დღესაც ცოცხალი ყოფილიყო. არ გედავებით: შემთხვევითობაზე მეტია, რომ ყველაფერი ასე წაეწყო ერთმანეთზე. ეს იყო შემთხვევითობათა მთელი ჯაჭვი, მაგრამ რა მოსატანია აქ ბედისწერა? დაუჯერებელი რამ ფაქტად რომ მივიჩნიო, მისტიკა არ მჭირდება; ჩემთვის მათემატიკაც კმარა.

მათემატიკის ენით რომ ვილაპარაკოთ: შესაძლებელი (ექვსნიშნა კამათელი 6 000 000 000-ჯერ რომ ავაგდოთ, დაახლოებით 1 000 000 000-ჯერ იაქეზე დაჯდება) და შეუძლებელი (იგივე ექვსნიშნა კამათელი ექვსჯერ აგდებისას ექვსივეჯერ იაქეზე რომ დაჯდეს) ერთმანეთისაგან თავისი არსით კი არ განსხვავდება, არამედ სიხშირით, ხოლო ის, რაც ხშირად ხდება, შესაძლებლად წინასწარ არის მიჩნეული. მაგრამ როცა ერთხელ შეუძლებელი რამ ხდება, უცნაური და ზებუნებრივი არაფერია, როგორც ეს უმეცარ ადამიანებს უნდათ, რომ იყოს. როცა ვლაპარაკობთ შესაძლებელზე, მაშინ ხომ თავისთავად ვგულისხმობთ შეუძლებელსაც, როგორც შესაძლებლის ზღვარს. და როცა ეს შეუძლებელი მოგვევლინება, არავითარი საფუძველი არა გვაქვს

შევძრწუნდეთ ან გავოცდეთ, ან მისტიფიკაციად მივიჩნიოთ ის, რაც მოხდა.

იხილე:

ერნსტ მელის «ალბათობა და კანონი», შემდეგ: ჰანს რაიხენბახის «ალბათობის თეორია», შემდეგ: უაიტჰედისა და რასელის «მათემატიკის პრინციპები», შემდეგ: მიზეს «ალბათობა, სტატისტიკა და სინამდვილე».

მექსიკის უდაბნოში, ტამაულიპასში ოთხი დღე და სამი ღამე, სულ 85 საათი გავატარეთ. ამ 85 საათზე ბევრი არაფერია მოსაყოლი. გრანდიოზული ამბავი (როგორც შეიძლება ვინმეს ეგონოს) ეს არ ყოფილა. ამას მიუმატეთ სიცხე! ბუნებრივია, მაშინვე დისნეის ფილმი მომაგონდა. აი, გრანდიოზული, თუ გნებავთ, ის იყო. კინოაპარატი მოვიმარჯვე, მაგრამ სენსაციური ირგვლივ ვერაფერი აღმოვაჩინე. ხანდახან საიდანმე ხვლიკი თუ გამოსრიალდებოდა და შემაშინებდა ან უდაბნოს რომელიღაც ჯიშის ობობა თუ გამოღოღდებოდა – ეს იყო და ეს.

ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენოდა.

პირველი, რაც ტამაულიპასის უდაბნოში გავაკეთე, ის იყო, რომ დიუსელდორფელს გავეცანი და, რადგან ჩემმა კინოაპარატმა დააინტერესა, ლინზები დავათვალიერებინე.

სხვები კითხულობდნენ.

საბედნიეროდ, მალე აღმოვაჩინე, რომ ჩემი დიუსელდორფელიც თამაშობდა ჭადრაკს. ვინაიდან ჩემი ჯიბის ჭადრაკი მუდამ თან დამაქვს ხოლმე, აღარაფერი გვიჭირდა. მან მაშინვე გამონახა კოკა-კოლას ორი ცარიელი ყუთი. სხვების ლაპარაკი რომ არ გაგვეგონა, განაპირას, თვითმფრინავის კუდის ჩრდილში დავსხედით უპერანგოდ, შორტებისა და ფეხსაცმელების ამარა (ქვიშა ფეხს გვწვავდა).

დღე თვალსა და ხელს შუა გაგვიფრინდა.

უკვე ბინდდებოდა, როცა ცაზე რომელიღაც სამხედრო თვითმფრინავი გამოჩნდა, ჩვენს თავზე რამდენიმე წრე დაარტყა და ჩრდილოეთით, მონტერეის მიმართულებით ისე გაუჩინარდა, რომ არაფერი ჩამოუგდია (ესეც ფირზე აღვბეჭდე).

ვახშამი: ყველიანი სენდვიჩი და ნახევარი ბანანი.

დიდად ვაფასებ ჭადრაკს. საათობით შეგიძლია ხმა არ ამოიღო. არც სხვისი ლაპარაკის მოსმენაა აუცილებელი. უყურებ დაფას და უზრდელობად სულაც არ ითვლება, თუ შენი პარტნიორის ახლო გაცნობის სურვილს არ გამოამჟღავნებ და მთელი გულისყური თამაშზე გექნება გადატანილი.

– თქვენი სვლაა! – თქვა მან.

სრულიად შემთხვევით გამომჟღავნდა, რომ ჩემი მეგობარი იოახიმი, რომლის ამბავი, ოცი წელი მაინც იქნებოდა, არ გამეგო, თურმე მისი უბრალო ნაცნობი კი არა, ღვიძლი ძმა ყოფილა.

ჰორიზონტზე შავად გაწოლილ აგავებს შორის მთვარე ამოცურდა (ეს მომენტიც ფირზე აღვბეჭდე) და ირგვლივ ისეთი ნათელი დადგა, რომ ჭადრაკის თამაში ისევ შეიძლებოდა, მაგრამ ერთბაშად აცივდა. სიგარეტის მოსაწევად თვითმფრინავს მოვცილდით. ფეხი ქვიშაში გვეფლობოდა და აი, მაშინ ვაღიარე, ბუნება სრულებით არ მაღელვებს, უდაბნოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია-მეთქი.

– თქვენ ხუმრობთ! – მითხრა მან.

თვითონ ამ ამბავს დიდ მოვლენად თვლიდა.

– წავიდეთ, დავიძინოთ! – ვუთხარი მე, – გველოდება hotel «Super-constellation». Holiday in desert with all accommodations![19]

ცივა-მეთქი, ვთქვი.

ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისათვის, რას ეძახის ხალხი განცდას. მე ინჟინერი გახლავართ და მიჩვეული ვარ, ისე აღვიქვა საგნები, როგორც სინამდვილეში არის. ყველაფერს მშვენივრად ვხედავ, რასაც ისინი ხედავენ, ბრმა კი არა ვარ! ვხედავ ტამაულიპასის უდაბნოს თავზე ამოსულ მთვარეს, იქნებ მართლაც უფრო კაშკაშას, ვიდრე ოდესმე მინახავს, მაგრამ ეს ხომ განზომილებიანი სხეულია, რომელიც ჩვენი პლანეტის ირგვლივ ბრუნავს, აქ ხომ გრავიტაცია მოქმედებს, გასაკვირი არაფერია. გეთანხმებით, რომ საინტერესოა, მაგრამ რა შუაშია აქ განცდა? ვხედავ დაკბილულ ქარაფებს, რომლებიც მთვარის შუქზე შავად მოჩანან. შესაძლოა ისინი მართლაც ჰგვანან წარღვნამდელ ცხოველთა დაკბილულ ზურგებს, მაგრამ მე ხომ ვიცი: ეს მხოლოდ ლოდებია, ალბათ, ვულკანური წარმოშობისა; ეს კი უნდა ნახო და დააზუსტო,

მართლა ასეა თუ არა. რისა უნდა მეშინოდეს? წარღვნამდელი ცხოველები გადაშენდნენ, ხელახლა რატომ უნდა გამოვიგონო ისინი? ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვერც გაქვავებულ ანგელოზებს ვხედავ და ვერც დემონებს, ვხედავ იმას, რაც არის: ვხედავ ეროზიის ჩვეულებრივ ფორმებს, ვხედავ ქვიშაზე გაწოლილ საკუთარ ჩრდილს, მაგრამ მოჩვენებებს კი – არა. რა საჭიროა ქალური მგრძნობიარობა? მე ვერც წარღვნას ვხედავ, ვხედავ მხოლოდ მთვარით განათებულ ქვიშას. ქარს ქვიშა დაუტალღავს. მერე რა? ეს ფანტასტიკურად კი არ მეჩვენება, პირიქით, სავსებით გასაგებია. მე არ ვიცი, როგორი სახე აქვთ ცოდვილთა სულებს. შეიძლება ისინი მართლა ჰგვანან ღამეულ უდაბნოში გაწოლილ შავ აგავებს, მაგრამ რასაც მე ვხედავ, მხოლოდ აგავებია, უდაბნოს მცენარეები, რომლებიც სიცოცხლეში ერთხელ ყვავიან და კვდებიან. მერე, ისიც ვიცი, რომ მე (თუნდაც ამ წუთში ასე ჩანდეს) პირველი და უკანასკნელი ადამიანი არა ვარ დედამიწაზე და მხოლოდ იმის წარმოდგენა, თითქოს დედამიწაზე უკანასკნელი ადამიანი მე ვიყო, ვერ შემაძრწუნებს იმიტომ, რომ სინამდვილეში ასე არ არის. რა საჭიროა ისტერიულობა? მთები მთებია, თუნდაც ისინი, სხვანაირი განათების წყალობით, სულ სხვა რაღაცას დაემსგავსონ, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ეს სიერა მადრე ორიენტალია და ჩვენც მიცვალებულთა საუფლოში კი არ ვიმყოფებით, არამედ მექსიკაში, ტამაულიპასის უდაბნოში ვდგავართ და უახლოეს მაგისტრალს ერთი სამოცი მილი მაინც გვაშორებს. რა თქმა უნდა, ეს არასასიამოვნოა, მაგრამ რა შუაშია აქ განცდა? ჩემთვის თვითმფრინავი თვითმფრინავია, მის დანახვაზე რომელიმე გადაშენებული ფრინველი კი არ მაგონდება, არამედ მოტორდაზიანებული სუპერკონსტელეიშენი და მეტი არაფერი, და დაე, მთვარემაც ისე გაანათოს იგი, როგორც ნებავს. რატომ უნდა განვიცადო ის, რაც არ არის? ვერც იმას დავაძალებ ჩემს თავს, მარადისობას ვუსმინო. მე მხოლოდ ის მესმის, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე როგორ ხრაშუნობს ქვიშა. ამ წუთში სიცივისაგან ვძაგძაგებ, მაგრამ ვიცი: შვიდ-რვა საათში მზე ისევ ამოვა. სამყაროს დასასრულია? როგორ?! მხოლოდ იმისათვის, რომ მღელვარება განვიცადო, სისულელეებს ვერ გამოვიგონებ. მეც ვხედავ ქვიშიან ჰორიზონტს. ჩვენგან ოციოდე მილით დაშორებული ჰორიზონტი თეთრად კიაფობს მწვანე ღამეში, ოღონდ ის ვერ გამიგია, როგორ შეიძლება იქ, ტამპიკოს მხარეს, დაიწყოს იმქვეყნიური სამყარო? ტამპიკოს მშვენივრად ვიცნობ და

მხოლოდ ფანტაზია ვერ შემაძრწუნებს, დიახ, შიში ფანატიკოსად და, მით უმეტეს, მისტიკოსად ვერ მაქცევს.

– წამოდით! – ვუთხარი ჰერბერტს.

ჰერბერტი იდგა და კვლავ რაღაცას განიცდიდა.

– ჰო, მართლა, – ვკითხე მე, – თქვენი ხომ არაფერია იოახიმ ჰენკე, ოდესღაც ციურიხში რომ სწავლობდა?

ეს კითხვა უცებ დამებადა. ჩვენ ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი ვიდექით და ის იყო, თვითმფრინავში ვაპირებდით ასვლას.

– იოახიმი? – თქვა მან, – იოახიმი ჩემი ძმაა.

– მართლა? – გავიოცე.

– დიახ, ნამდვილად. ხომ გითხარით, გვატემალაში ძმასთან მივდივარ-მეთქი.

გაგვეცინა.

– რა პატარაა ეს ქვეყანა!

ღამეს თვითმფრინავის სალონში ვათევდით. პალტოებსა და შალის საბნებში გახვეულებს სიცივისაგან გვაძაგძაგებდა. ეკიპაჟი ჩაის ადუღებდა, სანამ წყალი ჰქონდა.

– როგორ არის იოახიმი? ოცი წელია მისი ამბავი არ მსმენია, – ვკითხე მე.

– გმადლობთ, – მითხრა მან, – გმადლობთ.

– მაშინ დიდი მეგობრები ვიყავით, – დავძინე მე.

რაც შემდეგ შევიტყვე, ჩვეულებრივი ამბავი იყო: ქორწინება, ბავშვი (ეს კარგად ვერ გავიგონე, თორემ მეორედ აღარ ვიკითხავდი), შემდეგ ომი, ტყვეობა, დიუსელდორფში დაბრუნება და ასე შემდეგ. გამიკვირდა: რა სწრაფად გადის დრო, რა სწრაფად ვბერდებით!

– მისი დარდი არ გვასვენებს, – დასძინა მან.

– როგორ?

– იოახიმი ერთადერთი თეთრკანიანია იქ... ორი თვეა მისგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია.

იოახიმის ამბავს მიყვებოდა.

თვითმფრინავში თითქმის ყველას ეძინა. მხოლოდ ჩურჩული შეიძლებოდა. სალონში შუქი დიდი ხანია ჩაექროთ. დენი რომ დაეზოგათ, მგზავრებს სთხოვდნენ, სავარძლების თავზე დამონტაჟებული პატარა ნათურებიც გამოეთიშათ. ბნელოდა, გარეთ ქვიშა თეთრად კიაფობდა. მთვარის შუქზე ცივად ლაპლაპებდა თვითმფრინავის ფრთები.

– რა თქვით, აჯანყებაო? – ვკითხე მე.

დავამშვიდე.

– აჯანყება? არა, წერილები გზაში დაიკარგებოდა.

ვიღაცამ გვთხოვა, გავჩუმებულიყავით.

ორმოცდაორი მგზავრი ზის უდაბნოში გაჩერებულ თვითმფრინავში. თვითმფრინავს მოტორები შალის საბნებით აქვს შეფუთული (ქვიშამ რომ არ დააზიანოს), საბურავებსაც შალის საბნები ახვევია. მგზავრები ზუსტად ისევე თავმოქცეული სხედან სავარძლებში, როგორც ფრენის დროს, ბევრს პირღია სძინავს, ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა, სარკმლიდან ლაპლაპა პროპელერები მოჩანს, მთვარის თეთრი შუქი ფრთებს ეცემა. ყველაფერი უძრავადაა. თავშესაქცევი სანახაობაა.

ვიღაც ბოდავდა.

დილას რომ გავიღვიძე და სარკმლიდან სულ ახლოს ქვიშა დავინახე, ერთი წამით შევშინდი, მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ – შესაშინებელი არაფერი იყო.

ჰერბერტი კვლავ თავის «რო-რო-რო»-ს კითხულობდა.

ჩემი ჯიბის კალენდარი ამოვიღე:

3. IV.

მონტაჟი კარაკასში!

საუზმედ ხილის წვენი და ორი გალეტი მოგვცეს, თან დაგვაიმედეს, სურსათი და სასმელები გზაშია, შესაშფოთებელი არაფერიაო, სჯობდა კი არაფერი ეთქვათ. ახლა ძალაუნებურად მთელი დღე ცისკენ უნდა გვჭეროდა

თვალი.

ისევ აუტანელი სიცხეა!

სალონში კიდევ უფრო ცხელოდა.

ქარი სისინებდა, ხანდახან უდაბნოს თაგვების წრიპინის ხმაც მოდიოდა, თუმცა თაგვები არსად ჩანდნენ, ისმოდა ხვლიკების შარიშური, უფრო კი – ქარის განუწყვეტელი ზუზუნი. ქარი, როგორც ვთქვი, ქვიშას კი არ ატრიალებდა, წყნარად მიაცურებდა და ჩვენს კვალს შლიდა. ნაკვალევი ისე პირწმინდად სწორდებოდა, თითქოს აქ ორმოცდაორ მგზავრსა და ხუთკაციან ეკიპაჟს კი არა, ძეხორციელს არ დაედგას ფეხი.

პირის გაპარსვა მინდოდა.

გადასაღები არაფერი იყო.

ვნერვიულობ, როცა გაუპარსავი ვარ. ხალხის კი არ მერიდებოდა, უბრალოდ, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მცენარე ვარ-მეთქი და უნებურად სულ ნიკაპზე მიკიდია ხელი. ჩემი ელექტროსამართებელი ამოვიღე და ყველაფერი ვცადე, ესე იგი, ვცადე შეუძლებელი, რადგან ელექტროდენის გარეშე ამ აპარატით ვერაფერს გახდები. ეს რომ ვიცოდი, სწორედ ამიტომ მეშლებოდა ნერვები. უდაბნოში არც დენია, არც ტელეფონი, არც შტეფსელი – არაფერი!

ერთხელ, შუადღისას, მოტორების ხმა გავიგონე.

ჩემსა და ჰერბერტის გარდა, ყველანი მცხუნვარე მზის გულზე იდგნენ და მოყვითალო ქვიშაზე გადმომხობილ იისფერ ცას, რუხ ნარშავებს და მოწითალო მთებს შესცქეროდნენ. ციდან ხმადაბალი ზუზუნი ისმოდა. ეს იყო ჩვეულებრივი «DC-7», იგი თოვლივით თეთრად ქათქათებდა მზეზე, დიდ სიმაღლეზე მიფრინავდა და კურსი მეხიკო-სითისკენ ეჭირა, სწორედ იქითკენ, სადაც წესით გუშინ ამ დროს უნდა დავფრენილიყავით.

გუნება მოგვეწამლა.

კიდევ კარგი, ჭადრაკი მაინც გვქონდა.

ბევრმა მგზავრმა მოგვბაძა – ფეხსაცმელებისა და ტრუსების ამარა დაიწყო სიარული. ქალებს ჩვენზე მეტი გასაჭირი ადგათ: ზოგს ქვედაკაბა აეკეცა, ზოგს წელზევით ცისფერი, თეთრი და

ვარდისფერი ლიფი ეცვა მხოლოდ, კოფთა კი თავზე ჩალმასავით ჰქონდა დაგრაგნილი.

ბევრი თავის ტკივილს უჩიოდა.

ვიღაცას პირს ასაქმებდა.

მე და ჰერბერტი კვლავ თვითმფრინავის კუდის ჩრდილქვეშ გავნაპირდით, მაგრამ კუდიც და ფრთებიც გავარვარებული ქვიშის სიმხურვალეს ირეკლავდა და ჩრდილშიაც ისეთი ალხი ტრიალებდა, თითქოს პროჟექტორი გვქონოდეს მონათებული. ჭადრაკის თამაშის დროს, ჩვეულებრივ, ძალიან ცოტას ვლაპარაკობდით. ერთხელ ვკითხე: – იოახიმს მერე აღარ შეურთავს ცოლი?

– არა, – მიპასუხა მან.

– გაშორდა ცოლს?

– დიახ.

– მაშინ ძალიან ბევრს ვთამაშობდით ჭადრაკს.

– ჰოო?

– ვინ შეირთო იოახიმმა?

ეს დროის გასაყვანად ვიკითხე. ნერვები მეშლებოდა, მოწევა რომ აკრძალული იყო. პირში მოუკიდებელი სიგარეტი მეჭირა. ჰერბერტის ამდენი ფიქრიც მაღიზიანებდა. აქამდე ვეღარ მიხვდა, რომ მისი საქმე წასული იყო? მე ზედმეტი მხედარი მქონდა. ამ დროს, დიდი ხნის დუმილის შემდეგ, ისევე სხვათა შორის, როგორც მე ვიკითხე, ჰანას სახელი ახსენა.

– მიუნხენელი ჰანა ლანდსბერგი, ნახევრად ებრაელი.

ხმა არ ამომიღია.

– თქვენი სვლაა! – თქვა მან.

მე მგონი, ჰერბერტს არ შეუმჩნევია, რომ შევკრთი. დაბნეულობისაგან სიგარეტს მოვუკიდე და მაშინვე ჩავაქრე. ისე ვიქცეოდი, თითქოს ჩემს სვლაზე ვფიქრობდი. ფიგურას ფიგურაზე ვკარგავდი.

– რა დაგემართათ? – იცინოდა იგი, – რა დაგემართათ?

პარტია არ დაგვიმთავრებია, ისე დავნებდი და დაფა შემოვატრიალე, რომ ფიგურები ხელახლა დაგვეწყო. ვერც კი გავბედე მეკითხა, ჰანა ცოცხალი იყო თუ არა. რამდენიმე საათს ისე ვითამაშეთ, სიტყვა არ დაგვიძრავს.

დროგამოშვებით იძულებული ვხდებოდით, კოკა-კოლას ყუთები ჩრდილში გადაგვეჩოჩებინა, ესე იგი, კვლავ გახურებულ ქვიშაზე დაგვეწყო. ოფლი ისე გვდიოდა, თითქოს ფინურ აბანოში ვყოფილიყავით. ტყავგადაკრულ ჭადრაკის დაფას უსიტყვოდ დავცქეროდი, ჩვენი ოფლის წვეთებს, სამწუხაროდ, იგი უკვე გამოეხუნებინა.

დასალევი აღარაფერი გვქონდა.

რატომ არ ვკითხე ჰერბერტს, ჰანა ცოცხალი თუა-მეთქი, არ ვიცი, ალბათ შემეშინდა, არ ეთქვა, ჰანას ტირეზიენშტატის ბანაკში ამოხდა სულიო.

ვიანგარიშე, ახლა რა ხნის იქნებოდა ჰანა.

მისი სახე ვერ წარმოვიდგინე.

საღამო ხანს, როგორც იქნა, გამოჩნდა დაპირებული თვითმფრინავი. სპორტული მანქანა დიდხანს დაგვტრიალებდა თავს, ბოლოს ძლივს გაბედა, პარაშუტით ტვირთი გადმოეგდო. სამი ტომარა და ორი ყუთი ჩვენ ირგვლივ სამასი მეტრის რადიუსზე გაიფანტა. გვეშველა. «კარტა ბლანკა, კერვეზა მეხიკანა» მშვენიერი ლუდია. ეს ჰერბერტმა, ამ გერმანელმა კაცმაც კი აღიარა. ტრუსებსა და ლიფებში გამოწყობილი საზოგადოება უდაბნოში იდგა, ხელში ლუდის ქილები ეჭირა. მზე ჩადიოდა. ეს მომენტი ფერად ფირზე გადავიღე.

ჰანა დამესიზმრა.

ცხენზე ამხედრებული, მოწყალების დის ტანსაცმელში გამოწყობილი ჰანა!

მესამე დღეს, როგორც იქნა, გამოჩნდა ვერტმფრენი. მას ერთი არგენტინელი ორშვილიანი დედა უნდა წაეყვანა და, მადლობა ღმერთს, ფოსტასაც წაიღებდა. ვერტმფრენი ფოსტას ერთი საათი უცდიდა.

ჰერბერტმა მაშინვე დაწერა დიუსელდორფში გასაგზავნი

წერილი.

ყველა იჯდა და წერდა.

სხვა გზა არ იყო, მეც უნდა დამეწერა რამე, თუნდაც იმიტომ, რომ ვინმე გულშემატკივარს არ ეკითხა, ნუთუ არც ცოლი გყავთ, არც დედა, არც შვილებიო? ჩემი «ჰერმეს-ბები» ამოვიღე (ის დღესაც ქვიშითაა სავსე) და შიგ ფურცელი, უფრო სწორად, პირის გადასაღები ქაღალდი და ორი ფურცელი ჩავაწყვე. ჩემი ფიქრით, უილიამსისთვის მინდოდა წერილი მიმეწერა. რიცხვი ამოვბეჭდე და სახელის დასაბეჭდად ქვედა ხაზზე ჩამოვინაცვლე.

«My Dear!»[20]

მაშ ასე – აივის ვწერ. ისედაც დიდი ხანია მინდოდა, საბოლოოდ გამერკვია ჩვენი ურთიერთობა. როგორც იქნა, ვიშოვე საამისო დრო და სიმყუდროვე, მთელი უდაბნოსოდენა სიმყუდროვე.

«My Dear...»

უდაბნოში რომ მოვხვდი, დასახლებული სამყაროდან სამოც მილზე, ამის თქმას დიდი დრო არ დასჭირვებია. ის, რომ ცხელა, უღრუბლო ამინდია, ერთი-ორი თვალსაჩინო დეტალიც: კოკა-კოლას ყუთები, შორტები, ვერტმფრენი, გერმანელის გაცნობა და ჭადრაკის თამაში – წერილისთვის არ კმაროდა. შემდეგ რა მივწერო? შორს მოლურჯო მთები მოჩანს. შემდეგ? გუშინ ლუდი მოგვაშველეს. შემდეგ? შემდეგ ფირებს ხომ ვერ ვთხოვდი? რა თქმა უნდა, აივის, როგორც ყველა ქალს, მხოლოდ ის აინტერესებს, რას განვიცდი მე. თუ აღარაფერს განვიცდი, ყოველ შემთხვევაში, რას ვფიქრობ. აი, ეს კი კარგად ვიცოდი: ჰანა მიყვარდა და ის არ შევირთე ცოლად და აივის როგორღა შევირთავდი? მაგრამ ამის გამოთქმა ისე, რომ მისთვის შეურაცხყოფა არ მიმეყენებინა, იოლი საქმე როდი იყო. მან ხომ ჰანაზე არაფერი იცის და მერე, თვითონაც არაა ცუდი გოგო, მაგრამ აივი ტიპური ამერიკელი ქალია: თუ კაცმა ლოგინში ჩაიწვინა, ჰგონია, აუცილებლად ცოლად უნდა გაჰყვეს. ესეც არ იყოს, აივი გათხოვილია, მერამდენედ, არ ვიცი, და მისი ქმარი, ვაშინგტონელი მოხელე, გაყრაზე სულაც არ ფიქრობს. აივი თავს ურჩევნია. ხვდებოდა თუ არა ქმარი, აივი ნიუ-იორკში რეგულარულად რისთვის დაფრინავდა, არ ვიცი. აივი ეუბნებოდა, ფსიქიატრთან დავდივარო და დადიოდა კიდეც. ასე იყო თუ ისე, ჩვენ ხელს არავინ გვიშლიდა და

ვერაფრით ვერ მივმხვდარიყავი, აივის, ასეთ თანამედროვე ქალს, რად უნდოდა, მაინცდამაინც ცოლად შემერთო. მით უმეტეს, რომ ამ ბოლო დროს ერთმანეთს ვეღარ ვეწყობოდით – ყოველ წვრილმანზე ჩხუბი მოგვდიოდა. იმაზეც კი ვჩხუბობდით, სტუდებეკერი სჯობდა თუ ნეში! ეს გამახსენდა თუ არა, ჩემმა მანქანამ თითქოს თავისით განაგრძო ბეჭდვა. ის კი არა, ახლა საათზე ვიხედებოდი, ვერტმფრენმა არ გამასწროს-მეთქი.

ვერტმფრენის მოტორი აამუშავეს...

მე კი არა, აივიმ ისურვა სტუდებეკერი. მანქანა, პირველ ყოვლისა, ფერის მიხედვით შეარჩია. მისი აზრით, მანქანა პომიდვრისფერი იყო, ჩემი აზრით – ჟოლოსფერი. ტექნიკურ მონაცემებზე ფიქრით თავი არ აუტკივებია. აივი მანეკენი გახლდათ. მგონი, კაბებს მანქანის ფერის მიხედვით ირჩევდა, მანქანის ფერს კი პომადის ფერის მიხედვით, თუ პირიქით, არ ვიცი. ის კი ვიცი, რომ ერთთავად მსაყვედურობდა, არც გემოვნების ნატამალი გაგაჩნია და არც ცოლად მირთავო. თან, როგორც ვთქვი, არ არის ურიგო გოგო. მისი სტუდებეკერის გაყიდვას რომ ვაპირებდი, საშინლად მოსდიოდა გული, თან თურმე არც უკვირდა ჩემი საქციელი. მე ხომ სულ არ მაწუხებდა მისი გარდერობის დარდი, რომელსაც ასე შვენოდა ჟოლოსფერი სტუდებეკერი. აბა, სხვა რას უნდა მოელოდეს ჩემგან, მე ხომ ერთი ეგოისტი, რეგვენი და ბარბაროსი კაცი ვარ გემოვნების საკითხში, ქალთან ურთიერთობაში კი ნამდვილი ურჩხული. მისი საყვედურები უკვე ზეპირად ვიცოდი და მობეზრებული მქონდა. ცოლის შერთვას რომ არ ვაპირებდი, ეს მისთვის ათასჯერ მითქვამს; თუ არ მითქვამს, მიგრძნობინებია მაინც, ბოლოს აკი გამოვუცხადე კიდეც აეროდრომზე, როცა ამ სუპერ-კონსტელეიშენს ველოდებოდით. აივიმ ცრემლებიც კი გადმოყარა, მაშასადამე, მშვენივრად გაიგონა, რაც ვუთხარი, მაგრამ ალბათ ერჩივნა, ეს აზრი შავით თეთრზე დაწერილი ენახა. იმ დღეს რომ დავმწვარიყავით, უჩემოდ მშვენივრად გაძლებდი-მეთქი, მივწერე (მადლობა ღმერთს, წერილს ორ ცალად ვბეჭდავდი). მე მგონი, ახლა კი უნდა გაეგო, რომ ერთმანეთს აღარ შევხვდებოდით.

ვერტმფრენი მზად იყო ასაფრენად...

წერილის გადაკითხვის დრო აღარ მქონდა; კონვერტში ჩავდე, დავბეჭდე და ყუთში ჩავაგდე. შემდეგ ვუყურე, როგორ

აფრინდა ვერტმფრენი.

ნელ-ნელა ყველას წვერი მოეზარდა.

ელექტროდენი მომენატრა...

თანდათან მომბეზრდა ეს ამბავი. კაცმა რომ თქვას, სასკანდალო საქმე გვჭირდა: ორმოცდაორ მგზავრს და ეკიპაჟის ხუთ წევრს აქამდე ვერ დაგვეხსნა თავი უდაბნოს ტყვეობისგან. სხვა თუ არაფერი, უმრავლესობას საქმეზე მიგვეჩქარებოდა.

ერთხელ ჰერბერტს მაინც ვკითხე:

– ცოცხალი თუა ის?

– ვინ ის?

– ჰანა, მისი ცოლი?

– ჰოო, – ჩაილაპარაკა ჩაფიქრებულმა, – ჩემი გამბიტი ჰქონდა მოსაგერიებელი – და ნერვების ამშლელი სტვენა გააბა. ხმადაბლა უსტვენდა, უმელოდიოდ, თითქოს ხრახნსაცობიდან ჰაერი სისინით გამოდისო.

იძულებული გავხდი, ხელახლა მეკითხა:

– სად ცხოვრობს ახლა?

– არ ვიცი, – თქვა მან.

– ცოცხალი ხომ არის?

– მე მგონი, კი.

– დანამდვილებით არ იცი?

– დანამდვილებით არა, მაგრამ, მგონი, ცოცხალი უნდა იყოს, – შემდეგ ექოსავით გაიმეორა, – მგონი, ცოცხალი უნდა იყოს...

ჭადრაკის პარტია უფრო ედარდებოდა.

– იქნებ უკვე გვიან არის, – თქვა მან შემდეგ, – იქნებ უკვე გვიან არის.

ჭადრაკს გულისხმობდა.

– ემიგრაციაში წასვლა მოახერხა? – ვკითხე.

– დიახ, მოახერხა.

– როდის?

– ათას ცხრაას ოცდათვრამეტში, უკანასკნელ წუთს.

– სად?

– პარიზში, – თქვა მან, – მერე, ალბათ, სხვაგან გადაინაცვლებდა, რადგან ორი წლის შემდეგ ჩვენ ხომ პარიზში ვიყავით. აფსუს, რა დრო იყო, სანამ კავკასიაში მოვხვდებოდი?!

Sous les toits de Paris![21]

შეკითხვებს აზრი აღარ ჰქონდა.

– ახლა ფიგურა თუ არ გავცვალე, წასულია ჩემი საქმე, – მითხრა მან.

თამაშს თანდათან ეშხი დაეკარგა.

როგორც შემდეგ შევიტყვე, თურმე შეერთებული შტატების არმიის რვა ვერტმფრენი მექსიკის საზღვარზე ოფიციალურ ნებართვას ელოდა, რომ ჩვენს წასაყვანად გამოფრენილიყო.

მე ჩემს «ჰერმეს-ბების» ვწმენდდი.

ჰერბერტი კითხულობდა.

ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენოდა.

*

რაც შეეხება ჰანას:

ჰანას შერთვა არასგზით არ შემეძლო, მაშინ – 1933-დან 1935 წლამდე – ციურიხის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასისტენტად ვმუშაობდი, დისერტაციას ვამზადებდი (ეგრეთ წოდებულ მაქსველის დემონის საკითხზე) და თვეში სამას ფრანკს ვიღებდი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მატერიალური პირობების გამოც ზედმეტი იყო ცოლის შერთვაზე ლაპარაკი. ჰანასაც არასოდეს დასცდენია საყვედური, ცოლად რატომ არ მირთავო. მე კი არ დამიხევია უკან, სინამდვილეში თვითონ ჰანამ არ მოინდომა მაშინ, ცოლად გამომყოლოდა.

*

მეხიკო-სითის ახალ აეროპორტში მომივიდა აზრად და ისიც უკანასკნელ წუთს, მიმართულება შემეცვალა, მივლინებისთვის უბრალოდ თავი დამენებებინა და სიყრმის მეგობარი მენახა.

უკვე ბარიერს იქით ვიდექი. მე და ჰერბერტმა ერთხელ კიდევ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი: ჰერბერტს ვთხოვე, ძმისთვის მოკითხვა გადაეცა, თუკი იოახიმს კიდევ ვახსოვდი. რეპროდუქტორი ჩვეულებრივ გადმოსცემდა: – Your attention, please, your attention, please.

ისევ სუპერ-კონსტელეიშენში ვჯდებოდი.

– All passengers for Panama-Caracas-Pernambuco...[22]

იმის გახსენებაც კი მზარავდა, რომ ისევ თვითმფრინავში უნდა ჩავმჯდარიყავი და ღვედები შემეკრა.

ჰერბერტმა მითხრა:

– შენი წასვლის დროა!

სამსახურის საქმეებს უაღრესად კეთილსინდისიერად ვასრულებ, ამ საკითხში თითქმის პედანტიც კი ვარ, ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არ ახსოვს ისტორიას, მივლინება ჩემს ნებაზე გამეგრძელებინოს, თორემ გზიდან გადახვევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ფაქტია, რომ ერთი საათის შემდეგ ჰერბერტთან ერთად მივფრინავდი.

– ეს რა კარგი ოინი გამოგივიდა! – მითხრა ჰერბერტმა.

მეც არ ვიცი, რამ მომიარა.

– არა უშავს, – ვთქვი მე, – ერთხელ ტურბინებმა დამიცადონ, მეც ბევრჯერ მიცდია მათთვის, ახლა ისინი დამელოდონ.

რა თქმა უნდა, ეს გამამართლებელ საბუთად არ გამომადგებოდა.

კამპეჩეშივე პაპანაქება სიცხე დაგვხვდა, მზე უმოწყალოდ აჭერდა და ჰაერიც წებოვანი იყო, თან მზეზე გალღობილ შლამს ისეთი შმორისა და თევზის სუნი ასდიოდა, ოფლს რომ მოიწმენდდი, გეგონა, შენც თევზის სუნით ყარდი. ხმა არ

ამომიღია. ბოლოს და ბოლოს, კაცი სულაც არ მოიწმენდ ოფლს, იჯდები თვალდახუჭული, ისუნთქავ დამუწული პირით, ფეხებს გაშხლართავ და კედელს მიაყრდნობ თავს. ჰერბერტს ეჭვიც კი არ ეპარებოდა, რომ მატარებელი პალენკესაკენ ყოველ სამშაბათს გადიოდა, ყოველ შემთხვევაში, დიუსელდორფიდან წამოღებულ განრიგში ასე ეწერა, ხუთი საათის ლოდინის შემდეგ კი გამოირკვა, რომ დღეს ორშაბათი იყო და არა – სამშაბათი.

ხმა არ ამომიღია.

სასტუმროში შხაპი და პირსახოცი მაინც არის. პირსახოცი, ჩვეულებრივ, ამ მხარეში ქაფურის სუნითაა გაჟღენთილი. საბაზანოს ობმოკიდებული ფარდებიდან თითის სიგრძე ხოჭოები ცვიოდა. ხოჭოებს წყალს ვატანდი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ახალი წყება მოცოცავდა. მაშინ ქუსლით დავუწყე სრესა, რომ ბოლოს და ბოლოს როგორმე მებანავა.

ის ხოჭოები ღამე მესიზმრებოდა.

გადავწყვიტე, ჰერბერტი კამპეჩეში დამეტოვებინა და მეორე დღეს უკან გავფრენილიყავი. მეგობრობასაც თავისი საზღვარი აქვს.

კუჭს ისევ ვგრძნობდი.

დედიშობილა ვიწექი...

მთელი ღამე შმორის სუნი მცემდა.

ჰერბერტიც დედიშობილა იწვა.

კამპეჩე მაინც ქალაქია, არის ელექტროდენი, ისე რომ გაპარსვა შეიძლება, არის ტელეფონიც, მაგრამ მავთულები აურებითაა დახუნძლული. ისინი ელიან, სადმე ძაღლს როდის გასძვრება შიმშილით სული, ან სადმე ვირი როდის გაფშეკს ფეხებს, ან ცხენს როდის დაკლავს ვინმე. მაშინ აურები ფრთებს ააფართხუნებენ და ძირს ჩამოფარფატდებიან. ჩვენ სწორედ მაშინ მივედით ბაზარში, როცა აურები ნახევრად გახრწნილ შიგნეულს მისეოდნენ და ნთქავდნენ. ქვაფენილზე მოშავო-მოიისფრო ფრინველების მთელი გუნდი ირეოდა, კლანჭებში სისხლიანი ნაწლავები ეჭირათ, მანქანებსაც კი არ უფრთხოდნენ, ლეშს სადმე სხვაგან გადაიტანდნენ და იქ ძიძგნიდნენ. არც კი წამოფრინდებოდნენ, მხოლოდ ქშუტუნით

დახტუნავდნენ მიწაზე.

ჰერბერტმა ანანასი იყიდა.

როგორც ვთქვი, გადაწყვეტილი მქონდა, მეხიკო-სითიში დავბრუნებულიყავი. მეტის გაძლება აღარ შემეძლო. ასე რატომ არ მოვიქეცი, არ ვიცი.

უცებ მოშუადღევდა.

მიწაყრილზე დავდექით. იქამდე შმორის სუნი ნაკლებად აღწევდა, მაგრამ მზის გულზე კი აღმოვჩნდით. ანანასს წელში წახრილები ვჭამდით, რადგან წვენი წურწურით გასდიოდა. შემდეგ ქვევით ჩავედით და გაწებილ თითებზე წყალი გადავივლეთ. წყალი თბილი იყო და წებოვანი, მაგრამ ტკბილი კი არა, მლაშე, თითებზე წყალმცენარეების, მაზუთის, ნიჟარებისა და შმორის უცნაური სუნი შეგვრჩა. მაშინვე ცხვირსახოცით გავიწმინდეთ ხელები. უცებ მოტორის ხმა შემოგვესმა! დამბლადაცემულივით ვიდექი, ჩემი «DC-4» მეხიკო-სითისკენ მიფრინავდა. თვითმფრინავმა ზედ თავზე გადაგვიფრინა, კურსი გაშლილი ზღვისკენ აიღო და გავარვარებულ ცაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისე ჩაიკარგა, თითქოს ლურჯ მჟავაში ჩაიშალაო.

ხმა არ ამომიღია.

არ ვიცი, ის დღე როგორ გავიდა, მაგრამ გავიდა კი.

ჩვენი მატარებელი (კამპეჩე-პალენკე-კოატცოკოალკოს) იმაზე უკეთესი გამოდგა, ვიდრე მოველოდით: დიზელს ოთხი ვაგონი ება. ჰაერი კონდიცირებული იყო. სიცხეც გადაგვავიწყდა და სიცხესთან ერთად მთელი ამ მოგზაურობის უაზრობაც.

ნეტავ თუ მიცნობს იოახიმი?

მატარებელი ხანდახან შუა გზაში ჩერდებოდა. რისი ბრალი იყო, ვერ ვხვდებოდით, არსაიდან არ ჩანდა სინათლე; რომ გაიელვებდა, მაშინ თუ დაინახავდი, რომ ჯუნგლებში ვიყავით. ხან ჭაობში მივდიოდით, ხანდახან შავი ხეების ხლართებს ციაგი ანათებდა. ორთქლმავალი უკუნეთში გაჰკიოდა და გაჰკიოდა. სარკმლის გამოღებაც კი არ შეიძლებოდა, რომ გაგვეგო, მატარებელი რატომ ჩერდებოდა... უცებ ისევ დაიძვრებოდა და ასე... საათში ოცდაათი კილომეტრის მეტს ვერ გავდიოდით, თუმცა გზა ლარივით იყო გაჭიმული. იმითაც

კმაყოფილი ვიყავით, რომ წინ მივიწევდით.

ერთხელ ჰერბერტს ვკითხე:

– მაინც რატომ დასცილდნენ ერთმანეთს?

– არ ვიცი, – თქვა მან, – მგონი, ქალი კომუნისტი გახდა...

– ამისთვის?

მან დაამთქნარა.

– არ ვიცი, ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. არასოდეს მიკითხავს, რატომ დასცილდნენ.

მატარებელი ისევ გაჩერდა. ვაგონის კართან მივედი და გარეთ გავიხედე. ირგვლივ ბუღი ტრიალებდა. სიცხე აღარც კი მახსოვდა. ნესტიანი, უკუნი ღამე იდგა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. კიბეზე დავდექი. სიჩუმე. ციაგი. ლარივით გაჭიმულ ლიანდაგზე კამეჩი გახიდულა. ეს არის და ეს. ორთქლმავლის პროჟექტორების შუქით დაბრმავებული კამეჩი ადგილზე გაქვავებულიყო. კვლავ ოფლმა დამასხა. ისმოდა ორთქლმავლის განუწყვეტელი კივილი. ირგვლივ გაუვალი ტყის მეტი არაფერი ჩანდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კამეჩმა (თუ ის მართლა კამეჩი იყო) პროჟექტორების შუქს თავი დააღწია. ძეძვნარში ქშენა და ტოტების ლაწალუწი გაისმა, შემდეგ ტყლაშუნი გავიგონე. ეტყობოდა, ნადირმა წყალში მოადინა ტყაპანი.

მატარებელი დაიძრა.

– შვილები თუ ჰყავთ? – ვკითხე ჰერბერტს.

– ერთი ქალიშვილი...

დასაძინებლად მოვემზადეთ, პიჯაკები თავქვეშ ამოვიდეთ და ფეხები მოპირდაპირე ცარიელ სკამებზე შევაწყვეთ.

– იცნობდი ჰანას?

– ჰო, – ვთქვი მე, – რატომ მეკითხები?

ჰერბერტს მალე ჩაეძინა.

ირიჟრაჟა. ირგვლივ კვლავ უსიერი ტყე მოჩანდა. ჯუნგლის ჰორიზონტზე მზე ამოწვერილიყო. თეთრი ყანჩები გუნდ-

გუნდად მიფარფატებდნენ ზოზინით მიმავალი მატარებლის წინ. ტევრს დასასრული არ უჩანდა, აქა-იქ გაიელვებდა ხეებს უკან მიმალული ინდიელთა ქოხები, ხანდახან ეულად მდგარ პალმას ვხედავდით, ისე კი, ტყე ფოთლოვანი იყო. ზოგჯერ აკაციები ან რომელიღაც უცხო ჯიშის ხეები გვხვდებოდა, უფრო კი ბუჩქნარი და რაღაც წარღვნამდელი გვიმრა ჭარბობდა. ჰაერში ყვითელ-ყვითელი ჩიტები ირეოდნენ. მზე თითქოს მქრქალი შუშიდან იცქირებოდა, პაპანაქება იდგა, ხვატს თვალითაც კი ხედავდა კაცი.

სიზმრებს ვხედავდი (ოღონდ ჰანა არ მესიზმრებოდა!).

როცა ხელახლა გავჩერდით, უკვე პალენკეში ვიყავით. პატარა სადგურში ჩვენ მეტი არც არავინ ამოსულა და არც არავინ ჩასულა. ლიანდაგის ახლოს სასიგნალო ფარი იდგა, მეტი არაფერი, მეორე წყვილი ლიანდაგიც კი არ იყო (თუ არ ვცდები). ერთი სამჯერ მაინც ვიკითხეთ, ეს ხომ პალენკეა-თქო.

მაშინვე ოფლად გავიღვარეთ.

მატარებელი წავიდა. ჩვენი ბარგი-ბარხანიანად ბაქანზე დავრჩით.

აქ იყო ალბათ სამყაროს დასასრული, ყოველ შემთხვევაში, ცივილიზებული სამყაროს დასასრული მაინც და, რაღა თქმა უნდა, იმ ჯიპის კვალიც კი არსად ჩანდა, რომელსაც დიუსელდორფელი ბატონი პლანტაციებამდე უნდა მიეყვანა.

– There we are![23]

გამეცინა.

ასე იყო თუ ისე, ერთი პატარა ქუჩა აღმოვაჩინეთ. ნახევარი საათი ვიარეთ, დავიქანცეთ და ბუჩქნარიდან ბავშვებიც გამოძვრნენ. მათ მალე ვირის პატრონი მოჰყვა. ხმელ-ხმელმა ინდიელმა ჩვენი ბარგი სახედარს აჰკიდა. ხელში მხოლოდ ყვითელი პორტფელი დავიტოვე.

ხუთი დღე პალენკეში ვეკიდეთ.

ვეკიდეთ ჰამაკებში, გვერდით ლუდი გვედგა, ლუდს ვყლურწავდით და ოფლში ვიწურებოდით, თითქოს ჩვენი სიცოცხლის მიზანს მხოლოდ ოფლის მოდენა შეადგენდა. აზროვნების უნარი დაკარგული გვქონდა. არხეინად ვეკიდეთ

ჰამაკებში. «იუკატეკა» მშვენიერი ლუდი გამოდგა, გაცილებით სჯობდა ჩვენებურს, ვსვამდით, რომ მერე ოფლად დავღვრილიყავით და არც ვიცოდით, საერთოდ, რამე გვინდოდა თუ არა.

ჩვენ გვინდოდა ჯიპი!

ჯიპს თუ ყოველ წუთში არ ვახსენებდით, გვავიწყდებოდა. საერთოდ ცოტას ვლაპარაკობდით. არაფრის თავი არ გვქონდა.

ჯიპი გვინდა, მაგრამ საიდან გავაჩინოთ?

ლაპარაკი მხოლოდ წყალს გვაწყურებდა.

ჩვენი პაწია სასტუმროს პატრონს ლენდროვერი ჰყავდა. ეტყობოდა, ერთადერთი ტრანსპორტი ეს იყო მთელ პალენკეში, ისიც მის პატრონს სჭირდებოდა სადგურიდან ლუდის გადმოსაზიდად და სტუმრების გადმოსაყვანად. სტუმრები ინდიელთა ნანგრევებით დაინტერესებული პირები იყვნენ, პირამიდების მოყვარულები. ჩვენს დროს ასეთი სტუმარი იქ მხოლოდ ერთი იყო, ახალგაზრდა ამერიკელი, წარმოშობით ფრანგი, რომელმაც უზომოდ ბევრი ლაპარაკი იცოდა; კიდევ ჩვენი ბედი, რომ დღისით შინ არ ჩერდებოდა და მთელ დღეებს ნანგრევებზე ატარებდა, თორემ მის ლაქლაქს რა გაუძლებდა. მისი აზრით, ნანგრევები ჩვენც უეჭველად უნდა გვენახა.

მეტი საქმე არ მქონდა!

ყოველი ნაბიჯის გადადგმას ოფლის ნიაღვარი მოსდევდა. დაკარგული სითხე მაშინვე ლუდით უნდა შეგვევსო. კიდევ არა უშავდა, თუ ჰამაკში ფეხშიშველა ვიწექით გაუნძრევლად და სიგარეტს ვაბოლებდით – აპათია იყო ჩვენთვის ერთადერთი შესაძლებელი მდგომარეობა. ყურმოკრულ ამბავსაც კი არ ავუღელვებივართ, საზღვარს იქით პლანტაცია რამდენიმე თვეა მიტოვებულიაო. მე და ჰერბერტმა ერთმანეთს გადავხედეთ და ისევ ლუდს მივუბრუნდით.

ჩვენი ერთადერთი შანსი იყო ლენდროვერი.

მანქანა მთელი დღე სასტუმროს წინ იდგა, მაგრამ, როგორც ვთქვით, პატრონს სჭირდებოდა.

მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ თუ აგრილდებოდა ოდნავ

(მზე, კაცმა რომ თქვას, აქ კი არ ჩადის, ბუღში უფერულდება და ქრება) და მაშინ გერმანული სიგარის მომავალზე ენის მოფხანა მაინც შეეძლო კაცს. სიცილად არ მყოფნიდა ეს ამბავი, ეს ჩვენი ხეტიალიც და საერთოდ ყველაფერი. ადგილობრივი მოსახლეობის ჯანყიო? ამას ერთი წუთითაც ვერ დავიჯერებდი. საამისოდ ინდიელები მეტისმეტად უწყინარი, მშვიდობიანი და ბავშვებივით გულუბრყვილონიც კი არიან. ახურავთ თეთრი ჩალის ქუდები და მთელი საღამო მიწაზე ჩაცუცქულები სხედან, სხედან სოკოებივით გაუნძრევლად, წყნარად, სინათლის გარეშეც კმაყოფილნი არიან, მზისა და მთვარის შუქი მათთვის საკმარისია. ქალური ბუნების ხალხია, პირქუში, მაგრამ უწყინარი.

ჰერბერტმა მკითხა, რას ფიქრობო.

– არაფერს!

– მაშ, რა ვქნათ?

– რა ვქნათ და, ვიბანაოთ!

დილიდან საღამომდე შხაპის ქვეშ ვიდექი. მძულს ოფლი, თავი ავადმყოფი მგონია (ჩემს სიცოცხლეში წითელას გარდა, ავადმყოფობა არ გადამიტანია). მგონი, ჰერბერტს სწყინდა, არაფერს რომ არ ვფიქრობდი, მაგრამ ასეთ სიცხეში აზროვნების უნარს კარგავ ან ჰერბერტივით ყველაფერზე უნდა იფიქრო და ყველაფერი დაიჯერო.

– მოდი, კინოში წავიდეთ! – ვთქვი მე.

ჰერბერტმა მართლა დაიჯერა, რომ პალენკეში, სადაც ინდიელების მეტი არავინ ცხოვრობდა, კინო იქნებოდა და ჩემს სიცილზე გული მოუვიდა.

წვიმა არ გვეღირსა და არა.

ღამღამობით ელავდა და ეს იყო ჩვენი ერთადერთი გასართობი. მართალია, პალენკეს აქვს დიზელის ძრავა, რომელიც ელექტროდენს გამოიმუშავებს, მაგრამ 21.00 საათზე დენს თიშავენ და უცებ ჯუნგლის წყვდიადში ეფლობი, ხედავ მხოლოდ კვარცის ნათურის შუქივით მოლურჯო ციაგს და ციცინათელებს, მერე ლორწოვანი მთვარე ამოდის, ჰაერში ისეთი ბუღი დგას, რომ ვარსკვლავები არ ჩანს...

იოახიმი ალბათ ამ უსაშველო სიცხის გამო აღარ გვწერს წერილებს. ის ან ჩვენსავით მთელი დღე ჰამაკში კიდია, ან ცოცხალი აღარ არის. მაშინ საფიქრალიც აღარაფერი დაგვრჩენია. მხოლოდ უნდა ვიცადოთ, სანამ ჯიპს ვიშოვიდეთ, მერე გადავიდეთ საზღვარზე და ჩვენი თვალით ვნახოთ, იქ რა ამბები ტრიალებს.

– ჯიპი! საიდან უნდა ვიშოვოთ ჯიპი? – დამიყვირებდა ჰერბერტი და ხვრინვას ამოუშვებდა.

ჩვეულებრივ, როგორც კი ელსადგურს გამოთიშავდნენ, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდებოდა ხოლმე. მთვარის შუქზე ცხენი ბალახობდა, იმავე შემორაგულში უხმაუროდ დახტოდა შველი, ცოტა იქით შავი ნეზვი ღრუტუნებდა, სადღაც ყოველ გაელვებაზე ინდაური ლოყლოყებდა, იქვე ახლოს ინდაურის ხმისგან დამფრთხალი ბატები ყიყინებდნენ, უცებ ერთი გნიასი ატყდებოდა, მერე კვლავ სიჩუმე ჩამოვარდებოდა, ცაზე ციაგი კრთოდა და მთელი ღამე ცხენი ახრამუნებდა ბალახს.

იოახიმზე ვფიქრობდი.

მაინც, რას?

არა, უბრალოდ ვფხიზლობდი, სხვა არაფერი.

მხოლოდ ნანგრევების მოტრფიალე ლაყბობდა გაუთავებლად. თუ ყურს დაუგდებდი, საინტერესო ამბებს ყვებოდა. ყვებოდა ტოლტეკების, ზაპოტეკების, აცტეკების ამბებს. ისინი თურმე უზარმაზარ ტაძრებს აგებდნენ, ბორბალზე კი წარმოდგენა არ ჰქონდათ. ჩვენი ბოსტონელი მუსიკოსი, ყველა ხელოვანის მსგავსად, ხანდახან ნერვებს მიშლიდა. მათ მხოლოდ იმიტომ მოაქვთ თავი ჩვენზე მაღლა მდგომ და უფრო დახვეწილ არსებებად, რომ თვითონ წარმოდგენა არა აქვთ, რა არის ელექტროობა.

ბოლოს და ბოლოს, მეც ვიძინებდი.

ყოველ დილით უცნაური ხმაური მაღვიძებდა, ნახევრად ინდუსტრიული, ნახევრად მუსიკალური, არც ხმამაღალი, მაგრამ მაინც უსიამო, ლითონისებური, მონოტონური. ეტყობოდა, ამ ხმას რაღაც მექანიზმი გამოსცემდა, მაგრამ რა, ვერ მივმხვდარიყავი. ცოტა გვიან, როცა სასაუზმოდ სოფელში

მივდიოდით, ხმაური წყდებოდა. ჩვენ ერთადერთი pinte[24]-ს ერთადერთი სტუმრები ვიყავით. მუდამ ერთსა და იმავე კერძს ვუკვეთავდით: Huevos a la mexicana[25]-ს, ცხარე, მაგრამ ეტყობოდა მარგებელ საჭმელს, tortilla[26]-სა და ლუდს... ინდიელ მედუქნე ქალს, შავნაწნავებიან მატრონას, მკვლევრები ვეგონეთ. მას ყორნის ფრთასავით შავ თმაზე მოლურჯო-მომწვანო ელვარება დაჰკრავდა. ღიმილის დროს სპილოს ძვალივით თეთრი კბილები უჩანდა და თმასავით შავი, წყნარი თვალები ჰქონდა.

– ჰკითხე ერთი, ჩემს ძმას თუ იცნობს და უკანასკნელად როდის ნახა, – მითხრა ჰერბერტმა.

ბევრი ვერაფერი გამოვიძიეთ.

– ახსოვს რაღაც მანქანა, – ვთქვი მე, – ეს არის და ეს.

არც თუთიყუშმა იცოდა არაფერი.

– Gracias, hihi![27]

თუთიყუშს ესპანურად დაველაპარაკე.

– Hihi, gracias, hihi!

ერთ დღეს, ეს იყო მესამე თუ მეოთხე დღე, ჩვეულებრივ ვსაუზმობდით და თავს მაიას ტომის ბავშვები გვეხვივნენ. ისინი, სხვათა შორის, არ მათხოვრობდნენ, იდგნენ ჩვენი მაგიდის ირგვლივ და ხანდახან გადაიხარხარებდნენ ხოლმე. ჰერბერტს თავში შეუჯდა აზრი, ამ საქათმისოდენა სოფელში, კარგად რომ მიიხედ-მოიხედოს კაცმა, რომელიმე ქოხის უკან, კვახის ან ბანანის ბარდებში, ან სიმინდის ყანაში ჯიპს აღმოაჩენსო. არ შევკამათებივარ. ეს აზრი სიგიჟედ მეჩვენებოდა, როგორც სხვა ყველაფერი, მაგრამ ჩემთვის სულერთი იყო, არხეინად ვეკიდე ჰამაკში, ჰერბერტი კი მთელი დღე არ გამოჩენილა.

გადაღებაც მეზარებოდა.

*

ლუდი თავისთავად მშვენიერი იყო, მაგრამ გამოგველია.

პალენკეში რომიღა იშოვებოდა, საძაგელი რომი და კოკა-კოლა. კოკა-კოლა დასანახადაც კი მეჯავრება...

ვსვამდი რომს და მეძინა.

ასე იყო თუ ისე, დრო გამყავდა, არაფერზე არ ვფიქრობდი...

ჰერბერტი საღამოხანს დაბრუნდა. დაღლილობისგან ფერი აღარ ედო. თურმე რაღაც ნაკადულს წასწყდომოდა და ებანავა. შემდეგ უნახავს ორი კაცი. ხელში მოღუნული ხმლები ეჭირათ და სიმინდის ყანაში მიდიოდნენო, იფიცებოდა ჰერბერტი. ესენი ყოფილან ზუსტად სხვა სოფლელებივით თეთრშარვლიანი, ჩალისქუდიანი ინდიელები, ოღონდ ხელში მოღუნული ხმლები სჭერიათ.

რა თქმა უნდა, ჯიპზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

მგონი, ჰერბერტს გულში შიში შეეპარა.

სანამ ელექტროსადენს გამოთიშავდნენ, პირი გავიპარსე. ჰერბერტმა კვლავ გაიხსენა თავისი კავკასია და ივანთან დაკავშირებული საშინელი ამბები, რაც უკვე ათასჯერ მქონდა მოსმენილი. შემდეგ, რახან ლუდი აღარ გვქონდა, კინოში წავედით – ჩვენმა ნანგრევების მოტრფიალემ წაგვიყვანა. პალენკეში მართლა ყოფილიყო კინო, თუნუქით გადახურული შემორაგული ადგილი. კინოჟურნალში ვნახეთ ჰაროლდ ლოიდი და კედლებზე ცოცვა ოციანი წლების ყაიდაზე, ფილმში კი – მექსიკური საზოგადოების მაღალ წრეებში გათამაშებული სასიყვარულო ამბავი, ცოლქმრული ღალატი კადილაკითა და ბრაუნინგითურთ, სულ მარმარილო და სამეჯლისო კაბები. ჩვენ სიცილით ვიჭაჭებოდით, ოთხი თუ ხუთი უზარმაზარ ჩალისქუდიანი ინდიელი კი გაუნძრევლად მიშტერებოდა დანაოჭებულ ეკრანს და ალბათ დიდად კმაყოფილნიც იყვნენ, ანდა ვინ იცის, იქნებ არც იყვნენ კმაყოფილნი. მაგათსას რას გაიგებ, მონღოლებივით განუჭვრეტელი სახეები აქვთ... ჩვენი ახალი ამხანაგი, როგორც ვთქვი, ბოსტონელი მუსიკოსი, წარმოშობით ფრანგი, იუკატანით აღტაცებული იყო და უკვირდა, ნანგრევები თუ არ გაინტერესებთ, აბა, აქ რაღა გინდათო.

ჩვენ მხოლოდ მხრები ავიჩეჩეთ და ერთმანეთს გადავხედეთ. არც ერთს არ გვეხალისებოდა გაგვემხილა, რომ ჯიპს ველოდებოდით.

არ ვიცი, ჩვენს ნაცნობს ვინ ვეგონეთ.

რომი იმით სჯობს ლუდს, რომ ოფლს არ გადენს, სამაგიეროდ, მეორე დილით თავი გტკივა. სწორედ ამ დროს იწყება ის გაურკვეველი ხმაური, ნახევრად პიანინოს ხმას რომ ჰგავს, ნახევრად ტყვიამფრქვევისას და თან ღიღინიც რომ ახლავს, ისმის ყოველთვის ექვსსა და შვიდ საათს შორის. რამდენჯერაც დავაპირე, გამეგო, რა გამოსცემდა ამ ხმებს, იმდენჯერ დამავიწყდა. აქ ყველაფერი ავიწყდება კაცს.

ერთხელ ბანაობა მოვინდომეთ, მაგრამ ჰერბერტმა თავისი ლეგენდარულ ნაკადულს ვეღარ მიაგნო. გზა აგვებნა, მოულოდნელად ნანგრევებთან აღმოვჩნდით და ჩვენს ხელოვანს წავადექით თავს. ამ ლოდებში, რომლებიც ალბათ ტაძარს წარმოადგენდა, ჯოჯოხეთური ალხი ტრიალებდა. ჩვენი ხელოვანი მთელი არსებით საქმეში იყო ჩაფლული, მხოლოდ იმის დარდი ჰქონდა, ოფლი ქაღალდზე არ დასწვეთებოდა. თავი ძლივს დაგვიქნია, ჩვენ მას ხელს ვუშლიდით. იგი ქვის ბარელიეფზე კალკას ჭიმავდა და შემდეგ ზემოდან დიდხანს უსვამდა შავ ცარცს, რომ ასლი გადაეღო. სიგიჟეა და მეტი არაფერი! ჯიუტად გვიმტკიცებდა, ამ იეროგლიფებსა და ღმერთების სიფათებს სურათი რომ გადაუღო, მაშინვე დაიღუპებიანო. ჩვენ მას გავეცალეთ.

მე ხელოვნების ისტორიის სპეციალისტი არ გახლავართ...

მოწყენილობისა და უსაქმურობისაგან პირამიდებზე ავფოფხდით (კიბე ძალიან ციცაბოდ ეშვებოდა, სიგანე და სიმაღლე სწორედ უკუღმა შეეფარდებინათ, ისე, რომ კაცს სუნთქვა გეკვროდა). სიცხისგან თავბრუდახვეული სადღაც, ეგრეთ წოდებული სასახლის ჩრდილში მივწექი, გემოზე გავიშხლართე და სული მოვითქვი.

ჰაერი ნოტიო იყო, მზე – ლორწოვანი.

მე, ჩემდათავად, ხვალ თუ ჯიპს ვერ ვიშოვიდით, უკან გაბრუნებას ვაპირებდი... დღეს გაცილებით სულის შემხუთველი სიცხე იყო, ირგვლივ შმორისა და სიდამპლის სუნი იდგა, ლურჯბოლოიან ჩიტებს ჟივჟივი გაჰქონდათ, ვიღაცას ტაძარი ფეხსალაგად გამოეყენებინა და ბუზები იმიტომ ირეოდნენ. თვალის მოტყუება ვცადე, მაგრამ ისეთი ჟივჟივი და გნიასი იდგა, როგორც ზოოპარკში იცის, როცა ვერ ერკვევი, რა უსტვენს, რა ჭიჭყინებს ან რა ჭიკჭიკებს.

თანამედროვე კაკაფონია გეგონებოდათ. ალბათ მაიმუნები თუ იყვნენ, ან ჩიტები, ან რაღაც კატის ჯიშის ცხოველები, კაცმა არ იცის, რა ღვთის წყრომა იყო, კაცმა არ იცის.

კუჭი ისევ მაწუხებდა (ბევრს ვეწეოდი).

ოდესღაც, მეთერთმეტე თუ მეცამეტე საუკუნეში, აქ მთელი ქალაქი ყოფილა გაშენებულიო, თქვა ჰერბერტმა, მაიას ქალაქი.

ფეხებზე არა მკიდია?!

ჩემს კითხვაზე, გერმანული სიგარის მომავლის კიდევ თუ გჯერა-მეთქი, ჰერბერტს პასუხი არ გაუცია: მან ხვრინვა ამოუშვა, სულ ერთი წუთის წინ კი მაიას რელიგიაზე, ხელოვნებასა და სხვა მისთანებზე მელაპარაკებოდა.

იხვრინოს.

ფეხსაცმელები გავიძრე, თუმცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე გველები დასრიალებდნენ, ჰაერი არ მყოფნიდა, სიცხისგან გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. ჩვენი მეკალკიე ხელოვანისა მიკვირდა, ამ პაპანაქება სიცხეში თავს რაზე იკლავდა. მთელ თავის დანაზოგსა და შვებულებას სწირავდა, არაფერს დაეძებდა, ოღონდ კაციშვილს რომ ვერ ამოუკითხავს, ისეთი იეროგლიფები წაეღო შინ.

ადამიანები დიდი ახირებულები არიან.

თუნდაც მაიას ტომი ავიღოთ: ბორბალი არ იცოდნენ რა იყო და პირამიდებს აშენებდნენ. უღრან ტყეში, სადაც ყველაფერს ხავსი ეკიდება და სინესტისგან იშლება, უზარმაზარ ტაძრებს აგებდნენ. ერთი მითხარით, რისთვის?

თუმცა სხვისი კი არა, ჩემი თავისაც არაფერი გამეგებოდა: ერთი კვირის წინ კარაკასში უნდა ვყოფილიყავი, დღეს – ნიუ-იორკში. მე კი მხოლოდ იმისთვის ვყურყუტებდი აქ, რომ სიყრმის მეგობრისათვის, რომელსაც ჩემი სატრფო შეერთო ცოლად, გამარჯობა მეთქვა.

რისთვის?

ვუცდიდი ლენდროვერს; მანქანას ჩვენი ნანგრევების მოტრფიალე ყოველდღე ამოჰყავდა აქ და საღამოობით თავის კალკებიანად უკან მიჰყავდა... გადავწყვიტე, ჰერბერტი გამეღვიძებინა და მეთქვა, პირველივე მატარებლით უკან

გავემგზავრები-მეთქი.

ირგვლივ ჩიტები ჟივჟივებდნენ.

თვითმფრინავის ხმა კი არსაიდან ისმის!

მქრქალი შუშის მსგავს ცას როგორც კი თვალს მოსწყვეტ, თავი ზღვაში გეგონება. ჩვენი პირამიდა თითქოს კუნძულია ან ხომალდი, ირგვლივ კი ზღვაა. სინამდვილეში უსიერი ტყე გაკრავს მხოლოდ, უნაპირო, რუხ-მწვანე ტევრი ოკეანესავით არის გადაშლილი.

ნაშუადღევს სავსე მთვარეს ლილისფერი ედება.

ჰერბერტი ისევ ხვრინავდა.

გაგიკვირდება, როგორ ამოათრიეს ეს ლოდები აქ. თუ ბორბალი არ იცოდნენ, მაშინ არც პოლისპასტი ეცოდინებოდათ და არც სხვა რამე! თუ ორნამენტს არ ჩავაგდებთ სათვალავში – ორნამენტი კი მე ისედაც არ მომწონს, რადგან სისადავის მომხრე ვარ – ეს ნანგრევები მეტისმეტად პრიმიტიული მეჩვენება, ჩვენს ნანგრევების მოტრფიალეს კი, პირიქით, სწორედ იმიტომ უყვარს მაიას ტომის ხალხი, რომ მათ ტექნიკაზე წარმოდგენა არ ჰქონდათ და სამაგიეროდ ღმერთები ჰყავდათ. მას აღტაცებას ჰგვრის მაიას ტომის ახირებული ჩვეულება: ისინი ყოველი ორმოცდათორმეტი წელიწადის შემდეგ ახალ წელთაღრიცხვას იწყებდნენ, დაამსხვრევდნენ ჭურჭელს, დააქრობდნენ კერას, ტაძრიდან ცეცხლს გამოიტანდნენ და იმ არემარიდან დედაბუდიანად აიყრებოდნენ. შემდეგ ხელახლა აკეთებდნენ ჯამ-ჭურჭელს და ყველაფერს თავიდან იწყებდნენ. ქალაქებს ხელუხლებლად ტოვებდნენ და მხოლოდ რწმენის გამო მიდიოდნენ სხვაგან, რომ ორმოცდაათ ან ას მილზე სადმე ასეთივე ჯუნგლებში ახალი ტაძარი და ქალაქი აეგოთ. მართალია, ეს არაპრაქტიკულია, მაგრამ განა გონივრული, უფრო მეტიც, გენიალური და ღრმააზროვანი არ არისო? – სავსებით სერიოზულად ამბობდა მარსელი.

ხანდახან ჰანაზე ფიქრს ვერ ვიცილებდი თავიდან.

ჰერბერტი გავაღვიძე. დაფეთებული წამოვარდა, რა მოხდაო. როცა დაინახა, მშვიდობა იყო, ხვრინვა გააგრძელა.

არსაიდან არ ისმოდა მოტორის ხმა!

ვცდილობ, წარმოვიდგინო, რა გვეშველებოდა, მოტორები რომ არ გვქონდეს, როგორც ეს მაიას დროს იყო. რაღაცაზე ხომ უნდა გეფიქრა კაცს. ახლა გულუბრყვილო მომეჩვენა წეღანდელი ჩემი გაოცება, ეს ლოდები აქ როგორ მოათრიეს-მეთქი. დააყენებდნენ საბიჯელებს და ადამიანის ძალის იდიოტურად გამეტების ხარჯზე ამოათრევდნენ ამ ლოდებს. სწორედ ამაშია მათი პრიმიტიულობა. მაგრამ, აბა, ახლა მათი ასტრონომია ნახეთ? მათი კალენდარი, ნანგრევების მოტრფიალის სიტყვით, წელიწადში ითვლიდა 363,2420 დღეს, ცდებოდნენ მხოლოდ ორი მეათასედით, ოღონდ ასეთი მათემატიკის პატრონებმა (მათემატიკა კი ჰქონდათ, – ეს უნდა აღიაროს კაცმა) ვერავითარი ტექნიკა ვერ შექმნეს და ამიტომაც იყვნენ დასაღუპად განწირულნი.

როგორც იქნა, მოვიდა ჩვენი ლენდროვერი!

საოცრება მაშინ მოხდა, ჩვენს ნანგრევების მოტრფიალეს რომ ვუთხარით, გვატემალაში წასვლას ვაპირებთო. აღტაცებისგან აღარ იცოდა, რა ექნა. მაშინვე ამოაძვრინა თავისი პატარა კალენდარი და ნახა, რამდენი დღე ჰქონდა კიდევ შვებულებიდან დარჩენილი. გვატემალა ხომ სავსეა მაიას ქალაქებით, მერე თითქმის ყველა გაუთხრელი და გამოუკვლეველია, თუ მეც თან წამიყვანთ, თავს მოვიკლავ და ლენდროვერს ვინათხოვრებო. სასტუმროს პატრონი მას მანქანას არ დაუჭერდა, ჩვენ კი არავინ მოგვაშავებდა. ჩვენმა ახალმა მეგობარმა მანქანა ითხოვა და მიიღო კიდეც (დღეში ას პესოდ).

კვირა დღე იყო. გასამგზავრებლად ვემზადებოდით. ღამით ლორწოვანი მთვარე ანათებდა. საშინლად ცხელოდა. ის უცნაური ხმაური, ყოველ დილით რომ მაღვიძებდა, ძველებური მარიმბას ხმა აღმოჩნდა, უფრო სწორად, ბრახუნი, უმელოდიო ბაგაბუგი, ნამდვილი ეპილეფსიური მუსიკა. სავსე მთვარესთან დაკავშირებული რაღაც დღესასწაული ახლოვდებოდა და ყოველ დილით ხუთი ინდიელი თავგამეტებით ვარჯიშობდა, რომ მარიმბას რიტმისთვის ცეკვა შეეწყოთ. ქსილოფონის მსგავს, მაგიდასავით გრძელ ხის საკრავს გამეტებით ურტყამდნენ ჯოხებს. მე მოტორი დავშალე, რომ ჯუნგლებში არ ეღალატა. ცეკვის საყურებლად არ მეცალა – ლენდროვერის ქვეშ ვიწექი. მოედნის გარშემო ქალები ისხდნენ მწკრივად, უმეტესობას ყავისფერ მკერდზე

ჩვილი ჰყავდა მიკრული. მოცეკვავეები ოფლად იღვრებოდნენ და ქოქოსის რძეს ეწაფებოდნენ. ხალხი მთელი ღამე მოდიოდა, გეგონებოდათ, ტომები დედაბუდიანად აყრილანო. ქალიშვილებს ყოველდღიური ტანსაცმლის ნაცვლად ამერიკული კაბები ეცვათ, რაც ჩვენმა ხელოვანმა მარსელმა დიდხანს ვერ მოინელა. მე სხვა დარდი მაწუხებდა: არც იარაღი გაგვაჩნდა, არც კომპასი და არც არაფერი. ფოლკლორის რა მცოდნია! ლენდროვერში ბარგი მე ჩავაწყვე, ვიღაცას ხომ უნდა ჩაელაგებინა. სიამოვნებით ვიდე თავს ეს საქმე, ოღონდ კი ადგილიდან დავძრულიყავით.

*

ჰანა იძულებული გახდა გერმანიიდან გამოქცეულიყო. მაშინ პროფესორ ვიოლფლინთან ხელოვნების ისტორიას სწავლობდა. ეს ჩემთვის უცხო ხილი გახლდათ, მაგრამ სხვა მხრივ მე და ჰანა ცოლქმრობაზე ფიქრის გარეშეც მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს. ორივენი, როგორც ვთქვი, ძალიან ახალგაზრდები ვიყავით. ჩემს მშობლებს ბრალი არაფერში მიუძღვით. მათ ჰანა ძალიან მოსწონდათ, მხოლოდ წუხდნენ, ნახევრად ებრაელთან ქორწინებას ჩემთვის კარიერა არ გაეფუჭებინა. მათი ზრუნვა მაბრაზებდა, უფრო სწორად, მაცოფებდა. სწორედ ისეთი დრო რომ იყო, მით უფრო ვალდებულად ვთვლიდი თავს, ჰანა შემერთო. მამამისი, მიუნხენელი პროფესორი, ციხეში იჯდა. ეს იყო ეგრეთ წოდებული საშინელი ზღაპრების ხანა და სულაც არ ვაპირებდი, ჰანა ბედის ანაბარა მიმეტოვებინა. გარდა იმისა, რომ ერთმანეთი მართლა გვიყვარდა, მე არც ლაჩარი გახლდით. კარგად მახსოვს ის დღე, ნიურნბერგის პარტიული ყრილობის შემდეგ რადიოსთან რომ ვისხედით და გერმანულ რასობრივ კანონზე გადაცემას ვუსმენდით. სინამდვილეში მაშინ ჰანამ არ მოინდომა ცოლად გამომყოლოდა. მე უკან არ დამიხევია. როგორც ოფიცერი, ტუნში გამამწესეს. ჰანამ შემატყობინა, ორ კვირაში შვეიცარია უნდა დავტოვოო. მაშინვე ციურიხში ჩავედი და ჰანას უცხოელთა პოლიციაში მივყევი. ჩემი სამხედრო ფორმა იქ არაფერს მიშველიდა, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, პოლიციის შეფთან შესვლა კი მოვახერხეთ. დღესაც თვალწინ მიდგას, როგორ დაჰყურებდა შეფი საბუთს, ჰანამ რომ წარუდგინა, და ბრძანა, მოეტანათ ჰანას პირადი საქმე. ჰანა იჯდა. მე ფეხზე ვიდექი. შეფმა გულმოწყალედ მკითხა, ეს

ქალიშვილი თქვენი საცოლე ხომ არ არისო. შეგვრცხვა.

ჩვენ უნდა შევიგნოთ: შვეიცარია პატარა ქვეყანაა, ყველა ლტოლვილს ადგილი არ ეყოფა. თავის შეფარების უფლება კი გაქვთ, მაგრამ ხომ საკმარისი დრო გრჩებათ, გასამგზავრებლად მოემზადოთო.

შემდეგ, როგორც იქნა, მოიტანეს საქმე და გამოირკვა, რომ ჰანა კი არა, ვიღაც მისი მოგვარე ჰყავდათ გამოძახებული, რომელსაც უკვე მოესწრო ოკეანის გაღმა გადახვეწა. გულზე მოგვეშვა. ის იყო მოსაცდელში დატოვებული ხელთათმანები და ოფიცრის ქუდი ავიღე, რომ ჰანას კვლავ სარკმელთან დაუძახეს. ჰანა ცარცივით გაფითრდა. მისი მისამართით შეცდომით გაგზავნილი წერილისათვის ათი რაპი ჯარიმის გადახდა დააკისრეს. ჰანა საშინლად აღშფოთდა. ჩემი აზრით, ეს იყო ნამდვილი ანეკდოტი.

სამწუხაროდ, მეტი დრო არ მქონდა, იმ საღამოსვე ტუნში უნდა გამოვცხადებულიყავი. მაშინ გადავწყვიტე, ჰანას თუ შვეიცარიაში ცხოვრების უფლებას წაართმევდნენ, ცოლად შემერთო. მალე მამამისი ციხეში გარდაიცვალა. მე, როგორც ვთქვი, გადაწყვეტილი მქონდა, ჰანა ცოლად შემერთო, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. კაცმა რომ თქვას, არც კი ვიცი, რატომ. ჰანას ძალიან მალე სწყინდა ყველაფერი, ფიცხი იყო, მოულოდნელად იცოდა ხოლმე აფეთქება. იოახიმი ამბობდა, ჰანა მანიაკალურ-დეპრესიული ტიპის ქალიაო. იოახიმს ჰანა ერთი-ორჯერ თუ ჰყავდა ნანახი – ჰანას ჭირის დღესავით სძულდა გერმანელები. ვეფიცებოდი, იოახიმი ნაცისტი არ არის-მეთქი, მაგრამ ამაოდ. კარგად მესმოდა, მისი უნდობლობა რით იყო გამოწვეული, მაგრამ ეს შვებას არ მანიჭებდა. თან ჩვენი ინტერესებიც ყოველთვის როდი ემთხვეოდა ერთმანეთს. მე ჰანას მეოცნებესა და ხელოვნების ქურუმს ვეძახდი, სამაგიეროდ მან homo faber[28] შემარქვა. ჩხუბი ხშირად მოგვდიოდა, მაგალითად, თეატრიდან რომ ვბრუნდებოდით, სადაც ჰანას ძალით მივყავდი ხოლმე. ჰანას, ერთი მხრივ, კომუნისტური იდეებისკენ ჰქონდა მიდრეკილება, რასაც მე ვერ ვიტანდი, მეორე მხრივ კი მისტიკისაკენ, არ მინდა ვთქვა, ისტერიისაკენ-მეთქი. მე ეს ვარ, რაც ვარ, ორივე ფეხით მყარად ვდგავარ მიწაზე. მიუხედავად ამისა, მე მგონი, ჩვენ მაინც ბედნიერები ვიყავით და მართლა არ ვიცი, მაშინ რატომ არ დავქორწინდით. მამაჩემივით ანტისემიტი, მგონი, არ

ვყოფილვარ, მხოლოდ ეს იყო, რომ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და ჯერ მამად არ ვვარგოდი, როგორც მამაკაცების უმრავლესობა არის ხოლმე ოცდაათ წლამდე.

როგორც ვთქვი, ჯერ კიდევ დისერტაციაზე ვმუშაობდი და მშობლებთან ვცხოვრობდი. ეს ჰანას ვერაფრით ვერ გაეგო. ერთმანეთს ჰანას პატარა ოთახში ვხვდებოდით.

სწორედ იმ დროს მომივიდა მოწვევა «ეშერ-ვისისაგან». ახალგაზრდა ინჟინერს ბედი ყოველთვის ასე არ გაუღიმებს. იმ წუთში ბაღდადის ჰავის დარდი კი არ მქონდა, ჰანას ციურიხში დატოვება მადარდებდა. ჰანა ფეხმძიმედ იყო. ეს ამბავი ჰანასგან სწორედ იმ დღეს შევიტყვე, როცა «ეშერ-ვისში» პირველად წავედი მოსალაპარაკებლად და გადავწყვიტე კიდეც, რაც შეიძლება მალე დამეწყო ბაღდადში სამსახური. დღესაც ვერ მომინელებია, ჰანამ რომ თქვა, ბავშვის ხსენებაზე ელდა გეცაო. მე მხოლოდ ის ვკითხე, დარწმუნებული თუ ხარ-მეთქი. ნამდვილად საქმიანი და გონივრული კითხვა იყო. მხოლოდ იმან გამაოგნა, ჰანას ასე მტკიცედ რომ სჯეროდა, რასაც ამბობდა. შევეკითხე: ექიმთან თუ იყავი-მეთქი? ესეც საქმიანი და გონივრული კითხვა იყო. ექიმთან არ ვყოფილვარ, ისედაც ვიციო. მე ვუთხარი, მოვიცადოთ ორი კვირა-მეთქი. ჰანამ გაიცინა, იმიტომ, რომ სავსებით დარწმუნებული იყო. ისღა დამრჩენოდა, მეფიქრა, რომ თვითონ ეს ამბავი დიდი ხანია იცოდა, მაგრამ მე მიმალავდა. მხოლოდ ამიტომ ვგრძნობდი თავს გაბრიყვებულად. ხელი ხელზე დავადე. რაც მართალია, მართალია, იმ წუთში ნამდვილად ენა ჩამივარდა. ყავას ვსვამდი და სიგარეტს ვაბოლებდი. ჰანას გული დასწყდა! ამ ამბის გაგონებაზე სიხარულისგან როკვა არ დამიწყია, ესეც მართალია, მაგრამ მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, გასამტყუნებელი არ ვიყავი. მე ვკითხე: გყავს კი ექიმი, ვისთანაც შეგიძლია მიხვიდე-მეთქი? რა თქმა უნდა, მხოლოდ გასინჯვას ვგულისხმობდი. ჰანამ თავი დამიქნია. ეგ დიდი საქმე არ არის, მაგას მოევლებაო. მე ვკითხე, რას-მეთქი. მერე ჰანა მიმტკიცებდა, თითქოს გულზე მომშვებოდეს, მას რომ ბავშვის გაჩენა არ უნდოდა, უფრო მეტიც, თურმე აღტაცებაც ვერ დამიმალავს და მხოლოდ ამიტომ მომიხვევია მხარზე ხელი. ჰანამ თვითონ აღარ მოისურვა ამ თემაზე ლაპარაკი და მეც «ეშერ-ვისის» ამბავი მოვუყევი. «ეშერ-ვისის» შემოთავაზებული წინადადებიდან საერთოდ ინჟინრის

პერსპექტივებს გადავწვდი. ეს საუბარი არავითარ შემთხვევაში ბავშვის გაჩენის წინააღმდეგ არ იყო მიმართული. ჰანას ისიც კი ვუთხარი, ბაღდადში ხელფასი რამდენი მექნებოდა. მერე სიტყვასიტყვით ასე განვუცხადე: თუ მაგ შენი ბავშვის გაჩენა გინდა, მაშინ აუცილებლად უნდა დავქორწინდეთ-მეთქი. შემდეგ მან მისაყვედურა, «უნდა დავქორწინდეთ» რა სათქმელიაო. მაშინ პირდაპირ დავუსვი კითხვა: გინდა თუ არა ცოლად გამომყვე, ჰო თუ არა-მეთქი? მან თავი გააქნია. არ ვიცოდი, რა მეფიქრა. მე და იოახიმი საღამოს ჭადრაკის დაფასთან ვისხედით და დიდხანს ვმსჯელობდით ამ საკითხზე. იოახიმმა ჯერ მედიცინის თვალსაზრისით გამათვითცნობიერა, ეს, მოგეხსენება, პრობლემას არ წარმოადგენსო, შემდეგ იურიდიული თვალსაზრისითაც, რაც ასევე არ წარმოადგენს პრობლემას, თუ საჭირო სამედიცინო დასკვნას გაახერხებო. შემდეგ კი ჩიბუხი გააწყო და ჭადრაკს მიუბრუნდა, რადგან პრინციპულად წინააღმდეგი იყო რჩევის მოცემისა. დახმარება კი აღმითქვა (იგი სამედიცინო ფაკულტეტს ამთავრებდა) იმ შემთხვევაში, თუ მისი ხელი დაგვჭირდებოდა. დიდად მადლობელი დავრჩი იოახიმისა. ოდნავ დარცხვენილი კი ვიყავი, მაგრამ მიხაროდა, ეს ამბავი რომ არ გაუზვიადებია, მხოლოდ ეს თქვა, შენი სვლააო.

ჰანას ვუთხარი, თავსატეხი არაფერია-მეთქი. თვითონ ჰანამ გადაწყვიტა ჩვენი ურთიერთობისთვის ბოლო მოეღო. ჩემოდნები ჩაალაგა და გიჟივით ამოიჩემა, მიუნხენში უნდა დავბრუნდეო. შევეცადე, გონს მომეყვანა. ის ერთადერთ სიტყვას გაიძახოდა: მორჩა! მე ხომ ვუთხარი, შენი ბავშვი-მეთქი, იმის ნაცვლად, რომ «ჩვენი ბავშვი» მეთქვა – ამას ჰანა ვერ მაპატიებდა.

*

პალენკედან პლანტაციამდე სწორი ხაზი რომ გაავლო, დიდი-დიდი, სამოცდაათი მილი თუ იქნება; მანქანით, ვთქვათ, ასი მილი. ეს მანძილი რა ბედენაა, გზის მსგავსი რამ თუა სადმე, მაგრამ სად იყო გზა! ერთადერთი შარაგზა, რომელიც პლანტაციისკენ მიდიოდა, ნანგრევებთან თავდებოდა, უბრალოდ იკარგებოდა ხავსსა და შამბნარში.

ჩვენ მაინც წინ მივიწევდით.

37 მილი პირველ დღეს.

საჭესთან ერთმანეთს ვენაცვლებოდით.

19 მილი მეორე დღეს.

ცას შევყურებდით და გზას ისე მივიკვლევდით. რა თქმა უნდა, ზიგზაგებით მივდიოდით, უსიერი ტყე სადაც გაგვატარებდა, იქით ვუხვევდით. ჯუნგლი სინამდვილეში ისეთი გაუვალი როდია, როგორიც შორიდან ჩანს. ყველგან გვხვდებოდა მდელოები, ფარაც კი, მაგრამ უმწყემსოდ. საბედნიეროდ, დიდი ჭაობები არ შეგვხვედრია.

ტყეში ციაგი ანათებდა.

წვიმა არ გვეღირსა და არა.

ბენზინის ბალონის რახუნი ნერვებს მიშლიდა. მანქანას ხშირად ვაჩერებდი და ბალონს ვამაგრებდი, მაგრამ ნახევარ საათს კორძებსა და კუნძებზე ვივლიდით თუ არა, ბალონი ისევ აიშვებდა და რახუნს იწყებდა.

მარსელი უსტვენდა.

ის უკან იჯდა და მანქანა გვარიანად ანჯღრევდა, მაგრამ მაინც ბიჭივით მხიარულად უსტვენდა. ისეთ კარგ გუნებაზე იყო, თითქოს სასკოლო ექსკურსიაზე მივდიოდით – გაუთავებლად მღეროდა ფრანგულ საბავშვო სიმღერებს.

«Il etait un petit navire...»[29]

ჰერბერტი მეტწილად დუმდა.

იოახიმს თითქმის არ ვახსენებდით...

ჰერბერტს დასანახავად ეზარებოდა აურები. აურები, სანამ ცოცხალი ხარ, არაფერს გერჩიან, მხოლოდ ესაა, რომ მუდამ ლეშის სუნით არიან აყროლებული. ეს საზიზღარი ლეშიჭამია ფრინველები უფრო გუნდ-გუნდად შეგხვდებათ. თუ საკბილო იშოვეს, მანქანა რაც არ უნდა აყვირო, ვერ დააფრთხობ. მხოლოდ ფრთებს ააფათქუნებენ, დაძიძგნილი მძორის ირგვლივ ხტიან, მაგრამ თავს არ ანებებენ... ერთხელ გაცოფებულმა ჰერბერტმა მოულოდნელად მთელი სისწრაფით გააქროლა მანქანა და პირდაპირ აურების შავ მასაში შეიჭრა. ირგვლივ ისე მოცელა ყველაფერი, რომ ჰაერში შავი ფრთების კორიანტელი დააყენა.

სამაგიეროდ, მთელი ეს სიბინძურე ბორბლებს მიეკრა.

მოტკბო, ბინძური სუნი მანამდე ვერ მოვიცილეთ, სანამ თავს არ მოვერიეთ და მანქანა არ გავასუფთავეთ. ხორცისა და სისხლის მასა საბურავების ღარებს ისე ჩასწებებოდა, რომ ხელით მოგვიხდა თითოეული ღარის ამოსუფთავება. კაცს გული აგერეოდა. კიდევ ჩვენი ბედი, თან რომი გვქონდა. რომიღა გვაძლებინებდა, თორემ, მე მგონი, მესამე დღეს მაინც უკან გამოვბრუნდებოდით – შიშის გამო კი არა, გონიერების კარნახით.

წარმოდგენა არ გვქონდა, სად ვიმყოფებოდით.

ვიყავით სადღაც მეთვრამეტე განედზე.

მარსელი მღეროდა: «Il etait un petit navire...», ან გაუთავებლად ლაყბობდა კორტესსა და მონტესუმაზე (ამას კიდევ არა უჭირდა რა, ისტორიული ფაქტები მაინც იყო), თეთრი რასის დაღუპვაზე (ისეთი სიცხე და ნესტი იდგა, რომ შეპასუხება არ ღირდა), ინდიელთა სულზე დასავლელი ტექნიკოსის კატასტროფულ, ცრუ გამარჯვებაზე (კორტესი ინჟინრად გამოჰყავდა, რადგან მას დენთი ჰქონდა) და რა ვიცი კიდევ რაზე, მთელი ლექცია წამიკითხა. ძველი ღმერთები აუცილებლად დაბრუნდებიანო (წყალბადის ბომბის ჩამოგდების შემდეგ), პენიცილინის წყალობით სიკვდილი გადაშენდებაო (სიტყვასიტყვით ასე თქვა), ჩვენი დედამიწის ცივილიზებული ქვეყნებიდან სული განდევნილიაო, მელაპარაკა Maquis[30]-ში დაბუდებულ სულზე. ჰერბერტს ამ სიტყვის ხსენებაზე გამოეღვიძა. Maquis-ის მნიშვნელობა იცოდა და მკითხა, მარსელი რას ამბობსო. მე ვუთხარი, ხელოვანის ლაყბობის ამბავი არ იცი-მეთქი? მარსელს არც იმ თეორიაში შევკამათებივართ, ამერიკას მომავალი არ გააჩნიაო, The american way of Life![31] ისინი ცდილობენ ცხოვრების კოსმეტიზირებას, მაგრამ ცხოვრების კოსმეტიზირება, ბევრიც რომ მოინდომო, შეუძლებელიაო.

შევეცადე, თვალი მომეტყუებინა.

მხოლოდ მაშინ ავფეთქდი, როცა მარსელი ჩემს საქმიანობას, აქედან გამომდინარე – «იუნესკოს» საქმიანობას შეეხო: ტექნიკის წარმომადგენლები თეთრი მისიონერების უკანასკნელი ნაირსახეობანი არიან, ინდუსტრიალიზაცია მომაკვდავი რასის უკანასკნელი სახეობაა, მათთვის

ცხოვრების დონე ცხოვრების აზრის მაგივრობას სწევსო.

ვკითხე, კომუნისტი ხომ არა ხარ-მეთქი.

თავი მოიკლა, არაო.

მესამე დღეს, როცა ისევ შამბნარში შევრგეთ თავი და ბრმად მივდიოდით გვატემალის მიმართულებით, მეტს ვეღარ გავუძელი.

მე უკან დაბრუნების მომხრე ვიყავი.

ასე ალალბედზე სიარული, სანამ საწვავი არ გამოგველევა, იდიოტობაა-მეთქი, – ვამბობდი.

ჰერბერტმა თავისი რუკა ამოიღო.

ყოველ წუმპეში აფუთფუთებულ სალამანდრებს რომ ვხედავდი, ნერვები მეშლებოდა. საერთოდ, ყველგან გამრავლების ინსტინქტი იგრძნობოდა, ირგვლივ ნაყოფიერებისა და გახრწნის სუნი ტრიალებდა.

მიწაზე რომ დაგეფურთხებინა, ყლორტებს გამოიღებდა.

უკვე ზეპირად ვიცოდი ეს რუკა, 1:500 000, გამადიდებელი შუშითაც რომ ვერაფერს გაარჩევდი ზედ: თეთრ ქაღალდზე პატარა ლურჯი მდინარე, ლარივით გაჭიმული სასაზღვრო ზოლი და განედების ხაზი ჩანდა, მეტი არაფერი! დაბრუნება მინდოდა. კი არ მეშინოდა (შიში რას მიქვია!), გზის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. მხოლოდ ჰერბერტის ხათრით მივიწევდით წინ. ცოტა ხნის შემდეგ მდინარეს მივადექით, უფრო სწორად, მდინარის კალაპოტს. ეს უეჭველად რიო-უსუმანსინტა უნდა ყოფილიყო, მექსიკისა და გვატემალის საზღვარი, ალაგ-ალაგ ამომშრალი, ალაგ-ალაგ წყლით სავსე. მდინარე ისე მდორედ მიედინებოდა, გეგონებოდათ, არც იძვრისო, მაგრამ გაღმა მაინც ვერ გავიდოდით. სადმე ფონი რომ არ ყოფილიყო, არ შეიძლებოდა! ბანაობა მოვინდომეთ, მაგრამ ჰერბერტმა საშველი არ მოგვცა, მანქანა მანამდე ატარა აღმა-დაღმა, სანამ ფონს არ მიადგა, სადაც (როგორც შემდეგ გამოირკვა) იოახიმი გადასულიყო.

მე და მარსელმა ვიბანავეთ. ზურგზე ვცურავდით, პირი დამუწული გვქონდა, რომ წყალი არ ჩაგვეყლაპა. წყალი მღვრიე და თბილი იყო, თან შმორის სუნი ასდიოდა, ხელის ყოველ

გაქნევაზე ბუშტუკები ჩნდებოდა, მაგრამ მაინც წყალი იყო. გულს გვიწყალებდა მხოლოდ ჭრიჭინები, ჰერბერტი თავისი ჩიჩინით, გზა გავაგრძელოთო და იმის შიში, ვაითუ მდინარეში გველები იყოსო.

ჰერბერტი წყალში არ ჩამოსულა.

ჩვენი ლენდროვერი ღერძამდე სლიპინა მერგელში (თუ რაღაცაში) იყო ჩაფლული. ჰერბერტი მანქანაში საწვავს ასხამდა.

ჰაერში პეპლები ირეოდნენ.

წყალში ჩაჟანგებული ბალონი დავინახე და დავასკვენი, რომ იოახიმიც (აბა სხვა ვინ?) აქ შეჩერებულა, მაგრამ კრინტი არ დამიძრავს, ბანაობა განვაგრძე, ჰერბერტი კი ამ დროს ცდილობდა, ჩვენი ლენდროვერი სლიპინა მერგელიდან ამოეთრია.

მე უკან დაბრუნების მომხრე ვიყავი.

წყლიდან აღარ ამოვდიოდი, თუმცა უკვე გული მერეოდა. მწერები, ყავისფერი წყლის ზედაპირზე მობუყბუყე ბუშტუკები, მზის ზარმაცი ჭიატი... ასე გულაღმა რომ წევხარ, ცა გადამწვანებულია. თავზე უძრავად დამცქერიან მარაოსავით გადაშლილი გრძელი ფოთლები. თითქოს კალმით ნახატი აკაციები, ლიქენები, ჰაერში აშვერილი ფესვები არ იძვრიან, ხანდახან წითელი ჩიტი თუ გადაიფრენს მდინარეზე, თორემ სამარისებური სიჩუმეა (თუ ჰერბერტი ამ დროს მოტორს არ ამუშავებს), წევხარ მოთეთრო ცის ქვეშ, მზე თითქოს ბამბაშია გახვეული, წებოვანია, გავარვარებული და დანისლული, ირგვლივ ცისარტყელას რკალი აქვს შემორტყმული.

მე უკან დაბრუნების მომხრე ვიყავი.

– იმიტომ, რომ სისულელეს ჩავდივართ, – ვთქვი მე, – იმიტომ, რომ იმ დაწყევლილ პლანტაციას ვერასოდეს მივაგნებთ!..

წილი ვყაროთ-მეთქი, დავიჟინე.

მარსელიც უკან დაბრუნების მომხრე იყო, ხედავდა, რომ არდადეგები ხელში შემოელია. თუკი ჰერბერტმა თავისი გაიტანა და ახლა ჩვენი ლენდროვერი მდინარის გაღმა იდგა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჰერბერტი დაგვერწმუნებინა, ასე

უგზო-უკვლოდ ხეტიალი რა უაზრობა იყო. ჰერბერტმა ჯერ გამომლანძღა, რადგან ჩემი არგუმენტების უარყოფა ვერაფრით ვერ შეძლო, შემდეგ დადუმდა და ყურს მიგდებდა. მე ჩემსას გავიტანდი კიდეც, მარსელს რომ არ წამოეყრანტალებინა: – Voila, les traces d’une Nash!..[32]

ჩვენ ეს ხუმრობად მივიღეთ.

– Mais regardez! – ყვიროდა მარსელი, – sans blague...[33]

კვალი ზოგან ისე იყო წაშლილი, რომ ურმის ნაკვალევი გეგონებოდა, სხვაგან კი, აყალო მიწაზე, მართლა ნათლად მოჩანდა საბურავების კვალი.

გზას მივაგენით.

ეს რომ არა, როგორც ვთქვი, გზას აღარ გავაგრძელებდით და მაშინ (თავიდან ვერ მომიშორებია ეს აზრი) ყველაფერი სხვანაირად წარიმართებოდა.

ახლა უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო.

(სამწუხაროდ!)

მეოთხე დღეს, დილით, ორი ინდიელი დავინახეთ, მათ ზუსტად ისეთი მორკალული ხმლები ეჭირათ, როგორიც ჰერბერტმა დაუნახა რამდენიმე დღის წინ პალენკელ ინდიელებს, კაცის მკვლელები რომ ეგონა. ეს მორკალული ხმლები ნამგლები აღმოჩნდა და სხვა არაფერი.

შემდეგ პირველი პლანტაცია დავინახეთ. იმის იმედი, რომ დაღამებამდე შეგვეძლო იოახიმამდე მიგვეღწია, კიდევ უფრო გვიშლიდა ნერვებს. ალხი ტრიალებდა. ირგვლივ თამბაქოს კვლები იყო, კვლებს შორის თხრილები გაეყვანათ, ყველაფერს ადამიანის ხელი ეტყობოდა, მაგრამ არსად ძეხორციელი არ ჩანდა.

კვალი ისევ დაგვეკარგა...

ისევ შევუდექით საბურავების კვალის ძებნას! ამასობაში შემოგვაღამდა კიდეც. ლენდროვერზე შევდექით, პირში თითები ჩავიწყვეთ და, რაც ძალი და ღონე გვქონდა, დავუსტვინეთ. ეტყობოდა, სულ ახლოს ვიყავით მიზანთან. ვუსტვენდით და სიგნალს ვაძლევდით. სისხლით გაბერილი ბუშტივით საზიზღარი მზე, თირკმელს თუ რაღაც ამდაგვარს

რომ მიაგავდა, უკვე ჩაესვენა თამბაქოს ფოთლებში.

მთვარეც ასეთი იყო.

ისღა გვაკლდა, ახლა ჩვენც დაგვეკარგა სიბნელეში ერთმანეთი. მიწის ნაკვეთები დავინაწილეთ და თითო-თითოდ დავიწყეთ საბურავების კვალის ძებნა. თუ ვინმე კვალს წააწყდებოდა, უნდა დაესტვინა.

ჯერჯერობით მხოლოდ ჩიტების სტვენა ისმოდა. ასე დავეძებდით კვალს მთვარის შუქზე, სანამ ჰერბერტი აურების გუნდს არ წააწყდა. აურები ვირის ლეშს მისეოდნენ. ჰერბერტი ყვიროდა, იწყევლებოდა და შავ ფრინველებს გამეტებით უშენდა ქვებს. საშინელი სანახაობა იყო. აურებს ვირისთვის თვალები ამოეკორტნათ, მხოლოდ ორი წითელი ორმო იყო დარჩენილი, ენაც ამოეგლიჯათ და ახლა ცდილობდნენ, ლეშისთვის უკანა ხვრელიდან გამოეძიძგნათ ნაწლავები.

ეს იყო ჩვენი მეოთხე ღამე.

სასმელი გაგვითავდა.

ქანცი გამწყდა, გავარვარებულ მიწაზე ჩავიცუცქე და თავი ხელებში ჩავრგე, მთვარის მოლურჯო შუქზე ოფლი ღვარად ჩამომდიოდა. ირგვლივ ციცინათელები ირეოდნენ.

ჰერბერტი ბოლთას სცემდა.

მხოლოდ მარსელს ეძინა.

უცებ ნაბიჯების ხმა შეწყდა. ჰერბერტს გავხედე. მკვდარ ვირს თავზე დასდგომოდა, მაგრამ აქსუტუნებულ ფრინველებს ქვებს აღარ უშენდა, იდგა და მათ ღრეობას შესცქეროდა.

აურები ლეშს მთელი ღამე ძიძგნიდნენ...

როგორც იქნა, მთვარეც ჩაესვენა თამბაქოს ფოთლებში, ახლა მინდვრებზე ჩამოწოლილი ნოტიო ნისლიც აღარ ჰგავდა რძეს. მაინც ჩავთვლიმე, მაგრამ მალე გამომეღვიძა.

მზე ისევ ამოვიდა!

ვირი გამოშიგნული ეგდო. გამაძღარი აურები ფიტულებივით გაუნძრევლად ისხდნენ მახლობელ ხეებზე. კვალს ვერც ახლა მივაგენით, მაგრამ მაინც დავადექით გზას. ჰერბერტმა,

როგორც ამ პლანტაციების მფლობელი ფირმის, «ჰენკე და ბოშის» წარმომადგენელმა და ფირმის შეფის ძმისწულმა, ჩვენი გაძღოლა ითავა და საჭეს მიუჯდა. მანქანა წინანდებურად უსიტყვოდ მიჰყავდა პირდაპირ თამბაქოს კვლებში და უკან გათელილი თამბაქოს რტოებს ტოვებდა. იდიოტობა იყო, მაგრამ მეტი რა გზა გვქონდა – ჩვენს სიგნალსა და სტვენას არავინ გამოხმაურებია.

მზე ჩადიოდა.

ბოლოს გადავეყარეთ ფირმა «ჰენკე და ბოშის» მუშა ინდიელების ჯგუფს. მათ გვითხრეს, ჩვენი სენიორი მკვდარიაო. მე მათი ნათქვამი ვთარგმნე, რადგან ჰერბერტმა ესპანური არ იცოდა. რაო, მკვდარიაო? ინდიელებმა მხრები აიჩეჩეს. ჩვენი სენიორი მოკვდაო, ამბობდნენ ისინი. ერთმა გზა გვიჩვენა. იგი ჩვენს ლენდროვერს ინდიური ჩორთით მოსდევდა.

დანარჩენებმა მუშაობა განაგრძეს.

მაშ, არავითარი ჯანყი არ ყოფილა!

თუნუქით გადახურულ ამერიკულ ბარაკს მივადექით. ერთადერთი კარი შიგნიდან იყო ჩარაზული. ბარაკიდან რადიოს ხმა ისმოდა. ჩვენ ვყვიროდით და ვაბრახუნებდით, რომ იოახიმს კარი გაეღო.

– Nuestro Secor ha muerto...[34]

ლენდროვერიდან ბერკეტი გამოვიღე და ჰერბერტმა კარი შეანგრია. იგი ვეღარ ვიცანი. საბედნიეროდ, წინასწარ ჩაეკეტა ფანჯრები. ირგვლივ აურები ისხდნენ ხეებზე, სახურავზე, მაგრამ ფანჯრებში შეღწევა არ შეეძლოთ. ის ფანჯრიდან მოჩანდა, ინდიელები კი ყოველდღე სამუშაოდ გადიოდნენ და ვერ მოეფიქრებინათ, რომ კარი შეენგრიათ და თავიანთი პატრონი ჩამოეხსნათ, რომელსაც მავთულზე ჩამოეხრჩო თავი. მიკვირდა, რადიო საიდან იღებდა დენს, მაგრამ იმ წუთში ამის გასარკვევად არ გვეცალა. რადიო ბარაკში შესვლისთანავე გამოვთიშეთ.

ჩვენ მას სურათი გადავუღეთ და დავკრძალეთ.

ინდიელები (როგორც მერე ფირმის მმართველობისათვის წარდგენილ მოხსენებაში აღვნიშნე) ჰერბერტის ყველა

მითითებას უსიტყვოდ ასრულებდნენ (თუმცა მან მაშინ ესპანური არ იცოდა) და მაშინვე სცნეს კიდეც თავიანთ ბატონად.

კიდევ ერთი დღე-ნახევარი ჰერბერტის დარწმუნებას შევალიე, არავითარი ჯანყი აქ არ ყოფილა, შენმა ძმამ უბრალოდ ამ ჰავას ვეღარ გაუძლო-მეთქი. ეს ჩემთვის სავსებით გასაგები იყო. არ ვიცი, ჰერბერტს რა შეუჯდა ტვინში, დაიჟინა, მე გავუძლებ ამ კლიმატსო. ჩვენ უკან უნდა დავბრუნებულიყავით. ჰერბერტი გვეცოდებოდა, მაგრამ ჩვენი აქ დარჩენა არაფრით არ შეიძლებოდა, და არც ჰქონდა არავითარი აზრი. მარსელს ბოსტონში თავისი სამსახური ელოდა. მეც მეხიკოში უნდა ჩავსულიყავი და იქიდან გზა გამეგრძელებინა. ესეც არ იყოს, ჩვენი სასტუმროს პატრონისთვის ლენდროვერი ერთ კვირაში მაინც უნდა მიგვეყვანა უკან. მე ჩემი ტურბინები მელოდა. არ ვიცი, ჰერბერტი რას ფიქრობდა, როგორც ვთქვი, ერთი სიტყვა არ იცოდა ესპანური. ჩვენი მხრივ ვერაფერი ამხანაგობა იყო, უფრო მეტიც, უპასუხისმგებლობასაც კი ვიჩენდით, მას რომ აქ ვტოვებდით, ერთადერთ თეთრკანიანს ინდიელებს შორის. ბევრი ვეხვეწეთ, ჩვენთან ერთად წამოსულიყო, მაგრამ ამაოდ. ჰერბერტს ძმისგან დარჩა ნეშ-55. მანქანა დავათვალიერე, ინდურ ქოხში იდგა, წვიმისგან მხოლოდ ფოთლების სახურავი იფარავდა. მანქანა, ეტყობა, დიდი ხანია არავის ეხმარა, დაკაწრული და გაჭუჭყიანებული იყო, მაგრამ ტარება მაინც შეიძლებოდა. მე თვითონ შევამოწმე. ძრავა მუშაობდა, თუმცა ისიც დაბინძურებული იყო. ძრავა გავსინჯე, საწვავიც აღმოჩნდა, თავისთავად გასაგებია, სხვანაირად ჰერბერტს მარტო არ დავტოვებდით. მარსელი თავის სიმფონიურ ორკესტრს უნდა დაბრუნებოდა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ჩვენი სამსახური გვქონდა, სულერთია, ჰერბერტი ხვდებოდა ამას თუ არა. მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა, საწინააღმდეგო არაფერი უთქვამს. მე და მარსელი უკვე ლენდროვერში ვისხედით. წასვლას ვაყოვნებდით, კიდევ გვქონდა იმედი, რომ ჰერბერტი გონს მოეგებოდა, მაგრამ მან თავი გააქნია და დამშვიდობების ნიშნად ძლივს ასწია ხელი. ცაზე საავდრო ღრუბელი იკრიბებოდა. უნდა ავჩქარებულიყავით, თორემ მალე ჩვენი საკუთარი კვალიც წაიშლებოდა.

*

დღესაც გამოცანად რჩება ჩემთვის, როგორ დაქორწინდნენ ჰანა

და იოახიმი და როგორ მოხდა, რომ მე, ბავშვის მამას, მისი დაბადების ამბავი არ შემატყობინეს. რაც ვიცი, იმას ვყვები: ეს ის დრო იყო, როცა ებრაელთა პასპორტები გააუქმეს. დავიფიცე, ჰანა ბედის ანაბარა არასგზით არ მიმეტოვებინა. იოახიმი თანახმა იყო, ჩვენთვის მეჯვარეობა გაეწია. ჩემს ბიურგერ მშობლებსაც ხელს აძლევდა, ქორწილის გადახდას დიდი ზარ-ზეიმით რომ არ ვაპირებდი. მხოლოდ ჰანა ყოყმანობდა, ეს ამბავი შენთვის რამდენად მიზანშეწონილი იქნებაო? საბუთები შესაბამის დაწესებულებაში მივიტანე, ჩვენი ქორწინება გაზეთშიც გამოცხადდა. შემდეგ ერთმანეთს კიდეც რომ დავშორდეთ, ჰანა მაინც შვეიცარიის მოქალაქედ დარჩება და პასპორტი ექნება-მეთქი, ვფიქრობდი გულში. საქმის გადადება აღარ შეიძლებოდა, ბაღდადში სამსახურს უკვე უნდა შევდგომოდი. ეს იყო შაბათ დილით. როგორც იქნა, დავამთავრეთ ჩემს მშობლებთან გამართული კომიკური საუზმე (მათ მაინც გული სწყდებოდათ, ჩვენს ქორწილს ზარების გუგუნი რომ არ დაამშვენებდა) და ქალაქის საბჭოში წავედით ხელის მოსაწერად. შაბათობით იქ ტევა არ არის ხოლმე. დიდხანს მოგვიხდა ლოდინი. ჩვენ გარდა ყველას საქორწინო ტანსაცმელი ეცვა. თავიდან ფეხებამდე თეთრებში ჩაცმული ნეფე-პატარძლები ოფიციანტებს ჰგავდნენ. ჰანა გარეთ გავიდა, მაგრამ ცუდი არაფერი მიაზრია, მე და იოახიმი ვეწეოდით და ვსაუბრობდით. ჩვენი რიგი რომ დადგა, ჰანა აღარსად ჩანდა. ვეძებეთ და გარეთ, ლიმატის პირას ვიპოვეთ, საქორწინო ოთახში ვერაფრით ვერ შევიყვანეთ. არ შემიძლიაო, გაიძახოდა. სწორედ ამ დროს გაისმა თერთმეტი საათის მაუწყებელი ზარების გუგუნი. რა არ ვუთხარი, როგორ არ ვეხვეწე, საქმეს მხოლოდ პრაქტიკული თვალით შეხედე-მეთქი, მაგრამ ამაოდ. ის თავს აქნევდა და ტიროდა. თურმე მხოლოდ იმიტომ ვირთავ, რომ ჩემი ანტისემიტობა დავამტკიცო. ეს ისე დაიჟინა, რომ ვერაფერს გავხდი. ციურიხში გატარებული ის უკანასკნელი კვირა დღესაც მწარედ მაგონდება. ჰანამ არ მოინდომა ცოლად გამომყოლოდა, მე კი სხვა არჩევანი არ მქონდა – ხელშეკრულების თანახმად, ბაღდადში უნდა წავსულიყავი. ჰანამ სადგურზე გამაცილა. ერთმანეთს დავემშვიდობეთ. ჰანამ აღმითქვა, შენი გამგზავრებისთანავე იოახიმთან წავალო. იოახიმი შეპირებული იყო, მისთვის სამედიცინო დახმარება გაეწია. ასეთი პირობით დავშორდით ერთმანეთს: გადაწყდა, ჩვენი ბავშვი არ გაჩენილიყო.

მას მერე ჰანაზე აღარაფერი მსმენია.

ეს იყო 1936 წელს.

მაშინ ჰანას ვკითხე, იოახიმი როგორ მოგეწონა-მეთქი. სიმპათიური კაციაო. ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ჰანა და იოახიმი დაქორწინდებოდნენ.

*

ვენესუელაში ორი დღე გავჩერდი, რადგან ტურბინები ჯერ კიდევ გაუხსნელად ეწყო ნავსადგურში და მონტაჟზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

20. IV. გამოვფრინდი კარაკასიდან.

21. IV. ჩამოვედი ნიუ-იორკში, აიდლუაილდის აეროდრომზე.

აივიმ გამომიჭირა. გაეგო, როდის ჩამოვდიოდი და ახლა ხელიდან ვეღარ დავუძვრებოდი. ჩემი წერილი თუ მიიღე-მეთქი. ისე მაკოცა, პასუხი არ გაუცია. ისიც იცოდა, რომ ერთ კვირაში მივლინებით პარიზში მივფრინავდი. ვისკის სუნი ასდიოდა.

მე ვდუმდი.

აივი ჩვენი სტუდებეკერით შინისკენ მიმაქროლებდა. სიტყვა არ თქმულა უდაბნოდან მოწერილ წერილზე! აივიმ ყვავილები დამახვედრა, თუმცა კარგად იცოდა, ყვავილები დიდად არაფრად მეპიტნავებოდა. ასთაკვებიც უყიდია და სოტერნიც, რომ უდაბნოდან ჩემი დაბრუნება გვეზეიმა. სანამ ფოსტას ვათვალიერებდი, აივიმ კოცნით ამავსო.

ახსნა-განმარტებებს ვერ ვიტან.

აღარ მეგონა, აივის თუ კიდევ ვნახავდი და, მით უმეტეს, ამ ბინაში, ის რომ «ჩვენს ბინას» ეძახდა.

შეიძლება ბანაობა მართლაც მეტისმეტად გამიგრძელდა, არ უარვყოფ.

ჩხუბი მაშინ დაიწყო, როცა აივიმ ხაოიანი პირსახოცი შემომიტანა. აივი გარეთ გავაგდე, სამწუხაროდ, ძალა ვიხმარე, რადგან უყვარს ძალადობა, მაშინ საბაბი აქვს, დამკბინოს ხოლმე...

ჩემს ბედზე ტელეფონმა დარეკა!

დიკმა გადარჩენა მომილოცა, ჭადრაკის პარტიაზეც შევთანხმდით და აივიმაც დაიწყო ჩემი ლანძღვა: შენ ერთი უხეში და ეგოისტი კაცი ხარ, ნამდვილი ურჩხული, არავითარი გრძნობა არ გაგაჩნიაო...

რა თქმა უნდა, გავიცინე.

აივი გამეტებით მირტყამდა მუშტს, თან ქვითინებდა, მაგრამ მე ვცდილობდი, ხელი არ შემებრუნებინა, ვიცოდი, იმასაც ეს უნდოდა.

იქნებ აივის მართლა ვუყვარდი.

(ქალების ბოლომდე არასოდეს მჯეროდა.)

თხუთმეტი წუთის შემდეგ დიკს დავურეკე და ვუთხარი, სამწუხაროდ, მოსვლა არ შემიძლია-მეთქი. დიკს ჭადრაკის ფიგურები უკვე დაწყობილი ჰქონდა. მე საკმაოდ უგერგილოდ მოვუხადე ბოდიში, ხომ ვერ ვეტყოდი, რატომ ვერ მივდიოდი, ის კი ვუთხარი, შენთან ჭადრაკის თამაში ნამდვილად მერჩივნა-მეთქი.

აივიმ ისევ ამოუშვა ქვითინი.

18.00 საათი იყო. ზეპირად ვიცოდი, თუ ქუჩაში არ გამოვიდოდით, ეს საღამო როგორც ჩაივლიდა. აივის ჯერ ფრანგული რესტორანი შევთავაზე, მერე ჩინური, მერე შვედური. ამაოდ! მიმტკიცებდა, არა მშიაო. მე თუ მშია-მეთქი?! მაცივარში ასთაკვებია და ის მიირთვიო. ესეც არ იყოს, სპორტული კაბა მაცვია და ამ კაბით ელეგანტურ რესტორანში არ შეისვლებაო. ჰო, მართლა, როგორ მომწონს მისი კაბა? ასთაკვები უკვე ხელში მეჭირა და სანაგვეში გადაყრას ვუპირებდი, აბა, ამ ასთაკვების გულისთვის ხომ არ ჩავიშხამებდი საღამოს!

აივი მაშინვე შემპირდა, ჭკვიანად ვიქნებიო.

ასთაკვები ისევ მაცივარში შევაწყვე. აივი ჩინურ რესტორანში წასვლაზე დამთანხმდა. იძულებული გავხდი, მეღიარებინა, რომ ნამტირალევ აივის აუცილებლად სჭირდებოდა make-up. [35]

ველოდებოდი.

ჩემი ბინა სენტრალ პარკ ვესტზე უკვე დიდი ხანია მეძვირებოდა. ორი ოთახი ბაღჩიანი ბანითურთ, თანაც ასეთ ადგილზე, ნამდვილად მშვენიერია, მაგრამ ძალიან ძვირია, თუ კაცი შეყვარებული არა ხარ.

აივიმ მკითხა, პარიზში როდის მიფრინავო.

დუმილით ვუპასუხე.

ბანზე ვიდექი და ჩემს გადაღებულ კინოფირებს ლაბორატორიაში ჩასაბარებლად ვამზადებდი. კასეტებს ჩვეულებრივ ვნომრავდი... იოახიმის სიკვდილი... ამაზე ლაპარაკის სურვილიც არ მქონდა, აივი ხომ მას არ იცნობდა, იოახიმი კი ჩემი ერთადერთი ნამდვილი მეგობარი იყო.

რატომ არ ვიღებ ხმას?

ავიღოთ, მაგალითად, დიკი: ისიც თამაშობს ჭადრაკს, ჩემი აზრით, დიდად განათლებული კაცია, ყოველ შემთხვევაში, ჩემზე განათლებულიცაა და გონებამახვილიც. დიკი ძალიან მომწონს (მხოლოდ ჭადრაკში არ ვუდებ ტოლს), ან იქნებ მშურს კიდეც მისი, მაგრამ ისეთი კაცია, სიკვდილსაც რომ გადაგარჩინოს, შენთვის უფრო ახლობელი მაინც არ გახდება.

აივი ისევ თმას ივარცხნიდა.

მე უდაბნოში იძულებითი დაშვების ამბავს ვუყვებოდი...

აივი წამწამებს იღებავდა.

მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენ იმ წერილის შემდეგ კიდევ ერთად მივდიოდით სადღაც, მაცოფებდა, მაგრამ აივიმ ვითომ არც იცოდა, დაცილებული რომ ვიყავით.

უცებ ვიგრძენი, როგორ მომბეზრდა ყველაფერი.

აივი ფრჩხილებს იღებავდა და ღიღინებდა.

უცებ მესმის ჩემი ხმა, ტელეფონით ვლაპარაკობ: ვკითხულობ ევროპაში მიმავალ გემზე ადგილს, მარშრუტი სულერთია, რაც უფრო მალე იქნება, მით უკეთესი.

– როგორ, გემით მიდიხარ? – მკითხა აივიმ.

ძალიან საეჭვო იყო, ამ დროს ევროპაში მიმავალ გემზე ადგილი მეშოვა. არ ვიცი, როგორ მომივიდა თავში აზრად, აღარ

გავფრენილიყავი (ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ აივი ისე ღიღინებდა, ვითომც აქ არაფერიაო). თვითონვე მიკვირდა. ბედმა გამიღიმა: სწორედ ერთი ადგილი გათავისუფლებულიყო. აივიმ კარგად გაიგონა, როგორ შევუკვეთე ერთი ბილეთი და წამოხტა, უნდოდა ჩემთვის ლაპარაკი შეეწყვეტინებინა, მაგრამ მე ყურმილის დადება მოვასწარი.

– It’s okey,[36] – ვთქვი მე.

აივის ენა ჩაუვარდა, მე ვტკბებოდი. სიგარეტს მოვუკიდე. აივიმ ისიც გაიგონა, გემი რომელ საათზე გადიოდა.

– Eleven o’clock tomorrow morning,[37] – გავიმეორე მოხელის ნათქვამი.

– You’re ready?[38] – ვკითხე აივის და ჩვეულებისამებრ პალტო მივაგებე. აივიმ თვალი თვალში გამიყარა, შემდეგ უცებ ისროლა პალტო და სიბრაზისაგან გონდაკარგულმა ფეხები დააბაკუნა... აივის გეგმა ჰქონდა დაწყობილი, ერთი კვირა მანჰეტენზე გაეტარებინა. ახლა გამოტყდა, ჩემი უეცარი გადაწყვეტილება, თვითმფრინავის ნაცვლად გემით წავსულიყავი და ის ერთი კვირა გზაში გამეტარებინა, მის გეგმებს რომ ფუშავდა.

პალტო ავიღე.

მე ხომ მივწერე, ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, მივწერე შავით თეთრზე. მან უბრალოდ არ დაიჯერა. საერთოდ, თვინიერი კაცი ვეგონე. ერთ კვირას გავატარებთ ერთად და ყველაფერი ძველებურად იქნებაო. ამაზე მეცინებოდა.

შეიძლება სულმდაბალი ვარ.

ისიც ასეთია.

აივი დაეჭვდა, გაფრენის ხომ არ გეშინიაო. ეს თავისთავად გულის ამაჩუყებელი იყო. გაფრენის სულაც არ მეშინოდა, მაგრამ თავი მოვაჩვენე, მართალი ხარ-მეთქი. ვცდილობდი, მისთვის განშორება გამეადვილებინა. არ მინდოდა, სულმდაბალი ვყოფილიყავი, ცოტაც და...

– Oh, honey, – მითხრა მან, – stop it![39]

საკმარისია, ერთი წამით შეფერხდეს საწვავის მოწოდება, –

თუმცა ეს წესით არ უნდა მოხდეს, – ერთი პატარა შეფერხება და... აღარაფერს მიშველის ის ამბავი, 1000 გაფრენიდან 999-ჯერ უვნებლად რომ დავშვებულვარ დედამიწაზე. ჩემთვის, როცა ზღვაში ჩავვარდები, აღარც ის იქნება დიდი შეღავათი, იმ დღეს 999 თვითმფრინავი რომ მშვიდობიანად დაჯდება აეროდრომზე.

აივი ჩაფიქრდა.

ვითომ რა იქნება, ერთხელ გემით რომ ვიმგზავრო?

მანამდე ვიანგარიშე, სანამ აივი არ დავაჯერე. ის სკამზეც კი ჩამოჯდა და გამომიტყდა, მე ასე ვერასოდეს ვიანგარიშებდიო. აი, ახლა კი მივხვდი, რატომ არ აპირებ გაფრენასო.

პატიება მთხოვა.

100000 მილი მაინც მექნება ჩემს სიცოცხლეში ნაფრენი ისე, რომ ნეკი არ დამშავებია. გაფრენის მეშინოდა-მეთქი, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია! მე მხოლოდ თავს ვიკატუნებდი, სანამ აივიმ თვითონ არ მთხოვა, თვითმფრინავში ნუღარასოდეს ჩაჯდებიო.

იძულებული გავხდი, დამეფიცებინა, აღარ ჩავჯდები-მეთქი.

არასოდეს!

აივიზე მეცინებოდა: ჩემს ხელისგულზე მკითხაობა მოინდომა. ისე დაიჯერა, რომ გაფრენის მეშინოდა, ჩემს სიცოცხლეს ისე დაჰკანკალებდა, მართალი გითხრათ, შემეცოდა. ხელისგულზე სიცოცხლის მოკლე ხაზი რომ დამინახა, მგონი, მართლა დადარდიანდა (თან მე უკვე ორმოცდაათის ვარ). აივი ატირდა, მარჯვენა ხელი თავზე გადავუსვი, ის ხომ ჩემს მარცხენაზე მკითხაობდა.

დიდი შეცდომა მომივიდა, მისი ცხელი კეფა ვიგრძენი.

აივი ოცდაექვსი წლისაა.

შევპირდი, ექიმთან წავალ-მეთქი. ვგრძნობდი, როგორ დამდიოდა მარცხენა ხელზე მისი ცხელი ცრემლები. მშვენივრად ვხედავდი, რა საზიზღრად ვიქცეოდი, მაგრამ რა მექნა. აივის თავისი ტემპერამენტის წყალობით სჯეროდა, რასაც ამბობდა. მკითხაობისა არაფერი მჯერა, მაგრამ თავისთავად გასაგებია, მის დასაწყნარებლად საკმაო ხანი

დამჭირდებოდა. თითქოს უკვე ჩამოვვარდი. ისე დალეწილი და დანახშირებული ვარ, რომ ჩემი ცნობა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, მეცინებოდა, მაგრამ ისე ვეფერებოდი და ვკოცნიდი, როგორც ახალგაზრდა ქვრივს ეფერებიან და აწყნარებენ ხოლმე.

და მოხდა ის, რაც არ მინდოდა.

ერთი საათის შემდეგ ერთად ვისხედით, ასთაკვებს ვჭამდით და სოტერნს ვაყოლებდით. აივის ჩემი ნაჩუქარი დილის ხალათი ეცვა. მე იგი მძულდა.

მძულდა ჩემი თავიც.

აივი თითქოს ჩემს დასაცინად ღიღინებდა.

მე ხომ მივწერე, ჩვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია-მეთქი და წერილი (ჩემი თვალით ვნახე) ჩანთაში ედო.

ახლა ის სამაგიეროს მიხდიდა.

მშიოდა, მაგრამ ასთაკვები გულს მირევდა, სამაგიეროდ, აივი აღტაცებული იყო. გულს მირევდა მისი ალერსი. მისი ხელი ჩემს მუხლზე, მისი ხელი ჩემს ხელზე, მისი მკლავი ჩემს მხარზე, მისი მხარი ჩემს მკერდზე, მისი კოცნა, როცა ღვინოს დავუსხამდი. ვეღარ გავუძელი და პირში მივახალე, მძულხარ-მეთქი...

აივიმ არ დაიჯერა.

ფანჯარასთან ვიდექი და მძულდა მთელი ის დრო, რაც აქ, მანჰეტენზე, გავატარე. ყველაზე უფრო კი ჩემი ბინა მძულდა. სიამოვნებით წავუკიდებდი ცეცხლს! ფანჯარას მოვშორდი. აივი ჯერ ისევ ჩაუცმელი იყო, ორი გრეიპფრუტი შემოიტანა და მკითხა, ყავას ხომ არ დალევო.

ვთხოვე, ჩაეცვა.

სამზარეულოსკენ მიმავალმა გვერდით რომ ჩამიარა, თითქოს მასხარა ვყოფილიყავი, ცხვირზე წკიპურტი გამკრა. კინოში ხომ არ გინდა წასვლაო, გადმომძახა სამზარეულოს ნიშიდან, თითქოს მზად იყო, ასე წინდებისა და დილის ხალათის ამარა გამომყოლოდა.

ახლა ის კატათაგვობანას მეთამაშებოდა.

თავს მოვერიე და სიტყვა არ მითქვამს. მოვკრიფე მისი ფეხსაცმელები, საცვლები, მთელი მისი ავლადიდება (ამ ვარდისფერი ჭინჭების დანახვაც არ შემიძლია) და მეორე ოთახში გავუყარე, რომ ბოლოს და ბოლოს თავისი ტუალეტი მოემთავრებინა.

დიახ, კინოში მინდოდა წასვლა!

ყავა მესიამოვნა.

ახლა კი საბოლოოდ გადავწყვიტე, ამ ბინაზე უარი მეთქვა და აივის ასეც განვუცხადე.

არ შემომდავებია.

უცებ მომინდა, პირი გამეპარსა, იმიტომ კი არა, რომ წვერი მაწუხებდა, უბრალოდ არ მინდოდა, აივისთვის მეცადა, მაგრამ ჩემი ელექტროსამართებელი გაფუჭებული აღმოჩნდა. შტეფსელიდან შტეფსელზე გადავდიოდი. ნურას უკაცრავად, აპარატი ხმას არ იღებდა.

აივის სიტყვით, ისედაც ჩინებულად გამოვიყურებოდი.

მე ხომ მართლაც არ ვიყავი გასაპარსი.

აივი უკვე ჩაცმული იდგა.

რა თქმა უნდა, არა მიჭირდა რა; ესეც არ იყოს, სააბაზანოში მეორე, უფრო ძველი აპარატიც მქონდა, მაგრამ, როგორც ვთქვი, მართლა წვერი კი არ მაწუხებდა. დავჯექი და ელექტროსამართებელი დავშალე. ერთ დღეს შეიძლება ყველა აპარატმა გიღალატოს, მაგრამ ჩემი ამბავი რომ ვიცი, ვერ მოვისვენებ, სანამ არ გავიგებ, რა სჭირს აპარატს.

– ვალტერ, – მითხრა მან, – I’m waiting.[40]

ვითომ ჯერ მე არ მეცადოს მისთვის.

– Technology,[41] – ჩაილაპარაკა მან, ისე შეუგნებლად კი არა, ქალებმა რომ იციან ხოლმე, არამედ დამცინავად. მისი დაცინვა არაფრად ჩამიგდია. ელექტროსამართებელი მთლიანად დავშალე, მინდოდა გამეგო, რა სჭირდა.

. . . . . .

კვლავ წმინდა წყლის შემთხვევითობამ გადაწყვიტა ჩემი ბედი

– ამ პატარა ელექტროსამართებელში გაჩხერილმა ნეილონის ძაფმა. ასე იყო თუ ისე, ნამდვილად შემთხვევით მოგვისწრო ტელეფონის ზარმა. დარეკეს საზღვაო სამსახურიდან. ალბათ, ნახევარი საათის წინათაც ისინი იქნებოდნენ, მაშინ არ შემეძლო ყურმილის აღება. მირეკავდნენ აუცილებელ საქმეზე: თუ ახლავე, სახელდობრ, 22 საათამდე, ჩემი პასპორტით ნავსადგურში არ გამოვცხადდებოდი, გემზე ადგილს ვეღარ დამიჯავშნიდნენ. მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, აპარატი რომ არ დამეშალა, ეს ცნობა სახლში ვეღარ მომისწრებდა-მეთქი. ეს კი ნიშნავდა, რომ გემით ვერ გავემგზავრებოდი, ყოველ შემთხვევაში, იმ გემით მაინც არ ვიმგზავრებდი, რომელზეც ზაბეტი იქნებოდა და ჩვენ ვერასოდეს შევხვდებოდით ერთმანეთს – ჩემი ქალიშვილი და მე.

. . . . . .

ერთი საათის შემდეგ ჰუძონის პირას ბარში ვიჯექი, ბილეთი ჯიბეში მედო. გემს შევხედე თუ არა, გუნება გამომიკეთდა. უზარმაზარი ხომალდი გაჩახჩახებული იყო, შევათვალიერე ანძა და ამწეები, პროჟექტორების შუქში გახვეული წითელი საკვამლე მილები. სიცოცხლე ყმაწვილივით მიხაროდა, ასეთ გუნებაზე დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ. ეს ჩემი პირველი მოგზაურობა იყო გემით! ლუდი დავლიე და ერთი ჰამბურგერი შევჭამე. კაცად ვიგრძენი თავი. ჰამბურგერს ბლომად წავუსვი მდოგვი. მარტო რომ დავრჩი, მაშინ მივხვდი, როგორ მომშიებოდა. ქუდი კეფაზე მოვიგდე, ტუჩებზე დარჩენილი ქაფი ენით მოვიტლიკე, ცალი თვალით ტელევიზორში კრივს ვუყურებდი. დოკერებში ვიდექი. უმრავლესობა ზანგი იყო. სიგარეტი გავაბოლე და გულში ვთქვი, ამაზე მეტს სიყმაწვილეშიც ვერაფერს ინატრებ-მეთქი.

აივი სახლში მიცდიდა.

სამწუხაროდ, ბარგის ჩასალაგებლად უკან უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ ჯერ არ მეჩქარებოდა. კიდევ ერთი ჰამბურგერი შევჭამე.

ვფიქრობდი იოახიმზე...

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ცხოვრებას თავიდან ვიწყებდი, ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ ზღვით პირველად მიხდებოდა მოგზაურობა. ყოველ შემთხვევაში, გემით მგზავრობა მართლა ძალიან მიხაროდა.

შუაღამემდე იქ ვიჯექი.

იმედი მქონდა, აივი აღარ დამელოდებოდა, მოთმინება დაეკარგებოდა და გაჯავრებული წავიდოდა. ვგრძნობდი, ტუტუცურად ვიქცეოდი, მაგრამ სხვანაირად აივის ხელიდან ვერ დავუძვრებოდი. ფული გადავიხადე და მისი სიკერპის ამბავი რომ ვიცოდი, შინ ფეხით წავედი, იქნებ აივისგან თავის დახსნის შანსი კიდევ ნახევარი საათით გამეზარდა. აივიზე ბევრი არაფერი ვიცოდი. იგი კათოლიკე იყო, პროფესიით მანეკენი, ყოველგვარ ხუმრობას იტანდა, მხოლოდ პაპზე ნუ გაიხუმრებდი. ალბათ ლესბოსური მიდრეკილებებიც ჰქონდა ან იქნებ ბუნებით ცივი იყო და მხოლოდ ჩემი ცდუნების სურვილი ამოძრავებდა, რადგან ფიქრობდა, რომ მე ეგოისტი და ნამდვილი ურჩხული ვიყავი. უჭკუო არ ეთქმოდა, მაგრამ ცოტა ხელიდან წასული კი იყო, თან ძმაბიჭურიც, სანამ ვნება არ აეშლებოდა. შინ რომ მივედი, აივი კვლავ ჩაცმული დამიხვდა, იჯდა და ისე იღიმებოდა, თითქოს ორი საათი არ მეცდევინებინოს, ერთი საყვედური არ დასცდენია.

– Everything okay?[42] – მკითხა მან.

ბოთლში კიდევ იყო ღვინო.

– Everything okay! – მივუგე მე.

საფერფლეზე ნამწვავების გორა იდგა, აივის სახე ოდნავ ნამტირალევი ჰქონდა. ჭიქები თანაბრად შევავსე და პატიება ვთხოვე, რაც იყო, იყო, ხაზი გადავუსვათ, როცა გადავიღლები, აუტანელი ვარ და მეტწილად კი გადაღლილი ვარ-მეთქი.

ჩვენი სოტერნი ნელთბილი იყო...

ნახევრად სავსე ჭიქები ერთმანეთს მივუჭახუნეთ. აივიმ (ის ფეხზე იდგა) კეთილი მგზავრობა და ბედნიერი ცხოვრება მისურვა. არ უკოცნია. ჭიქები ზეზეურად შევსვით, როგორც დიპლომატიურ მიღებაზე იციან ხოლმე. საერთოდ, ჩემი აზრით, დრო ცუდად არ გვიტარებია, აივიც ამ აზრის იყო. კვირა დღეები ქალაქგარეთ, საღამოები აქ, ჩვენს ბაღში, ნამდვილად არ იყო ურიგო.

– ხაზი გადავუსვათ ყველაფერს! – თქვა აივიმაც.

აივი მშვენიერი იყო, თანაც ნამდვილი ჭკუის კოლოფი გახლდათ. ბიჭური ტანი ჰქონდა, მკერდი კი ზედმიწევნით

ქალური, თეძოებში, როგორც მანეკენს შეეფერებოდა, ვიწრო იყო.

ასე ვიდექით და ვეთხოვებოდით ერთმანეთს.

მე კოცნა დავუწყე...

პირს მარიდებდა.

მკლავებში მოვიმწყვდიე, მხოლოდ მინდოდა უკანასკნელად მეკოცნა, სხვა განზრახვა არა მქონია, მაგრამ მისი სხეული მაინც ვიგრძენი. სახე გვერდზე მიაბრუნა. მე ჯიბრზე ვკოცნიდი, ის კი სიგარეტს აბოლებდა და არც აპირებდა, სიგარეტი ხელიდან გაეგდო. ვკოცნიდი ყურებზე, მოღერებულ ყელზე, საფეთქლებზე, მომწკლარტო თმაზე.

უსიცოცხლო მანეკენივით იდგა.

სიგარეტს კი არ ეწეოდა, ნთქავდა, უნდოდა, ფილტრამდე დაეყვანა, თითქოს თავის სიცოცხლეში უკანასკნელ სიგარეტს ეწეოდა, მეორე ხელში კი ცარიელი ჭიქა ეჭირა.

არ ვიცი, ისევ როგორ განმეორდა ყველაფერი...

მე მგონი, აივის უნდოდა, საკუთარი თავი შემძულებოდა და მხოლოდ იმიტომ მაღიზიანებდა, რომ დავემცირებინე. ეს იყო ერთადერთი სიხარული, რის მინიჭებაც მისთვის შემეძლო.

ხანდახან მეშინოდა კიდეც მისი.

ჩვენ კვლავ ისე ვისხედით, როგორც რამდენიმე საათის წინ.

აივის ძილი მოერია.

დიკს რომ დავურეკე – სხვანაირად თავის შველა არ შემეძლო – შუაღამე გადასული იყო. დიკს თვითონაც სტუმრები ჰყავდა, ვთხოვე, ყველანი აქ მოიყვანე და მოდი-მეთქი. მისი ამფსონების ყაყანი ტელეფონშიც ისმოდა. ვეხვეწე, მაგრამ დიკი შეუბრალებელი აღმოჩნდა. როცა ყურმილზე აივი დაეკიდა, მაშინღა იკადრა ჩემთვის ხათრი გაეწია და აივისთან მარტო არ დავეტოვებინე.

საშინლად ვიყავი დაღლილი.

აივი მესამეჯერ ივარცხნიდა თმას.

ბოლოს საქანელაზე ჩამეძინა და ისინიც მოვიდნენ. შვიდი თუ ცხრა კაციდან სამი ისე იყო გალეშილი, ლიფტიდან ხელით გამოსათრევი გაგვიხდა. ერთმა ვაი-უშველებელი ატეხა, როცა გაიგო, სახლში ერთი ქალიაო. ან ებევრა, ან ეცოტავა, რაკი გალეშილმა მთვრალმა სულ ლანძღვა-გინებით ჩაიარა თექვსმეტი სართული.

დიკმა ჩემზე თქვა:

– This is a friend of mine...[43]

მე მგონი, თავის ძმაკაცებს თვითონაც ვეღარ ცნობდა, ვიღაც გაპარულაო, ამბობდა. ავუხსენი, ერთი უკან გაბრუნდა-მეთქი. დიკი ცდილობდა, არც ერთი ამხანაგი არ დაჰკარგვოდა და ძმაკაცებს თითებზე ითვლიდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაასკვნა, ერთი კაცი მაკლიაო.

– He’s lost, – თქვა მან, – anyhow.[44]

რა თქმა უნდა, ვცდილობდი, ყველაფერი ხუმრობად მიმეღო, ისიც, ინდური ლარნაკი რომ ნამსხვრევებად იქცა; მერე, ჩემი მაინც ყოფილიყო.

აივიმ მითხრა, იუმორის გრძნობა გაკლიაო.

ერთი საათი ისე გავიდა, წარმოდგენა არ მქონდა, ეს ხალხი ვინ იყო. ერთმა თქვა, ცირკის მსახიობი ვარო. ეს რომ დაემტკიცებინა, იმუქრებოდა, მეთექვსმეტე სართულის აივნის მოაჯირზე ყირას გავჭიმავო. როგორც იქნა, დავაკავეთ, მაგრამ ამ დროს ვისკით სავსე ბოთლი ძირს გადაგვივარდა. არავითარი მსახიობი ის არ იყო, ამას მხოლოდ ჩემს გასათამაშებლად ამბობდნენ, არ ვიცი კი, ჩემი მოტყუება რაში სჭირდებოდათ. საბედნიეროდ, ბოთლი არავის დასცემია თავზე! მაშინვე ქვევით ჩავედი. უკვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ძირს ხალხი დამხვდებოდა შეგროვილი, სანიტრები, სისხლი, პოლიცია და დაპატიმრება არ ამცდებოდა, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი! უკან რომ შემოვბრუნდი, ყველამ სიცილი დამაყარა, არავითარი ვისკიანი ბოთლი არ გადავარდნილაო.

რომელი იყო სიმართლე, არ ვიცი.

საპირფარეშოს მივადექი. კარი ჩარაზული დამხვდა. ძალაყინი გამოვიყენე და კარი შევგლიჯე. ერთი სტუმარი იატაკზე იჯდა, სიგარეტს აბოლებდა და მეკითხებოდა, რა გქვიაო.

ასე გაიარა მთელმა ღამემ.

თქვენს ხელში შეიძლება მოკვდეს კაცი, შეიძლება კაცი ისე მოკვდეს, რომ ვერც კი შენიშნოთ, რა მეგობრობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი. კაცი შეიძლება მოკვდეს თქვენს ხელში-მეთქი, ვყვიროდი მე. ან რად ელაპარაკებით ერთმანეთს, რისთვის (საკუთარი ყვირილი მესმოდა)?

რა საჭიროა ეს კომპანია, თუ კაცს ისე გასძვრება სული, რომ ვერც შეამჩნევთ-მეთქი.

მთვრალი ვიყავი.

*

ასე დაგვათენდა თავზე. როდის ან როგორ წავიდნენ ისინი, არ ვიცი. მხოლოდ დიკი იწვა ჩემს ოთახში.

9.30-ზე გემზე უნდა ვყოფილიყავი.

თავი მტკიოდა, ბარგს ვალაგებდი და მიხაროდა, რომ აივი მეხმარებოდა. მაგვიანდებოდა, მაგრამ მაინც ვთხოვე, შენებური გემრიელი ყავა მომიხარშე-მეთქი. აივი ალერსიანად მექცეოდა და გემზეც კი გამაცილა. რა თქმა უნდა, იტირა კიდეც. აივის ჩემ გარდა – ქმარზე არ ვლაპარაკობ – ვინმე ჰყავდა თუ არა, არ ვიცი. მშობლებს არასდროს არ ახსენებდა. მხოლოდ მისი სასაცილო სიტყვები მაგონდება: «I’m just a deadend-kid»[45]. ის ბრონქსელი იყო, მეტი მართლა არაფერი ვიცოდი აივიზე. ჯერ მოცეკვავე მეგონა, მერე კოკოტი. არც ერთი აღმოჩნდა მართალი და არც მეორე. მგონი, აივი ნამდვილად მანეკენად მუშაობდა.

გემბანზე ვიდექით.

აივის თავისი შლაპა-კოლიბრი ეხურა.

შემპირდა, ყველაფერს მოვუვლი, ბინასაც და სტუდებეკერსაცო. გასაღები მივეცი და მადლობა გადავუხადე. გემმა უკვე დაიბუბუნა და რეპროდუქტორითაც რამდენჯერმე გააფრთხილეს გამცილებლები, გემიდან ჩასულიყვნენ. სირენები ისე გასწიოდნენ, რომ ყურები თითით დავიცავი. აივი ყველაზე ბოლოს გადავიდა ნაპირზე.

ხელი დავუქნიე.

თავს ძალა დავატანე და დავმშვიდდი, თუმცა მიხაროდა, მძიმე ბაგირები რომ ახსნეს. უღრუბლო ამინდი იდგა. მიხაროდა, რომ ყველაფერი ჩინებულად მოეწყო.

აივიმაც დამიქნია ხელი.

«არა, სულაც არ არის ცუდი გოგო», გავიფიქრე მე, თუმცა აივი ახლაც გამოცანად რჩებოდა ჩემთვის.

ამწე ონკანის საყრდენზე ვიდექი. შავმა საბუქსირო კანჯოებმა გაშლილი ზღვისკენ გვაქნევინეს პირი, სირენებმა ერთხელ კიდევ იწივლეს, მე (ჩემი ახალი ტელეობიექტივით) აივი გადავიღე. იგი ხელს მანამდე მიქნევდა, სანამ შეუიარაღებელი თვალით კიდევ შეიძლებოდა ადამიანის სახის გარჩევა. გადავიღე ნავსადგურიდან გამოსვლა, მანჰეტენიც და ჩვენს გემს ადევნებული თოლიებიც.

*

იოახიმი (ხშირად ვფიქრობდი ასე) კი არ უნდა დაგვემარხა, უნდა დაგვეწვა, მაგრამ ახლა ამ ამბავს აღარაფერი ეშველებოდა. მარსელი სავსებით მართალია: ცეცხლი სუფთაა, მიწა, ერთი ავდარი და, ტალახად იქცევა (ეს უკან დაბრუნებისას გამოვცადეთ), ჩანასახებით სავსე, ვაზელინივით სლიპინა ტალახად. გარიჟრაჟზე ისე ჩანს წუმპეები, მენსტრუალური ბინძური სისხლი გეგონება. შიგ სალამანდრები ასხმარტალებენ კუდებს, სპერმატოზოიდებივით დასხმარტალებენ. ამაზრზენი სანახაობაა! (მე მინდა დამწვან!) უკან რომ ვბრუნდებოდით, გზაში თითქმის არ შევჩერებულვართ. მხოლოდ ღამით თუ შევისვენებდით, როცა მთვარე ჩავიდოდა და უკუნეთში გზას ვეღარ ვიგნებდით. წვიმდა. მთელი ღამე წვიმის შხაპუნი ისმოდა. ფარებს არ ვაქრობდით, თუმცა ერთ ადგილზე ვიდექით. ისეთი თქრიალი ისმოდა, წარღვნა გეგონებოდა. მიწას ჩვენი ფარების შუქზე ორთქლი ასდიოდა, ციდან კოკისპირულად ასხამდა თბილი, ბლანტი წვიმა. უქარო ღამეში ფარების შუქზე უძრავად მდგარი ხეები და ჰაერში აშვერილი ფესვები ჩანდა. ფესვები შუქზე ნაწლავებივით ელავდნენ. მიხაროდა, რომ მარტო არ ვიყავი, თუმცა არავითარი საფრთხე არ მომელოდა. დელგმა მოდიოდა. ერთი წუთით არ

მოგვიხუჭავს თვალი. როგორც ფინურ აბანოში იციან, ისე ვიყავით დაყუნტული, ტანზე არ გვეცვა, სველ ტანსაცმელს ვერ ვეგუებოდით. ეს კი მხოლოდ წყალია და სხვა არაფერი, – ვეუბნებოდი ჩემს თავს, – გულის ამრევი რატომ უნდა იყოს-მეთქი. გარიჟრაჟზე წვიმამ ისე მოულოდნელად გადაიღო, თითქოს შხაპი გადაკეტესო, მაგრამ ხის ტოტებიდან წყალი მაინც მოწვეთავდა. ირიჟრაჟა! ოდნავაც არ აგრილებულა. ცხელი, ოხშივრიანი დილა გათენდა. მზე კვლავინდებურად ლორწოვანი იყო. ფოთლები ლაპლაპებდა, ოფლის, წვიმისა და მაზუთისაგან ახალშობილებივით ვიყავით გალუმპულები. საჭესთან მე ვიჯექი. არ ვიცი, როგორ მოვახერხე ჩვენი ლენდროვერით მდინარეში გასვლა, მაგრამ გავედით კი. ახლა ვერაფრით ვერ წარმოგვედგინა, ამ აბუყბუყებულ თბილ წყალში ოდესმე თუ დავცურავდით. მანქანა წუმპეში მიდიოდა და ორივე მხარეს ტალახიან წყალს აშხეფებდა. გარიჟრაჟზე ეს წუმპეები ამაზრზენად მოჩანდა. ერთხელ მარსელმა თქვა: – Tu sais que la mort est femme?[46]

მარსელს შევხედე.

– Et que la terre est femme?[47] – დასძინა მან.

უკანასკნელი სიტყვები იმ წუთში ისეთი ზედგამოჭრილი იყო, რომ ჩემდა უნებურად ხმამაღლა გამეცინა, როგორც უწმაწურ ხუმრობაზე გაიცინებს ხოლმე კაცი.

*

ნავსადგურიდან ახალი გამოსული ვიყავით, როცა «ცხენისკუდიანი» ქალიშვილი პირველად დავინახე. მგზავრებს სასადილო დარბაზში მოგვიყარეს თავი, რომ მაგიდები გაენაწილებინათ. ჩემთვის, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვისთან დავჯდებოდი, მაგრამ მაინც მამაკაცებთან მოხვედრა მერჩივნა, სულერთი იყო, რა ენაზე მოლაპარაკენი იქნებოდნენ, მაგრამ საქმე არჩევანზე არც მიმდგარა, სტიუარდს, წმინდა წყლის ფრანგ ბიუროკრატს, თავისი გეგმა ჰქონდა. ვინც ფრანგულად არ ლაპარაკობდა, იმას ზედაც არ უყურებდა, სხვებთან კი ენას გაუჩერებლად ატარტარებდა. წამდაუწუმ მესმოდა: Charmant[48]. მგზავრების კარგა გრძელი რიგი გაიჭიმა. ჩემ წინ შავ კოვბოურ შარვალში გამოწყობილი, თითქმის ჩემსიმაღლე ქალიშვილი იდგა, ინგლისელი იყო თუ სკანდინავიელი, ვერ გავარჩიე – სახე ვერ დავუნახე, ვხედავდი

მხოლოდ ქერა, თუმცა ქერა კი არა, მოწითალო ცხენის კუდს, რომელიც თავის ყოველ განძრევაზე აქეთ-იქით ეხეთქებოდა. ბუნებრივია, ნაცნობ სახეებს ვეძებდი, ხომ შეიძლებოდა, ვინმეს გადავყროდი. მე მართლა მამაკაცებთან ჯდომა მერჩივნა. ქალიშვილი მხოლოდ იმიტომ შევამჩნიე, რომ მისი ცხენის კუდი ნახევარ საათს მაინც ზედ ცხვირწინ მიტრიალებდა. სახეს, როგორც ვთქვი, ვერ ვხედავდი. მხოლოდ დროის მოსაკლავად ვცდილობდი გამომეცნო, როგორი სახე ჰქონდა, ისევე, როგორც კროსვორდის ამოხსნისას კლავ ხოლმე დროს. ახალგაზრდობა თითქმის არ ჩანდა. მას (ზუსტად მახსოვს) შავი სვიტერი ეცვა, ფეხზე – ესპადრილები, ყელზე უბრალო, ხის მძივები ეკიდა – ყველაფერი საკმაოდ იაფფასიანი, ასე ვთქვათ, ეგზისტენციალური. სიგარეტს ეწეოდა, იღლიაში სქელი წიგნი ჰქონდა ამოჩრილი, კოვბოური შარვლის უკანა ჯიბიდან მწვანე სავარცხელს მოუჩანდა თავი. ისე დიდხანს ვუცდიდი ჩემს რიგს, იძულებული ვიყავი, დავკვირვებოდი. ეტყობოდა, ძალიან ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო: ამას მის კისერზე ამოსული ქინქლიც ამხელდა, მისი მიხრა-მოხრაც და პატარა ყურებიც, ზედ რომ სიწითლე მოედო, როცა სტიუარდი გაეხუმრა. ოხუნჯობაზე არ გაუცინია, მხოლოდ მხრები აიჩეჩა, აქაოდა, სულერთია, პირველ ცვლაში მოვხვდები თუ მეორეშიო.

ის პირველში მოხვდა, მე – მეორეში.

ამასობაში ამერიკის უკანასკნელი ნაპირი ლონგ-აილენდიც გაუჩინარდა. ირგვლივ წყლის მეტი არაფერი ჩანდა. ჩემი კინოაპარატი კაიუტაში ჩავიტანე და პირველად დავინახე ჩემი თანამგზავრი – ახალგაზრდა, ჯირკივით ჩასხმული კაცი, ისრაელელი ფერმერი ლაიზერ ლევინი. ჩემს თანამგზავრს ქვედა საწოლი დავუთმე. კაიუტაში რომ შევედი, იგი თავისი ბილეთის შესაბამისად, ზედა საწოლზე იჯდა, მაგრამ, მგონი, ორივეს გვეშველა, ის რომ ქვედა საწოლზე დაჯდა და თავისი ათასგვარი წვრილმანის ამოლაგებას მოჰყვა. ზვავივით კაცი კი იყო! პირი გავიპარსე – დილით გაპარსვა ვერ მოვასწარი. ის ელექტროსამართებელი ჩავრთე, გუშინ რომ დავშალე. მშვენივრად მუშაობდა. ბატონი ლევინი თურმე კალიფორნიაში სოფლის მეურნეობას სწავლობდა. მე პირს ვიპარსავდი და ცოტას ვლაპარაკობდი.

შემდეგ კვლავ გემბანზე გამოვედი...

ირგვლივ წყლის გარდა არაფერი ჩანდა. ვიდექი და იმის მაგივრად, რომ შეზლონგზე მეზრუნა, თავისუფლებით ვტკბებოდი.

ყველა წესი ჯერ არ ვიცოდი.

უკან თოლიები მოგვყვებოდნენ...

გემზე ხუთი დღე როგორ უნდა გამეტარებინა, წარმოდგენა არ მქონდა. ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გემბანზე ბოლთას ვცემდი, ხან ქარის მიმართულებით მივფარფატებდი, ხან წელში წაკუზული ისევ ქარის საწინააღმდეგოდ ვიკაფავდი გზას. შარვალი მიფრიალებდა... მიკვირდა, სხვა მგზავრებს შეზლონგები საიდან ჰქონდათ. ყველაზე გვარი იყო მიკრული. სტიუარდს რომ მივაკითხე, მეტი შეზლონგი აღარ იყო.

ზაბეტი პინგ-პონგით ერთობოდა.

ჩინებულად თამაშობდა. ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ – აქეთ-იქით დახტოდა ბურთი, სიამოვნებით ვუყურებდი. მე თვითონ დიდი ხანი იყო აღარ მეთამაშა.

მან ვერ მიცნო.

მე თავი დავუკარი.

ვიღაც ახალგაზრდა კაცს ეთამაშებოდა. შეიძლება მეგობარი იყო მისი ან იქნებ საქმროც. ტანსაცმელი გამოეცვალა და ახლა ველვეტის ზეთისხილისფერი, ზარისებური ქვედაკაბა ეცვა. კაბა, ჩემი აზრით, შარვალზე მეტად უხდებოდა, რა თქმა უნდა, თუ ეს ნამდვილად იგივე ქალიშვილი იყო.

ყოველ შემთხვევაში, ის სხვა არსად ჩანდა.

ბარს შემთხვევით წავაწყდი და ისიც ცარიელი აღმოჩნდა. ბიბლიოთეკაში მხოლოდ რომანები ჰქონდათ. ერთგან ბანქოს მაგიდებსაც მოვკარი თვალი, მაგრამ იქაც მოწყენილობა სუფევდა. გარეთ ქარი ქროდა, თუმცა იქ ნაკლებად მოგწყინდებოდა, გემის მოძრაობას მაინც ხედავდი.

სიმართლე თუ გნებავთ, მხოლოდ მზე მოძრაობდა. იშვიათად ჰორიზონტზე სატვირთო გემი თუ გამოჩნდებოდა.

ჩაის ოთხ საათზე ვსვამდით.

ხანდახან ისევ პინგ-პონგის მაგიდასთან მივდიოდი. სახეზე რომ შევხედავდი, სახტად დარჩენილი ჩემს თავს ვეკითხებოდი, ნუთუ ეს იგივე ქალიშვილია, ჩემ წინ რომ იდგა და მისი სახის წარმოდგენას რომ ვცდილობდი-მეთქი. სასეირნო გემბანის ფართო ფანჯარასთან ვიდექი და ვითომ ზღვას გავყურებდი. ზურგიდან რომ ვაკვირდებოდი და მის მოწითალო ცხენის კუდს ვხედავდი, ნამდვილად ის იყო, მაგრამ წინიდან უცნაური მეჩვენებოდა. თვალები მოცისფრო-მონაცრისფრო ჰქონდა, როგორც ხშირად აქვთ ხოლმე წითურთმიანებს. მან ხელი წააგო, ჟაკეტი გაიხადა და პერანგის სახელოები დაიკაპიწა. ერთხელ ისე დამეჯახა, კინაღამ გადამატრიალა. ბოდიშიც არ მოუხდია. ქალიშვილი ბუზადაც არ მაგდებდა.

გემბანს გავუყევი...

გემბანზე აცივდა, იქაურობა შხეფებისაგან დასველდა და სტიუარდმა შეზლონგები აკეცა. ტალღების ხმაური ახლა უფრო მკაფიოდ ისმოდა. ტალღების ხმაურს თან ერთვოდა პინგ-პონგის ბურთის ხმა – ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ.

მზე ჩავიდა. ამაძაგძაგა. პალტოს ამოსატანად ჩემი კაიუტისკენ გავემართე. გზად ისევ სასეირნო გემბანზე მომიწია გავლამ. მე მას ბურთი მივაწოდე. ჩემი ფიქრით, თავი არაფრით მიმიძალებია. მადლობა ინგლისურად გადამიხადა (ისე გერმანულად ლაპარაკობდა). ამ დროს გონგის ხმაც გაისმა და სასადილოსკენ პირველ ცვლას მოუხმო.

ის დღე დავაღამე, როგორც იქნა.

უკან პალტოჩაცმული დავბრუნდი. ხელში კინოაპარატი მეჭირა. მზის ჩასვლა მინდოდა გადამეღო. იქით გავიხედე და დავინახე, რომ პინგ-პონგის ორივე ჩოგანი მწვანე მაგიდაზე ეწყო.

აბა, რა შეიცვლება, მე რომ ვამტკიცო, ეჭვი არაფერზე ამიღია, არც შემეძლო, რაიმე მცოდნოდა-მეთქი! მე დავღუპე ჩემი შვილი და ამ ამბავს ვეღარაფერს ვუშველი. რაღა საჭიროა მოყოლა? მე არ შემყვარებია ცხენისკუდიანი ქალიშვილი, ის მხოლოდ თვალში მომხვდა, მეტი არაფერი. აბა, საიდან შეიძლებოდა ეჭვი დამბადებოდა, რომ ჩემი ქალიშვილი იყო? მე ხომ ისიც არ ვიცოდი, შვილი თუ მყავდა. რა მოსატანია აქ ბედისწერა? შეყვარებული არ ვყოფილვარ, თავიდან იგი უფრო

უცხო მეჩვენებოდა, ვიდრე სხვა რომელიმე ქალიშვილი. ჩემი ქალიშვილი და მე ერთმანეთს სრულიად შემთხვევით გამოველაპარაკეთ. ასევე თავისუფლად შეიძლებოდა ერთმანეთისთვის გვერდი აგვევლო. რა შუაშია აქ ბედისწერა! ხომ შეიძლებოდა, სულ სხვანაირად წასულიყო საქმე.

. . . . . .

იმავე საღამოს, როდესაც მზის ჩასვლა გადავიღე, პინგ-პონგი ვითამაშეთ – ჩვენი პირველი და უკანასკნელი პარტია. გამოლაპარაკების საშუალება თითქმის არ მოგვცემია. აღარც კი მეგონა, თუ ადამიანი შეიძლებოდა მასავით ახალგაზრდა ყოფილიყო. მე კინოაპარატის აგებულება ავუხსენი, მაგრამ მას ჩემი არაფერი აინტერესებდა. თამაში გაცილებით უკეთესად გამოგვივიდა, ვიდრე მოველოდი. მე ხომ ათ წელიწადზე მეტი იქნებოდა, არ მეთამაშა. ის მხოლოდ ჩემზე უფრო სხარტად ურტყამდა ბურთს, ჭრიდა. ადრე მეც ვიცოდი მოჭრილი დარტყმები, მაგრამ თამაშს გადაჩვეული ვიყავი და ძველებურად ვეღარ ვჩაუქობდი. ის კი, სადაც ხელი მიუწვდებოდა, მოჭრილ ბურთებს მაძლევდა, მაგრამ დარტყმა ყოველთვის არ გამოსდიოდა. მე თავს ვიცავდი. პინგ-პონგში მთავარია, საკუთარი ძალის რწმენა გქონდეს, მეტი არაფერი. არც ისე ბებერი გახლდით, როგორც ამ ქალიშვილს ეგონა. ალბათ, მოელოდა, ჰოპ! ჰოპ! – და მოვუგებო. არც ისე იყო საქმე. ნელ-ნელა ავუღე ალღო, მისი დარტყმული ბურთები როგორც უნდა მომეგერიებინა. ნამდვილად თავი შევაწყინე. მისი პარტნიორი, ულვაშებგაწკეპილი ყმაწვილი, ბუნებრივია, ჩემზე გაცილებით სხარტად თამაშობდა. სახეზე მალე წამოვწითლდი. მე უფრო ხშირად მიხდებოდა დაკუზვა, მაგრამ არც იმას დასდგომია კარგი დღე. ჟაკეტი გაიხადა და სახელოებიც დაიკაპიწა, ჩემი გაცამტვერება უნდოდა. დროდადრო თავის ცხენის კუდს მოუთმენლად უკან გადაიგდებდა ხოლმე. მისი ულვაშებგაწკეპილი თავზე წამოგვადგა, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და სეირის საყურებლად მოემზადა. იმწამსვე დავდე ჩოგანი. მან მადლობა გადამიხადა. არც კი შემოუთავაზებია, ხელი ბოლომდე მიგვეყვანა. მეც მადლობა გადავუხადე და ჩემს პიჯაკს დავწვდი. აბა, კაბის კალთაზე ხომ არ გამოვებმებოდი.

მე ხან ვის ვესაუბრებოდი და ხან – ვის, მეტწილად მისტერ ლევინს, ზაბეტი არასოდეს გამომირჩევია. ჩემს მაგიდასთან

მსხდომ შინაბერებსაც ვესაუბრებოდი. ეს კლივლენდელი სტენოგრაფისტი ქალები თავს ვალდებულად თვლიდნენ, ევროპა ნანახი ჰქონოდათ. ხშირად ველაპარაკებოდი ამერიკელ მღვდელსაც, ჩიკაგოელ ბაპტისტს, მაგრამ ხალისით სავსე კაცს...

უსაქმოდ ყოფნას მიჩვეული არა ვარ.

საღამოობით, ძილის წინ, ჰაერის ჩასაყლაპად ყველა გემბანს მარტოდმარტო დავივლიდი ხოლმე. თუ მას სიბნელეში თავის პინგ-პონგის პარტნიორთან ხელიხელგადახვეულს გადავეყრებოდი, თვალს ისე ამარიდებდა, თითქოს მე არავითარ შემთხვევაში არ უნდა მცოდნოდა, რომ შეყვარებული იყო.

მართლაც, რა ჩემი საქმე იყო ეს!

მე, როგორც ვთქვი, ჰაერის ჩასაყლაპად გამოვდიოდი.

მას ეგონა, ვეჭვიანობდი.

დილით მოაჯირთან ვიდექი მარტო. ის მოვიდა და შემეკითხა, თქვენი მეგობარი სად არისო. სულაც არ მაინტერესებდა, ჩემს მეგობარს ვის ეძახდა, ისრაელელ ფერმერს თუ ჩიკაგოელ ბაპტისტს. ეგონა, მარტო მოწყენილი ვიყავი და ჩემი გართობა მოინდომა. მანამდე არ მოისვენა, სანამ ნავიგაციაზე, რადარებზე, დედამიწის ფორმაზე, ელექტრობაზე, ენტროპიასა და სხვა მისთვის უცნობ ამბებზე არ ამალაპარაკა. ის სულაც არ იყო უჭკუო. ისე სწრაფად ბევრი ვერ გაიგებს ეგრეთ წოდებულ მაქსველის დემონს, როგორც ამ პატარა გოგომ გაიგო, ზაბეტს რომ ვეძახდი, რადგან, ჩემი აზრით, ელიზაბეტი აუტანელი სახელია. მე ის მომწონდა, მაგრამ გაარშიყება არც მიფიქრია. მასწავლებელივით ველაპარაკებოდი და მისი ღიმილის მეშინოდა. ზაბეტს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იყო კიბერნეტიკა და ბავშვურ მოსაზრებებს გამოთქვამდა რობოტებზე. ჩვეულებრივ ასე ხდება ხოლმე, როცა ამ საგანზე უცოდინარ ადამიანთან ლაპარაკობ. მანქანების მიმართ ადამიანების უნდობლობას ვერ ვიტან. ეს უნდობლობა ისეთივე გონებაშეზღუდულობის მაჩვენებელია, როგორც გაცვეთილი არგუმენტი: ადამიანი მანქანა არ არის... მე ავუხსენი, რას ეძახის თანამედროვე კიბერნეტიკა ინფორმაციას. ჩვენი მოქმედებები პასუხია ეგრეთ წოდებულ ინფორმაციაზე, მაშასადამე, ეს არის იმპულსები, ანუ

ავტომატური პასუხები, რომლებიც მეტწილად ჩვენს ნებას არ ემორჩილება, რეფლექსებია, რომელთაც მანქანა, ადამიანზე უკეთ თუ არა, უარესად არ გამოიმუშავებს. ზაბეტმა შუბლი შეიკრა (როგორც უკბილო ხუმრობის მოსმენის დროს იცოდა ხოლმე) და ისე გაიცინა. მე დავუსახელე ნორბერტ ვინერის წიგნი: «Cybernetics or Control and Communication in the Animal and the machine, M.I.T. 1948.»[49]. რა თქმა უნდა, ილუსტრირებულ ჟურნალებში დახატულ რობოტებზე როდი ვლაპარაკობდი, მე სწრაფ გამომთვლელ მანქანებს ვგულისხმობდი, ელექტრულ ტვინსაც რომ უწოდებენ ხოლმე. მას ვაკუუმიანი ელექტრომილაკები მართავს და ადამიანის ტვინს უკვე სჯობნის კიდეც. ერთ წუთში ასეთი მანქანა 2000000 შეკრება-გამოკლებას ასწრებს, ასევე სწრაფად ასრულებს სიდიდეთა გამოთვლებს, ლოგარითმები მას უფრო სწრაფად გამოჰყავს, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია ამოცანის შედეგი წავიკითხოთ. ისეთი ამოცანის ამოხსნას კი, რომელსაც აქამდე ერთი მათემატიკოსის სიცოცხლე სჭირდებოდა, მანქანა რამდენიმე საათს ანდომებს და უფრო საიმედოდაც წყვეტს, რადგან მანქანას არაფერი ავიწყდება, მას გაცილებით მეტი ინფორმაცია შეუძლია დაიმახსოვროს, ვიდრე ადამიანის ტვინს. რაც მთავარია, მანქანა არაფერს განიცდის, მას არ ეშინია, არც არაფრის იმედი აქვს, გრძნობები მხოლოდ ხელის შემშლელია. მანქანას არც რაიმე სურვილი ამოძრავებს, ის წმინდა ლოგიკის კანონებით მუშაობს, ამიტომ ვამტკიცებ: რობოტი ჩვენზე უფრო ზუსტია შემეცნებაში, მან მომავალზეც მეტი იცის, რადგან მომავლის გამოთვლა შეუძლია. ის არც ფილოსოფოსობს და არც ოცნებობს, მხოლოდ საკუთარი შედეგების მიხედვით მოქმედებს და არ შეიძლება შეცდეს; რობოტს არავითარი წინათგრძნობები არ სჭირდება...

ზაბეტმა მითხრა, უცნაური კაცი ხართო, მაგრამ მგონი, ცოტათი მაინც მოვწონდი, ყოველ შემთხვევაში, როცა გემბანზე შევხვდებოდი, თავს მიქნევდა. იგი თავის შეზლონგზე იწვა ხოლმე. დამინახავდა თუ არა, წიგნს დაავლებდა ხელს, მაგრამ მესალმებოდა კი.

– ჰელო, მისტერ ფეიბერ!

მისტერ ფეიბერს მეძახდა. მე თვითონ ჩემი გვარის ინგლისურად წარმოთქმასა ვარ მიჩვეული და მასაც ასე გავაცანი თავი. ისე გერმანულად ვსაუბრობდით.

თავს არ ვაბეზრებდი.

სხვა რომ არა იყოს რა, სამუშაო მქონდა...

ზღვით მოგზაურობამ სასაცილო მდგომარეობაში ჩამაყენა. ხუთი დღე უმანქანოდ! მე, ჩვეულებრივ, ან ვმუშაობ, ან საჭესთან ვზივარ ხოლმე. როცა არაფერი არ მოძრაობს, ჩემთვის დასვენებას ფასი არა აქვს. საერთოდ კი მიუჩვეველი გარემო ნერვებს მიშლის და მუშაობის უნარსაც მიკარგავს. ზღვაზე მიდიხარ და მიდიხარ, დღე და ღამე მუშაობენ მოტორები, გესმის მათი ხმა, გრძნობ მათ, გრძნობ განუწყვეტლივ, მიდიხარ შეუსვენებლივ, მაგრამ მხოლოდ მზე მოძრაობს ან მთვარე. იქნებ ისიც ილუზიაა, რომ მივდივართ. ჩვენი ხომალდი ირყევა, ზვირთებსაც მიაპობს, მაგრამ ჰორიზონტი უცვლელი რჩება და მიჯაჭვულივით სფეროს შუაგულში ხარ მოქცეული, მხოლოდ ტალღები მისრიალებენ, არ ვიცი, საათში რამდენი კვანძის სისწრაფით, საკმაოდ სწრაფადაც კი, მაგრამ ეს არაფერს ცვლის – მხოლოდ ხანი გემატება.

ზაბეტი ან პინგ-პონგს თამაშობდა, ან კითხულობდა.

თითქმის მთელი დღე გემბანზე დავეხეტებოდი, თუმცა შეუძლებელია ისეთ ვინმეს შეხვდე კაცი, ვინც გემზე არ იმყოფება. ათი წლის განმავლობაში არ მივლია ფეხით იმდენი, რაც იმ ხუთ დღეს ვიარე. ხანდახან ბაპტისტი თავს დაიმდაბლებდა და კეგლის ბურთებს ვისროდით. ამდენი დრო ჩემს სიცოცხლეში არ მქონია, მაგრამ გემის ყოველდღიური გაზეთის წაკითხვასაც კი ვერ ვახერხებდი.

«News of Today».[50]

მოძრაობდა მხოლოდ მზე.

«President Eisenhower says...»[51]

რა ჩემი საქმეა მერე!

მთავარია, ხის ბურთი მიზანში მოახვედრო და გჯეროდეს, რომ ვინც ამ გემზე არ არის, თავზე ვერ წამოგადგება, მაგალითად, აივი აქ ვერ მოგწვდება.

მშვენიერი ამინდი იდგა.

*

ერთ დილას, როცა მე და ბაპტისტი ვსაუზმობდით, ჩვენს მაგიდას ზაბეტი მოუჯდა. გულწრფელად გამიხარდა... ზაბეტს შავი კოვბოური შარვალი ეცვა. დარბაზში ცარიელი მაგიდები იყო. ამას იმიტომ ვამბობ, თუ ქალიშვილს ვეჯავრებოდი, ჩვენთან არ დაჯდებოდა-მეთქი. ნამდვილად გამიხარდა. ბაპტისტი და ზაბეტი ლუვრზე ლაპარაკობენ. ლუვრს მე სრულებით არ ვიცნობ და ვაშლს ვთლი. ზაბეტი ინგლისურად ჩინებულად ლაპარაკობს. ისევ მიპყრობს გაოცების გრძნობა: რა ახალგაზრდაა ზაბეტი! საკუთარ თავს ვეკითხები, ნუთუ მეც ასე ახალგაზრდა ვიყავი ოდესმე? მისი შეხედულებანი: წარმოუდგენელია, არსებობს ადამიანი, რომელიც ლუვრს არ იცნობს მხოლოდ იმიტომ, რომ არ აინტერესებს მისი ნახვა! ზაბეტს ჰგონია, დავცინი, სინამდვილეში კი ბაპტისტი დამცინის მე.

– Mister Faber is an engineer,[52] – ამბობს იგი.

მის სულელურ ოხუნჯობას ინჟინრებზე არაფრად ვაგდებ, მხოლოდ ის მაგიჟებს, ქალიშვილს რომ ეარშიყება, იგი ხომ ამ მაგიდას მისი გულისთვის არ შემოსჯდომია.

მაგიჟებს მისი ხორციანი ხელი, ზაბეტს ჯერ მკლავზე რომ ადებს, მერე – მხარზე, მერე ისევ – მკლავზე. რატომ ეკარება? მხოლოდ იმიტომ, რომ ლუვრს იცნობს კარგად?

– Listen,[53] – იმეორებს წამდაუწუმ, – listen...

ზაბეტი:

– Yes, i’m listening...[54]

თან სათქმელიც რომ არაფერი აქვს ამ ბაპტისტს? ლუვრს მხოლოდ იმიტომ ახსენებს, რომ ქალიშვილს ხელი წაავლოს. ფუ, რა ბებრული მანერაა! თან ჩემზეც რომ ანიშნებს ღიმილით!

– Go on, – მეუბნება ბაპტისტი, – go on![55]

ჩემი აზრით, ინჟინრის პროფესია, რაც უნდა იყოს, მამაკაცური პროფესიაა, შესაძლოა ერთადერთი მამაკაცური პროფესიაც კი. მე ვამბობ, ჩვენ ახლა გემზე ვიმყოფებით, გემი კი ტექნიკის პირმშოა-მეთქი.

– True, – ამბობს იგი, – very true![56] – თან ქალიშვილს ხელს არ აშორებს, აქაოდა რა თავაზიანი და ყურადღებიანი ვარო.

– Go on, – მეუბნება იგი, – go on![57]

ქალიშვილს უნდა მომეშველოს და საუბარი ცნობილი ქანდაკებებიდან რობოტებზე გადააქვს. რობოტებზე ლაპარაკი ახლა სულ არ მეპრიანება. მხოლოდ იმას ვამბობ, რომ ქანდაკებები და მისი მსგავსნი (ჩემს თვალში) რობოტების წინაპრები არიან. პირველყოფილი საზოგადოება სიკვდილის დაძლევას ცდილობდა, როცა ადამიანის სხეულს აქანდაკებდა, ჩვენ კი იმით ვებრძვით სიკვდილს, რომ ადამიანის შემცვლელებს ვქმნით. ტექნიკა მისტიკის ნაცვლად!

ბედზე მისტერ ლევინი გამოჩნდა. გამოირკვა, რომ ლუვრი არც მისტერ ლევინს ჰქონია ნანახი და, მადლობა ღმერთს, სასაუბრო თემა შეიცვალა. მისტერ ლევინს გუშინ ჩვენი გემის სამანქანო განყოფილება მოუნახულებია. დაიწყო ორმხრივი საუბარი: ბაპტისტი და ზაბეტი ისევ ვან გოგზე ლაპარაკობენ, ლევინი და მე – დიზელ-მოტორებზე. მართალია, დიზელ-მოტორები მაინტერესებს, მაგრამ ცალი თვალი ქალიშვილისკენ მიჭირავს – იგი ბაპტისტს ყურადღებით უსმენს, თუმცა მის ხელს მაინც იცილებს და ხელსახოცივით დებს თავის გვერდით, მაგიდაზე.

– Why do you laugh?[58] – მეკითხება ბაპტისტი.

მეცინება და რა ვქნა.

– Van gogh is the most intelligent fellow of his time,– მეუბნება იგი, – have you ever read his letters?[59]

ზაბეტი მეუბნება:

– მან მართლა ბევრი რამ იცის.

მისტერ ლევინი და მე ელექტრობაზე დავიწყებთ თუ არა ლაპარაკს, მაშინ აღარც ჩვენმა პატივცემულმა ბაპტისტმა იცის რამე. ზის თავისთვის, ვაშლს თლის და ხმას არ იღებს.

ბოლოს და ბოლოს საუბარი გადადის ისრაელზე.

შემდეგ გემბანზე (ისე, რომ არ დამიძალებია) ზაბეტმა სურვილი გამოთქვა, ერთხელ მე და თქვენ სამანქანო განყოფილებაში ჩავიდეთო. სხვათა შორის ვთქვი, სამანქანო

განყოფილება ერთხელ მეც უნდა დავათვალიერო-მეთქი. მისი გამოწვევა გულში ნამდვილად არ მქონია. ზაბეტს გაუკვირდა, შეზლონგი როგორ არ გაქვთო და მაშინვე თავისი შემომთავაზა, მე მაინც პინგ-პონგი უნდა ვითამაშოო. მადლობა გადავუხადე და იგი წავიდა.

მას შემდეგ ხშირად ვიჯექი ზაბეტის შეზლონგზე. სტიუარდი როგორც კი დამინახავდა, მაშინვე მოჰქონდა მისი შეზლონგი, გამიშლიდა და, მისტერ პაიპერ, დაბრძანდითო, მეტყოდა. ზაბეტის შეზლონგს ეწერა Miss E. Piper.

გულში ვამბობდი, ალბათ, ყველა ქალიშვილი რაღაცნაირად ჰანას მაგონებს-მეთქი. იმ დღეებში ჰანაზე ხშირად ვფიქრობდი. რას ვეძახით ჩვენ მსგავსებას? ჰანა შავგვრემანი იყო, ზაბეტი – ქერა, უფრო წითური და მათი შედარება ყურით მოთრეულს ჰგავდა. მე მხოლოდ უსაქმობის გამო ვადარებდი მათ. ზაბეტი ახალგაზრდაა, როგორიც ჰანა იყო მაშინ, ლაპარაკობს ისეთივე ლიტერატურულ გერმანულს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს (ვამბობდი გულში), ვინ იცის, რამდენი კაცი ლაპარაკობს ასეთივე გერმანულს. საათობით ვიწექი მის შეზლონგზე. ფეხები მოძიგძიგე თეთრ მოაჯირზე მეწყო და ზღვას გავყურებდი. სამწუხაროდ, ტექნიკური ჟურნალები არ მქონდა თან. რომანებს ვერ ვკითხულობ, მირჩევნია, იმაზე ვიფიქრო, საიდან წარმოიქმნება ეს ვიბრაცია, რატომ არ შეიძლება მისი თავიდან აცილება, ან გამოვიანგარიშო, რამდენი წლის იქნება ახლა ჰანა, თმა გათეთრებული ექნება თუ არა. თვალები დავხუჭე, მინდოდა, დამეძინა. ჰანა რომ გემბანზე იყოს, უეჭველად ვიცნობდი. იქნებ არის კიდეც გემბანზე! ავდექი და შეზლონგებს შორის დავიწყე ხეტიალი. მართლა კი არ მჯეროდა, რომ ჰანა შეიძლებოდა გემბანზე ყოფილიყო, ისე, დროის გასაყვანად დავეხეტებოდი, მაგრამ სადღაც (ვაღიარებ) მაინც მეშინოდა, მართლა არ შევხვდე-მეთქი. ხანში შესულ ქალებს დინჯად დავუწყე ჭვრეტა. როცა მუქი მზის სათვალე გიკეთია, ხალხის თვალთვალი ძნელი არაა; დგახარ შენთვის, სიგარეტს აბოლებ და თან ხალხს აკვირდები, სავსებით მშვიდად და საქმიანად. სულერთია, შენი ობიექტი მაინც ვერაფერს მიხვდება. ვცდილობდი, მათი ხნოვანება დამედგინა, ეს კი იოლი საქმე როდი იყო. თმის ფერს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი, უფრო ფეხებსა და ტერფებს ვაკვირდებოდი, პირველ რიგში კი მაინც ხელებსა და ტუჩებს. აქა-იქ თვალში ქორფა ტუჩებიც მხვდებოდა ხოლმე, თუმცა ასაკს ხვლიკის

კანივით დანაოჭებული ყელი ამხელდა. ვვარაუდობდი, რომ ჰანა ჯერ კიდევ ლამაზი უნდა ყოფილიყო, ესე იგი, სიყვარულის ღირსი იქნებოდა. სამწუხაროდ, მათ თვალებს ვერ ვხედავდი, ყველას მზის სათვალე ჰქონდა აფარებული. აქ შეგხვდებოდა ათასი ჯურის დამჭკნარი ქალი, ზოგს კი, მე მგონი, არც არასოდეს ღირსებია აყვავება. ესენი იყვნენ ამერიკელი ქალები, კოსმეტიკის ქმნილებანი. ერთი რამ კი მწამდა – ჰანა არასოდეს არ იქნებოდა ასეთი.

ისევ დავჯექი.

მილებში ქარი ზუზუნებდა...

აქაფებული ტალღები...

ჰორიზონტზე სატვირთო გემი...

მომეწყინა და ამიტომ ვბჭობდი ჰანაზე ასე ბრძნულად. ვიწექი, ფეხები თეთრ მოაჯირზე მქონდა შემოწყობილი. მოაჯირი ვიბრაციისაგან განუწყვეტლივ ძიგძიგებდა. ჰანასი რაც მახსოვდა, ანკეტის შესავსებად თუ იკმარებდა, მაგრამ ანკეტა რად გინდა, ადამიანი თუ აქ არაა. ჰანას სახეს, როგორც ვთქვი, ვერ ვიხსენებდი, თვალდახუჭულიც ვერ ვხედავდი...

ოცი წელი ცოტა როდია.

ჰანას მაგიერ (თვალი გავახილე, რადგან ჩემს შეზლონგს ვიღაც დაეჯახა) კვლავ ის ახალგაზრდა არსება დავინახე, რომელსაც ფროილაინ ელიზაბეტ პაიპერი ერქვა.

პინგ-პონგის თამაში დასრულებულიყო.

თავგზას ყველაზე უფრო მისი ერთი ჩვეულება მიბნევდა: საუბრის დროს, თუ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა სურდა, თავის ცხენის კუდს ზურგზე გადაიგდებდა ხოლმე (ჰანას არასოდეს უტარებია ცხენის კუდი). როცა გულზე რაიმე მოხვდებოდა, მაშინაც კი მხრებს ისე ამაყად აიჩეჩავდა, ვითომც აქ არაფერიაო. რაც მთავარია: თუ ჩემი ხუმრობა არ მოეწონებოდა, შუბლზე, წარბებშუა მოკლე ნაოჭი გაუჩნდებოდა, მაგრამ მაინც გაიცინებდა ხოლმე. გაოცებული ვრჩებოდი, მაგრამ ამ ამბავს არასოდეს დავუფიქრებივარ. ეს მომწონდა კიდეც. ხომ შეიძლება რაღაც მხოლოდ იმიტომ მოგწონდეს, რომ სადღაც ერთხელ უკვე გინახავს. ყოველთვის საეჭვოდ მიმაჩნდა მსგავსების საკითხი. მე თვითონ

გამომიცდია, როგორ შეიძლება შეცდეს კაცი და იმიტომ. რამდენი გვიცინია მე და ჩემს ძმას, როცა გულუბრყვილო ხალხი ჩვენ შორის განსაცვიფრებელ მსგავსებას აღმოაჩენდა. ჩემი ძმა ხომ ნაშვილები იყო. როცა ვინმე მარცხენა საფეთქელის მოსაფხანად მარჯვენა ხელს შემოივლებს თავზე, იმწამსვე მამაჩემი მაგონდება, მაგრამ არასოდეს თავში არ მომსვლია, ვინმე მის ძმად მიმეღო მხოლოდ იმიტომ, რომ ისიც მამაჩემივით იფხანდა საფეთქელს. მე საღი განსჯის მომხრე ვარ, არც ბაპტისტი ვარ და არც სპირიტი. როგორ ვიფიქრებდი, რომ ვიღაც გოგონა, რომელსაც ელიზაბეტ პაიპერი ერქვა, ჰანას ქალიშვილი იქნებოდა. მე რომ მაშინ გემზე (ან მერე) იოტისოდენა ეჭვი დამბადებოდა (მით უმეტეს, რომ იოახიმის ამბის შემდეგ ჰანა გონებიდან არ მცილდებოდა), ხომ ვკითხავდი: «ვინ არის დედაშენი? რა ჰქვია? სადაურია-მეთქი?» არ ვიცი, მაშინ რას ვიზამდი. ყოველ შემთხვევაში, თავისთავად გასაგებია, სულ სხვანაირად მოვიქცეოდი, ჩემში პათოლოგიური არაფერია. ქალიშვილს მამაშვილურად მივიღებდი, მე ხომ გარყვნილი კაცი არა ვარ!

ყველაფერი ისე ბუნებრივი იყო...

უწყინარი ნაცნობობა...

ერთხელ ზაბეტს ზღვამ აწყინა. წესით, ამ დროს გემბანზე უნდა ამოსულიყო, მან კი თავის კაიუტაში არჩია ყოფნა. დერეფანში გული აერია. იმ ულვაშებგაწკეპილმა ყმაწვილმა ისე მზრუნველად დააწვინა საწოლზე, თითქოს მისი ქმარი ყოფილიყოს. საბედნიეროდ, მეც იქ ვიყავი. შავ კოვბოურ შარვალში გამოწყობილი ფერდაკარგული ზაბეტი საწოლზე იყო გაშოტილი. თავი ოდნავ გვერდზე ჰქონდა მოქცეული, სხვანაირად თავის დადებას ცხენის კუდი არ ანებებდა. ყმაწვილს ზაბეტის ხელი ეჭირა. მე მაშინვე გავაღე ილუმინატორი, რომ ჰაერი შემოსულიყო და ზაბეტს წყალი მივაწოდე.

– გმადლობთ! – მითხრა მისმა მეგობარმა, საწოლზე სამარიტელივით ჩამოჯდა და ზაბეტს ესპადრილები შეუხსნა, თითქოს გულისრევა ესპადრილების ბრალი ყოფილიყო!

მე კაიუტაში დავრჩი.

ზაბეტს წითელი ქამარი აშკარად უჭერდა, მაგრამ, ჩემი აზრით, ჩვენ მისი ქამრის შეხსნის უფლება არ გვქონდა.

ულვაშებიანს თავი გავაცანი.

მან ხელი ჩამომართვა და ისევ საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. ალბათ, მართლა ზაბეტის მეგობარია-მეთქი, გავიფიქრე. ასე გაშოტილი ზაბეტი ნამდვილი ქალი იყო, ბავშვს აღარ ჰგავდა. ზედა საწოლიდან საბანი ჩამოვიღე და დავახურე, ეტყობოდა, სციოდა.

– გმადლობთ, – მითხრა ვაჟმა.

მხოლოდ მანამდე ვიცდიდი, სანამ ბოლოს და ბოლოს ისიც არ მიხვდა, რომ ჩვენ აქ აღარაფერი გვესაქმებოდა; სჯობდა, ქალიშვილი მარტო დაგვეტოვებინა.

– ჩაო! – თქვა მან.

კარგად მივუხვდი, უნდოდა სადმე გემბანზე ჩემგან თავი დაეძვრინა და კაიუტაში მარტო დაბრუნებულიყო. მე შევთავაზე, პინგ-პონგი ვითამაშოთ-მეთქი... ის, როგორც მეგონა, ისეთი შტერი არ გამოდგა, მაგრამ სანდომიანობა აშკარად აკლდა. ვინღა უშვებს ახლა ულვაშებს? პინგ-პონგი არ გვითამაშია, ორივე მაგიდა დაკავებული აღმოჩნდა. სამაგიეროდ, საუბარში ჩავითრიე. ვლაპარაკობდით ტურბინებზე. რა თქმა უნდა, ლიტერატურულ გერმანულ ენაზე. ეს გრაფიკოსი მხატვარი ხელოვანის პირობაზე საქმიანი კაცი ჩანდა. როგორც კი შეატყო, რომ ჩემთან მხატვრობაზე, თეატრსა და მისთანებზე ლაპარაკით ფონს ვერ გავიდოდა, მაშინვე სხვა თემაზე გადაინაცვლა, საკმაოდ საქმიანად, ყოველგვარი მანჭვა-გრეხის გარეშე. იგი შვეიცარიელი აღმოჩნდა...

არ ვიცი, ზაბეტს მისი რა მოეწონა.

მე, ჩემი მხრივ, არასრულფასოვნების განცდისათვის არავითარი საფუძველი არა მაქვს. გენიოსი არ გახლავართ, მაგრამ საკმაოდ თვალსაჩინო საქმიანობას ვეწევი, მხოლოდ ესაა, რომ სულ უფრო და უფრო მიჭირს ამგვარი ბიჭბუჭების ატანა. მაღიზიანებს მათი ტონი, მათი გენიოსობა, საბოლოოდ ფანტაზიისა და მომავალზე ოცნების იქით რომ აღარ მიდის. ამის წყალობით მოაქვთ დიდად თავი და ფეხებზე ჰკიდიათ, ჩვენ რომ უკვე მართლა გაგვიკეთებია რაღაც ამ ქვეყანაზე. თუ გაბედე და რამე ამდაგვარი შეახსენე, მხოლოდ თავაზიანად ჩაიღიმებენ.

– აღარ დაგაბრკოლებთ! – ვუთხარი მე.

– მაპატიებთ?

– რა თქმა უნდა!

როცა ზაბეტს ის აბები მივუტანე, მე რომ ძალიან მარგო, კაიუტაში არ შემიშვა. სასაცილო იყო: კარის ღრიჭოდან დავინახე, ზაბეტს ტანზე ეცვა. აბებს შევპირდი და ამიტომ მივაკითხე. აბები კართან გამომართვა. ის კაიუტაში ჰყავდა თუ არა, არ ვიცი. გავაფრთხილე, წამალი უეჭველად დაელია. მე მხოლოდ მისი შველა მსურდა, მეტი არაფერი. შეუძლოდ მყოფს მარტო ხელის დაჭერა და ესპადრილების შეხსნა ხომ არ უშველიდა! მართლა კი არ მაინტერესებდა, ზაბეტისთანა ქალიშვილი (მისი უშუალობა ჩემთვის გამოცანად რჩებოდა) მამაკაცთან ნამყოფი იქნებოდა თუ არა, უბრალოდ ჩემს თავს ისე ვეკითხებოდი.

აი, რა ვიცოდი მაშინ ზაბეტზე:

იელის უნივერსიტეტში მოუსმენია ერთი სემესტრი, ღებულობს scholarship-ს,[60] ახლა შინ მიემგზავრება, ათენში, დედასთან, ბატონი პაიპერი კი აღმოსავლეთ გერმანიაში ცხოვრობს, რადგან კომუნიზმის რწმენა ჯერ კიდევ არ შერყევია. ზაბეტის საზრუნავი ამჟამად: იშოვოს პარიზში იაფფასიანი სასტუმრო, შემდეგ კი რომელიმე შემხვედრ მანქანას გაჰყვეს რომში (რაც მე სიგიჟედ მიმაჩნდა). ჯერ არ იცის, რა გამოვა მისგან: ბავშვის ექიმი, პრაქტიკოსი ხელოვანი თუ სხვა რაღაც, შეიძლება სულაც სტიუარდესა გახდეს, რომ ბევრი იფრინოს, რადაც უნდა დაუჯდეს, ინდოეთი და ჩინეთი ნახოს.

ზაბეტმა (მე შევეკითხე) ორმოცი წელი მომცა. როცა გაიგო, ორმოცდაათს არაფერი მაკლდა, არც ეს გაუოცებია. თვითონ ოცი წლის იყო. ყველაზე მეტად ის გაუკვირდა, ლინდბერგის (1927წ.) პირველი გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე კარგად რომ მახსოვდა. მაშინ ოცი წლის ბიჭი ვიყავი. სანამ დამიჯერებდა, წლები გამოთვალა. ამიერიდან რაც უნდა მეთქვა, თუნდაც იმავე ტონით ნაპოლეონის ამბები მომეყოლა, ჩემს ასაკზე ზაბეტს შეხედულება აღარ შეეცვლებოდა. მეტწილად მოაჯირთან ვიდექი ხოლმე. არ ივარგებდა, ზაბეტი (მას უფრო ხშირად საბანაო კოსტიუმი ეცვა) იატაკზე მჯდარიყო, მე კი ამ დროს შეზლონგზე ვყოფილიყავი გაშოტილი. მაშინ მართლა

ბიძას დავემსგავსებოდი, ანდა პირიქით: ზაბეტი შეზლონგზე წოლილიყო და მე მის გვერდით ვყოფილიყავი ჩაცუცქული – ესეც სასაცილო გამოვიდოდა.

თავის მიძალებას არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებდი. მისტერ ლევინს ჭადრაკს ვეთამაშებოდი ხოლმე. მას თავში მხოლოდ სოფლის მეურნეობა უტრიალებდა. სხვა მგზავრებსაც ოც სვლაში ვაშამათებდი. მწყინდებოდა, მაგრამ მერჩივნა, საკუთარ თავს მოვბეზრებოდი, ვიდრე გოგონას. მართლაც, ზაბეტთან მხოლოდ მაშინ თუ მივიდოდი, როცა რაიმე მქონდა სათქმელი.

სტიუარდესა არ გახდე-მეთქი, ავუკრძალე.

ზაბეტი მეტწილად თავისი სქელი წიგნის კითხვაში იყო გართული. ტოლსტოიზე რომ დაიწყებდა ლაპარაკს, მაშინ ჩემს თავს მართლა ვეკითხებოდი, აი ასეთმა გოგონამ მამაკაცისა რა უნდა იცოდეს-მეთქი. მე თვითონ ტოლსტოის არ ვიცნობ. რა თქმა უნდა, ზაბეტი გასაბრაზებლად მეუბნებოდა, აი, ახლა ისევ ტოლსტოივით ლაპარაკობთო.

თვითონ ტოლსტოის აღმერთებდა.

ერთხელ ბარში, არ ვიცი, რამ მომიარა, ჩემი მეგობრის ამბავი ვუამბე, ტროპიკებში მარტო ცხოვრებას რომ ვერ გაუძლო, მოვუყევი, როგორ ვიპოვეთ, საბედნიეროდ, ჩაკეტილ ოთახში, თორემ აურები მასაც ვირის ლეშივით დაძიძგნიდნენ-მეთქი.

აზვიადებთო, მითხრა ზაბეტმა.

მესამე თუ მეოთხე ჭიქა პერნო გამოვცალე და სიცილით ავუწერე, როგორ ჰკიდია კაცი მავთულზე, გვამი ორივე ფეხით იატაკს სწვდება, თითქოს ეს-ეს არის, აფარფატდებაო.

სკამი გადაბრუნებული ეგდო.

წვერი მოზრდილი ჰქონდა.

რა მალაპარაკებდა, არ ვიცი. ზაბეტმა მითხრა, ნამდვილი ცინიკოსი ხართ, როგორ იცინითო. ტყუილს ხომ არ ვიგონებდი, ის მართლა ტიკინასავით იყო გაშეშებული.

აღარ ვიცი, რამდენი სიგარეტი მოვწიე.

სახე სისხლის ჩაქცევისაგან გაშავებული ჰქონდა.

იგი ქარში დაკიდებულ საფრთხობელასავით ტრიალებდა.

გარდა ამისა, სუნიც უდიოდა.

ფრჩხილები იისფერი ჰქონდა, მკლავები – რუხი, ხელები – გადათეთრებული და ღრუბელივით დაბერილი.

ვეღარ ვიცანი.

ენაც მთლად გალურჯებოდა...

აბა, რა იყო აქ მოსაყოლი. მოხდა უბედური შემთხვევა. როგორც ვთქვი, თბილი ნიავი რომ მოხვდებოდა, დაბიჟვინებული გვამი ირწეოდა.

ჩემდა უნებურად ვყვებოდი.

მკლავები ჯოხებივით ეკიდა...

რა ცუდია, რომ გვატემალაში გადაღებული ფირი ჯერ გამჟღავნებული არა მაქვს. ამის აღწერა შეუძლებელია. ადამიანი როგორ ჰკიდია, შენი თვალით უნდა ნახო კაცმა.

ზაბეტს ლურჯი სამეჯლისო კაბა ეცვა...

ხანდახან ჩემი მეგობარი ისევ მავთულზე დაკიდებული დამიდგებოდა თვალწინ, თითქოს არც დაგვემარხოს, ალბათ იმიტომ, რომ ამ ბარშიც რადიო უკრავდა და მასაც რადიო ჰქონდა იქ ჩართული.

აი, ასე იყო ეს ამბავი.

როცა მივაგენით, როგორც ვთქვი, მისი რადიო ჩართული დაგვხვდა. რადიო ხმადაბლა ლაპარაკობდა და პირველად ვიფიქრეთ, მეორე ოთახში ვინმე ხომ არ არისო, მაგრამ მეორე ოთახი იქ საერთოდ არ არსებობდა, ჩემი მეგობარი მარტოდმარტო ცხოვრობდა. მუსიკის ხმა რომ გავიგონეთ, მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ ეს რადიო იქნებოდა და, რა თქმა უნდა, მაშინვე გამოვთიშეთ – მუსიკა არ იყო შესაფერი, საცეკვაო მელოდიებს გადმოსცემდნენ.

ზაბეტმა კითხვები დამაყარა.

რატომ ჩაიდინა ეს?

მას ჩვენთვის არაფერი უთქვამს. როგორც გითხარით, ეკიდა

ტიკინასავით და ყარდა. ნიავის შემობერვაზე კი ირწეოდა...

დიახ, ასე იყო.

როცა ავდექი, სკამი ბრახუნით გადაბრუნდა. ყველამ ჩემკენ მოაბრუნა თავი. ქალიშვილმა სკამი ისე ააყენა, ვითომც აქ არაფერიაო. კაიუტამდე უნდოდა მივეცილებინე, მაგრამ არ დავანებე. გემბანზე გავედი.

მარტო ყოფნა მინდოდა...

მთვრალი ვიყავი.

მაშინ რომ ჩემი მეგობრის სახელი და გვარი მეხსენებინა, იოახიმ ჰენკე, ყველაფერი გაირკვეოდა. ეტყობა, სახელიც კი არ მიხსენებია, უბრალოდ, მეგობარზე ვლაპარაკობდი, რომელმაც გვატემალაში თავი ჩამოიხრჩო, ვყვებოდი ტრაგიკული შემთხვევის ამბავს.

ერთხელ ზაბეტი გადავიღე.

შეამჩნია, რომ ვუღებდი და ენა გამომიყო. მეც ენაგამოყოფილი გადავიღე. მაშინ კი გაბრაზდა და გამომლანძღა, ბოლოს და ბოლოს, რა გამიჭირეთ საქმეო.

პირდაპირ მკითხა:

– რა გინდათ ჩემგან, რას გადამეკიდეთ?

ეს იყო სადილობამდე.

უნდა მეკითხა, მაჰმადიანი ხომ არა ხარ, რომ შენი გადაღება არ შეიძლება, ან იქნებ ცრუმორწმუნე ხარ-მეთქი. რა თავი მოჰქონდა ამ გოგონას? ნამდვილად მზად ვიყავი, ის ფირი (ნაპირზე მდგარ აივიანად) ამომეღო, მზეზე გამეჩერებინა და გამეფუჭებინა: ნამდვილად! გუნება მომეწამლა. მისი კილო მთელი დღე ვერ ამოვიგდე თავიდან, ვერც ის სიტყვები დავივიწყე, თქვენ მთელი დღე მითვალთვალებთ, მისტერ ფეიბერ, და ეს არ მსიამოვნებსო. ნეტავ ვინ ვეგონე ამ გოგოს?

ვგრძნობდი, არ ვეჭაშნიკებოდი.

ეს ნამდვილად ასე იყო და გულში არავითარი იმედი არ მიჭიატებდა. ნასადილევსაც მხოლოდ იმიტომ მივაკითხე, რომ შეპირებული ვიყავი, სამანქანო განყოფილებაში ჩაგიყვან-

მეთქი.

– ახლა ჩავიდეთ? – მკითხა მან.

ამ ერთ თავს ჩავიკითხავო.

თქვენი ნებაა-მეთქი, ვუპასუხე.

ის უკვე ჩამოწერილი მყავდა, თავი შეურაცხყოფილად არც მიგრძნია. ასე ვიცი, საკუთარი თავი შემზიზღდება, თუ შევამჩნევ, რომ სხვას ტვირთად ვაწვები; არც ის მჩვევია, ისეთ ქალებს ვდიო კუდში, ვისაც გულზე არ ვეხატები. გულახდილად რომ ვთქვა, საამისო არასოდეს არაფერი მჭირდა.

ამოდენა გემის სამანქანო განყოფილება ერთი კარგი ფაბრიკისოდენა მაინც იქნებოდა. იგი ძირითადად დიდი დიზელ-მოტორისაგან შედგება, თან ერთვის ელექტროგენერატორები, საქვაბე ცხელი წყლისათვის და სავენტილაციო დანადგარი. სპეციალისტისათვის აქ უჩვეულო რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ გემის კორპუსის მოწყობილობა მაინც ღირს სანახავად. გარდა ამისა, ამუშავებული მანქანების ყურება ხომ დიდი სიამოვნებაა. ზაბეტს მართვის მთავარი ხაზის მოწყობილობა ავუწერე, ისე, რომ წვრილმანებზე არ შევჩერებულვარ. ასევე მოკლედ ავუხსენი, რა არის კილოვატი, ჰიდრავლიკა, ამპერი, ერთი სიტყვით, ისეთი ტერმინები, რომლებიც ზაბეტს სკოლაში ნასწავლიც ექნებოდა და დავიწყებულიც, მაგრამ ახლა ყველაფერს იოლად იხსენებდა. მიუხედავად მათი დანიშნულებისა, ზაბეტს განსაკუთრებით დიდებული მაინც ოთხი საკვამლე მილი და კიბის შახტა ეჩვენა, რომლის კენწეროში, ხუთი თუ ექვსი სართულის სიმაღლეზე, თითქოს ცხაურში ჩასმული ზეცა მოჩანდა. ზაბეტს მემანქანეები ებრალებოდნენ, აქ ოფლში იწურებიან, მთელ სიცოცხლეს ოკეანეში ატარებენ და ოკეანეს თვალით ვერ ხედავენო. მის თვალში ყველა მემანქანე სიმპათიური ჩანდა. შევამჩნიე, მემანქანეები როგორ უჭვრეტდნენ გოგონას (ზაბეტი აშკარად ჩემი ქალიშვილი ეგონათ), როცა ის რკინის კიბეზე დაცოცავდა.

– 3a va, mademoiselle, 3a va?[61]

ზაბეტი კატასავით დაცოცავდა.

– Pas trop vite, ma petite![62]

მემანქანეები, ჩემი აზრით, უტიფრად უჭვრეტდნენ ზაბეტს, მაგრამ იგი ვერაფერს ამჩნევდა. ჩვეულებრივ, შავი კოვბოური შარვალი ეცვა. შარვალი ოდესღაც ალბათ თეთრი ძაფით იქნებოდა დალიანდაგებული. უკანა ჯიბიდან მწვანე სავარცხელს ამოეყო თავი, მოწითალო ცხენის კუდი ზურგზე ეხეთქებოდა. შავ სვიტერში მკაფიოდ მოხაზული ბეჭები, მოქნილ, სუსტ ზურგზე ნათლად დაჩნეული ღარი, კანჭებამდე აკაპიწებულ შარვალში გამონაკვთული ბიჭური ბარძაყები, ვიწრო თეძოები და შიშველი კოჭები მე ლამაზი მეჩვენებოდა, მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი და ვნებას სულაც არ აღმიძრავდა. ჩვენ ერთ-ერთი გენერატორის სათვალთვალო სარკმელთან ვიდექით. ამ გენერატორის აგებულება ის იყო ავუხსენი. ხელები ჯიბეებში მეწყო, მეშინოდა, უნებურად იმ ბაპტისტივით მკლავზე არ მომეკიდBა მისთვის ხელი.

არ მინდოდა ქალიშვილს მივკარებოდი.

უცებ თავი მიხრწნილ მოხუცად ვიგრძენი...

ზაბეტი ფეხით კიბის საფეხურს ეძებდა. მე თეძოებზე შემოვავლე ხელები და ერთი მოქნევით, სხარტად ჩამოვსვი ძირს. თეძოები საოცრად მსუბუქი ჰქონდა, თან ღონიერი, ჩემი სტუდებეკერის საჭესავით იოლად ხელშემოსავლები, გრაციოზული, დაახლოებით იმავე დიამეტრისა. ერთი წამი და იგი უკვე თუნუქის ბაქანზე იდგა. ოდნავადაც არ გაწითლებულა, ისე გადამიხადა მადლობა და ხელები ჭრელი ძენძით გაიწმინდა. ვნების აღმძვრელი ჩემთვისაც არ ყოფილა აქ არაფერი და ჩვენ ფარფლებიანი ხრახნების დიდი ლილვებისაკენ გავემართეთ. მინდოდა მისთვის ეს ლილვებიც მეჩვენებინა. ხახუნის კოეფიციენტის, ვიბრაციისგან ფოლადის დაღლის და სხვა ამისთანა პრობლემებზე გულში ვფიქრობდი, ირგვლივ ისეთი გუგუნი იდგა, ლაპარაკი შეუძლებელი იყო. ზაბეტს მხოლოდ ის ავუხსენი, ამ წუთში სად ვიმყოფებოდით. სწორედ იქ ვიდექით, სადაც ხრახნის ლილვები გემის კორპუსიდან გარეთ იჭრებიან და ფარფლებიან ხრახნს ამოძრავებენ. იძულებული ვიყავი, მეყვირა: – დაახლოებით რვა მეტრის სიღრმეზე თუ ვიქნებით ზღვის ზედაპირიდან! – მინდოდა ყველაფერი ზუსტად ამეხსნა, – დაახლოებით! – ვყვიროდი მე, – შეიძლება მხოლოდ ექვს მეტრზეც!

იმის ახსნა, რომ კონსტრუქციამ უნდა გაუძლოს წყლის საკმაოდ მაღალ წნევას, ზედმეტი აღმოჩნდა, მისი ბავშვური

ფანტაზია უკვე ილუმინატორს იქით მოცურავე თევზებს დასთამაშებდა.

– აი, აქ! – ვიყვირე მე, მისი ხელი ავიღე და სამოცდაათმილიმეტრიან მოქლონზე დავადებინე; მინდოდა უკეთ გაეგო, რასაც ვუხსნიდი.

– ზვიგენები?

სხვა ვერაფერი გავარჩიე.

რა ზვიგენები? არ ვიცი-მეთქი, ჩავძახე და კვლავ იმ კონსტრუქციაზე მივუთითე. ზაბეტს თვალი გაუშტერდა.

მინდოდა რითიმე გამერთო.

გული მწყდებოდა – ჩვენი მოგზაურობა დასასრულს უახლოვდებოდა. ატლანტის ოკეანის რუკაზე უკანასკნელი ალამიღა დარჩა. სულ შვიდი სანტიმეტრი გვაშორებდა ევროპის სანაპიროს.

მისტერ ლევინი უკვე ბარგს ალაგებდა.

მომსახურე პერსონალის დასაჩუქრებაზეც დაიწყო ლაპარაკი.

მიჭირდა იმაზე ფიქრი, რომ ოცდაოთხ საათში ერთმანეთს უნდა დავმშვიდობებოდით. ყოველ მხარეს «მშვიდობით» უნდა გვეძახა. «კარგად იყავით, მისტერ ლევინ, წარმატებას გისურვებთ სოფლის მეურნეობაში!» ჩვენს ბაპტისტს: «ბედნიერი დღეები გაგითენოთ ლუვრში!» «ცხენისკუდიან» გოგონას, რომელსაც ჯერ გაურკვეველი მომავალი აქვს: «ბედნიერებას გისურვებთ!» გული მწყდებოდა, რომ ამიერიდან ერთმანეთის ამბავს ვეღარ გავიგებდით.

ბარში ვიჯექი...

მოგზაურობაში გაბმული ნაცნობობა.

სენტიმენტალური გრძნობები მერეოდა, რაც ჩვეულებრივ ჩემთვის უცხო ხილია. გემზე დიდი მეჯლისი გამართეს. ეტყობა, აქ მიღებულია უკანასკნელ საღამოს მეჯლისის გამართვა. შემთხვევით დაემთხვა იმ დღეს ჩემი ორმოცდაათი წლისთავი. რა თქმა უნდა, არაფერი გამიმხელია.

იმ დღეს პირველად ვთხოვე ქალს ხელი.

მისტერ ლევინთან ვიჯექი, მეჯლისები დიდად არც იმას ეპიტნავებოდა. მიზეზი არ გამიმხელია, ისე, ბურგუნდულ ღვინოზე დავპატიჟე. ამაზე უკეთესი ღვინო გემზე არ იშოვებოდა (კაცი სიცოცხლეში ერთხელ ხდები ორმოცდაათის). ეს იყო «ბონი-1933», ბუკეტი საუცხოო ჰქონდა, მაგრამ პირში ოდნავ არასასიამოვნო გემოს ტოვებდა. სიმაგრეც აკლდა და სიწმინდეც, მაგრამ მისტერ ლევინისთვის სულერთი იყო, კალიფორნიულ ბურგუნდულსაც სიამოვნებით წრუპავდა ხოლმე. ღვინოზე გულს მაკლდა (ჩემი ორმოცდამეათე წლისთავი, გულახდილად რომ ვთქვა, ცოტა სხვაგვარად მქონდა წარმოდგენილი), მაგრამ მაინც კმაყოფილი ვიყავი. ზაბეტი ერთი წუთით გამოჩნდა, Citron presse[63] გადაყლურწა და ისევ თავის ულვაშებგაწკეპილ გრაფიკოსს გაჰყვა საცეკვაოდ. შიგადაშიგ გემის ოფიცრებთან ცეკვავდა. ოფიცრები საპარადო მუნდირებში იყვნენ გამოპრანჭული და ოპერეტის გმირებივით თავიდან ფეხებამდე ბრწყინავდნენ. ზაბეტს ისევ ის ლურჯი კაბა ეცვა. კაბა უგემოვნოდ როდი ჰქონდა შეკერილი, მაგრამ მეტისმეტად იაფფასიანი და ბავშვური კი იყო. ვფიქრობდი, დაძინება ხომ არ მერჩივნა-მეთქი. კუჭს ვგრძნობდი, თან ორკესტრთან მეტისმეტად ახლოს ვიჯექი. გნიასია, საითაც უნდა გაიხედო, საკარნავალო ჭრელაჭრულა ტანსაცმელი მოჩანს, სიგარეტისა და სიგარების კვამლში გახვეული ლამპიონები გვატემალის დაბურულ მზესავით იყურებიან, ერთმანეთში იხლართება სერპანტინები და გირლანდები, მწვანე და წითელი ზიზილ-პიპილების ჯუნგლში ვზივარ, შავ, პრიალა სმოკინგებში გამოწყობილი მამაკაცები აურებს ჰგვანან. აურებსაც ასე უბზინავთ ბუმბული...

აურებზე ფიქრი თავიდან მოვიცილე.

ზეგ პარიზში ვიქნები, – ამ აურზაურში მეტი ფიქრის თავი არ მქონდა, – წავალ ექიმთან და ბოლოს და ბოლოს, კუჭს გავასინჯებ.

სასაცილო საღამო იყო...

მისტერ ლევინი აცუნდრუკდა. ღვინო თავში აუვარდა და ზაბეტთან ცეკვა გაბედა. მასთან იგი გოლიათივით მოჩანდა. ქალიშვილი მკერდამდე ძლივს სწვდებოდა. მისტერ ლევინი კი იკუზებოდა, რომ გირლანდებისათვის თავი არ აერტყა. ზაბეტი ქვემოდან შესცქეროდა და ისე ელაპარაკებოდა. მისტერ

ლევინს შავი კოსტიუმი არ ეცვა და გარდა ამისა, ყველა ცეკვას მაზურკასავით ცეკვავდა. ის ხომ პოლონეთში იყო დაბადებული, ბავშვობა გეტოში გაეტარებინა და ა.შ. ზაბეტი თითის წვერებზე იდგა, რომ მისთვის მხარზე დაედო ხელი. ასე მოწაფე გოგონები ეკიდებიან ხოლმე ტრამვაიში ხარიხას.

ვიჯექი და ბურგუნდულით სავსე ჭიქას ვარყევდი. გადავწყვიტე, ჩემი დაბადების დღის გამო სენტიმენტალური გრძნობები არ მომრეოდა და ღვინოს ვეწაფებოდი. გერმანელი თუ ვინმე იყო, შამპანურს სვამდა. ძალაუნებურად ჰერბერტზე ვფიქრობდი, შესაბამისად კი გერმანული სიგარის მომავალზე, ნეტავ ინდიელებთან მარტო დარჩენილი ჰერბერტი რას შვრება-მეთქი.

შემდეგ გემბანზე ავედი.

სავსებით ფხიზელი ვიყავი და როცა ზაბეტმა მომაგნო, მაშინვე ვუთხარი, ამ თხელ კაბაში არ გაცივდე-მეთქი. მეკითხებოდა, მოწყენილი ხომ არა ხართო. რომ არ ვცეკვავდი, ალბათ იმიტომ. დღევანდელი ცეკვები ნამდვილად მომწონს. ეს ეგზისტენციალური როკვა სახალისო საყურებელია. ყველა თავისთვის ცეკვავს, ყველას საკუთარი ილეთები გამოჰყავს, საკუთარ ფეხებში იბლანდება, ციებიანივით ძაგძაგებს, ყველაფერი ოდნავ ეპილეფსიურ შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მხიარული კი არის, ტემპერამენტიანიცაა. თუმცა უნდა გამოვტყდე, მე ასე ვერ ვიცეკვებდი.

რატომ უნდა ვიყო მოწყენილი?

ინგლისი ჯერ კიდევ არა ჩანს...

ზაბეტს ჩემი პიჯაკი მოვახურე, რომ არ გაციებულიყო. ქარში მისი «ცხენის კუდი» აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

პროჟექტორების შუქზე წითელი საკვამლე მილები მოჩანდა.

ზაბეტი აღტყინებული იყო, ძალიან მომწონს, ასეთ ღამეში ქარის სტვენასა და ღმუილში გემბანზე რომ ვართო. ბაგირების ჭრიალიც მოსწონდა, მაშველი კანჯოების ბრეზენტის საფარველის ტკაცანიც და მილებიდან ამოსული კვამლიც...

მუსიკის ხმა აქამდე სუსტად აღწევდა.

სიტყვა თანავარსკვლავედებზე ჩამოვარდა. ამ თემაზე

ჩვეულებრივ მანამდე გრძელდება ლაპარაკი, სანამ არ გამომჟღავნდება, ვინ უფრო სუსტად ერკვევა ციურ სხეულებში; შემდეგ გულში რაღაც ხინჯი გრჩება, რაც საშინლად არ მიყვარს.

ზაბეტს კომეტა დავანახე, რომელიც იმ დღეებში ჩრდილოეთით კაშკაშებდა. კინაღამ წამომცდა, დღეს ჩემი დაბადების დღეა და კომეტა იმიტომ ჩანს-მეთქი, მაგრამ უკბილო ხუმრობა გამომივიდოდა; კომეტა უკვე რამდენიმე დღეა ანათებდა, მერე რა, რომ იმ ღამეს ადრინდელზე უფრო კაშკაშებდა, მთავარი ის იყო, რომ 26.IV-დან მოჩანდა. ასე იყო თუ ისე, ჩემი დაბადების დღე (29.IV) არ მიხსენებია.

– გამომშვიდობების წინ ორ რამეს ვისურვებდი, – ვთქვი მე, – პირველი: რომ სტიუარდესა არ გახდეთ...

– მეორე?

– მეორეც ის, რომ შემხვედრი მანქანით არ წახვიდეთ რომში. სერიოზულად გეუბნებით!.. მირჩევნია, მატარებლის ან თვითმფრინავის ფული მე გადაგიხადოთ...

მაშინ რას ვიფიქრებდი, რომში თუ ერთად წავიდოდით ზაბეტი და მე. რომში რა დამრჩენოდა!

ზაბეტმა მოურიდებლად გაიცინა.

სწორად ვერ გამიგო.

ნაშუაღამევს, ჩვეულებრივ, ცივი საუზმე შემოჰქონდათ. მე დავიჟინე, მშია-მეთქი და ზაბეტი ქვემოთ ჩავიყვანე. კარგად ვხედავდი, სიცივისაგან როგორ ძაგძაგებდა, ჩემმა პიჯაკმაც ვერ უშველა, ნიკაპი უცახცახებდა.

მეჯლისი ჯერ არ დამთავრებულიყო...

ზაბეტს ეგონა, მარტოობისგან ვიყავი დადარდიანებული. ამან ცუდ გუნებაზე დამაყენა. მარტო მოგზაურობას მიჩვეული ვარ. მე, როგორც ყველა ჭეშმარიტი მამაკაცი, ჩემი სამუშაოთი ვცოცხლობ. უფრო მეტიც, სხვანაირად ცხოვრება ვერც წარმომიდგენია. მარტო რომ ვარ, ბედნიერად ვგრძნობ თავს. ჩემი აზრით, მამაკაცისთვის ეს ერთადერთი გამოსავალია. იმას რა სჯობს, მარტო რომ გავიღვიძებ და სიტყვის თქმა არ მჭირდება. არსებობს სადმე ისეთი ქალი, რომელიც მიხვდება

ამას? უბრალო შეკითხვაც კი, როგორ გეძინაო, საშინლად მაღიზიანებს. თვალს ვახელ თუ არა, უკვე სხვა ფიქრები მიტრიალებს თავში. მე მომავალზე ფიქრსა ვარ ჩვეული, უკან არ ვიხედები. სინაზე საღამოს შესაწყნარებელია, მაგრამ სინაზე დილით ნერვებს მიშლის ხოლმე. სამი, ოთხი დღე თუ გამიტარებია ერთ ქალთან, გულახდილად ვიტყვი, მეხუთე დღეს უკვე პირფერობას ვიწყებდი. დილით გრძნობის გამომჟღავნებას ვერც ერთი მამაკაცი ვერ იტანს, ამას სჯობს, შენი ხელით რეცხო ჭურჭელი!

ზაბეტს გაეცინა...

აივანზე ქალთან ერთად საუზმის მირთმევა ცუდი არ არის, მაგრამ ასეთ ამბებს სამ კვირაზე მეტს, გულახდილად რომ ვთქვა, ვერასდროს ვუძლებდი. შვებულების დროს კიდევ მესმის, როცა კაცმა არ იცი, დღე როგორ გაიყვანო, მაგრამ სამი კვირის შემდეგ (არა უგვიანეს) უკვე ტურბინები მელანდება ხოლმე. ახლა დილით ქალების უსაქმურობას არ იკითხავთ? მაგალითად, ზოგიერთ ქალს შეუძლია პერანგის ამარამ ლარნაკში ყვავილები სხვანაირად გადაალაგოს და თან სიყვარულსა და ცოლქმრობაზე ილაპარაკოს. მამაკაცი თუ ამას იტანს, ჩემი აზრით, პირფერობს. აივი მომაგონდა. აივი ნიშნავს «სუროს» და ჩემთვის, კაცმა რომ თქვას, ასე ჰქვია ყველა ქალს. მე მინდა მარტო ვიყო! ორი ადამიანისთვის განკუთვნილი ბინა სასტუმროში თუა, კიდევ არა უშავს, იმას, როცა გინდა, მიატოვებ კაცი, მაგრამ ორი ადამიანისთვის ხანგრძლივად საცხოვრებლად გამიზნული ბინის მარტო დანახვაც კი ნერვებს მიშლის. ასეთ ცხოვრებას უცხო ლეგიონში წასვლა მირჩევნია.

ზაბეტმა მითხრა, ცინიკოსი ხართო.

მაგრამ რაც ვთქვი, ნამდვილად ასეა.

ლაპარაკი აღარ გამიგრძელებია, თუმცა მისტერ ლევინს, მე მგონი, არაფერი ესმოდა, მან თავის ჭიქას ხელი დააფარა, როცა შევსება დავაპირე, ზაბეტმა კი გამიმეორა, ნამდვილი ცინიკოსი ხართო და ვიღაცას საცეკვაოდ გაჰყვა.

ცინიკოსი ნურავის ვეგონები. მე მხოლოდ ზედმიწევნით საქმიანი კაცი ვარ. ეს კი ქალებს არ უყვართ. მე არც ურჩხული ვარ, როგორც აივი ამტკიცებს, და არც ქორწინების წინააღმდეგი გახლავართ. უმეტეს შემთხვევაში თვითონ ქალები ხვდებოდნენ, საცოლშვილოდ რომ არ ვვარგოდი. არ შემიძლია,

დიდხანს ვიყო მგრძნობიარე. ჩემთვის ერთადერთი გამოსავალი მარტოხელობაა. სულ არ მინდა, ვინმე გავაუბედურო. თუმცა ქალები ხომ თვითონ ცდილობენ თავი გაიუბედურონ. ვაღიარებ: მარტოხელობა ყოველთვის სახალისო როდია, კაცი ყოველთვის ვერა ხარ ფორმაში. სხვათა შორის, გამოცდილებით ვიცი, ქალებიც იმწამსვე მოეშვებიან ხოლმე, როცა მამაკაცი არ არის ფორმაში. ქალს როგორც კი მოეწყინება, იმწამსვე იწყება საყვედურები მამაკაცის მისამართით – გრძნობა არ გაგაჩნიაო. მაშინ, გულახდილად რომ ვთქვა, მირჩევნია, მოწყენითაც მარტომ მოვიწყინო. ვაღიარებ: ყოველთვის არც მე შემიძლია ტელევიზორის ყურება (თუმცა, სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ, რომ ტელევიზია უახლოეს წლებში კიდევ უფრო გაუმჯობესდება). ყოველთვის გუნებაზეც ვერა ვარ და სწორედ მაშინ მივესალმები მარტო ყოფნას. უბედნიერესი წუთები მაშინ დგება ჩემთვის, როცა საზოგადოებას გამოვემშვიდობები, ჩემს მანქანაში ჩავჯდები, კარს მოვაჯახუნებ, გასაღებს გადავატრიალებ, რადიოს ჩავრთავ, ელექტროკვესით სიგარეტს მოვუკიდებ, მანქანას ავამუშავებ და გაზს ფეხს დავაჭერ. ადამიანები მღლიან, ქალებიც და მამაკაცებიც, რაც შეეხება გუნებას, როგორც ვთქვი, გუნებას დიდად არაფრად ვაგდებ. კაცი ხან მოეშვები, ხან ისევ გიბრუნდება მხნეობა. ეს დაღლილობის ბრალია! ასე ფოლადსაც ემართება. გრძნობის მოჭარბება, როგორც დავადგინე, დაღლილობის გამოვლენის ფორმაა და სხვა არაფერი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მემართება – მაშინ კაცი ფარ-ხმალს ყრი! მაშინ არც წერილების წერა გშველის; წერილის წერა მარტოობის გრძნობას ვერ კლავს, სულერთია, მაინც გესმის შენი საკუთარი ფეხის ხმა ცარიელ ბინაში. ამაზე უარესია კიდევ რადიორეპროდუქტორის მოსმენა, რომელიც ან ძაღლის საკვებს უკეთებს რეკლამას, ან ნამცხვრის ფხვნილს ასხამს ხოტბას და კიდევ ღმერთმა იცის, რას არა. შემდეგ უცებ ჩაიკმენდს ხმას: «მომავალ შეხვედრამდე!» ამ დროს კი მხოლოდ ღამის ორი საათია. ვსვამ ჯინს, თუმცა ჯინი საერთოდ არ მიყვარს. ქუჩიდან ხმაური ისმის, სიგნალის ხმა, მიწისქვეშა მატარებლის გრუხუნი, ხანდახან თვითმფრინავის გუგუნიც, თუმცა სულერთი არ არის, რაც ისმის? ამ დროს უბრალოდ ვიძინებ, გაზეთი მუხლებზე მრჩება, სიგარეტი ხალიჩაზე გდია, მაშინ ვცდილობ, თავს მოვერიო. რისთვის? საიდანღაც სიმფონიას გადმოსცემენ. რადიოს ვთიშავ. შემდეგ? შემდეგ ვდგავარ შუა ოთახში, ჭიქაში ჩემი საძულველი ჯინი მისხია და

ვსვამ. ვდგავარ, რომ ნაბიჯების ხმა არ გავიგონო, ჩემი საკუთარი ნაბიჯების ხმა. ყველაფერი ეს ტრაგიკული არ არის, მაგრამ ძნელია, კაცი შენს თავს ხომ ვერ ეტყვი, «ღამე მშვიდობისაო». მერე ეს ცოლის შერთვის მიზეზად კმარა?

ზაბეტი მაგიდასთან დაბრუნდა, თავისი Citron presse დალია და ხელი წამკრა: მისტერ ლევინს, ამ გოლიათივით კაცს, ეძინა, პირზე ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს მთელ ამ აურზაურს, ქაღალდის ფრანებს, ფერად ბუშტებს, წყვილები რომ ტკაცუნით ხეთქავდნენ, ძილშიაც ასევე ხედავდა.

ამდენ ხანს რაზე ფიქრობთო, შემეკითხა ზაბეტი.

რა უნდა მეთქვა?

თქვენ რაღაზე ფიქრობთ-მეთქი, – შევუბრუნე კითხვა.

ზაბეტმა კარგად იცოდა, რასაც ფიქრობდა.

– თქვენ ცოლი უნდა შეირთოთ, მისტერ ფეიბერ!

შემდეგ კვლავ მისი მეგობარი გამოჩნდა, ზაბეტის ძებნაში მთელი გემბანი მოევლო, უნდოდა ქალიშვილი საცეკვაოდ გაეწვია. მე გადმომხედა...

– სიამოვნებით, სიამოვნებით! – ვუთხარი მე.

და ზაბეტის ხელჩანთა დავიტოვე.

კარგად ვიცოდი, რასაც ვფიქრობდი. ამას სიტყვით ვერ გამოხატავ. ჭიქას ვარყევდი, მინდოდა უკეთ მეყნოსა ღვინის არომატი და აბეზარ ფიქრებს თავიდან ვიცილებდი, მაგრამ უნებურად ცხადად წარმომიდგა თვალწინ, როგორ ერთდებიან ქალი და მამაკაცი. ისეთი განცვიფრებისა და შიშის გრძნობა დამეუფლა, როგორც ძილ-ბურანში იცის ხოლმე. რაღა მაინცდამაინც ასე? კარგად რომ დაუფიქრდე: რაღა მაინცდამაინც სხეულის ქვედა ნაწილით? ასე რომ ზიხარ, მოცეკვავეებს შეჰყურებ და ყველაფერს ნათლად წარმოიდგენ, ეს ამბავი ადამიანისათვის შეუძლებლად გეჩვენება. რაღა მაინცდამაინც ასე? სისულელეა! თუ შენ თვითონ ვნება არ გამოძრავებს, მარტო ასეთი ფიქრის გამო შეიძლება თავი შეშლილი ან გარყვნილი გეჩვენოს.

ლუდი შევუკვეთე...

იქნებ მარტო მე მემართება ასე.

მოცეკვავეებისკენ თვალს რომ გავაპარებდი, ვხედავდი, როგორ ცდილობდნენ წყვილები, ერთმანეთზე მიდებული ცხვირებით ფორთოხალი დაეჭირათ და ისე ეცეკვათ.

ნეტავ ლაიზერ ლევინი როგორია იმ დროს?

ლაიზერ ლევინი მადიანად ხვრინავდა, პირი ნახევრად დაეღო. მისი წითელი პირი აკვარიუმის მწვანე შუშაზე მიბჯენილ თევზის პირს მივამსგავსე.

აივი მომაგონდა.

როცა აივის ვეხვევი, სწორედ მაშინ მაგონდება, რომ უილიამსს უნდა დავურეკო, ხოლო ფირები გასამჟღავნებლად მაქვს ჩაბარებული. იმ დროს კი, როცა აივი ბუტბუტებს: I'm happy, oh, dear, so happy, oh, dear, oh, dear,[64] – შემიძლია, გონებაში საჭადრაკო ამოცანა გადავწყვიტო, ხოლო როცა კეფაზე მის თითებს შევიგრძნობ და ტკბობისაგან მოღრეცილ ტუჩებს დავინახავ, კედელზე წინანდებურად ირიბად დაკიდებულ სურათსაც ვხედავ და ლიფტის ხმაც კარგად მესმის. თანაც თავს ვიმტვრევ და ვერ გამიხსენებია, რა რიცხვია დღეს. ამ დროს მესმის მისი შეკითხვა: You're happy?[65] მაშინ თვალებს ვხუჭავ, რომ ჩემს მკლავებში მოქცეულ აივიზე ვიფიქრო და შეცდომით საკუთარ მკლავს ვკოცნი. შემდეგ თითქოს ყველაფერი მავიწყდება. მავიწყდება, რომ უილიამსს უნდა დავურეკო, თუმცა სულ ამაზე კი ვფიქრობდი. ფანჯარასთან ვდგავარ და სიგარეტს ვეწევი. აივი იქით ჩაის ამზადებს და უცებ მაგონდება, დღეს რა რიცხვია. ისე ვარ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს! შემდეგ მესმის, როგორ შემოდის ოთახში ვიღაც. ეს აივია, ხალათი ჩაუცვამს და ორი ფინჯანი მოაქვს. მივდივარ მასთან და ვეუბნები: აივი! – და ვკოცნი, იმიტომ, რომ აივი ცუდი გოგო არ არის, თუმცა ვერ ხვდება, რომ მარტო ყოფნა მირჩევნია...

მოულოდნელად გემი გაჩერდა.

მისტერ ლევინს უცებ გამოეღვიძა, თუმცა მე სიტყვა არ დამიძრავს და იკითხა, საუტჰემპტონში ხომ არ ვართო.

გარეთ სინათლეები მოჩანს...

ალბათ, მართლა საუტჰემპტონში ვართ.

მისტერ ლევინი წამოდგა და გემბანზე გავიდა. მე ლუდს ვსვამდი და ვცდილობდი გამეხსენებინა, ჰანასთანაც (მაშინ) ყველაფერი აბსურდული მეჩვენებოდა თუ არა. ნუთუ ყოველთვის ასე იყო?

ყველა გემბანზე გაიკრიფა.

ქაღალდის ფანრებით მორთულ დარბაზში ზაბეტი ხელჩანთის წასაღებად შემობრუნდა. გავოცდი: ულვაშებგაწკეპილ მეგობარს დაემშვიდობა და გვერდით მომიჯდა. ყმაწვილს სახე მოეღრიცა. ახალგაზრდა ჰანას სახე დამიდგა თვალწინ! მან სიგარეტი მთხოვა და ისევ მკითხა, ამდენ ხანს რაზე ფიქრობთო. რაღაც ხომ უნდა მეთქვა: ცეცხლი მივაწოდე. ალმა ნორჩი სახე გაუნათა.

მე ვკითხე, ცოლად თუ გამომყვები-მეთქი.

ზაბეტი გაწითლდა.

ნუთუ სერიოზულად ვამბობ ამას?

რატომაც არა!

გემს ცლიდნენ. ციოდა, მაგრამ გემბანის დატოვება თითქოს ღირსების შელახვას ნიშნავდა. სამეჯლისო კაბებში მორთული ქალები სიცივისგან ძაგძაგებდნენ. ნისლი, გაჩახჩახებული ღამე. სმოკინგებში გამოწკეპილი მამაკაცები ცდილობენ, თავიანთ მანდილოსნებს ხელი გადახვიონ და ისე გაათბონ. პროჟექტორები, მამაკაცების ჭრელაჭრულა ქაღალდის ქუდები, ამწე ონკანების გრიალი... ნისლი, სასიგნალო სინათლეები ნაპირზე...

ჩვენ შორიშორს ვიდექით.

გულში რომ არ გამივლია, ისეთი რამ წამომცდა, მაგრამ ნათქვამ სიტყვას უკან ხომ არ წავიღებდი. ჩვენი დუმილით ვტკბებოდი. უკვე სავსებით გამოვფხიზლდი, თუმცა ვერ ვერკვეოდი, რაზე ვფიქრობდი. ალბათ, არაფერზე.

ჩემი ბედი მის ხელთ იყო.

ერთი წუთით გამოჩნდა მისტერ ლევინი. ხელი არ შეუშლია, პირიქით, მისი გამოჩენა გამიხარდა კიდეც, მგონი, ზაბეტსაც გაუხარდა. ვიდექით ხელიხელგაყრილნი და მისტერ ლევინს ველაპარაკებოდით. მას ბურგუნდული ძილში გამოენელებინა.

ვლაპარაკობდით გემის მსახურთა დასაჩუქრებასა და ამდაგვარებზე. ღუზაჩაშვებული გემი ერთი საათი მაინც იდგა ნავსადგურში. თენდებოდა. როცა ისევ მარტო დავრჩით სველ გემბანზე, ზაბეტმა ისევ მკითხა, სერიოზულად თქვით, რაც მითხარითო? მე შუბლი დავუკოცნე, შემდეგ – აცახცახებული ქუთუთოები. მთელი ტანით კანკალებდა. ტუჩებში ვაკოცე და შევძრწუნდი: ის ჩემთვის უფრო უცხო იყო, ვიდრე ოდესმე შეხვედრილი რომელიმე გოგონა. მისი ნახევრად გახსნილი ტუჩები... არა, ეს შეუძლებელი იყო! კოცნით ამოვუმშრალე ცრემლები. სათქმელი არაფერი მქონდა... ეს შეუძლებელი იყო...

მეორე დღეს ჰავრში ჩავედით.

წვიმდა. გემბანზე ვიდექი, როცა მოწითალო ცხენისკუდიანი უცხო გოგონა ხიდზე გადიოდა, ორივე ხელში ბარგი ეჭირა და ხელის დაქნევა არ შეეძლო. მგონი დამინახა, ხელი როგორ დავუქნიე. მინდოდა გადამეღო, მაგრამ ბრბოში ზაბეტს ვეღარ ვხედავდი. ხელს მაინც ვიქნევდი. შემდეგ საბაჟოში ჩემოდანი რომ გამახსნევინეს, ზუსტად მაშინ კიდევ მოვკარი თვალი მის მოწითალო ცხენის კუდს. მან თავი დამიქნია და გამიღიმა. ორივე ხელში ბარგი ეჭირა. მუშის ფულს ზოგავდა და შეუფერებლად მძიმე ტვირთს მიათრევდა. მიშველება ვერ მოვახერხე, ისე გაუჩინარდა ბრბოში. ჩვენი შვილი! მაშინ რა ვიცოდი, ვინ იყო, მაგრამ ყელში რაღაც მომებჯინა, როცა დავინახე, ბრბოში როგორ ჩაიკარგა. მე ის მომწონდა. სხვა არაფერი ვიცოდი. შემეძლო პარიზისკენ მიმავალ საგანგებო მატარებელში ყველა ვაგონი დამევლო, მაგრამ არ ღირდა. ჩვენ ხომ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს.

პარიზში ჩავედი თუ არა, უილიამსს დავურეკე, მინდოდა, ჩემი პატაკი სიტყვიერად მაინც გადამეცა. უილიამსი მომესალმა, მაგრამ მითხრა, ახლა სალაპარაკოდ არ მცალიაო. ხომ არაფერი მოხდა-მეთქი, დავეჭვდი. პარიზი ისეთივე იყო, როგორც ყოველთვის – თითქმის მთელი კვირა კონფერენციებზე გავატარე. ჩვეულებისამებრ, ვოლტერის სანაპიროზე ვცხოვრობდი, ისევ ჩემს ოთახში, რომელიც სენასა და ლუვრს გადაჰყურებდა, ლუვრს, სადაც მე არასდროს ფეხი არ შემიდგამს. ლუვრი ზედ ჩემი სასტუმროს წინ იყო.

უილიამსი რაღაც უცნაურად იქცეოდა...

– It’s okay, – იმეორებდა წამდაუწუმ, სანამ გვატემალაში ჩემი

მოგზაურობის ამბავს ვუყვებოდი. გვატემალაში ჩემს წასვლას, როგორც კარაკასშივე გავიგე, საქმე არაფრით დაუბრკოლებია. ტურბინები მონტაჟისთვის მაინც არ იყო მზად და რაც მთავარია, პარიზში დანიშნულ კონფერენციას, ამ თვეში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას, დროზე ჩამოვუსწარი.

– It's okay, – მითხრა მაშინაც, როცა ჩემი სიყრმის მეგობრის შემაძრწუნებელი თვითმკვლელობის ამბავი მოვუყევი. და ბოლოს: – What about some holidays, Walter?[66]

ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა.

– What about some holidays? – გამიმეორა მან, – you're looking like...[67]

ამ დროს გაგვთიშეს.

– This is mr. Faber, this is...[68]

უილიამსს ის თუ ეწყინა, რომ არ ჩამოვფრინდი, არ ვიცი. მისი გადაკრული სიტყვა, დასვენებაზე რას იტყვიო, მხოლოდ ირონიულად შეიძლებოდა ყოფილიყო ნათქვამი. ასე გარუჯული იშვიათად ვყოფილვარ, ხოლო გემზე კარგი ჭამა-სმის წყალობით ჩვეულებრივზე მომატებულიც ვიყავი, თან, როგორც ვთქვი, მზეზე გარუჯულიც...

უილიამსი რაღაც უცნაურად იქცეოდა.

კონფერენციის შემდეგ სრულიად უცნობ რესტორანში შევედი. უილიამსის გახსენებაზე გუნება მეწამლებოდა. რამდენადაც ვიცნობდი, წვრილმანი კაცი არ იყო. იქნებ უილიამსს ეგონა, რომ გზაში სასიყვარულო თავგადასავალი გადამხდა? მისი ჩაცინება მწყინდა, რადგან საქმეში, როგორც ვთქვი, კეთილსინდისიერების განსახიერება გახლავართ. ჯერ არ ყოფილა – და ეს უილიამსმაც მშვენივრად იცოდა – რომ მე ქალის გულისთვის კონფერენციაზე ნახევარი საათითაც კი დამეგვიანებინოს. ასეთი რამ საერთოდ არ მომსვლია. ყველაზე უფრო მისი უნდობლობა თუ რაც იყო, მიფუჭებდა გუნებას. მისი «It's okay!» მეც ისე ამეკვიატა, რომ წამდაუწუმ ვიმეორებდი და ოფიციანტიც, როგორც იდიოტს, ისე მექცეოდა.

– Bon monsieur, c'est un vin rouge.[69]

– It's okay, – ვუპასუხე მე.

– Du vin rouge, – გამიმეორა მან, – du vin rouge avec des poissons?[70]

უბრალოდ დამავიწყდა, რა შევუკვეთე. თავში სულ სხვა რამ მიტრიალებდა. სასირცხო და გასაწითლებელი აქ არაფერი იყო, მაგრამ ვცოფდებოდი, ეს ოფიციანტი (თითქოს ვინმე ველურს ემსახურებოდა) როგორ მიკარგავდა გამბედაობას. ბოლოს და ბოლოს, არავითარი საბაბი არ მაქვს, არასრულფასოვნების გრძნობა გამიჩნდეს. ჩემს საქმეს კარგად ვუძღვები. თავი დიდად არ მომაქვს, მაგრამ ერთი ოჰაიოელი ბაპტისტისოდენა საქმეს მეც ვაკეთებ ამ ქვეყანაზე. ის ბაპტისტი ინჟინრებს დასცინის, მაგრამ, მე თუ მკითხავ, ინჟინერი მასზე გაცილებით სასარგებლო საქმეს აკეთებს. მე ისეთ მონტაჟებს ვხელმძღვანელობ, მილიონები რომ ჯდება. რამდენი ელსადგური ამიშენებია, ვინ მოთვლის. სპარსეთშიც მიმუშავია და აფრიკაშიც, პანამაში, ვენესუელასა და პერუშიც. ღრუბლებში კი არ დავფრინავ, როგორც, ალბათ, ამ ოფიციანტს ჰგონია.

– Voila, monsieur![71]

ნამდვილი სანახაობაა, ოფიციანტი თავის ბოთლს რომ დაგანახებს, შემდეგ საცობს ოსტატურად ამოაძრობს, ჭაშნიკს დაგისხამს და გეკითხება:

– Il est bon?[72]

არასრულფასოვნების გრძნობას ვერ ვიტანდ.

– It’s okay! – ვთქვი მე, ოღონდ მორიდების გამო კი არა – ღვინოს საცობის გემო დაჰკრავდა, მაგრამ კამათის თავი არ მქონდა, – it’s okay!

თავში სულ სხვა ფიქრები მიტრიალებდა.

ჯერ კარგად მოსაღამოებული არ იყო და რესტორანში მარტო მე ვიყავი. მხოლოდ ერთი რამ მაღიზიანებდა: ჩემს პირდაპირ მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული სარკე. ავიხედავდი თუ არა, ჩემს თავს წინაპართა სურათივით ჩარჩოში ჩასმულს ვხედავდი: მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული ვალტერ ფაბერი სალათას მიირთმევს. უპეები ოდნავ ჩამუქებული მაქვს, თორემ ისე, როგორც ვთქვი, გარუჯული ვარ, წინანდელთან შედარებით, მოკეთებულიც კი და საერთოდ, მშვენივრად გამოვიყურები. მოკლედ (ეს უსარკოდაც კარგად ვიცოდი), 50 წელი

მამაკაცისთვის საუკეთესო ასაკია. ჭაღარა მირევია, მაგრამ მაინც სპორტული ტიპის მამაკაცი მეთქმის. ლამაზი მამაკაცები არც მომწონს. ცხვირი რომ ცოტა გრძელი მაქვს, ეს ამბავი მხოლოდ სქესობრივი მომწიფების ხანაში მაწუხებდა, მას შემდეგ ბევრმა ქალმა გამიქარწყლა არასრულფასოვნების გრძნობა. ამ წუთში მხოლოდ დარბაზი მაღიზიანებდა: საითაც უნდა გაგეხედა, ყველგან სარკეს დაინახავდი, თან უსაშველოდ დიდხანს ვუცდიდი ჩემს შეკვეთილ თევზს. ოფიციანტს ხმამაღლა ვუსაყვედურე, თუმცა დრო ბევრი მქონდა. იმის შეგრძნება, რომ ოფიციანტი არაფრად მაგდებდა, ნერვებს მიშლიდა. ხუთი ოფიციანტი ერთმანეთს ეჩურჩულებოდა. ცარიელ დარბაზში ერთადერთი სტუმარი მე ვიყავი. საითაც გავიხედე, ყველგან მოოქრულ ჩარჩოში ჩასმული ვალტერ ფაბერი ანამცეცებდა პურს. ბოლოს და ბოლოს მოიტანეს თევზი. შესანიშნავი იყო, მაგრამ გემო მაინც ვერ ჩავატანე. არ ვიცი, რა დამემართა.

You are looking like...

უილიამსის ამ სულელური შენიშვნის გამო (თან ვიცი, რომ უილიამსს ვესიმპათიურები) თევზის ჭამის მაგიერ ამ სასაცილო სარკეებში ვიხედებოდი. სარკეები ჩემს ანარეკლს რვა ეგზემპლარად მიჩვენებდნენ.

რა თქმა უნდა, კაცს ხანი გემატება...

რა თქმა უნდა, მალე თავიც გამიმელოტდება...

ექიმებთან სიარულს მიჩვეული არა ვარ. ბრმა ნაწლავის ოპერაციას თუ არ ჩავთვლით, ჩემს სიცოცხლეში ავად არ ვყოფილვარ. ახლაც მხოლოდ იმიტომ ვიხედებოდი სარკეში, რომ უილიამსმა მითხრა, ხომ არ აჯობებდა, შვებულება აგეღოო. თანაც მზეზე ისე ვიყავი გარუჯული, როგორც არასდროს. იმ სტიუარდესობას მონატრებულ გოგონას თვალში შეიძლება ერთი დარბაისელი კაცი ვჩანდი, მაგრამ ცხოვრებისგან დაღლილი მამაკაცი მაინც არ მეთქმოდა, პირიქით, ისიც აღარ გამხსენებია, პარიზში ექიმთან მისვლას რომ ვაპირებდი.

თავს სავსებით ჯანსაღად ვგრძნობდი.

მეორე დღეს (კვირას) ლუვრში წავედი, მაგრამ ცხენისკუდიანი გოგონა ვერსად ვნახე, თუმცა იქ მთელი საათი დავყავი.

*

ჩემი პირველი სიახლოვე ქალთან, ყველაზე პირველი, კაცმა რომ თქვას, აღარც კი მახსოვს, ესე იგი, როცა არ მინდა, არც ვიხსენებ ხოლმე. ის ქალი ჩემი მასწავლებლის ცოლი იყო. ამ მასწავლებელს სიმწიფის ატესტატის მიღებამდე ცოტა ხნით ადრე ყოველ შაბათს შინ მივყავდი. სახელმძღვანელოს კორექტურაში ვეხმარებოდი, რომ რაღაც გროშები ამეღო. მოტოციკლის ყიდვა ოცნებად მქონდა გადაქცეული, არ დავეძებდი, ძველი იქნებოდა თუ ახალი, ოღონდ კი ევლო. მასწავლებელი ტუშით მახაზვინებდა გეომეტრიულ ფიგურებს, პითაგორას თეორემას და სხვა მისთანებს, იმიტომ, რომ მათემატიკაში ყველას ვჯობდი. მისი მეუღლე, ჩემი მაშინდელი შეხედულებით, ხანში შესული ქალი იყო, ალბათ, ორმოციოდე წლის იქნებოდა. საცოდავს ფილტვების ტუბერკულოზი სჭირდა. ის რომ ჩემს ბიჭურ სხეულს კოცნიდა, ხან გიჟი მეგონა, ხან ძუკნა, თან კი ძველებურად «ფრაუ პროფესორს» ვეძახდი... სისულელე იყო. ეს ამბავი იმ წუთშივე მავიწყდებოდა. მხოლოდ მაშინ დამივლიდა შიშის ჟრუანტელი, როცა კლასში ჩემი მასწავლებელი შემოვიდოდა და რვეულებს უსიტყვოდ დაალაგებდა კათედრაზე. მეშინოდა, ვაითუ ყველაფერი გაიგო და ახლა მთელ ქვეყანას შემიყრის-მეთქი. საქმე რვეულების დარიგებაზე რომ მიდგებოდა, მასწავლებელი კლასის წინ გამომიყვანდა ხოლმე, როგორც ერთადერთ მოწაფეს, რომელსაც არც ერთი შეცდომა არ ჰქონდა.

მასწავლებლის ცოლი იმავე ზაფხულს გარდაიცვალა და მეც ისე დამავიწყდა იგი, როგორც წყურვილის მოსაკლავად სადმე დალეული წყალი გავიწყდება კაცს. რა თქმა უნდა, მისი დავიწყებისთვის სინდისი მქენჯნიდა და თავს ძალას ვატანდი, თვეში ერთხელ მის საფლავზე მივსულიყავი. ჩანთიდან მალულად ამოვაძვრენდი ორ ღერ ყვავილს და სწრაფად დავაწყობდი საფლავზე (საფლავს ჯერ ქვაც არ ედო, მხოლოდ ნომერი ჰქონდა), თან სირცხვილით ვიწვოდი, რომ მიხაროდა, ამ ამბავს თავი დავაღწიე-მეთქი.

მხოლოდ ჰანასთან არ ყოფილა არასოდეს ეს ამბავი უაზრობა.

*

გაზაფხული იდგა, მაგრამ თოვდა, ჩვენ რომ ტიულრის ბაღში

ვისხედით. თოვლი მოწმენდილი ციდან ცვიოდა. თითქმის ერთი კვირა იქნებოდა, ერთმანეთი არ გვენახა. ჩემთან შეხვედრა გაუხარდა. მგონი, სიგარეტები შემოელია და იმიტომ. ჯიბეში გროში აღარ ედო.

– არც დამიჯერებია, რომ ამბობდით, ლუვრში არ დავდივარო, – მითხრა მან.

– ყოველ შემთხვევაში, იშვიათად.

– იშვიათად! – გაეცინა მას, – გუშინწინაც დაგინახეთ ქვევით, ანტიკურ დარბაზში და გუშინაც.

ნამდვილი ბავშვი იყო, თუმცა სიგარეტი მოუშორებლად ეკავა პირში. მართლა ეგონა, რომ შეიძლებოდა პარიზში ერთმანეთს შემთხვევით შევხვედროდით. ისევ თავისი შავი შარვალი და ესპადრილები ეცვა, ზედ კაპიუშონიანი ქურთუკი წამოესხა და, რა თქმა უნდა, თავშიშველი იყო. მოწითალო ცხენის კუდზე ათოვდა. როგორც ვთქვი, მოწმენდილი ციდან თოვდა.

– არ გცივათ?

– არა, თქვენ?

16.00-ზე ისევ კონფერენცია იყო დანიშნული...

– დავლიოთ ყავა? – ვკითხე მე.

– ო, სიამოვნებით, – მიპასუხა მან.

თანხმობის მოედანზე რომ გადავდიოდით, პოლიციელმა დაგვისტვინა, მან ხელი ჩამჭიდა. ამას კი არ მოველოდი. იძულებული გავხდით გავქცეულიყავით, რადგან პოლიციელმა უკვე ასწია თავისი თეთრი კვერთხი და მანქანების ჯარი ჩვენკენ დაიძრა. გადარჩენილები ხელიხელჩაკიდებულნი ტროტუარზე რომ აღმოვჩნდით, შევამჩნიე, ქუდი აღარ მქონდა. ჩემი ქუდი შუა ქუჩაში, ატალახებულ თოვლში ეგდო გაჭყლეტილი.

– Eh bien![73] – ვთქვი მე, გოგონას ხელი გამოვდე და ბიჭივით თავშიშველა დავადექი გზას ამ თოვლ-ჭყაპში.

ზაბეტს შიოდა.

არ მინდოდა გულში სიამაყის ჭია შემპარვოდა და თავს

ჩავაგონე, ჩემი ნახვა იმიტომ გაუხარდა, რომ ჯიბე გამოცარიელებული ჰქონდა-მეთქი. ნამცხვარს ისე ყლაპავდა, არც ზევით იხედებოდა და არც ლაპარაკისთვის ეცალა... ვერასგზით ვერ დავიყოლიე, რომში ავტოსტოპით არ წასულიყო. პროგრამაც კი ჰქონდა ზუსტად შედგენილი: ავინიონი, ნიმი, მარსელი სავალდებულო არ არის, მაგრამ სავალდებულოა პიზა, ფლორენცია, სიენა, ორვიეტო, ასიზი და ღმერთმა იცის, კიდევ რა. ამ დილით ვეცადე კიდეც თანამგზავრი მეპოვა, მაგრამ ეტყობა, შესაფერ ქუჩაზე ვერ მოვხვდიო.

– დედათქვენმა იცის ეს?

მიმტკიცებდა, იცისო.

– მერე, არ დარდობს?

სკამზე ისღა მაჩერებდა, რომ დანახარჯი უნდა გადამეხადა, პორტფელი უკვე მუხლებზე მედო. სწორედ ახლა, როცა უილიამსი ასეთი უცნაური გახდა, არ მინდოდა კონფერენციაზე დამეგვიანებინა.

– რა თქმა უნდა, დარდობს, – მიპასუხა მან. უკანასკნელი ნამცეცები კოვზით შეაგროვა, მხოლოდ ზრდილობის გამო შეიკავა თავი, რომ თეფში ენითაც არ გაელოკა. გაიცინა, – დედა ყოველთვის დარდობს.

შემდეგ მითხრა:

– მე დავპირდი, პირველივე შემხვედრს არ გავყვები-მეთქი. ასეც მოვიქცევი, სულელი კი არა ვარ.

ამასობაში ოფიციანტს ანგარიში გავუსწორე.

– გმადლობთ, – მითხრა ზაბეტმა.

ვერ გავბედე მეკითხა, ამ საღამოს რას აკეთებ-მეთქი. ჯერ კიდევ არ ვიცოდი კარგად, ეს გოგონა რას წარმოადგენდა. უდარდელი კი იყო, მაგრამ რა თვალსაზრისით, არ ვიცოდი. ალბათ, ვინც უნდა დაპატიჟოს, გაჰყვება-მეთქი. ამ აზრს არ აღუშფოთებივარ, მაგრამ მაეჭვიანებდა კი, მეტიც, სენტიმენტალურ გრძნობებს მიღვიძებდა.

– კიდევ შევხვდებით ერთმანეთს? – ვკითხე და მაშინვე დავძინე, – თუ არადა, ბედნიერებას გისურვებთ.

მართლა მეჩქარებოდა.

– თქვენ აქ დარჩებით?

– დიახ, – მითხრა მან, – მე ხომ დრო მაქვს.

უკვე ფეხზე ვიდექი.

– თუ დრო გაქვთ, მაშინ პატივი მეცით და... – ჩემი დაკარგული ქუდი მოვათვალიერე, – ოპერაში მინდა წასვლა, – განვაგრძე, – მაგრამ ბილეთი არ მაქვს...

ჩემმა მოხერხებულობამ გამაკვირვა. ოპერაში, რა თქმა უნდა, არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ზაბეტი ისეთი მიამიტი იყო, რომ ჩემს გულწრფელობაში ერთი წუთით არ შეჰპარვია ეჭვი, ოპერაში რა გადიოდა, ისიც კი არ ვიცოდი.

ფული გამომართვა, მზად იყო, ჩემთვის ესიამოვნებინა.

– თქვენც თუ გინდათ წამოსვლა, – ვუთხარი მე, – აიღეთ ორი ბილეთი და შვიდ საათზე ისევ აქ შევხვდეთ.

– ორი?

– დიდებულიაო, ამბობენ!

ეს მისის უილიამსისგან მქონდა გაგონილი.

– მისტერ ფეიბერ, – მითხრა ზაბეტმა, – უხერხული ხომ არ იქნება?

კონფერენციაზე დამაგვიანდა.

პროფესორი ო. მართლა ვერ ვიცანი. უეცრად გადამიდგა წინ და მეუბნება: – საით მიგეჩქარებათ, ფაბერ, საით?

ფერი რომ დაჰკარგვია, ეგ კიდევ არაფერი, სახე უცნაურად შეცვლია. მხოლოდ ეს ვიცი, ამ სახეს ვიცნობ, ვიცნობ ამ ღიმილსაც, მაგრამ საიდან? მგონი, შემატყო, რომ ვერ გავიხსენე.

– ვეღარ მიცანით? – იცინის ამაზრზენად და განაგრძობს, – დიახ, დიახ, დიდი გაჭირვება გადავიტანე!

მის სახეს სახე აღარ ჰქვია, ეს არის კანგადაკრული თავის ქალა. მიმიკა პროფესორ ო-ს მაგონებს, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ მისი თავის ქალაა. მეტისმეტად ფართო ღიმილი სახეს უმახინჯებს, მეტისმეტად ფართოდ იღიმება თვალებთან შედარებით,

რომლებიც ფოსოებში აქვს ჩაცვენილი.

– ბატონო პროფესორო! – ვეუბნები და ენას კბილს ვაჭერ, მეშინია, არ წამომცდეს, «ვიცი, ვიცი, თქვენზე მითხრეს, გარდაიცვალაო». ამის მაგივრად ვეუბნები, – როგორ ბრძანდებით?

ასეთი გულთბილი არასოდეს ყოფილა, ყოველთვის პატივს ვცემდი, მაგრამ არა, ასეთი გულთბილობა მისგან არ მახსოვს. ტაქსის კარზე ხელი მიკიდია. გაზაფხულია პარიზში!.. იცინის და ვერ გაიგებ, რა აცინებს ასე გაუთავებლად. მას ვიცნობ როგორც შვეიცარიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს და არა როგორც მასხარას. გააღებს თუ არა პირს, გეგონება, იცინისო. დიახ, დიახ, იცინის იგი, ახლა არა მიშავს რა. საქმე ის არის, რომ სინამდვილეში სულაც არ იცინის, განა მიცვალებულის თავის ქალას სიცილი შეუძლია? მხოლოდ გეჩვენება, იცინისო. ბოდიშს ვუხდი, მაშინვე რომ ვერ ვიცანი. მუცელიც დასტყობია, რაც თავის დღეში არ ჰქონია, თუმცა მუცელი კი არა, ნეკნებს ქვემოდან გამობერილი ბუშტი, ტანზე კი გამხდარა, კანი პერგამენტისას თუ თიხისას მიუგავს. თვალები უციმციმებს, მაგრამ სადღაც შორს აქვს ჩაკარგული. რაღაცას მივედ-მოვედებოდი. თვალში მომხვდა პროფესორის დიდი ყურები.

– საით მიგეჩქარებათ? – იცინის იგი და მეკითხება, აპერიტივი ხომ არ დავლიოთო. როგორც ვთქვი, მეტისმეტ გულითადობას იჩენს. ჩემს ციურიხელ პროფესორს ყოველთვის პატივს ვცემდი, მაგრამ ახლა მართლა არ მქონდა დრო.

– ძვირფასო ბატონო პროფესორო! – ასე მისთვის არასოდეს მიმიმართავს, – ძვირფასო ბატონო პროფესორო! – ვეუბნები იმიტომ, რომ მკლავში ჩამჭიდა ხელი. მე უკვე ვიცი ის, რაც აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, მაგრამ თვითონ, ეტყობა, არაფერი იცის. პროფესორი იცინის.

– მაშინ სხვა დროს იყოს! – მეუბნება იგი, მე კი ვიცი, რომ ეს კაცი უკვე მკვდარია.

– სიამოვნებით! – ვპასუხობ და ტაქსიში ვჯდები.

კონფერენციაზე რა ითქვა, არაფერი გამიგია.

პროფესორი ო. მუდამ მისაბაძ პიროვნებად მიმაჩნდა. იგი არც

ნობელის პრემიის ლაურეატი ყოფილა და არც ციურიხის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბევრი პროფესორივით ქუხდა მსოფლიოში, მაგრამ ნამდვილად კარგი სპეციალისტი გახლდათ. არასოდეს დამავიწყდება, როგორ ვეხვიეთ გარშემო თეთრხალათიანი სტუდენტები და მის «აღმოჩენებზე» როგორ ვხარხარებდით.

– საქორწინო მოგზაურობა (ასე იცოდა თქმა) სავსებით საკმარისია, შემდეგ ყველაფერ მნიშვნელოვანს პუბლიკაციებში იპოვით. ისწავლეთ, ბატონებო, უცხო ენები, მაგრამ მოგზაურობას, ბატონებო, შუა საუკუნეების სუნი უდის. დღესაც კი, აღარაფერს ვამბობ ხვალინდელ და ზეგინდელ დღეზე, კომუნიკაციების ისეთი საშუალებანი გვაქვს, ოღონდ მოინდომე და მთელი მსოფლიოს ამბები შინ მოგივა. ერთი ადგილიდან მეორე ადგილას წასვლა ატავიზმია და მეტი არაფერი. თქვენ გეცინებათ, ბატონებო, მაგრამ ასეა, მოგზაურობა ატავიზმია, დადგება დღე, როცა მიმოსვლის საშუალებები სულ აღარ იქნება და მხოლოდ ახალჯვარდაწერილები ირიხინებენ დედამიწის ზურგზე «დროშკებით», სხვა არავინ. თქვენ გეცინებათ, ბატონებო, მაგრამ მერწმუნეთ, ამას მოესწრებით!

ახლა კი უცებ პარიზში გადავეყარეთ ერთმანეთს.

იქნებ ამიტომ იცინოდა ასე გაუთავებლად. იქნებ არ არის მართალი, კუჭის კიბო აქვსო, რომ ამბობენ. იქნებ იმაზე ეცინება, ორი წლის წინ ყველა რომ გაიძახოდა, ორი თვის სიცოცხლეღა დარჩენიაო. ის ჩვენ დაგვცინის. დარწმუნებულია, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს...

კონფერენცია ორ საათს გაგრძელდა.

– უილიამს, – ვუთხარი მე, – I changed my mind.[74]

– What’ s the matter?[75]

– Well’ I changed my mind...

უილიამსმა სასტუმრომდე მიმიყვანა. გზაში მოვახსენე, ვფიქრობ, მართლა დავისვენო, ხანმოკლე შვებულება ავიღო გაზაფხულის ხათრით-მეთქი. ორი კვირა, მეტი არა. მოვივლი ავინიონს და პიზას, ფლორენციას, რომს. უილიამსი სულ არ გაოცებულა, პირიქით, ჩვეულებრივზე მეტი გულისხმიერება

გამოიჩინა, მაშინვე შემომთავაზა თავისი სიტროენი. თვითონ მეორე დღეს ნიუ-იორკში მიფრინავდა.

– Walter, – მითხრა მან, – have a nice time![76]

პირი გავიპარსე და ყოველი შემთხვევისათვის ტანსაცმელიც გამოვიცვალე, იქნებ ოპერაში მართლა წავსულიყავით. დანიშნულ ადგილზე დიდი ხნით ადრე მივედი, თუმცა შანზელიზეზე ფეხით ვიარე. იქვე, მახლობელ კაფეში შევედი და ინფრაწითელი სხივებით გამთბარ მინის ვერანდაზე დავჯექი. პერნო მომიტანეს თუ არა, ქუჩაზე ცხენისკუდიანმა უცხო გოგონამაც გაიარა. არ დავუნახივარ. ისიც ძალიან ადრე მოვიდა. შემეძლო, დამეძახა კიდეც...

გოგონა კაფეში შევიდა და მაგიდასთან დაჯდა.

ბედნიერი ვიყავი. აუჩქარებლად ვსვამდი პერნოს და მინის ვერანდიდან ვუთვალთვალებდი, როგორ შეუკვეთა რაღაც, როგორ იცდიდა, როგორ მოსწია სიგარეტი. ერთხელ საათზე დაიხედა. ისევ კაპიუშონიანი შავი ქურთუკი ეცვა, მის ქვეშ კი – ლურჯი კაბა. საოპეროდ გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი პომადას ფერს უსინჯავდა და თან ლიმონის წვენს სვამდა. პარიზში ასე ბედნიერი ჩემს სიცოცხლეში არ ვყოფილვარ. ვუცდიდი ოფიციანტს. მინდოდა დანახარჯი გამესტუმრებინა და იმ გოგონასთან მივსულიყავი, მე რომ მელოდა. თან მიხაროდა კიდეც, ოფიციანტი რომ მაცდევინებდა, თუმცა მაინც ავბუზღუნდი. ამაზე ბედნიერი ვეღარასოდეს ვიქნებოდი.

*

ქალიშვილი, მე რომ ოპერაში წავიყვანე, ის ბავშვი აღმოჩნდა, რომელიც არა პოლიტიკური ვითარების, არამედ ჩვენი პირადი მოსაზრებების გამო არც ერთს (არც ჰანას და არც მე) არ გვინდოდა ამქვეყნად გაჩენილიყო. მას შემდეგ, რაც ჩემთვის ცნობილი გახდა ეს ამბავი, სულ სხვადასხვა ტიპის ხალხს ვესაუბრე ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის თაობაზე. ძირითადად ისინიც ჩემს აზრს იზიარებდნენ, აბორტი დღეს ჩვეულებრივი ამბავია. აბა, დაუკვირდით: რას ვიზამდით, აბორტი რომ არ ყოფილიყო? პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე ადამიანებს სწორედ მედიცინისა და ტექნიკის პროგრესი ავალდებულებთ ახალ გზებს მიაკვლიონ, თორემ ერთ საუკუნეში შეიძლება კაცობრიობის რიცხვი გასამკეცდეს.

წინათ არავითარი ჰიგიენა არ არსებობდა. ბავშვების დაბადება და ბუნების ნება-სურვილით პირველ წელიწადსვე სიკვდილი კაცობრიობის უსისტემო ზრდის შეჩერების პრიმიტიული გზაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეთიკურად გამართლებული არ არის. მელოგინის გადარჩენისათვის ბრძოლა, საკეისრო კვეთა, ინკუბატორები უდღეურებისათვის... ჩვენ, წინაპრებთან შედარებით, გაცილებით სერიოზულად ვეკიდებით სიცოცხლეს.

იოჰან სებასტიან ბახს ცამეტი (თუ დაახლოებით ამდენი) შვილი ჰყავდა და აქედან 50 პროცენტიც არ შერჩენია. ადამიანები ბაჭიები კი არ არიან! პროგრესს თავისი ლოგიკა აქვს. ჩვენი საქმე ჩვენვე უნდა მოვაგვაროთ. დედამიწას მოსახლეობის სიჭარბე ემუქრება. ჩემი პოლკის ექიმი, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში იყო ნამსახურევი, ასე ამბობდა: თუ არაბები ერთ მშვენიერ დღეს იმას მიხვდებიან, რომ ფიზიოლოგიური მოთხოვნილება საკუთარი სახლის ყურეში არ უნდა დაიკმაყოფილონ, მაშინ ოც წელიწადში არაბი მოსახლეობის გაორკეცებას უნდა მოველოდეთო.

ეს ბუნება მიმართავს ჭარბწარმოებას რომელიმე გვარის შესანარჩუნებლად. ჩვენ გვარის შესანარჩუნებლად სხვა საშუალებებიც გვაქვს. სიცოცხლე წმინდათაწმინდა რამ არის. ბუნებრივი ჭარბწარმოება (თუ ცხოველებივით შვილების დაყრას არ მოვიშლით) კატასტროფამდე მიგვიყვანს. გვარს კი არ შევინარჩუნებთ, პირიქით, გადავაჯიშებთ. ბოლოს და ბოლოს, რამდენ ადამიანს გამოკვებავს დედამიწა? აი, რესურსების გაზრდა კი შესაძლებელია. იუნესკოს ამოცანაა სუსტად განვითარებული ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია, მაგრამ რესურსების უსაზღვროდ გაზრდაც შეუძლებელია. დღეს პოლიტიკა სრულიად ახალი პრობლემების წინაშე დგას.

გადავხედოთ სტატისტიკას. მაგალითად, ტუბერკულოზით დაავადებულთა რიცხვის 30-დან 8 პროცენტამდე დაყვანა პროფილაქტიკის წყალობაა. მამაზეციერი პროფილაქტიკას შავი ჭირის შემწეობით აკეთებდა. შავი ჭირი ხელიდან გამოვტაცეთ. აქედან დასკვნა: გამრავლების ძალაც უნდა გამოვტაცოთ ხელიდან. საჩოთირო აქ არაფერია. პირიქით, ადამიანის ღირსება ის არის, რომ გონივრულად იმოქმედოს და გადაწყვეტილებაც დამოუკიდებლად მიიღოს, თუ არადა, მაშინ შავი ჭირის მაგიერ ომს მოვიშველიებთ. რომანტიკის დრო

მოკვდა. ვინც აბორტს პრინციპულად უარყოფს, ის რომანტიკოსია და პასუხისმგებლობის გრძნობაც არ გააჩნია. რა თქმა უნდა, ეს ამბავი თავქარიანობის გამო კი არა, გარკვეული პრინციპის კარნახით უნდა მოხდეს. ფაქტს თვალი უნდა გავუსწოროთ, თუნდაც იმ ფაქტს, რომ კაცობრიობის არსებობა ნედლეულზე დიდად არის დამოკიდებული. ამჟამად ფაშისტურ ქვეყნებსა და საფრანგეთში შობადობის წახალისება სისაძაგლეა და მეტი არაფერი. ამას საცხოვრებელ ფართზე მოთხოვნილება მოჰყვება. ავტომატიკაც არ უნდა დაგვავიწყდეს – ჩვენ ახლა იმდენი ხალხი აღარ გვჭირდება. უფრო ჭკვიანური იქნებოდა, ცხოვრების დონე აგვემაღლებინა. სხვა ყველაფერს ომისა და ტოტალური განადგურებისაკენ მივყავართ. უმეცრება და საქმეში ჩაუხედაობა ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული. სწორედ მორალისტები თესავენ ამქვეყნად ყველაზე მეტ ბოროტებას. აბორტი კულტურის ნაყოფია. მხოლოდ ჯუნგლებში იბადებიან და იხოცებიან ბუნების ნება-სურვილით. ადამიანს დაგეგმვის უნარი აქვს. რომანტიკას ბევრი უბედურება მოაქვს. რამდენი უიღბლო ქორწინება ხდება მხოლოდ აბორტის შიშით დღესაც კი. რა განსხვავებაა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებასა და სამედიცინო ჩარევას შორის? ორივე შემთხვევაში მჟღავნდება ადამიანის ნება, არ იყოლიოს ბავშვი. მაინც რამდენი ბავშვია სასურველი? სულ სხვა ამბავია, რომ ქალს დაბადებამდე უყვარს შვილი, ეს ავტომატური ინსტინქტია. მას ავიწყდება, რომ თვითონაც არ უნდოდა ბავშვი. ამას ემატება მამაკაცზე გაბატონების სურვილი. დედობა ქალის ეკონომიკური ბრძოლის ერთ-ერთი იარაღია. რას მიქვია ბედისწერა? სასაცილოა, მექანიკურ-ფიზიოლოგიურ შემთხვევითობას ბედისწერა დაარქვა, ეს თანამედროვე ადამიანს არ შეეფერება. ბავშვები არის ის, რაც გვინდა ან, უფრო სწორად, რაც არ გვინდა. ქალისთვის მავნეა აბორტი? ყოველ შემთხვევაში, ფიზიოლოგიურად არა, თუ ვინმე გამოუცდელ ექიმს არ ჩაუვარდა ხელში, ფსიქიკურად კი მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არის ესა თუ ის პიროვნება თვითონვე შეპყრობილი მორალური და რელიგიური ცრურწმენებით. ჩვენ ან უნდა უარვყოთ ბუნება, როგორც კერპი, ან არადა, თანმიმდევრულნი უნდა ვიყოთ: მაშინ არც პენიცილინი უნდა გვინდოდეს, არც მეხამრიდი, არც სათვალე, არც რადარი და არც სხვა რამ. ჩვენ ტექნიკის საუკუნეში ვცხოვრობთ, ადამიანი ბუნების დამპყრობელია, ადამიანი ინჟინერია და ვინც ამის

წინააღმდეგ ილაშქრებს, მან არც იმ ხიდზე უნდა გაიაროს, რომელიც ბუნებას არ აუგია. კაცი თანმიმდევრული უნდა იყოს. თუ აბორტს უარყოფს, მაშინ ყოველგვარი სამედიცინო ჩარევაც უნდა უარყოს; ეს ნიშნავს, აპენდიციტს მოაკვლევინოს თავი. იმიტომ, რომ ასეთია ბედისწერა! მაშინ ნურც ნათურები გვინდა, ნურც მოტორი, ნურც ატომური ენერგია, ნურც გამომთვლელი მანქანა, ნურც ნარკოზი – მაშინ დავიძრათ ჯუნგლებისაკენ!

*

იტალიაში მოგზაურობაზე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა. ბედნიერი ვიყავი იმიტომ, რომ, ჩემი ფიქრით, ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, გოგონაც ბედნიერად გრძნობდა თავს.

ის ახალგაზრდებს დასცინოდა.

– ბიჭბუჭები! – ამბობდა იგი, – შენ ვერც კი წარმოიდგენ, რა საშინელებაა! სიმართლე გითხრა, თავი მათი დედა მგონია.

ფანტასტიკური ამინდი იდგა.

საქმეს მხოლოდ ხელოვნებისადმი მისი გადაჭარბებული სიყვარული მიჭირვებდა, ამოჩემებული ჰქონდა, უნახავი არაფერი დარჩენოდა. იტალიაში, მგონი, ადგილი არ დაგვიტოვებია, რომ არ შევჩერებულიყავით: პიზა, ფლორენცია, სიენა, პერუჯა, არეცო, ორვიეტო, ასიზი. ასე მოგზაურობას მიჩვეული არა ვარ. ფლორენციაში ვიფეთქე და მის ფრა ანჯელიკოზე გულახდილად ვთქვი, დიდი ვერაფერი შვილია-მეთქი, შემდეგ გამოვასწორე: გულუბრყვილოა-მეთქი. არ შემომდავებია, პირიქით, გაუხარდა კიდეც: მის თვალში გულუბრყვილოს გაცილებით მეტი ფასი ჰქონდა.

აი, კამპარით კი ნამდვილად ვტკბებოდი!

ჰო, მანდოლინებიან მათხოვრებსაც არა უშავდა რა...

მაინტერესებდა: გზებისა და ხიდების მშენებლობა, ახალი «ფიატი», რომის ახალი ვაგზალი, ახალი მოტორიანი ვაგონი, ახალი საბეჭდი მანქანა «ოლივეტი».

ქუდი რომ შემიგდო, მუზეუმში მაინც ვერ შემიყვან.

მე სან მარკოს მოედანზე ვიჯექი (სანამ ზაბეტი, მგონი, მხოლოდ სიჯიუტის გამო, მთელ ტაძარს ათვალიერებდა) და ჩვეულებისამებრ კამპარის ვწრუპავდი. ამ ბოლო დღეებში, რაც ავინიონს გამოვცდით, იმის ხათრით, რომ მის გვერდით ვყოფილიყავი, რა აღარ ვნახე. საეჭვიანო არაფერი მქონდა, მაგრამ მაინც ვეჭვიანობდი, არ ვიცოდი, ასეთ ახალგაზრდა ქალიშვილს თავში რა უტრიალებდა. თავის მძღოლად მივაჩნდი? კეთილი, მაშინ მე უფლება მაქვს, სანამ ჩემი ქალბატონი მახლობელი ეკლესიიდან გამოვა, კამპარი დავლიო. ავინიონი რომ არა, არც მის მძღოლობაზე ვიტყოდი უარს. ხანდახან აღარ ვიცოდი, ამ გოგონაზე რა მეფიქრა. მისი იდეა იყო ავტოსტოპით რომში წასვლა! მერე რა, რომ ეს იდეა ვერ განახორციელა, ამ იდეის არსებობაც კი მაეჭვიანებდა. რაც ავინიონში ჩვენ შორის მოხდა, ვითომ არ შეიძლებოდა, სხვასთანაც მომხდარიყო?

ასე სერიოზულად ქორწინებაზე არასოდეს მიფიქრია...

რაც უფრო მეტად მიყვარდა, მით უფრო ნაკლებად მინდოდა ამ გოგონასთვის ჩემი სურვილი თავს მომეხვია. შემთხვევას ვეძებდი, ადრე თუ გვიან მოვლაპარაკებოდი. გადაწყვეტილი მქონდა, ყველაფერი გულახდილად მეთქვა, მხოლოდ მეშინოდა, ვაითუ არ დაეჯერებინა ან, მეტიც, არ დაეცინა. ზაბეტი, მგონი, ჯერ კიდევ ცინიკოსად მთვლიდა, კადნიერადაც კი (თავის მიმართ არა, საერთოდ, ცხოვრების მიმართ), ჩემს ირონიაზე გული მოსდიოდა და ხშირად აღარ ვიცოდი ხოლმე, რა მეთქვა. საერთოდ მისმენდა კი? უკვე ეჭვი მეპარებოდა, ახლანდელი ახალგაზრდობის არაფერი მესმის-მეთქი. ხშირად საკუთარ თავს ლამის პირფერობასაც ვწამებდი. კაცმა რომ თქვას, რატომ? არ მინდოდა გული გასტეხოდა და ვამბობდი, ტივოლიზე უკეთესი დედამიწის ზურგზე არაფერი მინახავს, ტივოლიში გატარებული საღამო კვადრატში აყვანილი ბედნიერებაა-მეთქი. მერე რა ვუყოთ, რომ ჩემი ნათქვამი თვითონვე არ მჯეროდა. ზაბეტის წუხილი, თითქოს მას სერიოზულად არ ვეკიდებოდი, უსაფუძვლო იყო. პირიქით, მე საკუთარ თავს არ ვეკიდებოდი სერიოზულად, გამუდმებით ვეჭვიანობდი, თუმცა ტყავიდან ვძვრებოდი, რომ ახალგაზრდა ვყოფილიყავი. ჩემს თავს ვეკითხებოდი, ახლანდელი (1957) ახალგაზრდობა ჩვენი დროის ახალგაზრდობისგან დიდად განსხვავდება თუ არა-მეთქი და მხოლოდ ის დავასკვენი, რომ საერთოდ არ ვიცი, ახლანდელი ახალგაზრდობა როგორია.

ზაბეტს ვაკვირდებოდი. ზოგჯერ მუზეუმში მხოლოდ იმიტომ მივყვებოდი, რომ მის ახლოს ვყოფილიყავი და მისთვის ეტრუსკული ჭურჭლის ნამსხვრევებით გამოტენილი ვიტრინის მინაში მაინც მეყურებინა, მეცქირა მისი ახალგაზრდა სახისთვის, მისი სერიოზულობისათვის, მისი სიხარულისთვის. ზაბეტს არ სჯეროდა, რომ ხელოვნების არაფერი გამეგებოდა. ერთი მხრივ, უსაზღვრო, ბავშვური რწმენა ჰქონდა ჩემი მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე ოცდაათი წლით უფროსი ვიყავი, მეორე მხრივ კი, საერთოდ არ მცემდა პატივს. ჩემს თავზე გული მომდიოდა, მისგან პატივისცემას რომ მოველოდი. როცა ჩემს გამოცდილებაზე ვესაუბრებოდი, ზაბეტი ისე მისმენდა, როგორც მოხუცს უგდებენ ხოლმე ყურს, ზრდილობიანად, სიტყვას არ მაწყვეტინებდა. მონაყოლი არ სჯეროდა, მაგრამ თავს არ იდებდა. ლაპარაკს თუ მაინც გამაწყვეტინებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სიტყვა შეეშველებინა და ამით მიენიშნებინა, ეგ ერთხელ უკვე მონაყოლი გაქვსო. მაშინ მე მრცხვენოდა. საერთოდ მისთვის მხოლოდ მომავალი არსებობდა, ნაწილობრივ აწმყოც, მაგრამ, როგორც ყველა ახალგაზრდა, გამოცდილებას არაფრად აგდებდა. იოტისოდენადაც არ აინტერესებდა, ადრე რა იყო ან ჩვენი ხნის ადამიანებმა რა გამოცდილება შეიძინეს. უფრო სწორად, რა გამოცდილება შეეძლოთ შეეძინათ. ძალიან მინდოდა გამეგო, თვითონ ზაბეტი რას მოელოდა მომავლისაგან და დავადგინე კიდეც. მან თვითონაც არ იცის, რას მოელის, უბრალოდ, შეჰხარის მომავალს. ეს არის და ეს. განა მე ისეთ რამეს მოველი მომავლისაგან, რაც წინასწარ არ ვიცი? ზაბეტი ყველაფერს სხვა თვალით უყურებდა. შეჰხაროდა ტივოლის, დედას, საუზმეს, მომავალს; იმას, რომ ოდესმე შვილები ეყოლებოდა, შეჰხაროდა მათი დაბადების დღეს; თავის ფირფიტებს; შეჰხაროდა ყველაფერს – განსაზღვრულსაც და განუსაზღვრელსაც: ყველაფერს, რაც ჯერ კიდევ არ არსებობდა. ამ ამბავზე შეიძლება მართლაც ვეჭვიანობდი, მაგრამ ვერ იტყოდით, რომ მე არაფერი მიხაროდა. მიხაროდა ყოველი წუთი, რომელიც საამისო საბაბს მაძლევდა. არც მალაყებს გადავდივარ, არც ვმღერი, მაგრამ გული მეც სიხარულით მაქვს სავსე. და არა მარტო კარგი საჭმლის გამო! ალბათ, ყოველთვის ვერ გამოვხატავ სიხარულს. განა ბევრია ამქვეყნად ადამიანი, რომელსაც ჩემი სიხარული ან დარდი აინტერესებს? ზაბეტის აზრით, მე ყოველთვის ვაჭარბებ ან, უფრო სწორად, თავს ვიკატუნებ. ყველაზე უფრო მისი სიხარული მახარებდა.

ხანდახან მიკვირდა, რა ცოტა ჰყოფნიდა, რომ ამღერებულიყო. უფრო სწორად, ამისათვის არაფერი სჭირდებოდა. გასწევდა ფარდებს, ნახავდა, არ წვიმსო და აღიღინდებოდა. საუბედუროდ, ერთხელ წამომცდა, კუჭში სიმძიმეს ვგრძნობ-მეთქი. ამის შემდეგ სულ ეგონა, რომ კუჭი მტკიოდა. ისე დედაშვილურად მევლებოდა თავს, თითქოს არასრულწლოვანი ვყოფილიყავი. ამიტომ იმ დღეებს მთლად უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია, ის კი არა, ჩვენი მოგზაურობა ხშირად კომიკურიც კი ხდებოდა: მე ზაბეტს ჩემი გამოცდილებით შევაწყინე თავი, ის კი ჩემს ასაკს იმით მახსენებდა, რომ დილიდან საღამომდე ჩემგან აღფრთოვანების გამოხატვას მოელოდა...

ერთ დიდ გალერეაში (Museo Nazionale)[77] უარი ვთქვი, მის «ბედეკერს»[78] მივყოლოდი, მოაჯირზე ჩამოვჯექი და ხელში იტალიური გაზეთი ავიღე. ქვის ნატეხების კოლექციები ყელში ამომივიდა. გავიფიცე, მაგრამ ზაბეტს ჯერ კიდევ ეგონა, ვეხუმრებოდი, ხელოვნებისა არაფერი გამეგება-მეთქი. თავის მხრივ, ისიც დედამისის გამონათქვამს იშველიებდა, მხოლოდ გონებაშეზღუდულ ადამიანს არ შეუძლია ხელოვნების ქმნილების აღქმაო.

– გულმოწყალე დედიკო! – ვთქვი მე.

გალერეაში მიმავალი იტალიელი წყვილი გაცილებით მაინტერესებდა, ვიდრე აქ გამოფენილი ყველა ქანდაკება, პირველ რიგში მამა, მძინარე ბავშვი რომ მიჰყავდა. აქ მათ გარდა კაციშვილი არ ჭაჭანებდა.

ხანდახან ჩიტების ჭიკჭიკს თუ გაიგონებდი, თორემ ისე სამარისებური სიჩუმე იდგა.

როცა ზაბეტმა მარტო დამტოვა, გაზეთი ჯიბეში ჩავიდე, სულერთია, მაინც ვერ ვკითხულობდი და რომელიღაც ქანდაკების წინ შევჩერდი, მინდოდა, დედამისის გამონათქვამი შემემოწმებინა, მხოლოდ გონებაშეზღუდულ ადამიანს არ შეუძლია ხელოვნების ქმნილების აღქმაო! მგონი, დედიკოს რაღაც ეშლებოდა.

მხოლოდ მომეწყინა. ეს იყო და ეს.

პატარა, შემინულ გალერეაში ბედმა გამიღიმა: გერმანელი ტურისტების ერთი ჯგუფი კათოლიკე მღვდელთან ერთად

რომელიღაც ბარელიეფის წინ ისე შეჯგუფებულიყო, როგორც უბედური შემთხვევის ადგილზე გროვდება ხოლმე ხალხი. მეც ცნობისმოყვარეობამ დამძლია და როცა ზაბეტმა მომაგნო («აი, სად ხარ თურმე, ვალტერ, მე კი მეგონა, უკვე ჭიქა გეჭირა ხელში!»), ცოტა ხნის წინ მღვდლისგან მოსმენილი სიტყვები შევაგებე: «აი, ვენერას დაბადება!» ჩემთვის რომ გეკითხათ, მე ფლეიტიანი გოგონა უფრო მომწონდა, საუცხოოა-მეთქი, ვთქვი. ზაბეტის აზრით, «საუცხოო» შესაფერისი სიტყვა ვერ იყო ამ ბარელიეფისთვის; ის გახლდათ გასაგიჟებელი, გადასარევი, სრულქმნილი, გენიალური, გამაოგნებელი.

ბედად, ხალხი გამოჩნდა...

ვერ ვიტან, როცა მკარნახობენ, რა უნდა შევიგრძნო. მაშინ ასე მგონია, ბრმა ვარ-მეთქი, თუმცა მშვენივრად ვხედავ, რაზეა ლაპარაკი.

«მძინარე ერინიას თავი».

ეს ჩემი აღმოჩენა გახლდათ (მარცხნივ, იმავე დარბაზში). ბავარიელი მღვდლის დახმარება არ დამჭირვებია. ნაწარმოებს რა ერქვა, არც კი ვიცოდი, მაგრამ ეს ამბავი ხელს სულ არ მიშლიდა, პირიქით, სახელის ცოდნა უფრო მიშლის ხოლმე ხელს, ანტიკურ სახელებში მაინც ვერ ვერკვევი და სახელს რომ ვეძებ, გამოცდაზე მგონია თავი... აი, ეს კი ნამდვილად დიდებულია, შთამბეჭდავი, ჩინებული ნამუშევარი, ღრმად შთამბეჭდავი. ეს იყო ქვისგან გამოკვეთილი ქალის თავი. ქანდაკება ისე იდო, თითქოს შენ გვერდით წამოწოლილი მძინარე ქალის სახეს დასცქეროდი.

ვინ იცის, რა ესიზმრება?

იქნებ ხელოვნების ნაწარმოებს ამ კუთხით არ უნდა მიუდგე, მაგრამ მე ეს უფრო მაინტერესებდა, ვიდრე ის ამბავი, ქანდაკება მეოთხე საუკუნისა იყო თუ მესამესი ქრისტეს შობამდე... როცა კვლავ «ვენერას დაბადებისკენ» გადავინაცვლე, უცებ ზაბეტმა შემომძახა, არ გაინძრეო. რა მოხდა-მეთქი, – ვკითხე.

– იდექი! მანდ რომ დგახარ, აქედან ერინია გაცილებით მშვენიერი ჩანს, პირდაპირ დაუჯერებელია, ისე იცვლება!

ზაბეტს უნდა, მეც დავრწმუნდე მისი სიტყვების სიმართლეში

და მაიძულებს, ადგილები გავცვალოთ. მართლაც არის სხვაობა, მაგრამ გასაოცარი არაფერია: განათების ამბავია. როცა ზაბეტი (ან სხვა ვინმე) «ვენერას დაბადებასთან» დგას, ერინიას ჩრდილი ეცემა და მძინარე ერინიას სახე, ცალმხრივი განათების გამო, თითქოს ცოცხლდება, გგონია, ეს-ესაა თვალს გაახელსო, სახეზე თითქოს განრისხებაც კი ეხატება.

– პირდაპირ გასაგიჟებელია, – ამბობს ზაბეტი, – როგორ იცვლება!

ორჯერ თუ სამჯერ გავცვალეთ ადგილები, შემდეგ დავიჟინე, გზა გაგვეგრძელებინა, წინ კიდევ მთელი დარბაზი იყო ქანდაკებებით გატენილი, ზაბეტს ისინიც ხომ უნდა ენახა...

მშიოდა.

რესტორანზე ფიქრი თავში მიტრიალებდა, მაგრამ ხმას როგორ ამოვიღებდი, ზაბეტი იმაზეც კი არ მაძლევდა პასუხს, ამდენი ჭკვიანური სიტყვა საიდან იცი-მეთქი, თუნდაც ასეთები: არქაული, სწორხაზოვანი, ელინური, დეკორატიული, საკრალური, ნატურალისტური, ექსპრესიული, კუბისტური, ალეგორიული, საკულტო, კომპოზიციური და ასე შემდეგ – მოკლედ, მთელი დახვეწილი ინტელექტუალური ლექსიკონი. ბოლოს, გასასვლელში შევჩერდით, სადაც ანტიკური აგურით ნაშენი თაღის მეტი აღარაფერი იყო სანახავი – კალატოზის უბრალო, მაგრამ სუფთა ნახელავმა დამაინტერესა, და მხოლოდ მაშინ მიპასუხა ზაბეტმა ჩემს კითხვაზე, მიპასუხა სასხვათაშორისოდ, როგორც იცოდა ხოლმე, როცა დედას ახსენებდა: – დედაჩემისგან.

როცა სადმე რესტორანში ვისხედით, გოგონა სულ უფრო მეტად მომწონდა. მხიბლავდა მისი ყოველი საქციელი: როგორ უხაროდა, სალათას რომ ჭამდა, როგორ ბავშვივით ილუკმებოდა, ფუნთუშას ფუნთუშაზე სანსლავდა და თან აქეთ-იქით ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა, როგორ დიდის ამბით გამოთქვამდა აღტაცებას საუზმეულის გამო; მომწონდა მისი სიცელქეც.

რაც შეეხება დედამისს...

ოქრომხალას ფურცლებს მაიონეზში ვაწებდით და ფურცელს ფურცელზე ვწუწნიდით. ამასობაში იმ ჭკვიან ქალზე, რომელიც მისი დედა გახლდათ, რაღაც-რაღაცები შევიტყვე.

გულახდილად რომ ვთქვა, დიდი ცნობისმოყვარეობა არც გამომიჩენია, ინტელექტუალურ ქალებს ვერ ვიტან. გავიგე, რომ მას არქეოლოგიის ფაკულტეტი კი არ ჰქონდა დამთავრებული, არამედ ფილოლოგიური, მაგრამ არქეოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს თურმე. ლუკმაპურის ფული ხომ უნდა. ის ხომ ბატონ პაიპერთან გაშორებულია – მე ჭიქა მეჭირა ხელში, მინდოდა ზაბეტისთვის მიმეჭახუნებინა... ბატონი პაიპერი, კაცი, რომელიც რწმენის გულისთვის აღმოსავლეთ გერმანიაში ცხოვრობს, სულ არ მაინტერესებდა... ჭიქა ავწიე და ზაბეტს სიტყვა გავაწყვეტინე: – გაგვიმარჯოს!

ორივემ დავლიეთ.

შემდეგ შევიტყვე, რომ დედამისიც კომუნისტი ყოფილა ერთ დროს, მაგრამ ბატონ პაიპერს მაინც ვერ ეწყობოდა თურმე, ამიტომ გაშორებიან ერთმანეთს. ეს ჩემთვის გასაგებია. ამჟამად დედა ათენში ცხოვრობს, რადგან არც ახლანდელი დასავლეთ გერმანია მოსწონს: ესეც გასაგებია ჩემთვის. ზაბეტს კი, თავის მხრივ, სულ არ ენაღვლებოდა, დედამისი და მამამისი რომ გაშორებულები იყვნენ, პირიქით, როცა ამას ყვებოდა, მადიანად ილუკმებოდა და ზედ თეთრ «ორვიეტოს» აყოლებდა; ჩემთვის ზედმეტად ტკბილი იყო ეს ღვინო, ზაბეტს კი მოსწონდა: Orvieto Abbocato. მამა მაინცდამაინც არ ჰყვარებია, უფრო სწორად, ბატონი პაიპერი არც იყო მისი მამა, რადგან დედა განათხოვარი ყოფილა, ესე იგი ზაბეტი პირველი ქმრის ხელში გასჩენია. ეტყობა, დედამისს მამაკაცებში ბედი არ სწყალობდა, ალბათ, მისი ინტელექტუალობის გამო. გულში ასე ვფიქრობდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ხმა არ ამომიღია, მხოლოდ ნახევარი ბოთლი Orvieto Abbocato კიდევ შევუკვეთე. შემდეგ კი რაზე არ ვსაუბრობდით: ოქრომხალაზე, კათოლიციზმზე, ნაყინზე, მძინარე ერინიაზე, ტრანსპორტის გაცხოველებულ მოძრაობაზე – ჩვენი დროის ამ გაჭირვებასა და ვია აპიამდე მისასვლელ გზაზე.

ზაბეტს თავისი ბედეკერი უჭირავს ხელში:

«ვია აპია, გზათა დედოფალი, გაიყვანა ცენზორმა აპიუს კლაუდიუს ცეკუსმა 312 წელს ქრისტეს შობამდე. ეს გზა მიდიოდა ტერაჩინას გავლით კაპუაში, საიდანაც იგი ბრინდიზიმდე გააგრძელეს...»

ვია აპიაზე პილიგრიმებივით ფეხით გავიარეთ სამი

კილომეტრი და ახლა ქვა-ღორღით დაფარული, სარეველამორეული სამარხის ბორცვზე ვიწექით. საბედნიეროდ, ეს ბორცვი ბედეკერში ნახსენებიც არ იყო. ვიწექით ფიჭვის ჩრდილში და სიგარეტს ვაბოლებდით.

– ვალტერ, გძინავს?

როგორ მიხაროდა, დასათვალიერებელი რომ აღარაფერი გვქონდა.

– იცი, – მითხრა მან, – აი, იქ, გაღმა, ტივოლია.

ზაბეტს ისევ თავისი გამოხუნებული კოვბოური შარვალი ეცვა, ფეხზე კი ასევე ფერგადასული ესპადრილები, თუმცა პიზაშივე ვუყიდე იტალიური ფეხსაცმელები.

– მართლა არ გაინტერესებს?

– მართლა არ მაინტერესებს, – ვუთხარი მე, – მაგრამ ყველაფერს დავათვალიერებ, ჩემო სიყვარულო. კაცი საქორწინო მოგზაურობის დროს რას არ იზამ!

ზაბეტი ისევ შემომწყრა, ცინიკოსი ხარო.

ჩემთვის ისიც კმაროდა, რომ ბალახში ვიწექი, ტივოლი აქეთ იყო თუ იქით, რა თავში ვიხლიდი, მთავარია, მისი თავი მედო მხარზე.

– დიდი მოუსვენარი კი ხარ, – ვუთხარი მე, – ერთ წუთს ვერ გაჩერდები ადგილზე.

მან წამოიჩოქა და მიიხედ-მოიხედა.

ქვევიდან ხმები ისმოდა...

– შეიძლება? – მკითხა მან და ტუჩები თითქოს გადასაფურთხებლად მოამზადა, – ჰა, შეიძლება?

ცხენის კუდზე დავქაჩე, მაგრამ გამიძალიანდა. მეც მწყინდა, რომ მარტონი აღარ ვიყავით, მაგრამ რას გავხდებოდი. მერე რა, რომ კაცი ვიყავი! ზაბეტს აკვიატებული ჰქონდა, შენ ხომ კაცი ხარო. აშკარად მოელოდა, რომ ახლა წამოვხტებოდი, ქვების სროლას დავიწყებდი და იმ ხალხს თხის არვესავით გავრეკავდი აქედან. ზაბეტს სერიოზულად დასწყდა გული, გოგონას, რომელსაც ქალივით ვექცეოდი, თუ ქალს, რომელსაც

გოგონასავით ვექცეოდი, მე თვითონ არ ვიცოდი.

– მგონი, ეს ჩვენი ადგილია, – თქვა მან.

ქვევით ნამდვილად ამერიკელები იყვნენ, მხოლოდ ხმები მესმოდა. ხმების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, სულაც ის კლივლენდელი სტენოგრაფისტები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ.

– Oh, isn’t it lovely?[79]

– Oh, this is the Campagne?[80]

– Oh, how lovely here![81]

– Oh... – და ა.შ.

წამოვიწიე და ბუჩქებში გავიჭვრიტე: დავინახე ქალების იისფერი თმები და მამაკაცების მელოტი თავები, რომლებსაც პანამები მოეხადათ. დავრდომილთა თავშესაფრიდან გამოქცეულებს არა ჰგვანან-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ არაფერი მითქვამს.

– ჩვენი ბორცვი, ეტყობა, ცნობილი ადგილია, – ვუთხარი ზაბეტს.

ზაბეტი მოთმინებიდან გამოვიდა:

– ნახე, კიდევ ემატება ხალხი!

ზაბეტი ფეხზე იდგა, მე ისევ ბალახში ვიწექი.

– ნახე, ნახე, მთელი ავტობუსია!

ზაბეტი თავზე მადგას, უფრო სწორად, ჩემ გვერდით დგას: ვხედავ ჯერ მის ესპადრილებს, შემდეგ შიშველ კანჭებს, ბარძაყებს, თეძოები აქედანაც კი შოლტივით უჩანს, ვიწრო კოვბოურ შარვალში გამოკვართული თეძოები. ხელები ჯიბეებში უწყვია. ქვემოდან მის წელს ვერ ვხედავ. შემდეგ მოჩანს მკერდი და მხრები, ნიკაპი, ტუჩები, მერე უკვე წამწამები. ქუთუთოები თეთრი მარმარილოსავით უელავს, იმიტომ, რომ მზის ანარეკლი ქვემოდან სცემს. ხასხასა ლურჯი ცის ფონზე ვხედავ მის მოწითალო გაშლილ თმას, რომელიც, გეგონება, აი, ახლა გაიხლართება ფიჭვის ტოტებშიო. ასე იდგა იგი, მე კი მიწაზე ვიწექი, იდგა ქარში, ტანაშოლტილი და

წელგამართული, ქანდაკებასავით მდუმარე.

– ჰელო! – დაუძახა ვიღაცამ ქვემოდან.

ზაბეტმა უჟმურად უპასუხა:

– ჰელო!

მათი მოსვლა ვერ მოენელებინა.

– ნახე, პიკნიკს აწყობენ!

შემდეგ, თითქოს იმ ამერიკელების ჯიბრზე, დაიხარა და მკერდზე დამაწვა, ვითომ დაძინებას აპირებდა, მაგრამ დიდხანს არ წოლილა ასე. წამოიწია და შემეკითხა, მძიმე ხომ არა ვარო.

– არა, მსუბუქი ხარ.

– მაგრამ?

– არავითარი «მაგრამ»!

– შენ მაინც რაღაცაზე ფიქრობ, – მითხრა მან.

წარმოდგენა არ მქონდა, რაზე ვფიქრობდი, კაცი რაღაცას თითქმის ყოველთვის ფიქრობს, ოღონდ მართლა არ ვიცოდი, რას ვფიქრობდი. ვკითხე, შენ რაზე ფიქრობ-მეთქი. პასუხი არ გაუცია, ისე მთხოვა სიგარეტი.

– ბევრს ეწევი, – ვუთხარი მე, – შენი ხნის რომ ვიყავი...

რაც უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს, მით უფრო იშვიათად მომდიოდა თავში აზრი, რომ ზაბეტი ჰანას ჩამოჰგავდა. ავინიონის შემდეგ კი საერთოდ არ გამიფიქრებია ეს! მიკვირდა კიდეც, საიდან მომივიდა მაშინ თავში, რომ იგი ჰანას ჰგავდა. დაჟინებით ვუცქერდი სახეში. არავითარი მსგავსება! კვესი მივაწოდე, თუმცა ვფიქრობდი, ოცი წლის გოგონა ამდენს არ უნდა ეწეოდეს-მეთქი.

შემდეგ მისებურად დამცინა:

– ნამდვილი მამიკოსავით იქცევი!

იქნებ მაშინ გავიფიქრე (ერთხელ კიდევ), რომ მე ზაბეტისათვის, აი, ასე რომ მაწევს გულზე და ჩემს სახეს აკვირდება, მართლა ერთი ხნიერი კაცი ვარ და მეტი არაფერი-

მეთქი.

– იცი, – მითხრა მან, – აი, დღეს რომ მოგვეწონა მე და შენ, ის ლუდოვიზის საკურთხეველი ყოფილა, ძალიან ცნობილი ძეგლია!

ნებას ვაძლევდი, გავენათლებინე.

ფეხსაცმელები გავიხადეთ, ფეხშიშველი ვიდექით თბილ მიწაზე. მსიამოვნებდა ასე დგომა, საერთოდ, ყველაფერი სიამოვნებას მგვრიდა.

ვფიქრობდი ჩვენს ავინიონზე (სასტუმრო «ანრი IV»).

ზაბეტმა, რომელსაც ხელში ახლა გადაშლილი «ბედეკერი» ეჭირა, თავიდანვე იცოდა, რომ მე ინჟინერი ვარ და იტალიაში დასასვენებლად მივემგზავრები. მიუხედავად ამისა, მაინც მიკითხავდა:

«ვია აპია, გზათა დედოფალი, გაიყვანა ცენზორმა აპიუს კლაუდიუს ცეკუსმა 312 წელს ქრისტეს შობამდე...»

დღესაც ყურში მიდგას მისი ხმა!

«გზის ყველაზე უფრო საინტერესო ნაწილი იწყება იქ, სადაც შემონახულია ძველი ქვაფენილი, მარცხნივ აღმართულია აქვა მარკიას დიდებული თაღები... (შდრ. გვ. 261).»

ზაბეტმა «ბედეკერი» გადაფურცლა.

– მაინც რა ჰქვია დედაშენს? – შევეკითხე უცებ.

ზაბეტს კითხვა არ შეუწყვეტია.

«აქედან რამდენიმე წუთის სავალზეა ცეცილია მეტელას სამარხი, კამპანიის სახელგანთქმული ნანგრევები, ოცი მეტრის რადიუსიანი წრიული ნაგებობა, რომელიც ოთხკუთხა კვარცხლბეკს ეყრდნობა და ტრავერტინით არის მოპირკეთებული. მარმარილოს დაფაზე ამოკვეთილია წარწერა: «ცეცილია კრეტიჩი f(iliae)[82] მეტელა კრასუსისა, ასული მეტელუს კრეციუსისა, რძალი ტრიუმვირ კრასუსისა, სამარხი შიგნით (არყფ) დაყოფილია აკლდამებად».

ზაბეტი შეჩერდა და დაფიქრდა.

– «არყფ» რას ნიშნავს?

– არყის ფულს, – ვუთხარი, – მაგრამ მე სულ სხვა რამ გკითხე...

– მაპატიე.

თავისი «ბედეკერი» დახურა.

– რა მკითხე?

«ბედეკერი» ხელში ავიღე და გადავშალე.

– აი, იქ რომ მოჩანს, – ვკითხე მე, – ის არის ტივოლი?

ტივოლის წინ გადაშლილ ველზე, ეტყობოდა, აეროდრომი უნდა ყოფილიყო, თუმცა ის «ბედეკერში» ჩართულ რუკებზე არ იყო აღნიშნული. გამუდმებით ისმოდა მოტორის ხმა, ზუსტად ისეთივე გუგუნი, როგორიც ჩემი ბაღის თავზე ისმოდა ხოლმე. ხანდახან შასებჩამოშვებული «DC-7» ან სუპერკონსტელეიშენი გადაიფრენდა. თვითმფრინავები სადღაც კამპანიისკენ მიეშურებოდნენ დასაშვებად.

– იქ აეროდრომი უნდა იყოს, – ვთქვი მე.

ეს ამბავი მართლა მაინტერესებდა.

– რა მკითხე? – შემეკითხა იგი.

– დედაშენს რა ჰქვია-მეთქი.

– პაიპერი! – მიპასუხა მან, – სხვა რა უნდა ერქვას?

მე, რა თქმა უნდა, სახელს ვგულისხმობდი და არა გვარს.

– ჰანა.

ზაბეტი ისევ წამოდგა, უნდოდა ბუჩქებში გაეჭვრიტა. ორივე ხელი ჯიბეში ეწყო, მოწითალო ცხენის კუდი მხარზე ჰქონდა ჩამოგდებული. ვერაფერი შემატყო.

– My goodness![83] – თქვა მან, – რა ჭამა-თქვლეფაში არიან, როდისღა მორჩებიან, ახლა კიდევ ხილს მისდგნენ!

ფეხები ბავშვივით დააბაკუნა.

– ღმერთო დიდებულო, მე რომ მიმალვა მინდა?!

ჩემი შეკითხვები:

დედა ოდესღაც ციურიხში ხომ არ სწავლობდა?

რაა?

როდის?

მე ვეკითხებოდი და ვეკითხებოდი, თუმცა, როგორც ვთქვი, გოგონას მიმალვა უნდოდა. უხალისოდ მპასუხობდა, მაგრამ საკმაოდ დაწვრილებით.

– ვალტერ, აბა, მე რა ვიცი!

თავისთავად გასაგებია, როგორ მჭირდებოდა ზუსტი თარიღები.

– მაშინ მე არც ვიყავი გაჩენილი! – თქვა მან.

ჩემი ცნობისმოყვარეობა მოსწონდა. წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, ჩემთვის მისი პასუხები რას ნიშნავდა. ეს ამბავი ართობდა, მაგრამ წასვლა არ გადაუფიქრებია. ვიჯექი და მისი მკლავი მეჭირა, მეშინოდა, არ გაქცეულიყო.

– კარგი რა, – თქვა მან, – კარგი რა.

ჩემი უკანასკნელი შეკითხვა:

– და მისი ქალიშვილობის გვარი ლანდსბერგია, არა?

მკლავზე ხელი ვუშვი. ერთბაშად მოვწყდი. თავს ძალა დავატანე, რომ ასე მაინც ვმჯდარიყავი. ალბათ, ვიღიმებოდი კიდეც. იმედი მქონდა, ზაბეტი ახლა გაიქცეოდა.

მაგრამ ზაბეტი ჩაცუცქდა და აქეთ დამაყარა კითხვები:

– იცნობდი დედას?

თავი დავუქნიე...

– კარგი ერთი, მართლა?

ხმის ამოღების თავი არ მქონდა.

– თქვენ იცნობდით ერთმანეთს, დედა რომ სტუდენტი იყო, მაშინ?

ეს ამბავი ძალიან მოსწონდა, ძალიან!

– იცი, – მითხრა მან და წამოდგა, – უეჭველად მივწერ დედას, გაუხარდება... – მომაძახა, სანამ მიიმალებოდა.

დღეს, როცა ყველაფერი ვიცი, დაუჯერებლად მეჩვენება, მაშინვე, ვია აპიაზე საუბრის შემდეგ ყველაფერს როგორ ვერ მივხვდი. რას ვფიქრობდი იმ ათ წუთს, სანამ გოგონა წასული იყო, არ ვიცი, რაღაცას ვანგარიშობდი, ეს კი მახსოვს. მხოლოდ ეს ვიცი: ყველაფერს აეროდრომზე წასვლა მერჩივნა. შეიძლება, სულაც არაფერს ვფიქრობდი. მოულოდნელი აქ ხომ არაფერი ყოფილა, მხოლოდ დადასტურდა ჩემი ეჭვი. მიყვარს, რაიმეში საბოლოოდ რომ დავრწმუნდები, მაშინ თითქმის ვერთობი კიდეც. მაშ, ზაბეტი ჰანას ქალიშვილია! ესე იგი, მის ცოლად შერთვაზე ლაპარაკიც ზედმეტია. თან ერთი წუთითაც არ მიაზრია, რომ ზაბეტი შეიძლებოდა ჩემი შვილი ყოფილიყო. თეორიულად ეს შესაძლებელი გახლდათ, მაგრამ ამაზე არ ვფიქრობდი. უფრო სწორად, ეს არ მჯეროდა. არა, რა თქმა უნდა, ვფიქრობდი ჩვენს ბავშვზე, რომელიც უნდა გაჩენილიყო მაშინ, მაგონდებოდა მთელი ის ამბები, სანამ ჰანას მივატოვებდი, ჩვენი გადაწყვეტილება, ჰანა ექიმთან რომ უნდა წასულიყო, იოახიმთან. რა თქმა უნდა, ამაზე ვფიქრობდი, მაგრამ უბრალოდ არ შემეძლო დამეჯერებინა, ნამდვილად წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, ეს გოგონა, კვლავ ბორცვზე რომ ამოცოცდა, შეიძლებოდა ჩემი ღვიძლი შვილი ყოფილიყო.

– ვალტერ, – მკითხა მან, – რა მოხდა?

ზაბეტს სულ არ აუღია ეჭვი.

– იცი, – მითხრა მან, – შენც ძალიან ბევრს ეწევი!

შემდეგ აკვადუკზე დავიწყეთ ლაპარაკი...

მხოლოდ დუმილი ნუ ჩამოვარდება!

ზაბეტს ზიარჭურჭლის კანონი ავუხსენი.

– ჰო, ჰო, ვიცი, ეგ გავიარეთ, – თქვა მან.

ზაბეტს ეცინება, როცა ვუმტკიცებ, ძველ რომაელებს ჩემი სიგარეტის კოლოფზე დახაზული ესკიზი რომ ჩავარდნოდათ ხელში, თავიანთი შრომის სულ ცოტა 90%-ს მაინც დაზოგავდნენ-მეთქი.

ისევ ბალახში ვიწექით.

ჩვენს თავზე თვითმფრინავები დაფრინავდნენ...

– იცი რა, – მითხრა მან, – რა აუცილებელია, უკან

თვითმფრინავით დაბრუნდე?

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი დღის წინა საღამო.

– ერთ დღეს ხომ უნდა დავცილდეთ ერთმანეთს, ჩემო საყვარელო ბავშვო, ასე დავცილდებით თუ ისე, რა მნიშვნელობა აქვს...

ზაბეტს ვაკვირდებოდი.

– რა თქმა უნდა, – თქვა მან. დაიხარა, ბალახის ღერო მოგლიჯა და სივრცეში გაიხედა. მომეჩვენა, რომ ჩვენი დაშორება სულ არ აწუხებდა, სულ არა. ბალახის ღერო პირში არ ჩაუდვია, თითზე დაიხვია და გაიმეორა: – რა თქმა უნდა.

ქორწინებაზე არც უფიქრია!

– ნეტავ თუ ახსოვხარ დედას?

ეს ამბავი ართობდა.

– დედა სტუდენტი ვერ წარმომიდგენია. დედა – სტუდენტი, ცხოვრობს პატარა ოთახში. შენ ამბობ, სხვენზე ჰქონდა ოთახიო, დედას ეს ამბავი ჩემთვის არასოდეს მოუყოლია.

ჩემი ნაამბობი ართობდა.

– როგორი იყო დედა?

მისი თავი ორივე ხელით მეჭირა და განძრევის საშუალებას არ ვაძლევდი, ისე, როგორც ძაღლის თავს დაიჭერს კაცი. ვგრძნობდი მის ძალას, მისი კეფის ძალას, რომელიც ამ წუთში ვერაფერს შველოდა. ხელებს მარწუხებივით ვუჭერდი, მან თვალები დახუჭა. არ მიკოცნია. მხოლოდ მისი თავი მეჭირა, როგორც მსუბუქი, ნატიფი ლარნაკი, რომელსაც თანდათან ემატებოდა სიმძიმე.

– ვალტერ, ნუ მატკინე თავი!

მისი თავი მანამდე მეჭირა ხელში, სანამ ჩემი სურვილის გამოსაცნობად თვალი არ გაახილა. მე თვითონ არ ვიცოდი, რა მინდოდა.

– სერიოზულად გეუბნები, – მითხრა მან, – ნუ მატკინე თავი!

ახლა ჩემი ჯერი იყო, რაღაც უნდა მეთქვა. მან ისევ დახუჭა

თვალები, როგორც ძაღლმა იცის ხოლმე, როცა ასე დაუჭერ თავს.

– თავი დამანებე! – მითხრა მან.

პასუხს ველოდი.

– არა, – თქვა მან, – შენ პირველი მამაკაცი არ ყოფილხარ ჩემს ცხოვრებაში, შენ ხომ იცოდი.

არაფერიც არ ვიცოდი.

– არა, – მითხრა მან, – მაგაზე ნუ დარდობ...

ისე გულმოდგინედ გადაისწორა საფეთქლებზე მიკრული თმა, თითქოს ეს იყო ამ წუთში ყველაზე მთავარი. შავი კოვბოური შარვლის ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო და თმის ვარცხნას შეუდგა, თან ყვებოდა, უფრო სწორად, მიკიბულ-მოკიბულად მეუბნებოდა რაღაცას: – He’s teaching in Yale.[84]

კბილებში თმის სამაგრი ეჭირა.

– და კიდევ სხვაც, – თქვა ისე, რომ კბილებიდან თმის სამაგრი არ გამოუღია, თან თავის ცხენის კუდს ივარცხნიდა, – იმას ხომ შენც იცნობ.

ალბათ, პინგ-პონგის პარტნიორს გულისხმობდა.

– მას ჩემი ცოლად შერთვა უნდა, მაგრამ იცი, მე ვცდებოდი, თურმე სულ არ მყვარებია.

შემდეგ თმის სამაგრი დასჭირდა, პირიდან გამოიღო. პირი ისევ ღია დარჩა, თუმცა აღარ ლაპარაკობდა, და ასე მორჩა თმის ვარცხნას. შემდეგ სავარცხელს სული შეუბერა, ტივოლისაკენ გაიხედა და ფეხზე წამოდგა.

– მივდივართ? – მკითხა მან.

მეც აღარ მინდოდა ჯდომა, უნდა ავმდგარიყავი, ჯერ, რა თქმა უნდა, წინდები უნდა ჩამეცვა, მერე ფეხსაცმელები, რომ წავსულიყავით.

– ცუდი გგონივარ, არა?

მე არაფერი არ მეგონა.

– ვალტერ!.. – თქვა მან.

თავს მოვერიე.

– It’s okay! – ვთქვი მე, – it’s okay![85]

შემდეგ ფეხით დავადექით ვია აპიას.

უკვე მანქანაში ვისხედით, რომ ზაბეტმა ისევ წამოიწყო («ცუდი გგონივარ, არა?») და ჩამაცივდა, ამდენ ხანს რაზე ფიქრობო. გასაღები ამოვიღე და მოტორი ჩავრთე.

– მოდი, ნუღარ ვილაპარაკებთ, – ვუთხარი მე.

მინდოდა მანქანა დამეძრა.

ზაბეტი ლაპარაკობდა. ჩვენ გაჩერებულ მანქანაში ვისხედით. ზაბეტი ლაპარაკობდა მამამისზე, გაყრაზე, ომზე, დედაზე, ემიგრაციაზე, ჰიტლერზე, რუსეთზე...

– არც კი ვიცი, მამა ცოცხალია თუ არა, – თქვა ბოლოს.

მოტორი გამოვრთე.

– «ბედეკერი» შენა გაქვს? – მკითხა მან.

«ბედეკერი» გამომართვა და რუკას დააკვირდა.

– აი, ეს არის სან სებასტიანოს კარიბჭე, – თქვა მან, – მერე მარჯვნივ გადავუხვევთ და ლატერანოში სან ჯოვანის მივადგებით.

მოტორი ისევ ავამუშავე.

– ვიცნობდი მას... – ვთქვი მე.

– მამაჩემს?

– ჰო, იოახიმს...

საითაც ნაბრძანები იყო, იმ მიმართულებით დავიძარი: სან სებასტიანოს კარიბჭისაკენ. შემდეგ მარჯვნივ გადავუხვიე, სანამ რომელიღაც ბაზილიკას არ მივადექით.

ბაზილიკა დავათვალიერეთ.

მე, ალბათ, ლაჩარი ვარ. იოახიმზე საუბრის გაგრძელება ვეღარ გავბედე: ვერც ზაბეტს ვკითხე რაიმე. გულში განუწყვეტლივ ვანგარიშობდი (თან, მგონი, ჩვეულებრივზე მეტს ვლაპარაკობდი), სანამ ანგარიში ისე არ გამომივიდა, როგორც მე

მინდოდა: ის მხოლოდ იოახიმის შვილი შეიძლებოდა ყოფილიყო! როგორ ვიანგარიშე, არ ვიცი; რიცხვები მანამდე ვალაგე, სანამ ანგარიში სწორი არ გამომივიდა. პიცერიაში, როცა ზაბეტი ცოტა ხნით გავიდა, ჩემი ანგარიში ერთხელ კიდევ შევამოწმე წერილობით. სწორი იყო. მე ხომ თარიღები (ჰანას ცნობა, ბავშვს ველოდებიო, და ჩემი გამგზავრება ბაღდადში) ისე შევარჩიე, რომ ანგარიში სწორი გამომსვლოდა. დანამდვილებით მხოლოდ ზაბეტის დაბადების დღე ვიცოდი, დანარჩენი ალალბედზე ვიანგარიშე, მაგრამ გულზე მაინც მომეშვა. ვიცი, რომ იმ საღამოს ზაბეტს ჩვეულებრივზე გაცილებით მხიარული და გონებამახვილიც კი ვეჩვენებოდი. ჩვენ შუაღამემდე ვისხედით ამ ძველებურ პიცერიაში, პანთეონსა და პიაცა კოლონას შორის, სადაც გიტარიანი მომღერლები ტურისტებისთვის რესტორნების წინ ნათხოვარი ფულით პიცას ჭამდნენ და ზედ კიანტის აყოლებდნენ. მე აქეთ-იქით ვარიგებდი ფულს და ჩინებულ გუნებაზე ვიყავი.

– ვალტერ, – მითხრა მან, – რა გადასარევად ვატარებთ დროს, არა?!

სასტუმროში («ვია ვინეტო») ნასიამოვნები ვბრუნდებოდით. მთვრალები არ ვიყავით, მაგრამ საკმაოდ მხიარულ გუნებაზე კი გახლდით. სასტუმროში ფართოდ გაგვიღეს დიდი მინის კარი და ალებასტრით მოპირკეთებულ ჰოლში მაშინვე მოგვართვეს გასაღები.

– Mister Faber, Miss Faber – Good night!1[86]

მოგვმართეს ისე, როგორც ჩაწერილები ვიყავით.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი გაუნძრევლად ჩემს ოთახში, გრანდ ოტელის ჩვეულებრივ უსაშველოდ მაღალჭერიან, უსაშველოდ დიდ ოთახში. ვიდექი გაუნძრევლად, არც ფარდები ჩამომიშვია და არც ტანსაცმელი გამიხდია. მანქანასავით ვიდექი, რომელსაც ინფორმაცია გადასცეს: «დაიბანე!», მაგრამ მანქანა არ მუშაობს.

– ზაბეტ, შენა ხარ? რა მოხდა? – ვკითხე მე.

ზღურბლზე იდგა, კარი დაუკაკუნებლად შემოაღო.

– მითხარი!

ფეხშიშველს ყვითელ პიჟამაზე შავი კაპიუშონიანი ქურთუკი

წამოესხა. შემოსვლას არ აპირებდა, მხოლოდ ერთხელ კიდევ უნდოდა ეთქვა «ღამე ნებისა». ვხედავდი მის ნამტირალევ თვალებს...

– რატომ აღარ უნდა მიყვარდე? – ვკითხე მე, – იმ ჰარდის, თუ რაც ჰქვია, იმის გულისათვის?

ზაბეტი აქვითინდა.

შემდეგ ჩაეძინა. საბანი დავახურე, რადგან ღია ფანჯარაში ღამის სიგრილე შემოდიოდა; ეტყობოდა, სითბო ეამა, არც ქუჩაში ატეხილი ხმაური უფრთხობდა ძილს და არც იმის შიში, არ გავპარვოდი. ეტყობოდა, აქ ახლომახლო შუქნიშანი უნდა ყოფილიყო და ამიტომ ისმოდა ასეთი ხმაური... ადგილზე გაჩერებული მოტოციკლები ღმუოდნენ, შემდეგ კვლავ დაიძვრებოდნენ. ყველაზე საშინელი მაინც «ალფა რომეო» იყო, რომელიც წამდაუწუმ ამ ადგილს უბრუნდებოდა, თითქოს მოტორბოლაში მონაწილეობს და სტარტს აქედან იღებსო, მერე ქუჩაში ისმოდა მისი ღმუილი. სამი წუთით თუ ჩამოვარდებოდა სიჩუმე. ხანდახან რომელიღაც რომაული ეკლესიის ზარების რეკვა ისმოდა, შემდეგ – ისევ სიგნალი, საბურავების ღრჭიალი, მთელი ძალით ამუშავებული მოტორების ხმა. ალბათ, ვინმე თუ ხულიგნობდა. შემდეგ ისევ საშინელი ტკაცანი ისმოდა, მგონი, მართლა იმავე «ალფა რომეოს» ხმა იყო, რომელიც მთელი ღამე ჩვენ ირგვლივ არტყამდა წრეს. ძილი საბოლოოდ გამიტყდა. ვიწექი მის გვერდით ისე, რომ არც დამტვერილი ფეხსაცმელები გამიხდია და არც ჰალსტუხი შემიხსნია. განძრევა არ შემეძლო, ზაბეტს თავი ჩემს მხარზე ედო. ფარდებში გარეთ მოქანავე ფარნის შუქი ლიცლიცებდა. გაკოჭილივით ვიწექი, რადგან განძრევა არ შემეძლო. მძინარე გოგონას ხელი ჩემს მკერდზე ედო, უფრო სწორად, ჩემს ჰალსტუხზე და ჰალსტუხი ყელში მიჭერდა. მესმოდა საათის რეკვა – საათი საათს მისდევდა, ზაბეტს ეძინა, მისი ცხელი თმა და სუნთქვა სახეზე მელამუნებოდა. მე კი ძალა აღარ მყოფნიდა, წინ გამეხედა. შემდეგ ისევ «ალფა რომეო» მოგრიალდა, ვიწრო ქუჩებში ისმოდა მისი სიგნალის ხმა, მუხრუჭების ღრჭიალი, მოტორის თახთახი, ყურის წამღები ტკაცანი...

რაში მიმიძღვის ბრალი? მას გემზე შევხვდი. როცა სასადილოს ტალონებს ველოდებოდი, ჩემ წინ ცხენისკუდიანი გოგონა იდგა. თვალში მომხვდა. გამოველაპარაკე, როგორც ეს

საერთოდ გემზე იციან ხოლმე. გოგონასთვის კუდში არ მიდევნია, თავი არ მომიწონებია. პირიქით, მასთან ჩემთვის უჩვეულო გულახდილობაც კი გამოვიჩინე, მაგალითად, მაშინ, ჩემი მარტოხელა ცხოვრების ამბავს რომ ვუყვებოდი. ხელი ვთხოვე ისე, რომ შეყვარებული არ ვყოფილვარ, მაგრამ მაშინვე მივხვდით, რა უაზრო იყო ეს წინადადება და ერთმანეთს დავემშვიდობეთ. რისთვისღა დავეძებდი პარიზში! ერთად წავედით ოპერაში, ოპერის შემდეგ ნაყინი ვჭამეთ, მერე დიდხანს აღარ გამიჩერებია, თავის იაფფასიან სასტუმრომდე ისე მივაცილე. ავტოსტოპით წამოსვლა იმიტომ შევთავაზე, რომ უილიამსის სიტროენი მყავდა. ავინიონში კი, სადაც პირველი ღამე გავათიეთ, ჩვენ, რა თქმა უნდა, ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით, მაგრამ სხვადასხვა სართულზე (განა შეიძლებოდა გულში ავი ზრახვა მდებოდა?). ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ აქამდე მივიდოდა საქმე. კარგად მახსოვს, იმ ღამეს (13.V) მთვარის დაბნელებას მოელოდნენ თურმე. იმ დღეს გაზეთი არ წამიკითხავს და მთვარის დაბნელებაზე არაფერი ვიცოდით. მე ვთქვი: – რა დაემართა მთვარეს?

გარეთ ვისხედით, ათი საათი სრულდებოდა, ძილის დრო იყო, დილით ადრე უნდა გაგვეგრძელებინა გზა. უბრალო ფაქტმა, რომ სამი ციური სხეული – მზე, დედამიწა და მთვარე შემთხვევით ერთ ხაზზე მოხვდა, რატომღაც ისე ამაფორიაქა, თითქოს მშვენივრად არ მცოდნოდეს, როგორ ხდება მთვარის დაბნელება. შევნიშნე თუ არა სავსე მთვარეზე დედამიწის მრგვალი ჩრდილი, მაშინვე გადავიხადე ყავის ფული და ხელიხელჩაკიდებულნი რონასკენ გავემართეთ. ტერასაზე მთელი საათი კვლავ ხელიხელჩაკიდებულნი ვიდექით და მთვარის დაბნელებას ვაკვირდებოდით. გოგონას ვუხსნიდი, რატომაა, რომ მთვარე დედამიწის ჩრდილით მთლიანად იფარება და მაინც იმდენ შუქს გამოსცემს, რომ ჩვენ მკაფიოდ ვხედავთ, უფრო ნათლად, ვიდრე სხვა დროს. ვხედავთ, როგორც მანათობელ დისკოს კი არა, ჩვეულებრივ რომ მოჩანს ხოლმე, არამედ როგორც სფეროს, ბურთს, როგორც სხეულს, როგორც ცარიელ სამყაროში გამოკიდებულ ნარინჯისფერ უზარმაზარ მასას. აღარ მახსოვს, იმ ერთ საათს კიდევ რაზე ვილაპარაკეთ. მაშინ გოგონა პირველად მიხვდა (ეს მახსოვს), რომ მე ჩვენს ურთიერთობას სერიოზულად ვუყურებდი და ისე მაკოცა, როგორც აქამდე არც ერთხელ არ ეკოცნა.

დაბნელება საკმაოდ არასასიამოვნო სანახაობა იყო: უზარმაზარი მასა ცაზე მიცურავს, უფრო სწორად, სივრცეში მიირწევა. ეს სურათი ხელშესახებ შეგრძნებას იწვევს, რომ ჩვენც ასევე ვკიდივართ წყვდიადში და დედამიწაც ასევე მიირწევა. მგონი, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზეც ვლაპარაკობდი. ორივენი აღელვებულები ვიყავით, რადგან მთვარის ასეთი სრული დაბნელება აქამდე არც იმას ენახა და არც მე. უცებ პირველად ვიგრძენი ბუნდოვნად, რომ ამ გოგონას, რომელიც აქამდე ბავშვად მიმაჩნდა, ვუყვარდი. ასე იყო თუ ისე, ეს გოგონა იმ ღამეს, მას შემდეგ, რაც გარეთ დიდხანს ვიძაგძაგეთ, ჩემს ოთახში მოვიდა...

*

*

შემდეგ ჰანასთან შეხვედრა...

(3.IV. ათენში).

ჰანა მანამდე ვიცანი, სანამ თვალს გავახელდი. ის მოწყალების დას ელაპარაკებოდა. ვიცოდი, სადაც ვიყავი და მინდოდა მეკითხა, ოპერაცია ჩატარდა თუ არა-მეთქი, მაგრამ ძილად მივარდნილს, გასავათებულს წყურვილი მახრჩობდა და ხმას ვერ ვიღებდი. მესმოდა მისი ხმა, ბერძნულად ლაპარაკობდა. ჩაი მომიტანეს, მაგრამ ჭიქის ხელში აღება არ შემეძლო. ძილ-ბურანში მყოფს ყველაფერი მესმოდა. ვიცოდი, რომ მეძინა, ისიც ვიცოდი, გავიღვიძებდი თუ არა, ჰანას დავინახავდი.

უცებ სიწყნარე ჩამოვარდა...

შემეშინდა, ბავშვი ხომ არ მოკვდა-მეთქი.

თვალი უცებ გავახილე: ვწევარ თეთრ ოთახში, ლაბორატორიაში, ფანჯარასთან ქალი დგას, ჰგონია, რომ მძინავს და ვერ ვხედავ. მე კი ვხედავ მის ჭაღარა თმას, პატარა ტანს. ის იცდის. ორივე ხელი ჟაკეტის ჯიბეებში აქვს ჩაწყობილი და ფანჯარაში იყურება. ოთახში სხვა არავინაა. ქალი უცხოა. სახე არ უჩანს, ვხედავ მხოლოდ კეფას და მოკლედ შეკრეჭილ თმას. ხანდახან ცხვირსახოცს იღებს და

ცხვირს იხოცავს. მაშინვე ან ჯიბეში იდებს, ან ნერვიულად ჭმუჭნის ხელში. გაუნძრევლად დგას. სათვალე უკეთია, შავი რქის სათვალე. ის შეიძლება ექიმად მიგეღო კაცს, ან ადვოკატად, ან რაღაც ამდაგვარად. ქალი ტირის. ერთხელ ხელი სათვალის ქვეშ შეიცურა, თითქოს სახეს იფარავსო, კარგა ხანს ეჭირა ასე, მერე ისევ დასჭირდა ორივე ხელი, სველი ცხვირსახოცი გაშალა და კვლავ ჯიბეში ჩაიდო. იცდის, ფანჯარაში იყურება, სადაც ჟალუზის მეტი არაფერი ჩანს. ტანი სპორტული აქვს, ჭაღარა თმა რომ არა, ქალიშვილურიც კი. შემდეგ კიდევ ერთხელ იღებს ჯიბიდან ცხვირსახოცს და სათვალეს წმენდს. ამ დროს, როგორც იქნა, დავინახე მისი სახე – ბრინჯაოსფერი სახე, ლურჯი თვალები რომ არ ჰქონდეს, მოხუცი ინდიელის სახე გეგონება.

თავს ვიმძინარებ.

თმაგათეთრებული ჰანა!

როგორც ჩანს, მართლა ჩამძინებია – ნახევარი წუთით თუ ნახევარი საათით, არ ვიცი. მეძინა, სანამ თავი კედელს ისე არ მივახალე, რომ შევკრთი და მან დაინახა, რომ გამეღვიძა. სიტყვა არ უთქვამს, მხოლოდ შემომხედა. იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო, თავი ხელებზე დაეყრდნო და სიგარეტს ეწეოდა.

– როგორაა საქმე? – ვკითხე მე.

ჰანას სიგარეტი არ მოუშორებია.

– იმედი უნდა ვიქონიოთ, – ამბობს იგი, – ინექცია გაუკეთეს, იმედი უნდა ვიქონიოთ.

– ცოცხალია?

– ჰო, – თქვა მან.

არც მომსალმებია.

– ექიმი ელოითეროპულოსი ჯერ წასული არ იყო, ასე თქვა, ეს გველგესლა არ ყოფილაო.

ფინჯანი გამივსო.

– აჰა, დალიე ჩაი!

თავში აზრადაც არ მომსვლია (გულწრფელად ვამბობ), რომ ოცი

წელი იყო, ერთმანეთთან არ გვესაუბრა. ვლაპარაკობდით ერთი საათის წინ ჩატარებულ ოპერაციაზე ან ვდუმდით და ერთად ვუცდიდით ექიმის ცნობებს.

ფინჯანს ფინჯანზე ვცლიდი.

– იცი, რომ შენც გაგიკეთეს ნემსი? – მეუბნება იგი.

ნემსის გაკეთება ნამდვილად არ გამიგია.

– მხოლოდ ათი მილიგრამი, პროფილაქტიკის მიზნით, – მეუბნება იგი, – პირის ლორწოვანი გარსიდან რომ არ მოწამლულიყავი.

ჰანა საერთოდ ძალიან საქმიანია.

– როგორ მოხდა ეს ამბავი? – მეკითხება იგი, – დღეს კორინთოში იყავით?

მაჟრჟოლებდა.

– სადაა შენი პიჯაკი?

ჩემი პიჯაკი ზღვის პირას ეგდო.

– რამდენი ხანია საბერძნეთში ხართ?

ჰანა მაოცებდა. მამაკაცი მეგობარი ამაზე უფრო საქმიანად ვერ დაგკითხავდა. მეც შევეცადე, ასევე საქმიანად მეპასუხა. რა საჭიროა, ასჯერ დავიფიცო, ბრალი არაფერში მიმიძღვის-მეთქი. ჰანა ხომ არ მსაყვედურობს, მხოლოდ მეკითხება და ფანჯარაში იყურება. ჩემთვის არ შემოუხედავს, ისე შემეკითხა: – რა ურთიერთობა გქონდა გოგონასთან?

ვხედავდი, ძალიან ნერვიულობდა.

– მაშ, გველგესლა არ ყოფილაო?

– ჩაი დალიე! – მეუბნება იგი.

– როდიდან ატარებ სათვალეს? – ვეკითხები მე.

. . . . . .

გველი არ დამინახავს, მხოლოდ ზაბეტის ყვირილი გავიგონე. როცა მივირბინე, უგონოდ ეგდო. დავინახე, როგორ დაეცა და მისკენ გავიქეცი. ის ქვიშაში იწვა. გავიფიქრე, გული დაცემის

გამო წაუვიდოდა-მეთქი, მხოლოდ მერე დავინახე მკერდზე ნაკბენი, პატარა, ერთმანეთის ახლოს განლაგებული სამი ნაჭდევი და ყველაფერს მივხვდი. ნაკბენიდან სისხლი ოდნავ მოჟონავდა. რა თქმა უნდა, ნაკბენი მაშინვე ამოვწოვე, როგორც მიღებულია. ისიც ვიცოდი, რომ ლახტი გულის არედან ზევით უნდა დამედო, მაგრამ როგორ? ნაკბენი მარცხენა ძუძუს ზემოთ იყო. ვიცოდი, იარა უნდა ამოგვეწოვა ან ამოგვეშანთა. მშველელს ვეძახდი, მაგრამ სანამ გზატკეცილზე გავიდოდი სულს ვეღარ ვითქვამდი, დაშავებული მკლავებზე მეწვინა, ქვიშაში ფეხებს ძლივს მივათრევდი. სასო წარმეკვეთა, როცა გზატკეცილზე მიმავალ ფორდს რაც ძალი და ღონე მქონდა დავუყვირე და ვერ გავაგონე. ფორდმა ჩაიქროლა. სუნთქვა მეკვროდა, გულწასული ზაბეტი მკლავებზე მესვენა. გოგონა თანდათან ისე მძიმდებოდა, ძლივსღა ვიჭერდი, რადგან თვითონ სულ ვერ მეშველებოდა. გზაზე გავედი, მაგრამ იმ არემარეზე ტრანსპორტი არსად ჩანდა... სული მოვითქვი და ხრეშიანი გუდრონით მოგებულ გზას ფეხით დავადექი. ჯერ მივრბოდი, შემდეგ სულ უფრო ნელა და ნელა. შუადღე იყო, ვტიროდი და მივდიოდი ფეხშიშველა, სანამ ზღვიდან მომავალი ორთვალა არ შემხვდა. ორთვალას პატრონი მხოლოდ ბერძნულად ლაპარაკობდა, მაგრამ იარის დანახვისთანავე ყველაფერს მიხვდა. სველი ხრეშით დატვირთულ ორთვალაზე დავჯექი, გოგონა მკლავებზე მეწვინა, როგორც იყო, ისე, საბანაო კოსტიუმის (ბიკინის) ამარა და ქვიშით მოსვრილი. ორთვალა ისე მიჯაყჯაყებდა, რომ გულწასული ისევ ხელში მეჭირა. მეც გვარიანად მანჯღრევდა. მუშას შევეხვეწე, უფრო სწრაფად ევლო. ვირი ფეხით მოსიარულეზე სწრაფად ვერ მიდიოდა. ჭრიალა, ბორბლებმონჯღრეული ორთვალა ძლივს მიღოღავდა, თითოეული კილომეტრი საუკუნედ გადაიქცა. ვირისკენ ზურგშექცეული ვიჯექი და გზას გავყურებდი, მაგრამ მანქანა არსად ჩანდა. ვერ გავიგე, ბერძენი რას მეუბნებოდა, რატომ გაჩერდა ერთ ჭასთან და სახედარი იქვე პალოზე გამოაბა. თან მანიშნებდა, დამიცადეო. მე ვეხვეწებოდი, წავსულიყავით, დრო არ დაგვეკარგა. არ ვიცოდი, რა მოიფიქრა, ხრეშით დატვირთულ ორთვალაზე მარტო რომ მიმატოვა დაკბენილ გოგონასთან ერთად, რომელსაც აცრა სჭირდებოდა. ნაკბენი ისევ გამოვწოვე. ეტყობოდა, ქოხმახებისაკენ მშველელის მოსახმობად წავიდა. რით აპირებდა შველას, რაიმე ბალახბულახით თუ შელოცვით, არ ვიცი. მან დაუსტვინა, შემდეგ წინ წავიდა, რადგან ქოხმახებიდან არავინ

გამოხმაურებია. ერთ-ორ წუთს დავიცადე, მერე კი ბევრი აღარ მიფიქრია, დაშავებული ხელში ავიყვანე და ისევ სირბილით წავედი, სანამ სუნთქვა არ შემეკრა. მეტი აღარ შემეძლო. გოგონა გზის პირას დავაწვინე, რადგან ფეხით სიარულს მაინც არავითარი აზრი არ ჰქონდა. ათენამდე ხომ ვერ მივიყვანდი ხელით. მანქანა ან გამოჩნდებოდა, ან არა. როცა ზაბეტს კვლავ ამოვწოვე მკერდზე დაჩნეული იარა, დავინახე, რომ ნელ-ნელა გონს მოდიოდა: თვალები ფართოდ გაახილა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, მხოლოდ წყალი მოითხოვა. ხმა მთლად ჩახლეჩილი ჰქონდა, პულსი ძალიან ნელა უცემდა, შემდეგ აღებინა და ოფლმაც დაასხა. ჭრილობის ირგვლივ კანი შეუშუპდა და მოლურჯო-მოწითალო ფერი გადაეკრა. წყლის მოსაძებნად გავიქეცი. ირგვლივ ნარშავისა და გადახრუკულ მიწაზე ამოსული ზეთისხილის ხეების მეტი არაფერი ჩანდა, კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ ორიოდე თხა ძოვდა ჩრდილში. გეძახა და გეყვირა, რამდენიც გინდოდა. შუადღე იყო, სამარისებური სიჩუმე იდგა. ზაბეტის გვერდით ჩავიჩოქე. გონზე იყო, მაგრამ დამბლადაცემულივით ძილს თავს ვერ ართმევდა. საბედნიეროდ, კიდევ დროზე შევასწარი თვალი საბარგო მანქანას და გზაზე გადავუდექი. გრძელი მილებით დატვირთული საბარგო მანქანა გაჩერდა. ის ათენში კი არა, მეგარაში მიდიოდა, მაგრამ მიმართულება ერთი იყო. უკვე მძღოლის გვერდით ვიჯექი, დაშავებული ისევ მკლავებზე მეწვინა. გრძელი მილების რახუნი და მომაკვდინებელი ტემპი ნერვებს მიშლიდა. სწორ გზაზე ოცდაათი კილომეტრის სიჩქარით მივღოღავდით! პიჯაკი ზღვაზე დამრჩა, ფული პიჯაკში მედო. მეგარაში მძღოლს ჩემი «ომეგა» მივეცი, რომ მილების გადმოტვირთვაზე დრო არ დაეკარგა, მაგრამ ელევსისში ბენზინის ასაღებად თხუთმეტი წუთი მაინც შევყოვნდით. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ეს გზა. მძღოლს ალბათ ეშინოდა, საათი უკან არ მომთხოვოსო, თუ რას ფიქრობდა, არ ვიცი. ეს კი იყო, ორჯერ შემიშალა ხელი, სხვა უფრო სწრაფ ტრანსპორტზე გადავმჯდარიყავი. ერთხელ ავტობუსი წამოგვეწია, მეორეჯერ – ლიმუზინი. ლიმუზინი ხელის აქნევით გავაჩერე, მაგრამ ჩემმა მძღოლმა ბერძნულად გადაულაპარაკა რაღაც და მანქანამ გზა განაგრძო. უნდოდა, ჩემი მხსნელი მაინცდამაინც თვითონ ყოფილიყო, მაგრამ, საუბედუროდ, დიდი ვერაფერი შვილი მძღოლი გახლდათ. დაფნის აღმართზე ძლივს მივღოღავდით. როგორც იქნა, გამოჩნდა ათენის გარეუბნები, მაგრამ ჩვენ სულ უფრო და

უფრო ვუკლებდით სიჩქარეს. დაიწყო შუქნიშნები, გზა ყოველ წუთს იკეტებოდა. მილებით დატვირთული საბარგო მანქანა ისედაც სხვა მანქანებზე ნელა მიდიოდა. თან იმ სხვებს შრატზე არ მიეჩქარებოდათ. ათენი საზიზღარი ქალაქია, ტრამვაები და სახედრიანი ორთვალები ერთმანეთში ირევა. რა თქმა უნდა, ჩვენმა მძღოლმა არ იცოდა, სად იყო საავადმყოფო და გზას გამვლელებს ეკითხებოდა. ასე მეგონა, საავადმყოფოს ვერასოდეს მიაგნებდა. მე თვალდახუჭული ვიჯექი ან ზაბეტს დავცქეროდი. ზაბეტი მძიმედ სუნთქავდა (ყველა საავადმყოფო ათენის მეორე ბოლოში იყო გადაკარგული). ჩვენი მძღოლი სოფლელი იყო და იმ ქუჩების სახელებიც კი არ იცოდა, რომელსაც მიუთითებდნენ. მე მხოლოდ ერთი სიტყვა მესმოდა: ლეოფორეს, ლეოფორეს. ვცდილობდი მივშველებოდი, მაგრამ ბერძნული კითხვაც არ ვიცოდი. საავადმყოფოს მართლა ვერ მივაგნებდით, საფეხურზე ერთი ბიჭი რომ არ შემოგვდგომოდა და გზა არ ეჩვენებინა. შემდეგ ამ ოთახში მოვხვდით...

შეკითხვებს მხოლოდ ბერძნულ ენაზე მაძლევდნენ...

ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ერთი მოწყალების და, რომელსაც ინგლისური ესმოდა, სატანასავით აუღელვებელი არსება. მის მთავარ საზრუნავს ჩვენი ვინაობის დადგენა წარმოადგენდა.

*

ექიმმა, რომელმაც გოგონა გასინჯა, დაგვამშვიდა. მას ინგლისური ესმოდა, მაგრამ პასუხს ბერძნულად იძლეოდა. ჰანა მითარგმნიდა, რაც მნიშვნელოვანი იყო. მოვისმინე ექიმის ახსნა-განმარტება: ზაბეტი გველგესლას კი არა, ასპიტს დაუკბენია. მისი აზრით, ნამდვილად სწორად მოვქცეულვარ, გოგონა საავადმყოფოში რომ მომიყვანია. ხალხურ წამლობას (ნაკბენის ამოწოვა ან ამოშანთვა, ნაკბენის ზემოთ ლახტის დადება) ის, როგორც სპეციალისტი, დიდად არ აფასებდა. საიმედოა მხოლოდ შრატის შეყვანა არა უგვიანეს სამი-ოთხი საათისა, ნაკბენი ადგილის ამოკვეთა მხოლოდ დამატებით ღონისძიებად ითვლება.

ექიმს ვერ გაეგო, მე ვინ ვიყავი.

ან მე რას ვგავდი: ფეხშიშველა, უპიჯაკო, გაოფლილი და

გაჭუჭყიანებული იმ ხრეშის მზიდავი მუშასავით. ფეხებიც მაზუთში მქონდა ამოთითხნილი, ჩემს პერანგზე რომ არაფერი ვთქვათ, კაცს ვიღაც მაწანწალა ვეგონებოდი. ექიმმა ფეხებზე დამხედა და ჩემი მოვლა მოწყალების დას მიანდო. თვითონ მხოლოდ ჰანას ელაპარაკებოდა, სანამ ჰანამ არ უთხრა: – Mister Faber is a friend of mine.[87]

აი, რა მამშვიდებდა: გველის (გველგესლა, ყველა ჯიშის ასპიტი) კბენით გამოწვეული სიკვდილიანობა სამიდან ათ პროცენტამდე აღწევს. კობრას ნაკბენითაც კი სიკვდილიანობა ოცდახუთ პროცენტს არ აღემატება, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება გველების წინაშე დღესაც ფართოდ გავრცელებულ შიშს. ჰანაც საკმაოდ დამშვიდდა.

ჰანამ შემომთავაზა, ღამე ჩემთან გაათიეო.

საავადმყოფოდან გოგონას უნახავად წასვლა არ მინდოდა. დავიჟინე, ერთი წუთით მაინც მანახეთ-მეთქი (ექიმმა მაშინვე დამრთო ნება). ჰანა უცნაურად იქცეოდა: ერთი წუთით არ დავუტოვებივარ პალატაში, ვითომ ქალიშვილს მოვტაცებდი.

– წამო, – მითხრა მან, – სძინავს.

შეიძლება, ბედნიერება იყო, ბავშვმა რომ ვეღარ გვიცნო. მას პირღია ეძინა (ჩვეულებრივ, ასე არ იცოდა ხოლმე). სახე გაჰფითრებოდა, ყური მარმარილოსავით უფერული ჰქონდა, სწრაფად სუნთქავდა, მაგრამ თანაბრად, თითქოს საშიში არაფერი იყო. მხოლოდ ერთხელ მოაბრუნა ჩემკენ თავი, მაგრამ არ გაუღვიძია.

– წამო, – მითხრა ჰანამ, – თავი დაანებე!

მერჩივნა, რომელიმე სასტუმროში წავსულიყავი. რატომ არა ვთქვი მერე? ალბათ, ჰანასთვისაც ასე აჯობებდა. ერთმანეთისთვის ხელიც კი არ ჩამოგვირთმევია. მხოლოდ ტაქსიში მომაგონდა ეს და ვუთხარი: – გამარჯობა!

მან გაიღიმა, როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე, როცა უკბილოდ ვიხუმრებდი. ღიმილის დროს წარბებშუა შუბლი დაუნაოჭდა.

ძალიან ჰგავდა თავის ქალიშვილს.

რა თქმა უნდა, არაფერი მითქვამს.

– სად გაიცანი ელზბეტი? – მეკითხება იგი, – გემზე?

ზაბეტს მიუწერია, ერთმა ხნიერმა კაცმა ჰავრში ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ხელი მთხოვაო.

– მართალია ეს? – მეკითხება იგი.

ჩვენი საუბარი ტაქსიში: უპასუხოდ დატოვებული კითხვები.

რატომ ვეძახი ზაბეტს? მესმის ჩემი შეკითხვის საპასუხოდ: «რა სახელია ელზბეტი?» ამ დროს ჰანამ დიონისოს თეატრი დამანახვა. რატომ ვეძახდი ზაბეტს? იმიტომ, რომ ელზბეტი, ჩემი აზრით, საძაგელი სახელია. ამ დროს ისევ დამანახეს დანგრეული სვეტები. რატომ მაინცდამაინც ელზბეტი? ბავშვს ასეთ სახელს მე არ დავარქმევდი. ამ დროს გზა ჩაიკეტა. ასეა თუ ისე, მას მამამისის სურვილით ელიზაბეტი ჰქვია. ამ დროს ჰანა მძღოლს დაელაპარაკა ბერძნულად; მძღოლი ვიღაც გამვლელს ლანძღავდა. ასე მეგონა, სულ წრეებს ვარტყამდით და ნერვები მეშლებოდა, თუმცა მოულოდნელად ორივეს ამდენი თავისუფალი დრო გაგვიჩნდა.

შემდეგ შემეკითხა:

– მას მერე თუ შეხვედრიხარ იოახიმს?

ათენი, ჩემი აზრით, საძაგელი ქალაქია. ვერ წარმომედგინა, აქ სად უნდა ეცხოვრა ადამიანს. პროვინციული ქალაქია, ზოგ ადგილს სოფელიც კი ეთქმის, ზოგან შუა ქუჩაში ხალხის ტევა არ არის, შემდეგ ისევ უკაცრიელი მასივები შეგხვდება, ნანგრევები, მათ შორის – დიდი ქალაქის იმიტაცია. საძაგლობაა პირდაპირ. მისი შეკითხვის შემდეგ მალე გავჩერდით.

– აქ? – ვკითხე მე.

– არა, – თქვა მან, – ახლავე მოვალ.

ჰანას ინსტიტუტთან შევჩერებულვართ. მე ტაქსიში დავრჩი, სიგარეტიც კი არ მქონდა თან. შევეცადე წარწერები წამეკითხა, მაგრამ ამაოდ. თავი სავსებით უწიგნური მეგონა. სულ დავიბენი.

შემდეგ ისევ ქალაქისკენ ვიბრუნეთ პირი...

როცა ჰანა ინსტიტუტიდან გამოვიდა, გულახდილად რომ ვთქვა, ვეღარ ვიცანი, თორემ, რა თქმა უნდა, ტაქსის კარს მაინც

გავუღებდი.

როგორც იქნა, მივედით.

– მე წინ წავალ, – ამბობს იგი.

ჰანა მიდის წინ, თმაშეკრეჭილი, ჭაღარა, სათვალიანი ქალი, უცხო ქალი, მაგრამ ზაბეტის, უფრო სწორად, ელიზაბეტის დედა (ასე ვთქვათ, ჩემი სიდედრი!). ხანდახან მიკვირს, ასე უბრალოდ, შენობით რომ ველაპარაკებით ერთმანეთს.

– შემოდი, – მეუბნება იგი, – დაისვენე.

შეხვედრა ოცი წლის შემდეგ. ამას არც მე მოველოდი, არც ჰანა. ჰო, თუმცა ის მართალია: ზუსტად თუ ვიანგარიშებთ, ოცდაერთი წელია ერთმანეთი არ გვინახავს.

– მოდი, დაჯექი, – მეუბნება იგი.

ფეხები მტკიოდა.

რა თქმა უნდა, ვიცოდი, თავის შეკითხვას («რა ურთიერთობა გქონდა გოგონასთან?») ადრე თუ გვიან გამიმეორებდა და მე უნდა დამეფიცა: «არავითარი!» არც ვიცრუებდი, რადგან, ჰანას რომ ვუყურებდი, მე თვითონვე აღარ მჯეროდა ეს ყველაფერი.

– ვალტერ, – მეუბნება იგი, – რატომ არ ჯდები?

მე ჯიუტად ვდგავარ...

ჰანამ ჟალუზი ასწია.

«მთავარია, ბავშვი გადარჩეს!» – განუწყვეტლივ ვიმეორებ გულში, სულერთია, ვლაპარაკობ, ვდუმვარ თუ ჰანას სიგარეტს ვეწევი... მან სავარძლიდან წიგნები აკრიფა და ადგილი გამითავისუფლა.

– ვალტერ, არა გშია? – მეკითხება იგი.

ჰანა დედასავით მექცევა...

არ ვიცოდი, რა მეფიქრა.

– მშვენიერი ხედია, – ვამბობ მე, – მაშ, ეს არის სახელგანთქმული აკროპოლისი?

– არა, – ამბობს იგი, – ეს ლიკაბეტოსია.

ყოველთვის ჰქონდა ეს ჩვევა, ჩვევა კი არა, მანია, უბრალო საგნებზეც კი ზედმიწევნით ზუსტად გამოეთქვა აზრი: არა, ეს ლიკაბეტოსია!

ასეც ვეუბნები:

– შენ არ შეცვლილხარ!

– ასე გგონია? – მეკითხება იგი, – შენ კი შეიცვალე?

მისი ბინა მეცნიერის ტიპური ბინაა (ესეც გულახდილად ვუთხარი. მერე ერთხელ მამაკაცებზე ჩამოვარდა სიტყვა და ჰანამ ჩემი ნათქვამი გამოიყენა იმის დასამტკიცებლად, შენ მეცნიერება და, საერთოდ, ყოველგვარი გონებრივი შრომა მამაკაცის მონოპოლიად მიგაჩნიაო). ოთხივე კედელი წიგნების თაროებითაა გაჭედილი, საწერ მაგიდაზე ეტიკეტებიანი ქვის ნატეხების ხორა დგას. სხვა, თვალის ერთი გადავლებით, ანტიკვარული არაფერი დამინახავს, პირიქით, ოთახში სავსებით თანამედროვე ავეჯი იდგა, რაც ჰანასგან გამიკვირდა კიდეც.

– ჰანა, – ვეუბნები, – შენ პროგრესული ქალი გამხდარხარ!

მან მხოლოდ გაიღიმა.

– სერიოზულად გეუბნები!

– ნუთუ მართლა? – მეკითხება იგი.

ხანდახან ჰანას ვერ ვუგებდი.

– შენ კი ძველებურად პროგრესული ხარ, არა? – შემეკითხა იგი და გამიხარდა, სხვა არა იყოს რა, გაიღიმა მაინც... უკვე ვგრძნობდი, სინდისის ქენჯნა, რასაც ჩვეულებრივ განიცდის კაცი, ქალიშვილს რომ მიატოვებს და ცოლად არ შეირთავს, ამ შემთხვევაში სრულიად ზედმეტი იყო. ჰანას მე არ ვჭირდებოდი. უმანქანოდაც იოლად გადიოდა. უტელევიზოროდაც მშვენივრად გრძნობდა თავს.

– მშვენიერი ბინა გქონია, – ვეუბნები მე.

შემდეგ მისი ქმარი ვახსენე.

– ჰო, პაიპერი, – ამბობს იგი.

ჰანას, ეტყობოდა, არც ის სჭირდებოდა, თუნდაც

მატერიალურად. წლების განმავლობაში საკუთარი შრომით გაჰქონდა თავი (თუმცა რა სამუშაოს ასრულებს ჰანა, გულახდილად რომ ვთქვა, დღესაც ვერ გავრკვეულვარ). დიდებულად არა, მაგრამ მაინც რიგიანად ცხოვრობდა. ამას კარგად ვხედავდი. მის ჩაცმულობას აივიც კი ვერ დასდებდა წუნს და, როგორც ვთქვი, სიძველისაგან დახეთქილ ციფერბლატიან კედლის საათს თუ არ ჩავთვლიდით, მისი ბინაც სავსებით თანამედროვედ იყო მოწყობილი.

– შენ როგორა ხარ? – მკითხა მან.

ტანზე ვიღაცის პიჯაკი მეცვა, საავადმყოფოში მათხოვეს. თავს უხერხულად ვგრძნობდი ამ პიჯაკში – სრული მქონდა და მოკლე, თითქოს პატარა ბიჭის ქურთუკი მცმოდეს. გავიდა თუ არა ჰანა სამზარეულოში, მაშინვე გავიხადე, მაგრამ არც პერანგის ამარა ივარგებდა ყოფნა, პერანგი დასისხლიანებული იყო.

– სანამ სადილს მოვამზადებ, თუ გინდა, იბანავე, – მითხრა ჰანამ.

ის სუფრას შლიდა.

– ჰო, მინდა, გაოფლილი ვარ, – ვუთხარი მე.

ჰანა გულისამაჩუყებელი იყო, თან ზედმიწევნით საქმიანი. წყალგამაცხელებელი აანთო, ამიხსნა, შემდეგ როგორ უნდა გამომეთიშა და სუფთა, ხაოიანი პირსახოცი და საპონი მომიტანა.

– ფეხები როგორ გაქვს? – მეკითხება ჰანა და თან შეუსვენებლად ფუსფუსებს.

– სასტუმროში რა გინდა? – მეუბნება ჰანა, – შეგიძლია აქ იცხოვრო, ამას რა ლაპარაკი უნდა.

ვგრძნობდი, რა გაუპარსავი ვიყავი.

აბაზანა ძალიან ნელა ივსებოდა და ორთქლი ასდიოდა. ჰანამ ცივი წყლის ონკანი გახსნა, თითქოს წყალს მე თვითონ ვერ მოვუშვებდი. სტუმარივით გულხელდაკრეფილი ვიჯექი სკამზე, ფეხები მტკიოდა. ჰანამ სარკმელი გამოაღო. ორთქლის ბუღში ძლივს ვარჩევდი ჰანას. მიხრა-მოხრა სულ არ შეცვლოდა, სულ არა.

– ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩემზე გაბრაზებული იყავი მაშინდელი ამბის გამო, – ვუთხარი მე.

ჰანამ გაიოცა:

– რას ჰქვია გაბრაზებული? მაშინ რომ არ დავქორწინდით, იმიტომ? – მეუბნება იგი, – კიდევ კარგი, რომ ასე მოხდა, თორემ ეს ხომ უბედურება იქნებოდა.

პირდაპირ მასხრად მიგდებდა.

– არა, სერიოზულად, მართლა ფიქრობდი, ვალტერ, რომ მთელი ამ ოცდაერთი წლის მანძილზე ვბრაზობდი შენზე?

აბაზანა გაივსო.

– რატომ იქნებოდა უბედურება? – ვეკითხები მე.

ამ საკითხზე მეორედ აღარ გვილაპარაკია. ჰანა მართალი იყო, ჩვენ სხვა სადარდებელი გვქონდა.

– იცოდი, რომ გველის კბენით გამოწვეული სიკვდილიანობა სამ-ათ პროცენტს არ აღემატება?

პირადად მე გაოცებული ვიყავი.

ჰანა სტატისტიკას არაფრად აგდებდა, ამას მაშინვე მივხვდი. სააბაზანოში ბოლომდე გადმომაფრქვევინა ჩემი მოსაზრებები სტატისტიკის თაობაზე და შემდეგ მითხრა:

– წყალი გაგიცივდება!

არც ვიცი, აბაზანაში რამდენ ხანს ვიწექი, შეხვეული ფეხები აბაზანის კიდეზე მეწყო და ფიქრებში ვიყავი ჩაფლული: ვფიქრობდი სტატისტიკაზე, იოახიმზე, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო, ვფიქრობდი მომავალზე, სანამ სიცივისაგან არ ამაძაგძაგა, თვითონაც არ ვიცოდი, რაზე ვფიქრობდი, უფრო სწორად, ვერ ვბედავდი, თავს ჩავკითხოდი, რაზე ვფიქრობდი. ვხედავდი ფლაკონებსა და კოლოფებს, ქალის ტუალეტის ნივთებს. ჰანა ვეღარ წარმოვიდგინე, ვერც მაშინდელი, ვერც ახლანდელი, ვერც ერთი. მაძაგძაგებდა, მაგრამ ჩემი გასისხლიანებული პერანგის ჩაცმა აღარ მინდოდა. ჰანას ძახილზე არ მიპასუხია.

რა დამემართა?

მე თვითონ არ ვიცოდი.

ჩაის დავლევ თუ ყავას?

ამ ერთმა დღემ ისე გამასავათა, რომ აქეთ-იქით უილაჯოდ ვაწყდებოდი, რაც, ჩვეულებრივ, არ მჩვევია ხოლმე. უმიზნო ფიქრებიც (აბაზანა ეტრუსკულ სარკოფაგს ჰგავს-მეთქი), ძალ-ღონის გამოცლის ბრალი იყო. საკუთარი უილაჯობის შეგრძნებამ და სიცივემ ისე დამთრგუნა, რომ ნამდვილად მაბოდებდა.

– ჰო, მოვდივარ, – ვთქვი მე.

კაცმა რომ თქვას, აზრადაც არ მქონია, ჰანა მენახა. ათენში ჩამოვიდოდი თუ არა, მაშინვე აეროდრომზე უნდა წავსულიყავი.

შვებულება მითავდებოდა.

უილიამსის სიტროენი ბარიში დავტოვე და ახლა იმაზე ვიმტვრევდი თავს, მანქანა პარიზში როგორ დამებრუნებინა. იმ გარაჟის სახელიც კი არ ვიცოდი!

– ჰო, მოვდივარ, – გავძახე მე.

თან არც კი გავნძრეულვარ.

ვია აპია...

მუმია ვატიკანში...

ჩემი სხეული წყალში...

თვითმკვლელობა მე საქმედ არ მიმაჩნია, ეს ხომ არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ამქვეყნად არსებობდი. და ამ წუთში მხოლოდ ერთს ვნატრობდი: არასოდეს გავჩენილიყავი ამ ქვეყანაზე!

– ვალტერ, – მეკითხება ჰანა, – მოდიხარ?

აბაზანის კარი არ ჩამიკეტავს. ჰანას შეეძლო (ვფიქრობდი მე) დაუბრკოლებლად შემოსულიყო და ქურდულად ნაჯახით მოვეკალი. თვალდახუჭული ვიწექი, არ მინდოდა ჩემი ბებერი სხეული დამენახა...

ჰანა ტელეფონზე ლაპარაკობდა.

რაღა მაინცდამაინც მე უნდა შემმთხვეოდა ასეთი რამ!

შემდეგ კი, საღამოს, ისე ველაპარაკებოდი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ყოველგვარი თავის მოჩვენების გარეშე და კაცმა რომ თქვას, არც არაფერი მომხდარა ისეთი. მთავარია, რომ შრატის წყალობით ზაბეტი გადარჩა. ჰანას შევეკითხე, სტატისტიკის არაფერი გწამს, ბედისწერა და სხვა მისთანები კი გჯერა-მეთქი?

– შენ და შენი სტატისტიკა! – თქვა ჰანამ, – მე რომ ასი ქალიშვილი მყოლოდა და ასივე გველს დაეკბინა, კიდევ ჰო! მაშინ სამიდან ათამდე ქალიშვილს დავკარგავდი. ნამდვილად საოცრად ცოტაა! შენ სავსებით მართალი ხარ, – მან გაიცინა, – მაგრამ მე ხომ ერთადერთი ქალიშვილი მყავს!

არ შევკამათებივარ, მაგრამ მაინც კინაღამ ვიჩხუბეთ, უცებ გვიღალატა ნერვებმა. ჩხუბი ჩემი შენიშვნით დაიწყო.

– ჰანა, კრუხივით იქცევი! – ვეუბნები მე.

ეს სიტყვები უნებურად წამომცდა.

– მაპატიე, მაგრამ ასეა!

მხოლოდ გვიან მივხვდი, რა მწყინდა: აბაზანიდან რომ გამოვედი, ჰანა ტელეფონთან იდგა – სანამ მე აბაზანაში ვიყავი, საავადმყოფოში დაურეკავს – და ელზბეტს ელაპარაკებოდა.

უნებურად ყველაფერი მოვისმინე.

ჩემზე არც ერთი სიტყვა არ თქმულა.

ჰანა ისე ლაპარაკობდა, თითქოს ამ ქვეყანაზე არსებობდა მხოლოდ თვითონ, ზაბეტის დედა, თითქოს მხოლოდ ის დარდობდა მასზე და მხოლოდ მას უხაროდა, რომ გოგონამ მოიხედა. სანამ ოთახში შევიდოდი, გერმანულად ლაპარაკობდნენ, შემდეგ ჰანა ბერძნულზე გადავიდა. სიტყვა არ მესმოდა. მერე ჰანამ ყურმილი დაკიდა.

– როგორაა საქმე? – ვეკითხები მე.

ჰანა აშკარად დამშვიდებულია...

– უთხარი, რომ აქ ვარ?

ჰანამ სიგარეტი ამოიღო.

– არა, – მიპასუხა მან.

ჰანა უცნაურად იქცეოდა, ვერ დავიჯერებდი, რომ გოგონა ჩემზე არაფერს ჰკითხავდა. ყოველ შემთხვევაში, მგონი, იმის უფლება მაინც მქონდა, გამეგო, რა ილაპარაკეს.

– მოდი, ვჭამოთ რამე, – მეუბნება ჰანა.

მისი ღიმილი მაცოფებდა, თითქოს მე არავითარი უფლება არ მქონდა, ყველაფერი მცოდნოდა.

– მოდი, დაჯექი, – მეუბნება ჰანა.

მაგრამ მე არ ვჯდები.

– რატომ გწყინს, რომ ჩემს შვილს ველაპარაკები? – მეუბნება იგი, – რატომ?

მართლა კრუხივით იქცეოდა (ჩემი აზრით, ყველა ქალი ასე იქცევა, როგორი ინტელექტუალურიც უნდა იყოს), ასე კრუხმა იცის თავისი წიწილების ფრთებქვეშ შეფარება. ამიტომაც ვუთხარი, ნამდვილი კრუხი ხარ-მეთქი, სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ჰანა, არასოდეს რომ არ მინახავს, ისე გაანჩხლდა.

მისი მუდმივი არგუმენტი: ის ჩემი შვილია, შენი კი არა.

იმიტომაც ვეკითხები:

– მაშ, მართალია, რომ იოახიმია მისი მამა?

ამაზე პასუხი არ მიმიღია.

– თავი დამანებე! – მეუბნება იგი, – რა გინდა საერთოდ ჩემგან? ელზბეტი ნახევარი წელია არ მინახავს, უცებ საავადმყოფოდან მირეკავენ, მოვდივარ და უგონოდ მწოლიარე შვილს ვხედავ, არ ვიცი, რა ამბავია ჩემს თავს.

ჩემი სიტყვები უკან მიმაქვს.

– შენ, შენ რა გაქვს სალაპარაკო ჩემს ქალიშვილთან? რა გინდა, რა გესაქმება მასთან?

ვხედავდი, ჰანა როგორ ცახცახებდა.

ჰანას ხნიერ ქალს ვერ ეტყოდი, მაგრამ, რა თქმა უნდა, კარგად ვხედავდი მის მოშვებულ კანს, ამოღამებულ თვალებს, დანაოჭებულ საფეთქლებს. განა მაღიზიანებდა მისი ნაოჭები,

უბრალოდ, ვამჩნევდი. ჰანა უფრო გამხდარა, უფრო განაზებულა. კაცმა რომ თქვას, ასაკი მეტისმეტად შვენოდა, განსაკუთრებით – სახეზე, თუმცა ნიკაპქვეშ კანი ხვლიკის კანს მიუგავდა. მშვენივრად მესმოდა, როგორ უჭირდა მარტოობა, დღეებს თითებზე ითვლიდა, სანამ შვილი შინ დაუბრუნდებოდა. დედისთვის ნამდვილად არ იქნებოდა იოლი, ერთადერთი შვილი პირველად რომ მოშორდებოდა მის კალთას. უკან მიმაქვს-მეთქი ჩემი სიტყვები, ვუთხარი.

– ის ხომ ბავშვი აღარაა, – ამბობს იგი, – მე თვითონ გავუშვი სამოგზაუროდ, ერთ დღეს ხომ მაინც უნდა დაიწყოს დამოუკიდებელი ცხოვრება, ისიც კარგად ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს უკან რომ აღარ დამიბრუნდება...

სიტყვას არ ვაწყვეტინებდი.

– ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი, – ამბობს იგი, – ჩვენ არ ძალგვიძს ცხოვრება მკლავებში მოვიმწყვდიოთ, ვალტერ, არც შენ შეგიძლია ეს.

– ვიცი!

– მერე რატომ ცდილობ ამას?

ზოგჯერ მისი არაფერი მესმოდა.

– ცხოვრება შვილებთან ერთად მიდის, – ამბობს იგი.

სიტყვა მის სამსახურზე გადავიტანე.

– ასეა ეს ქვეყანა მოწყობილი, – ამბობს ჰანა, – ჩვენ საკუთარ შვილებზე ვერ დავქორწინდებით.

ჩემს კითხვაზე არავითარი პასუხი არ მიმიღია.

– ვალტერ, – მეკითხება იგი, – რამდენი წლისა ხარ?

სწორედ მაშინ თქვა ჰანამ: მას ასი ქალიშვილი კი არ ჰყავს, არამედ ერთადერთი (ეს მეც ვიცოდი) და მის ქალიშვილს, როგორც ყოველ ადამიანს, ერთადერთი სიცოცხლე აქვს (ესეც ვიცოდი), მასაც, ჰანასაც, ერთადერთი სიცოცხლე აქვს და ისიც ფუჭად ჩავლილი. და მეც (თუ ვიცი ეს?) მხოლოდ ერთი სიცოცხლე მაქვს.

– ჰანა, – ვეუბნები, – ჩვენ ხომ ვიცით ეს ყველაფერი.

სადილი გაცივდა.

– მაინც რატომ არის შენი ცხოვრება ფუჭად ჩავლილი? – ვეკითხები მე.

ჰანას ლუკმა არ აუღია, მხოლოდ სიგარეტს ეწეოდა.

– შენ მამაკაცი ხარ, – მეუბნება იგი, – მე – ქალი, აი, რით განვსხვავდებით ერთმანეთისგან, ვალტერ!

– იმედი მაქვს! – ვიცინი მე.

– მე აწი შვილი აღარ მეყოლება...

ამ საღამოს ეს უკვე მეორეჯერ თქვა ჰანამ.

– რაზე ვმუშაობ? – ამბობს იგი, – ხომ ხედავ, ჭურჭლის ნატეხები მიყრია. ეს ნატეხები თავის დროზე ლარნაკი იქნებოდა. მე წარსულის ნატეხებს ვაწებებ ერთმანეთს...

ვერ ვიტყოდი, ჰანას სიცოცხლეს ფუჭად ჩაევლოს – პირიქით. მის მეორე ქმარს, პაიპერს, არ ვიცნობ, ჰანას იგი ემიგრაციაში გაუცნია; ჰანა მას თითქმის არ ახსენებს (რაც დღესაც მაკვირვებს), თუმცა მის გვარს კი ატარებს: დოქტორი ჰანა პაიპერი. ჰანა ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც თვითონ მიაჩნდა სწორად და, ჩემი აზრით, ქალისთვის ესეც დიდი ამბავია. იგი ყოველთვის თავის ნებაზე ცხოვრობდა.

რატომ ვერ შეეწყვნენ ის და იოახიმი ერთმანეთს, მაინც არ მითხრა. იოახიმს ახსენებს როგორც მეტად სიმპათიურ ადამიანს, ხმაში საყვედურის ნიშანწყალი არ ეტყობა, მხოლოდ ესაა, რომ მამაკაცები მის თვალში სასაცილონი ვართ. ეტყობა, ჰანა ბევრს მოელოდა მამაკაცებისაგან, თან ისიც მგონია, რომ მამაკაცები უყვარს. თუ სასაყვედურო აქვს რაიმე, ისევ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. ჰანას რომ შესძლებოდა ან იძულებული ყოფილიყო, ერთხელ კიდევ ეცხოვრა ქვეყანაზე, მამაკაცებს სულ სხვანაირად შეიყვარებდა. მას ბუნებრივად მიაჩნია, რომ მამაკაცები (ასე ამბობს იგი) გონებაშეზღუდულნი არიან, მხოლოდ თავის გულუბრყვილობაზე სწყდება გული, რომ ყოველი ჩვენგანი (რამდენი ვიყავით, არ ვიცი) გამონაკლისად მიაჩნდა. თან ჰანა სულაც არ არის სულელი, მაგრამ სისულელედ მიაჩნია, ქალი ფიქრობდეს, აი, ეს კაცი ნამდვილად გამიგებსო. მამაკაცს (ამბობს ჰანა) ურჩევნია, ქალი მისთვის გამოცანა იყოს და თვითონვე დატკბეს საკუთარი

დაბნეულობით.

ჰანას რომ ყური ვუგდოთ, მამაკაცი მხოლოდ საკუთარ თავს უსმენს თურმე. ამიტომაცაა იმ ქალის ცხოვრება ბედუკუღმართი, რომელსაც იმედი აქვს, მამაკაცი გამიგებსო. ჰანას სიტყვით, მამაკაცს საკუთარი თავი მეუფედ მიაჩნია, ქალი კი მხოლოდ თავის სარკედ. მეუფეს ძალას არავინ ატანს, ჩაგრულის ენა ისწავლოს, ქალი კი იძულებულია, ზედმიწევნით შეისწავლოს თავისი მეუფის ენა, თუმცა ესეც არაფერს შველის: ის სწავლობს ერთადერთ ენას, რომელიც მუდამ მასვე ამტყუნებს. ნამდვილად ნანობს, რომ ფილოლოგიის დოქტორი გახდა. სანამ ღმერთი მარტო მამაკაცია და არა წყვილი, ქალის ცხოვრება, ჰანას თქმით, ისეთივე საცოდავი დარჩება, როგორიც დღეს არის. რაც უნდა ელეგანტურად იყოს ჩაცმული ქალი, იგი ზენაარისგან მაინც პროლეტარად არის გაჩენილი.

ჰანაზე მეცინებოდა: ორმოცდაათი წლის ქალი პატარა გოგონასავით ფილოსოფოსობდა. ჰანასავით ჯერ კიდევ უზადო გარეგნობის ქალს, თანაც ფრიად პატივსაცემ პიროვნებას, ასეთი ლაპარაკი არ შეშვენოდა. გამახსენდა, თუნდაც საავადმყოფოში როგორ მოწიწებით ექცეოდნენ ჰანას, ამ უცხოელ ქალს, რომელიც მხოლოდ სამი წელიწადია ათენში ცხოვრობს, ნამდვილი პროფესორივით, ლამის ნობელის პრემიის ლაურეატივით ექცეოდნენ.

მე იგი მეცოდებოდა.

– ვალტერ, შენ არაფერი გიჭამია.

ჰანას ხელზე მოვკიდე ხელი.

– ეჰ, შე ზენაარის შექმნილო პროლეტარო!

ჰანა ღიმილის გუნებაზე არ იყო. მხოლოდ იმას უცდიდა, ხელს როდის გავუშვებდი.

– რომში სად და სად იყავით? – მეკითხება იგი.

მოვახსენე.

ჰანამ შემომხედა.

რომის ამბებს რომ ვუყვებოდი, ჰანა ისე მიყურებდა, თითქოს წინ მოჩვენება უზისო. თითქოს ბრჭყალებიანი ურჩხული

ვიყავი, საფრთხობელა, რომელიც აქ იჯდა და ჩაის მიირთმევდა.

ის გამოხედვა არასოდეს დამავიწყდება.

თვითონ სიტყვა არ უთქვამს...

მე ისევ წამოვიწყე ლაპარაკი, რადგან სიჩუმე აუტანელი იყო. ვლაპარაკობდი გველის ნაკბენით სიკვდილიანობის შემთხვევაზე და, შესაბამისად, სტატისტიკაზე.

ჰანა ყრუსავით იჯდა.

თვალს ვერ ვუსწორებდი, თუ შევხედავდი, ისიც – ერთი წამით (მეტხანს გაძლება არ შემეძლო) და მაშინვე ზაბეტის ალერსი მაგონდებოდა, უფრო სწორად, ვფიქრობდი: ეს ქალი ზაბეტის დედაა, ჩემი სატრფოს დედა, და ისიც ხომ ოდესღაც ჩემი სატრფო იყო.

რას მივედ-მოვედებოდი, თვითონაც არ ვიცოდი.

მისი ხელი (მე, ასე ვთქვათ, მის ხელს ვესაუბრებოდი) მაოცებდა: ბავშვივით პატარა ხელი ჰქონდა, უფრო მობერებული, ვიდრე თვითონ ჰანა იყო, ნერვიული, დამჭკნარი, ამაზრზენი, მართალი თუ გინდათ, ხელი კი არა, რაღაც უფორმო მასა, რბილი, თან ძვლიანი, თან მოდუნებული, დაჭორფლილი ცვილი; არა, ამაზრზენი კი არა, პირიქით, თითქოს საყვარელიც კი, მაგრამ რაღაც უცხო, შემაძრწუნებელი, დამწუხრებული, უჩინო. ვლაპარაკობდი, ვდუმდი, ვცდილობდი ზაბეტის ხელი წარმომედგინა, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ იმ ხელს ვხედავდი, საფერფლის გვერდით რომ იდო მაგიდაზე, ადამიანის ხორცის ნაჭერს, კანქვეშ ძარღვები რომ მოუჩანდა და დაჭმუჭნილ პაპიროსის ქაღალდს ჰგავდა, მასავით გამჭვირვალე იყო და პრიალა.

მეც სასტიკად ვიყავი დაღლილი.

– კაცმა რომ თქვას, ის ჯერ კიდევ ბავშვია, – ამბობს ჰანა, – იქნებ გგონია, მამაკაცთან უკვე ექნებოდა ურთიერთობა?

ჰანას თვალებში შევხედე...

– თუნდაც ასე იყოს, – თქვა მან, – დიახ, თუნდაც ასე იყოს.

უცებ სუფრის ალაგებას მიჰყო ხელი.

მე ვეხმარებოდი.

რაც შეეხება სტატისტიკას: ჰანას სტატისტიკის გაგონებაც არ უნდა, რადგან ბედისწერა სწამს. ეს მაშინვე შევნიშნე, თუმცა სიტყვით არასოდეს უთქვამს. ყველა ქალს აქვს მიდრეკილება ცრუმორწმუნეობისადმი, მაგრამ ჰანა ხომ უაღრესად განათლებული ქალია. ამიტომ მიკვირდა მისი. ჰანა ისეთი ჩვეულებრივი ტონით ლაპარაკობს მითებზე, როგორც ჩვენ, ინჟინრები, თბოგამტარიანობაზე ვმსჯელობთ ხოლმე. ლაპარაკობს ისევე უბრალოდ, როგორც ფიზიკურ კანონებზე შეიძლება ილაპარაკოს კაცმა, ყოველდღე რომ დასტურდება ფაქტებით. დამსხვრეულ ლარნაკზე გულუბრყვილოდ გამოსახული ოიდიპოსი და სფინქსი, ათენა, ერინიები, ევმენიდები თუ კიდევ რა ჰქვიათ, მისთვის ფაქტებს წარმოადგენს. ეს ამბავი სრულიად უბრალოდ შეუძლია ჩაურთოს თვით ყველაზე სერიოზულ საუბარშიც კი. მითოლოგიაში და საერთოდ, ბელეტრისტიკაში დიდად გათვითცნობიერებული ისედაც არ გახლავართ და მით უმეტეს, კამათში ჩაბმა არ მინდოდა. პრაქტიკული საზრუნავი სხვაც ბევრი გვქონდა.

5.VI – პარიზში უნდა ვყოფილიყავი...

7.VI – ნიუ-იორკში.

10.VI (არა უგვიანეს) – ვენესუელაში...

ჰანა არქეოლოგიის ინსტიტუტში მუშაობს, ღმერთები, ასე ვთქვათ, მისი საუფლოა და ეს არ უნდა დამავიწყდეს. ალბათ, ჩვენც შეუცნობლად გვასვამს დაღს ჩვენი პროფესია, მაგრამ ჰანას ლაპარაკზე მაინც მეცინება.

– კარგი ერთი, საქმე ნუ გააჭირე შენი ღმერთებით!

ჰანა მაშინვე გაჩუმდა.

– შეგიძლია ეჭვი არ შეგეპაროს, აქედან ფეხს ვერ გავადგამდი, სანამ დანამდვილებით არ მეცოდინებოდა, რომ გოგონა გადარჩენილია, – ვთქვი მე.

ჰანას, ეტყობოდა, სჯეროდა ჩემი. ის ჭურჭელს რეცხავდა, მე ვამშრალებდი და თან ჩემს სამსახურზე ველაპარაკებოდი, როგორც ოცი წლის წინ, თუმცა არა, ოცის კი არა, ოცდაერთი წლის წინ-მეთქი, ვთქვი მე.

– შენ აგრე გგონია?

– შენ არა? – შევუბრუნე კითხვა.

როგორ იანგარიშა ჰანამ, როგორ გამოიყვანა ოცდაერთი წელიწადი, არ ვიცი, მაგრამ მაინც ასე ვამბობდი. მხოლოდ იმიტომ, რომ მას ყოველ წუთს არ შეესწორებინა.

– რა მშვენიერი სამზარეულო გაქვს, – ვუთხარი ჰანას.

უცებ ისევ მეკითხება.

– მას შემდეგ თუ შეხვედრიხარ იოახიმს?

ცხადია, უნდა მეთქვა, რომ იოახიმი აღარ იყო ამქვეყნად, მაგრამ, ჩემი აზრით, დღეს არა, მაინცდამაინც პირველ საღამოს არ ღირდა ამის თქმა.

სიტყვა ბანზე ავუგდე. გავიხსენე, როგორ ვვახშმობდით ხოლმე მაშინ, მის ოთახში!

– გახსოვს ფრაუ ოპიკოფერი? – ვეკითხები მე.

– რატომ მეკითხები?

– ისე, უბრალოდ! გახსოვს, როგორ დაგვიკაკუნებდა ცოცხის ტარით, ათი რომ შესრულდებოდა და მე მაინც შენს ოთახში ვიყავი ხოლმე...

ჭურჭელი გარეცხილია და დამშრალებული.

– ვალტერ, – მეკითხება იგი, – დალევ ყავას თუ არა?

მოგონებები სასაცილოა.

– ჰო, – ვამბობ მე, – ოცი წლის შემდეგ შეიძლება იცინო ასეთ ამბებზე.

ჰანამ წყალი დაადგა.

– ვალტერ, – მეკითხება ისევ, – დალევ თუ არა ყავას?..

მოგონებების მოსმენა არ უნდოდა.

– ჰო, სიამოვნებით, – ვუპასუხე.

ნეტავ ჰანა რას ეძახის ფუჭად ჩავლილ ცხოვრებას? მე რომ მკითხო, იმაზე კარგი არაფერია, როცა ადამიანი თავის ჭკუაზე

ცხოვრობს. ჰანათი პირდაპირ აღტაცებული ვარ. გულახდილად ვამბობ: ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ ფილოლოგია და ხელოვნების ისტორია ამდენ შემოსავალს აძლევს ადამიანს. თან ვერც იმას იტყვი კაცი, ჰანას ქალური სინაზე აკლდეს. მუშაობა შვენის კიდეც. ეტყობა, ჰანა იოახიმის ხელშიაც მუშაობდა, თარგმნიდა თუ რაღაც ამდაგვარ საქმეებს აკეთებდა, ემიგრაციაშიც ასე იყო. იოახიმს რომ გაშორდა, მას შემდეგ პარიზის ერთ-ერთ გამომცემლობაში მსახურობდა. პარიზში გერმანელები რომ შემოვიდნენ, ინგლისში გაიქცა და იქ მარტოდმარტო ზრდიდა შვილს. იოახიმი ექიმად მუშაობდა რუსეთში და ვერაფრით დაეხმარებოდა. ჰანამ «ბი-ბი-სის» გერმანელ დიქტორად დაიწყო მუშაობა. დღესაც ბრიტანეთის მოქალაქედ ითვლება. ეტყობა, ბატონი პაიპერი სიცოცხლეს მას უნდა უმადლოდეს. ჰანას ბევრი არ უფიქრია, კომუნისტებისადმი ძველი სიმპათიის ხათრით ბანაკიდან ახალგამოსულ კაცს ცოლად ისე გაჰყვა. ბატონმა პაიპერმა იმედი გაუცრუა, კომუნისტი კი არა, ოპორტუნისტი გამოდგა. როგორც ჰანამ თქვა, დირექტივების ერთგულებამ შეიძლება ღალატამდე მიიყვანოსო. ცოტა ხანში, რომ დასჭირდეს, საკონცენტრაციო ბანაკებსაც კი გაამართლებსო. ჰანას მხოლოდ ეცინება მამაკაცებზე: ოღონდ თავისი ფილმები გადაიღოს და ბატონი პაიპერი რომელ ლოზუნგსაც გინდათ, მხარს იმას დაუჭერსო. 1953 წლის ივნისში ჰანამ ქმარი მიატოვა. ბატონი პაიპერი თურმე ვერც კი ამჩნევს, დღეს რომ იმას ქადაგებს, რასაც გუშინ ეწინააღმდეგებოდა, სინამდვილისადმი უშუალო დამოკიდებულება არ გააჩნიაო. ჰანა ქმარზე უხალისოდ ლაპარაკობს, მაგრამ მით უფრო დაწვრილებით, რაც უფრო ნაკლებ ინტერესს ვიჩენ მე. ჰანას აზრით, პაიპერისთანა მამაკაცისათვის ტიპურია ცხოვრებისადმი ასეთი დამოკიდებულება. ჰანას თქმით, იგი თვალდავსებულივით ცხოვრობს ამ ქვეყანაზე, ცხოვრებასთან ყოველგვარი კონტაქტის გარეშე. ადრე იუმორის გრძნობა მაინც გააჩნდა, ახლა მხოლოდ დასავლეთს იგდებს მასხრად. ჰანა მას კი არ საყვედურობს, მხოლოდ საკუთარ თავს დასცინის, უფრო სწორად, მამაკაცების მიმართ თავის სიყვარულს დასცინის.

– რას ეძახი ფუჭად ჩავლილ ცხოვრებას? – ვეუბნები, – ამ აზრს შენ თვითონ უნერგავ საკუთარ თავს, ჰანა...

ჰანა მეუბნება, შენც კარგი თვალდავსებული ხარო.

– მე მხოლოდ იმას ვხედავ, რაც გაქვს: შენს ბინას, შენს სამეცნიერო მუშაობას, შენს ქალიშვილს. ღმერთს მადლობას უნდა სწირავდე!

– რა შუაშია ღმერთი?

ჰანა სულ არ შეცვლილა: მშვენივრად იცის, რასაც ვგულისხმობ, მაგრამ სიტყვაზე გამოკიდება უყვარს, თითქოს სიტყვები იყოს ამქვეყნად მთავარი. რაც უნდა სერიოზულად ლაპარაკობდე, შარი რომ არ მოგდოს, არ იქნება.

– ვალტერ, როდიდან გწამს ღმერთი?

– კარგი, კარგი, ყავა გაამზადე! – ვუთხარი მე.

ჰანამ მშვენივრად იცოდა, ღმერთს რომ ვერ ვეწყობოდი, მაგრამ ამის მტკიცებას რომ მოვყევი, მერე მითხრა, ისე გითხარიო.

– რატომ იფიქრე, რომ მორწმუნე გავხდებოდი? შენ გგონია, კლიმაქსის ხანაში მყოფ ქალს სხვა აღარაფერი დარჩენია, არა?

მე ყავას ვადუღებდი.

ვერ წარმომედგინა, რა იქნებოდა, როცა ზაბეტი გამოვიდოდა საავადმყოფოდან. ზაბეტი, ჰანა და მე ერთ ბინაში, ვთქვათ, აი, ამ სამზარეულოში: ჰანა ამჩნევს, როგორ ვიკავებ თავს, რომ მის ქალიშვილს არ ვაკოცო ან მხარზე მაინც არ გადავხვიო ხელი, ზაბეტი კი იგებს, რომ მე დედამისს უფრო ვეკუთვნი, თუმცა მისთვის მხარზე ხელი მაქვს გადახვეული. ასე ვთქვათ, თაღლითის როლში გამოვდივარ, რომელსაც თითიდან ქორწინების ბეჭედი წაუძვრია.

– მხოლოდ სტიუარდესა ნუ გახდება, – ვამბობ მე, – სულ იმას ვცდილობდი, როგორმე ეს აზრი გადამეთქმევინებინა.

– მაინც რატომ?

– იმიტომ, რომ სტიუარდესობა ზაბეტისთანა გოგონების საქმე არ არის. ბოლოს და ბოლოს, ზაბეტი ვიღაც ვიგინდარა ხომ არაა.

ყავა მზად არის.

– ვითომ რატომ არ უნდა გახდეს სტიუარდესა?

მშვენივრად ვიცოდი, არც ჰანას მოსწონდა ეს ბავშვური იდეა, მაგრამ მხოლოდ იმიტომ ჯიუტობდა, რომ ჩემთვის ეჩვენებინა,

ეგ შენი საქმე არ არისო.

– ვალტერ, ეს მისი საქმეა.

მეორეჯერ კი მითხრა:

– ვალტერ, შენ მისი მამა კი არა ხარ!

– ვიცი! – ვამბობ მე.

დავსხედით, რადგან გასაკეთებელი აღარაფერი დარჩა. ამ წუთს თავიდანვე გულის ფანცქალით ველოდი. და აი, ეს წუთიც დადგა.

– აბა, მომიყევი, – მეუბნება იგი.

ლაპარაკი დაიწყო გაცილებით უბრალოდ, ვიდრე მოველოდი, თითქმის ჩვეულებრივად.

– მომიყევი, რა მოხდა, – მეუბნება ჰანა.

მისი სიმშვიდე მაოცებდა.

– წარმოიდგინე, როგორ შევშინდებოდი, – მეუბნება იგი, – საავადმყოფოში რომ მოვედი და შენ დაგინახე... იჯექი და გეძინა...

ხმა სულ არ შესცვლია.

თითქოს ოც წელიწადს არც კი გაევლოს, უფრო ზუსტად: თითქოს ეს დრო, განშორების მიუხედავად, სულ ერთად გაგვეტარებინოს. თუ რაიმე არ ვიცოდით ერთმანეთისა, ეს მხოლოდ გარეგნული ამბები იყო, კარიერა და მისთანები და სალაპარაკოდ არც კი ღირდა. რა უნდა მეთქვა? ჰანა იცდიდა.

– ყავას დაიშაქრავ? – მეკითხება იგი.

მე ჩემს პროფესიაზე დავიწყე ლაპარაკი.

– როგორ მოხდა, რომ ზაბეტთან ერთად იმოგზაურე?

ჰანა ქალია, მაგრამ სხვანაირი ქალი, არც აივის ჰგავს და არც სხვებს, შედარებაც არ შეიძლება; უფრო სხვანაირიც კი, ვიდრე ზაბეტია, თუმცა ის ბევრ რამეში ჰგავს დედას. ჰანა უფრო ახლობელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა რისხვით არ მიყურებს.

გაოცებული ვიყავი.

– გიყვარს? – მეკითხება ჰანა.

მე ყავას ვსვამდი.

– რამდენი ხანია იცი, რომ მე ვარ მისი დედა?

მე ყავას ვსვამდი.

– შენ ხომ არ იცი, რომ იოახიმი მოკვდა... – ვთქვი უცებ. ეს სიტყვები ნამდვილად წამომცდა.

– მოკვდა? როდის?

თავს ანგარიში ვეღარ გავუწიე, ახლა კი გვიანი იყო, ყველაფერი უნდა მეთქვა – რაღა მაინცდამაინც პირველსავე საღამოს! – გვატემალაში გადახდენილი თავგადასავალი ვუამბე. ჰანას უნდოდა ყველაფერი გაეგო, რაც ვიცოდი: იოახიმის დაბრუნება რუსეთიდან, მისი საქმიანობა პლანტაციაში... გაყრის შემდეგ იოახიმზე აღარაფერი სმენოდა. ბოლოს ის მაინც დავუმალე, რომ თავი ჩამოიხრჩო, ვიცრუე, ანგინით მოკვდა-მეთქი. მიკვირდა, როგორ იკავებდა ჰანა თავს.

– ეს ამბავი გოგონას უთხარი? – მეკითხება იგი.

შემდეგ უსასრულო დუმილი ჩამოვარდა.

მან ხელი ისევ რქის სათვალის ქვეშ შეაცურა, თითქოს სახე უნდა დაიფაროსო. ჩემი თავი ურჩხულად მეჩვენებოდა.

– რა შენი ბრალია! – ამბობს იგი.

ჰანას ცრემლი არ გადმოუგდია. ამიტომ იყო უფრო მძიმე ეს წუთები. ჰანა ფეხზე წამოდგა.

– ჰო, – თქვა მან, – დავიძინოთ.

ჩემი ვარაუდით, შუაღამე უნდა ყოფილიყო. მართალია, საათი აღარ მქონდა, მაგრამ ისედაც მეჩვენებოდა, რომ დრო შეჩერდა.

– შენ ელზბეტის ოთახში დაიძინებ.

ზაბეტის ოთახში ვიდექი.

– ჰანა, სიმართლე მითხარი: ის არის ზაბეტის მამა?

– ჰო! – ამბობს იგი, – ჰო!

გულზე მომეშვა. არავითარი საბაბი არ მქონდა ჰანას გულწრფელობაში ეჭვი შემპარვოდა და იმ წუთში (მომავალზე ფიქრი ასე თუ ისე მაინც შეუძლებელი გახლდათ) სხვას აღარაფერს დავეძებდი – მთავარი იყო, რომ გოგონას უკვე შრატი გაუკეთეს და საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

ჰანას ხელი ჩამოვართვი.

დაღლილობისგან ფეხზე ძლივს ვიდექი. მე მგონი, ჰანაც ჩემსავით დაღლილი იყო. ერთმანეთისთვის «ღამე ნებისა» უკვე ნათქვამი გვქონდა, რომ ჰანამ ერთხელ კიდევ მკითხა:

– ვალტერ, რა მოხდა შენსა და ელზბეტს შორის?

თან ნამდვილად ყველაფერი იცოდა.

– მითხარი, – გამიმეორა მან.

რა ვუპასუხე, არ ვიცი.

– ჰო თუ არა?

რაც ითქვა, ითქვა.

ჰანა ჯერ კიდევ იღიმებოდა, თითქოს ჩემი პასუხი ვერ გაიგონა. მე კი შვება ვიგრძენი. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ითქვა, მხნეობაც კი დამიბრუნდა, ყოველ შემთხვევაში, გულზე ნამდვილად მომეშვა.

– მიჯავრდები?

მერჩივნა იატაკზე დამეძინა, მაგრამ ჰანამ დაიჟინა, დასვენება გჭირდებაო და ზაბეტის ლოგინი შემომთავაზა. ლოგინი სუფთა თეთრეულით გაეწყო, ყველაფერი მოემზადებინა ქალიშვილისათვის, რომელიც ნახევარი წლის შემდეგ შინ უნდა დაბრუნებულიყო. ზაბეტის ახალი პიჟამა ჰანამ თან წაიღო, ყვავილები და შოკოლადი მაგიდაზე დარჩა.

– მიჯავრდები? – ისევ შევეკითხე.

– ხომ არაფერი გაკლია? – კითხვა შემომიბრუნა ჰანამ, – საპონი აქ არის...

– მე ხომ არ ვიცოდი... – ვამბობ მე.

– ვალტერ, დროა დავიძინოთ!

მგონი, არ მიჯავრდებოდა, ხელმეორედაც კი ჩამომართვა ხელი, მხოლოდ განერვიულებული ჩანდა, მეტი არაფერი. ეჩქარებოდა. გავიგონე, როგორ გავიდა სამზარეულოში, სადაც ყველაფერი უკვე მილაგებული იყო.

– ხომ არ მოგეხმარო?

– არა, დაიძინე!

ზაბეტის ოთახი ცოტა პატარაა, მაგრამ მოხდენილი. აქაც უამრავი წიგნია, ფანჯრიდან ლიკაბეტოსი მოჩანს. ღია ფანჯარასთან კიდევ დიდხანს ვიდექი.

პიჟამა არ მქონდა.

საერთოდ არ მიყვარს სხვის ოთახში ხელის ფათური, მაგრამ ის ფოტო ზედ წიგნის თაროზე იდო, თანაც იოახიმს, მის მამას, მე თვითონ ვიცნობდი.

სურათი ჩამოვიღე. ციურიხში იყო გადაღებული 1936 წელს.

უკვე დაწოლას ვაპირებდი, აღარ მინდოდა მეფიქრა, მაგრამ როგორც ვთქვი, პიჟამა არ მქონდა, ჭუჭყიანი პერანგის ამარა ვიყავი...

ჰანა, როგორც იქნა, შევიდა ოთახში.

ღამის ორი საათი იქნებოდა. სუფთა საწოლის კიდეზე მოკუნტული ვიჯექი. ასე სძინავთ პარკში სკამებზე უსახლკაროებს (მათ დანახვაზე ხშირად მიფიქრია, ჩანასახივით მოკუნტულებს სძინავთ-მეთქი), მაგრამ მე არ მეძინა.

ხელ-პირი დავიბანე.

ჰანას კედელზე მივუკაკუნე, მაგრამ მან თავი მოიმძინარა.

ჩემთან ლაპარაკი არ უნდოდა. ამ საღამოს ერთხელ უკვე მითხრა, გაჩუმდი, როცა ასეთ ამბებზე ლაპარაკობ, ყველაფერი უფასურდება და პატარავდებაო.

იქნებ ჰანას მართლა ეძინა.

ამერიკიდან გამოგზავნილი მისი წერილები (ზაბეტის წერილებზე ვამბობ), იელიდან, ჰავრიდან, შემდეგ იტალიიდან გამოგზავნილი ღია ბარათები მაგიდაზე ეწყო. მხოლოდ ერთი

წავიკითხე, იმიტომ, რომ იატაკზე ეგდო; სალამი ასიზიდან (მე არ მახსენებს), კოცნის ათასჯერ, მაგრად ეხვევა თავის დედიკოს...

სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი.

შემდეგ შევეცადე პერანგი გამერეცხა...

არ ვიცი, როგორ დავრწმუნდი ასე იოლად, ყველაფერი გადატანილია, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ცუდს გადავრჩი-მეთქი, ან როგორ ვიფიქრე, რომ ჰანას დაეძინებოდა.

რაც შემეძლო უხმაუროდ ვრეცხავდი.

ვაღიარებ: თხუთმეტი წუთის განმავლობაში უბრალოდ მავიწყდებოდა, რაც მოხდა, უფრო სწორად, ყველაფერი სიზმარივით მეჩვენებოდა: კაცს ესიზმრება, ვითომ სიკვდილი აქვს მისჯილი, თანაც იცის, რომ სიზმარშია, მხოლოდ გამოიღვიძოს და...

სველი პერანგი ფანჯარაზე გადავკიდე.

ვაკვირდებოდი იოახიმის სახეს, ვაჟკაცურს, სიმპათიურს, მაგრამ ზაბეტთან მსგავსება, კაცმა რომ თქვას, ვერ აღმოვაჩინე.

– ჰანა! – დავუძახე, – გძინავს?

პასუხი არ მიმიღია.

უპერანგოდ ვიყავი, სიცივისგან მაძაგძაგებდა, მაგრამ ვერ მოვისაზრე, ზაბეტის დილის ხალათი ჩამეცვა, რომელიც ჩემ ცხვირწინ ეკიდა კარზე...

მისი ნივთები...

მისი ფლეიტა წიგნის თაროზე...

შუქი ჩავაქრე.

ეტყობოდა, ჰანა უკვე დიდი ხანია ბალიშში თავჩარგული ქვითინებდა... ქვითინის ხმა რომ გავიგონე, შევშინდი. თავში მაშინვე გამიელვა: «მომატყუა, მე ვარ მამა». ის უფრო და უფრო ხმამაღლა ქვითინებდა, სანამ კართან არ მივედი და არ დავაკაკუნე.

– ჰანა, მე ვარ.

კარი ჩარაზული ჰქონდა.

კართან ვიდექი, მესმოდა მისი ქვითინი, ამაოდ ვემუდარებოდი, გამოსულიყო და ეთქვა, რა მოხდა, მაგრამ პასუხად ქვითინის მეტი არაფერი მესმოდა. ქვითინი არ წყდებოდა, მაგრამ როცა სიჩუმე ჩამოვარდებოდა, უფრო ვიტანჯებოდი, ყური კარზე მქონდა მიდებული, სმენად ვიყავი ქცეული, ჰანას ხმა ხშირად უწყდებოდა და მხოლოდ სლუკუნებდა. ასე რომ, შვებას ვგრძნობდი, როცა ისევ მესმოდა ქვითინის ხმა.

ჯაყვაც კი არ მქონდა თან.

– ჰანა, გააღე! – ვეუბნებოდი მე.

როცა კარი შევგლიჯე, ჰანა კარს მოაწვა. ჩემს დანახვაზე იკივლა კიდეც. წელზევით შიშველი ვიყავი და ალბათ იმიტომ. ჰანა შემეცოდა და კარს მოვეშვი.

ამაოდ ვეუბნებოდი, მე ვარ-მეთქი.

მას მარტო ყოფნა უნდოდა.

*

ოცდაოთხი საათის წინ (მე კი გუშინდელი დღე სიყმაწვილის მოგონებასავით მახსენდება!) ზაბეტი და მე ჯერ კიდევ აკროკორინთოში ვისხედით და მზის ამოსვლას ველოდებოდით. ეს დღე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება! ჩვენ პატრასიდან მოვდიოდით და კორინთოში შევჩერდით, რომ იქაური ტაძრის სვეტები დაგვეთვალიერებინა. შემდეგ იქვე, მახლობელ სასტუმროში ვივახშმეთ. ისე, კორინთო ერთი სოფლისოდენა ქალაქია. მხოლოდ დაბინდებისას გამოირკვა, რომ სასტუმროში არც ერთი ოთახი არ იყო თავისუფალი. ზაბეტის თქმით, მე ბრწყინვალე აზრი მომივიდა თავში, გვიანობამდე გვეხეტიალა, მერე კი სადმე ლეღვის ქვეშ გაგვეთია ღამე. მე ეს ხუმრობით ვთქვი, მაგრამ რადგან ზაბეტმა ბრწყინვალე იდეად მიიჩნია, მინდორ-მინდორ ლეღვის ხის საპოვნელად მართლა წავედით. მოულოდნელად ნაგაზებს გადავაწყდით. ატყდა ერთი ყეფა და ვაი-უშველებელი. ყეფაზე ვატყობდით, ნაგაზები ბლომად უნდა

ყოფილიყვნენ. ძაღლებმა ისე მაღლა შეგვრეკეს, რომ იქ ლეღვის ხეს სად იპოვიდა კაცი, მხოლოდ ქარი უბერავდა ნარშავებში. ძილზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო! როგორ ვიფიქრებდი, საბერძნეთში ივნისის ღამე ასეთი ცივი და თან ნესტიანი თუ იქნებოდა, არც ის ვიცოდი, კლდეებს შორის მიმავალი საცალფეხო ბილიკი სად მიგვიყვანდა. მთვარის შუქზე ბილიკი თაბაშირივით თეთრად კიაფობდა. ზაბეტის აზრით, თოვლივით. საბოლოოდ კეფირზე შევთანხმდით. თავზე შავი კლდეები გადმოგვყურებდა. კლდეები ნახშირივით შავია-მეთქი, ვამბობ, ზაბეტი ისევ სხვა შედარებას იგონებს და ასე ვერთობით, ბილიკს კი სულ მაღლა და მაღლა მივყავართ. ღამეში ვირის ყროყინი ისმის; «როგორც ჩელოზე გამოუცდელი ხელით აჟღარუნებული სიმების ხმა!» – ამბობს ზაბეტი. «როგორც დაუზეთავი მუხრუჭების ღრჭიალი!» – ვამბობ მე. ირგვლივ სამარისებური სიჩუმეა. ძაღლებმაც ჩაიწყვიტეს ხმა. კორინთოს თეთრი ქოხები ისე დგანან, თითქოს ვიღაცას რაფინადით სავსე საშაქრე დაუცლიაო, ამბობს ზაბეტი. თამაშის გასაგრძელებლად მე სხვა შედარებას ვიგონებ. უკანასკნელი შავი კვიპაროსი ძახილის ნიშანს ჰგავსო, ამბობს ზაბეტი. არ ვეთანხმები: ძახილის ნიშანს წვეტი ძირს აქვს და არა ზემოთ-მეთქი. მთელი ღამე ვიხეტიალეთ. კაციშვილი არ შეგვხვედრია. უცებ თხის კიკინმა შეგვაკრთო, შემდეგ პიტნის სურნელით გაჟღენთილ შავ ქარაფებში ისევ სიჩუმე გამეფდა. გულებს ბაგაბუგი გაჰქონდა და წყურვილი გვახრჩობდა, მხოლოდ ქარი დათარეშობდა გამხმარ ბალახებში. თითქოს ვიღაც აბრეშუმს ფხრეწსო, ამბობს ზაბეტი. თავში უკეთესი არაფერი მომდის და თამაშის წესის თანახმად, ზაბეტს ერთი ქულა ეწერება. ზაბეტი თითქმის ყოველთვის პოულობს შესაფერის შედარებას. შუა საუკუნეების ბასტიონის კოშკები და ქონგურები ოპერის კულისებს ჰგავს! ყოველ ნაბიჯზე გვხვდება კარიბჭეები, არსად არ ისმის წყლის ჩუხჩუხი, თურქულ გალავნებს შორის გუგუნებს ჩვენი ნაბიჯების ექო. შევჩერდებით თუ არა, ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფდება. მთვარის შუქზე ჩვენი ჩრდილები ქაღალდისგან გამოჭრილ სილუეტებს ჰგავსო, ამბობს ზაბეტი. ოცდაერთ ქულამდე ვთამაშობთ, როგორც პინგ-პონგში იციან, შემდეგ ისევ თავიდან ვიწყებთ თამაშს. უცებ მთის მწვერვალზე აღმოვჩნდით, ჩვენს კომეტას ვეღარსად ვხედავდით. შორს თუთიის ფურცელივით მოჩანს ზღვა, – ვამბობ მე. ზაბეტი კი ამბობს, თუმცა ძალიან ცივა, მაგრამ მაინც ბრწყინვალე იდეაა,

ღამეს ერთხელ მაინც ცის ქვეშ რომ ვათევთო. თვითონ პირველად ათევს ღამეს გარეთ. მზის ამოსვლის წინ ზაბეტი ჩემს მკლავებში ძაგძაგებს. გარიჟრაჟზე ხომ ყველაზე მეტად ცივა.

შემდეგ ერთად ვეწევით ჩვენს უკანასკნელ სიგარეტს. ზაბეტის შინ დაბრუნების დღეზე სიტყვა არ დაგვიძრავს. ხუთი საათისათვის ცა პორცელანივით მქრქალად შეაფერადა აისმა, ზღვას და ცას ყოველ წუთს ემატებოდა სინათლე, დედამიწას კი არა. იქ, სადაც ათენი უნდა ყოფილიყო, ნათელ ყურეებში შეჭრილი შავი კუნძულები, წყალი და ხმელეთი ერთმანეთს გამოეყო. ცაზე პატარ-პატარა ცისკრის ღრუბლებია გაბნეული, როგორც ვარდისფერპუდრშეფრქვეული ბამბის ქულებიო, ამბობს ზაბეტი. მე ვერაფერი მოვიგონე და ერთი ქულა კიდევ დავკარგე. 19:9 ზაბეტის სასარგებლოდ! ამ დროს ჰაერი, ზაბეტის თქმით, შემოდგომის სათოვლიებს ჰგავს, ჩემი აზრით კი – ცელოფანს. აი, უკვე მოჩანს, როგორ ეხეთქება ნაპირს ტალღები და როგორ ტოვებს ლუდის ქაფივით კვალს. ზაბეტის აზრით, ტალღები ქაფის არშიებს ჰგავს. ჩემი «ლუდის ქაფი» უკან მიმაქვს და ვამბობ, მინის ბამბას უფრო მაგონებ-მეთქი, მაგრამ ზაბეტმა არ იცის, მინის ბამბა როგორია. და აი, ზღვიდან პირველი სხივები ამოიჭრა, ძნასავით, წვერწამახული შუბებივით, მინაზე გაჩენილი ბზარივით, ელვარე სანაწილესავით ან შავ ფოტოზე აღბეჭდილი ელექტრონებივით. თუმცა ერთ საგანზე მაინც ერთი ქულა იწერება და რამდენიმე შედარების პოვნა არა ღირს. მით უმეტეს, რომ ამასობაში მზეც ამოვიდა, ჩახჩახა, როგორც ბრძმედიდან გადმოღვრილი პირველი სინჯი-მეთქი, ვამბობ მე. ზაბეტი ჩუმადაა და ერთ ქულას კარგავს... განა შეიძლება ოდესმე დამავიწყდეს, როგორ ზის კლდეზე თვალდახუჭული და როგორ ეფიცხება ნებივრად მზეს? რა ბედნიერი ვარო, ამბობს შემდეგ. არასოდეს დამავიწყდება არც კორინთოს და არც ადრიატიკის ზღვა, თვალდათვალ რომ მუქდებოდა, ჯერ ლურჯი გახდა, მერე იისფერი. არ დამავიწყდება ეს გადაწითლებული ხოდაბუნები, მომწვანო ზეთისხილის ხეები, წითელ მიწაზე გაწოლილი მათი გრძელი ჩრდილები, პირველი სითბო და ზაბეტი, რომელიც ყელზე შემომესკვნა, თითქოს მისთვის მე მეჩუქებინოს ეს ყველაფერი! ზღვა, მზე და ეს არემარე, და არასოდეს დამავიწყდება, როგორ მღეროდა ზაბეტი!

მაგიდაზე გაწყობილი საუზმე და ბარათი დამხვდა: «მე მალე მოვალ. ჰანა».

ვიცდიდი. ვგრძნობდი, რა გასაპარსი ვიყავი და სამართებლის ძებნაში სააბაზანო ოთახი გადავაქოთე. ფლაკონების, პუდრის კოლოფების, პომადის, ფრჩხილის ლაქისა და თმის სამაგრების მეტი ვერაფერი ვნახე. სარკეში ჩემი პერანგი შევათვალიერე: გუშინდელზე საზიზღარი ჩანდა. მართალია, სისხლის ლაქები ისე მუქად აღარ ეტყობოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, გადღაბნილიყო.

ერთი საათი მაინც ვიცადე.

ჰანა საავადმყოფოდან მოვიდა.

– როგორ არის? – ვეკითხები მე.

ჰანა უცნაურად იქცევა.

– ვიფიქრე, შენთვის აუცილებელი იყო გამოძინება, – ამბობს იგი.

შემდეგ პირდაპირ მეუბნება:

– მარტო მინდოდა ელზბეტთან დარჩენა. ნუ გეწყინება, ვალტერ, მე ხომ ოცი წელი მარტო ვიყავი ჩემს ბავშვთან.

სიტყვა არ დამიძრავს.

– კი არ გსაყვედურობ, – ამბობს იგი, – მაგრამ ხომ უნდა გამიგო. მარტო ჩვენ ორს გვინდოდა გველაპარაკა.

– რა გითხრა ზაბეტმა?

– ისეთი არაფერი.

– ჩემზე? – ვეკითხები მე.

– შენზე არაფერი უთქვამს, მხოლოდ იელზე მელაპარაკებოდა და ვიღაც ახალგაზრდა კაცზე, მაგრამ მხოლოდ უმნიშვნელო რაღაცებს.

ჰანას ნაამბობი არ მომეწონა, მაჯა უწესრიგოდ უცემსო. გუშინ სწრაფი ჰქონდა, დღეს – შენელებული, მეტისმეტად შენელებული, სახე გასწითლებია, თვალის გუგები დავიწროებია, სუნთქვაც უჭირსო.

– უნდა ვნახო! – ვამბობ მე.

ჰანა მეუბნება, ჯერ პერანგი იყიდეო.

ამაზე დავეთანხმე.

ჰანა ტელეფონთან დგას...

– ყველაფერი რიგზეა! – ამბობს იგი, – კორინთოში წასასვლელად მანქანას ინსტიტუტიდან მომცემენ, მისი ნივთები, შენი ფეხსაცმელები და პიჯაკი წამოვიღოთ.

ჰანა მენეჯერივით იქცევა.

– ყველაფერი რიგზეა, ტაქსი შეკვეთილია...

ჰანა აქეთ-იქით აწყდება, მასთან საუბარი შეუძლებელია, საფერფლე დაცალა, შემდეგ ჟალუზი ჩამოუშვა.

– ჰანა, – ვეკითხები მე, – რატომ მარიდებ თვალს?

შეიძლება თვითონაც ვერ გრძნობდა, მაგრამ ამ დილით ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის. რა ჩემი ბრალი იყო, ასე რომ მოხდა! თუმცა ჰანა არც მსაყვედურობდა, არც ბრალს მდებდა, მხოლოდ თვალდახრილი ცლიდა წუხანდელი ნამწვავებით სავსე საფერფლეს.

მეტის ატანა აღარ შემეძლო.

– ნუთუ არ შეიძლება ვისაუბროთ?

ჰანას მხრებში ჩავჭიდე ხელი.

– შემომხედე.

ხელი რომ ჩავჭიდე, შემეშინდა. ტანი თავის ქალიშვილზე უფრო ნაზი და სუსტი ჰქონია. გაცილებით ნაზი, არ ვიცი, იქნებ ჰანა დაპატარავდა. თვალები უწინდელზე მშვენიერი გახდომია. მინდოდა ამ თვალებს ჩემთვის შემოეხედათ.

– ვალტერ, – მეუბნება იგი, – მხრები ნუ მატკინე.

მე რაღაცას მივედ-მოვედებოდი. ამას მის სახეზე ვკითხულობდი. ვლაპარაკობდი, რადგან დუმილი, ჩემი აზრით, უფრო აუტანელია. მისი თავი ორივე ხელით მეჭირა. რა მინდოდა? ჰანას კოცნა არც მიფიქრია. მაშ რატომ იცავდა თავს? არ ვიცი, რა ვთქვი. მხოლოდ მის თვალებში შეძრწუნება კი

დავინახე. ვხედავდი მის ჭაღარა თმას, მის შუბლს, ცხვირს, ნატიფ, კეთილშობილურ, ქალურ ნაკვთებს, უფრო კეთილშობილურს, ვიდრე მის ქალიშვილს ჰქონდა, ვხედავდი ნიკაპქვეშ ხვლიკის ტყავივით ქაცვიან კანს, დანაოჭებულ საფეთქლებს, მის თვალებს, დაღლილს კი არა, შეძრწუნებულს, უფრო მშვენიერს, ვიდრე ოდესმე.

– ვალტერ, – მითხრა მან, – საშინელი ხარ!

ეს სიტყვები ორჯერ გამიმეორა.

ვაკოცე.

ჰანამ მხოლოდ თვალში გამიყარა თვალი. ხელები ჩამოვიღე. ის დუმდა. თმაც კი არ შეუსწორებია, დუმდა და დუმილით მითვლიდა წყევლა-კრულვას.

შემდეგ მოვიდა ტაქსი.

პერანგის საყიდლად ქალაქში გავედით. უფრო სწორად, პერანგს ჰანა ყიდულობდა, მე ხომ ფული არ მქონდა. ტაქსიში ვიცდიდი, არ მინდოდა ჩემი ძველი პერანგით ხალხში გამოჩენა. ჰანა გულისამაჩუყებლად იქცეოდა: ერთი წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა და ზომა მკითხა! შემდეგ ინსტიტუტში მივედით. დაპირების თანახმად, იქ ჰანას «ოპელი» მისცეს და იმ წუთში ზღვისკენ გავემართეთ ელზბეტის ტანსაცმლისა და ჩემი საფულის, უფრო სწორად, პიჯაკის (პირველ რიგში პასპორტის გულისთვის) და კინოაპარატის წამოსაღებად.

საჭესთან ჰანა იჯდა...

დაფნიში, ათენის ახლოს, პატარა ჭალა შეგვხვდა, სადაც შემეძლო პერანგი გამომეცვალა, მაგრამ ჰანამ უარის ნიშნად თავი გააქნია და გზა განაგრძო. პაკეტი გავხსენი.

სალაპარაკო თემას ვეძებდი.

სიტყვა საბერძნეთის ეკონომიკაზე ჩამოვაგდე, ელევსისის მიდამოებთან დიდი სამშენებლო მოედანი დავინახე: «Greek Government Oil Refinery».[88] აქ ყველაფერი გერმანულ ფირმებს უჭირავს ხელში, რაც ჰანას ახლა (არც სხვა დროს) არ აინტერესებდა, მაგრამ დუმილიც აუტანელი იყო. მხოლოდ ერთხელ მკითხა: – ხომ არ იცი, იმ ადგილს რა ჰქვია?

– არა.

– იქნებ თეოდოჰორი.

მართლა არ ვიცოდი, იმ ადგილს რა ერქვა. კორინთოდან ავტობუსით წამოვედით და სადაც ზღვა მოგვეწონა, იქ ჩამოვხტით, ათენიდან სამოცდამეთექვსმეტე კილომეტრზე. ეს კი ვიცოდი, ევკალიპტების ხეივანში დასმული ფარი დამამახსოვრდა.

ჰანა მდუმარედ იჯდა საჭესთან.

შემთხვევას ვუცდიდი, რომ ახალი პერანგი ჩამეცვა, მანქანაში პერანგის გამოცვლა არ მინდოდა...

გავიარეთ ელევსისი.

მეგარა...

ჩემი საათი ვახსენე, საბარგო მანქანის მძღოლს რომ მივეცი, მერე საერთოდ დროზე ჩამოვაგდე სიტყვა, შემდეგ კვლავ საათებს მივუბრუნდი, რომელთაც შეეძლოთ დრო უკუღმა დაეტრიალებინათ...

– სდექ! – შევძახე მე, – აი, აქ არის...

ჰანამ მანქანა გააჩერა.

– აქ? – მკითხა მან.

მე მხოლოდ ის ადგილი მინდოდა მეჩვენებინა, სადაც ზაბეტი დავასვენე, სანამ მილებით დატვირთული საბარგო მანქანა გამოივლიდა. ჩვეულებრივი შვერილი იყო, ნარშავებით დაფარულ კლდეზე აქა-იქ წითლად ღვიოდნენ ყაყაჩოები. შემდეგ ლარივით გაჭიმული გზა მიდიოდა, შავი, ხრეშიანი გუდრონით მოგებული გზა, იმ გზაზე ფეხშიშველა გავრბოდი. შემდეგ ზეთისხილით მოჩრდილული ჭა, ქვიანი ყანები და თუნუქით გადახურული თეთრი ქოხები...

კვლავ დადგა შუადღე.

– თუ შეიძლება, ნელა იარე! – ვთხოვე ჰანას.

ის გზა, ფეხშიშველას უსასრულო რომ მეჩვენებოდა, «ოპელით» ორი წუთის სავალიც არ გამოდგა. სხვა ყველაფერი ისე იყო, როგორც გუშინ. მხოლოდ ხრეშით დატვირთული სახედარშებმული ორთვალა აღარ იდგა ცისტერნასთან. ჰანა

ისედაც დამიჯერებდა, არ ვიცი, რატომ მინდოდა, ყველაფერი მეჩვენებინა. იმ ადგილს, სადაც ორთვალა ამოდიოდა, ადვილად მივაგენით, ხრეშს წურწურით გასდიოდა ჭუჭყიანი წყალი, გზაზე ბორბლების ნაკვალევიც აშკარად ჩანდა და სახედრის ფეხის კვალიც.

მეგონა, ჰანა მანქანაში დაიცდიდა, მაგრამ იგი გადმოვიდა და ფეხით დაადგა გახურებულ, გუდრონიან გზას. ჰანა უკან მომყვებოდა, მე იტალიური ფიჭვი მოვნახე, შემდეგ ბუჩქნარი გადავიარეთ და ქვევით დავეშვით. არ მესმოდა, რატომ არ უნდოდა ჰანას, მანქანაში დაეცადა.

– ვალტერ, – მითხრა მან, – აქ რაღაც კვალი ჩანს!

მე მგონი, აქ იმისთვის არ წამოვსულვართ, რომ რაღაც შემთხვევითი სისხლიანი კვალი გვენახა, ჩვენ ჩემი საფულის, პიჯაკის, პასპორტისა და ფეხსაცმელების მოსაძებნად ვიყავით წამოსული.

ყველაფერი ხელუხლებლად ეწყო.

ჰანამ სიგარეტი მთხოვა...

ყველაფერი ისე იყო, როგორც გუშინ!

მხოლოდ ოცდაოთხი საათი გავიდა მას შემდეგ: იგივე ქვიშა, ტალღების იგივე სუსტი ტყლაშუნი, იგივე პატარ-პატარა აქოჩრილი ტალღები, ერთმანეთს რომ ძლივს ეწევიან, იგივე მზე, ქარიც ისევე უბერავს ბუჩქებში. მხოლოდ ჩემ გვერდით ზაბეტის მაგიერ მისი დედაა.

– აქ იბანავეთ?

– ჰო, – ვამბობ მე.

– ლამაზია აქაურობა... – თქვა მან.

საშინელი იყო ამ სიტყვების მოსმენა.

რაც შეეხება უბედურ შემთხვევას, დასამალი არაფერი მქონდა. აქ ზღვა თავთხელია. ოცდაათ მეტრზე მაინც უნდა შეხვიდე, სანამ საცურაო სიღრმეს მიაღწევდე. იმ წუთში, როცა მისი ყვირილი გავიგონე, ნაპირიდან ორმოცდაათ მეტრზე მაინც ვიქნებოდი. დავინახე, როგორ წამოხტა ზაბეტი. დავუყვირე, რა ამბავია-მეთქი. ზაბეტი მოქროდა... აკროკორინთოში უძილოდ

გატარებული ღამის შემდეგ ქვიშაზე დავიძინეთ. მერე მე წყალში შესვლა და ცოტა ხანს მარტო ყოფნა მომინდა. წყალში შესვლამდე ზაბეტს მხარზე თავისივე საცვლები ფრთხილად წავაფარე, რომ არ გამომეღვიძებინა. მეშინოდა, მზეს არ დაეწვა. ნაპირზე ჩრდილი ცოტაა, ერთადერთი ფიჭვი დგას. ჩვენ მის ჩრდილქვეშ მოვიწყვეთ ლოგინი. შემდეგ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩრდილმა გადაინაცვლა, უფრო სწორად, მზე მომადგა და ეტყობა, ამან გამომაღვიძა, რადგან უცებ ოფლად გავიღვარე. იქნებ შუადღის სიჩუმემ შემაკრთო, შეიძლება რაღაც მესიზმრა ან მომეჩვენა, რომ ნაბიჯების ხმა გავიგონე, მაგრამ არა, მარტოდმარტონი ვიყავით. შეიძლება, ხრეშით დატვირთული ორთვალას ხმა ან ხრეშის ჩხრიალი შემომესმა, მაგრამ არაფერი დამინახავს. ზაბეტს ეძინა, შესაშინებელი არაფერი იყო. ჩვეულებრივი შუადღე იდგა, ზღვა მშვიდად ლივლივებდა, მხოლოდ ტალღების სუსტი ტყლაშუნი ისმოდა. ხანდახან კენჭებს გადაევლებოდნენ, ააგორებდნენ და მაშინ კენჭებს ჩხრიალი გაჰქონდა. ირგვლივ სიჩუმე იდგა. მხოლოდ დროდადრო ფუტკარი თუ გაიზუზუნებდა. გული ოდნავ აჩქარებით მიცემდა და ცოტა ხანს დავფიქრდი, ცურვა ხომ არ მაწყენს-მეთქი. ერთ წუთს ვყოყმანობდი. ზაბეტმა იგრძნო, რომ გვერდით აღარავინ ეწვა და გვერდი იბრუნა, მხოლოდ არ გაღვიძებია, კეფაზე ქვიშა დავაყარე, მაგრამ თვალი არ გაუხელია. ბოლოს და ბოლოს, წყალში შევედი. იმ წუთში, როცა ზაბეტმა დაიყვირა, ორმოცდაათ მეტრზე მაინც ვიქნებოდი ზღვაში გასული.

ზაბეტს პასუხი არ გაუცია, ისე მორბოდა.

ჩემი ხმა გაიგონა თუ არა, არ ვიცი. შევეცადე, წყალში გამოვქცეულიყავი, დავუძახე, გაჩერდი-მეთქი, მე კი წყლიდან მუხლმოკვეთილი გამოვედი. ფეხებს ძლივს მოვათრევდი.

ზაბეტი კბოდეზე გაჩერდა, ხელი მარცხენა ძუძუზე ეჭირა და უსიტყვოდ მელოდებოდა. კბოდეზე ამოვბობღდი (ვერც ვგრძნობდი, რომ დედიშობილა ვიყავი) და ზაბეტს თანდათან ვუახლოვდებოდი. შემდეგ მოხდა უაზრობა: მან ჩემს დანახვაზე უკან-უკან დაიხია (თუმცა მე მაშინვე შევჩერდი) და კბოდედან პირუკუღმა გადავარდა.

აი, როგორ მოხდა ეს უბედურება.

კბოდე სიმაღლით ორი მეტრი ძლივს იქნება, კაცის სიმაღლეზეა

მიწიდან, მაგრამ როცა მივირბინე, ის ქვიშაზე უგონოდ იწვა. ეტყობა, კეფა დაარტყა. მხოლოდ მერე შევამჩნიე ნაკბენი, სამი პაწაწკინტელა სისხლის წვეთი. სისხლი იმწუთშივე მოვწმინდე, სასწრაფოდ ჩავიცვი შარვალი და პერანგი, ფეხსაცმელები არ ჩამიცვამს, გოგონა ხელში ავიყვანე და გზისკენ გავაქანე, გზაზე კი ისე ჩაიარა ფორდმა, ჩემი ძახილი არ გაუგონია.

სანამ მე ამბავს ვყვებოდი, ჰანა იმ დაწყევლილ ადგილზე იდგა და სიგარეტს ეწეოდა. რაც შემეძლო ზუსტად აღვუწერე ყველაფერი, ის კბოდეც ვაჩვენე. თვალს არ ვუჯერებდი, ჰანა მეგობარივით მექცეოდა. თან კარგად მესმოდა, როგორც დედა, გულში წყევლა-კრულვას მითვლიდა, თუმცა მეორე მხრივ, საღად თუ ვიმსჯელებდით, ბრალი არაფერში მიმიძღოდა.

– წამო, – მითხრა მან, – აიღე შენი ნივთები.

ბავშვის გადარჩენის იმედი რომ არ გვქონოდა, რა თქმა უნდა, ასე ვერ ვილაპარაკებდით.

– იცი თუ არა, რომ ის შენი შვილია? – მითხრა მან.

მე ეს ვიცოდი.

– წამო, – მეუბნება იგი, – აიღე შენი ნივთები...

ჩვენ ვიდექით, ნივთები ხელში გვეჭირა: მე ჩემი მტვრიანი ფეხსაცმელები მეკავა, ჰანას კი ჩვენი ქალიშვილის შავი კოვბოური შარვალი.

თვითონაც არ ვიცოდი, რისი თქმა მინდოდა.

– წავიდეთ, დროა! – მითხრა მან.

მხოლოდ ერთი რამ ვკითხე:

– რატომ დამიმალე ეს ამბავი?

პასუხი არ მიმიღია.

ისევ ის ლურჯი ხვატი დგას ზღვაზე, როგორც გუშინ ამ დროს. შუადღეა, ტალღები ზანტად მოგორავენ. ნაპირზე მხოლოდ ქაფს ტოვებენ, შემდეგ კენჭების ჩხრიალი ისმის. მერე ერთი წუთით ისადგურებს სიჩუმე და ყველაფერი ისევ მეორდება.

ჰანამ ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო.

– შენ გავიწყდება, რომ მე გათხოვილი ვარ...

და კიდევ:

– შენ გავიწყდება, რომ ელზბეტს უყვარხარ...

ძალა არ შემწევდა, დანაშაულზე პასუხი მეგო, მაგრამ რაღაც ხსნა, ჩემი აზრით, ყოველთვის შეიძლება იპოვოს კაცმა.

კიდევ დიდხანს ვიდექით.

– ვითომ რატომ არ შეიძლება აქ ვიშოვო სამსახური? – ვამბობ მე, – ინჟინრები ყველგან საჭიროა, ხომ ხედავ, საბერძნეთიც ინდუსტრიალიზაციის გზაზე დგას...

ჰანამ მშვენივრად გაიგო, რა აზრით ვამბობდი ამას: არც რომანტიკული აზრი მამოძრავებდა და არც მორალური, მხოლოდ პრაქტიკული თვალსაზრისით ვმსჯელობდი ასე. ერთად ცხოვრება, საერთო ხარჯი, ერთად დაბერება არ იქნებოდა ურიგო. ჰანამ ეს იცოდა, სანამ მე მოვიფიქრებდი, მანამდე იცოდა, ოცი წელია ეს იცის; და მაინც ჩემზე მეტად გაოცებული დარჩა.

– ჰანა, – ვეკითხები მე, – რა გაცინებს?

ჩემი აზრით, რაღაც მომავალი ყოველთვის არსებობს, სამყარო ხომ არ გაჩერდება, ცხოვრება წინ მიდის შეუჩერებლად.

– ჰო, – ამბობს იგი, – მიდის, მაგრამ ალბათ უჩვენოდ.

მხრებში ჩავჭიდე ხელები.

– წამო! – მეუბნება იგი, – მე გათხოვილი ვარ, ვალტერ, გათხოვილი ვარ-მეთქი, არ მომეკარო!

შემდეგ მანქანასთან მივბრუნდით.

ჰანა მართალი იყო, მე ყველა წვრილმანს ვერასოდეს ვითვალისწინებდი ხოლმე. ეს დროზე შემახსენა, მაგრამ მაინც მტკიცედ გადავწყვიტე, სამუშაოდ ათენში მეთხოვა გადმოყვანა ან მე თვითონ გადმოვბარგებულიყავი. თუმცა იმ წუთში მეც ვერ წარმომედგინა, ჩვენი ერთად ცხოვრება როგორ მოხერხდებოდა. მიჩვეული ვარ, მანამდე ვეძებო გამოსავალი, სანამ არ ვიპოვი...

ჰანამ საჭესთან დამსვა. «ოპელ-ოლიმპია» არასოდეს

მიტარებია. ჰანასაც არ უძინია მთელი ღამე და ახლა თავს იმძინარებდა.

ათენში ყვავილები ვიყიდეთ.

სამი საათი სრულდებოდა.

მისაღებში გვაცდევინეს, მაგრამ არაფერი გვიაზრია, ჰანამ ყვავილებს ქაღალდი შემოხსნა...

შემდეგ მოწყალების დის უცნაური სახე შემოგვეფეთა! ჰანა გუშინდელივით ფანჯარასთან მივიდა. უბრად ვდგავართ, არც კი ვიხედებით ერთმანეთისკენ...

შემდეგ მოვიდა დოქტორი ელიოთეროპულოსი.

ლაპარაკობენ ბერძნულად, მაგრამ ყველაფერი მესმის.

ის სამის წუთებზე გარდაიცვალა.

...შემდეგ მის საწოლთან ვდგავართ ჰანა და მე.

პირდაპირ დაუჯერებელია: ჩვენი შვილი თვალდახუჭული წევს, გეგონება, სძინავსო, მაგრამ სახე თაბაშირივით თეთრი აქვს. ზეწარში ინაკვთება მისი გრძელი სხეული, ხელები თეძოების გასწვრივ უწყვია, ჩვენი ყვავილები მკერდზე აყრია, თავის სანუგეშებლად კი არა, მართლა ვამბობ, სძინავს-მეთქი. მისი სიკვდილი დღემდე ვერ დამიჯერებია. სძინავს-მეთქი, გავიმეორე, ოღონდ ჰანას გასაგონად არ მითქვამს, მან კი უცებ დამიყვირა და მუშტებმოღერებული ჩემ წინ აღიმართა. ვეღარ ვცნობ, თავს არ ვიცავ, ვერც კი ვგრძნობ, როგორ გამეტებით მირტყამს მუშტებს სახეში. განა ამით გვეშველება რამე? იგი ყვირის და სანამ ძალა ჰყოფნის, სახეში მირტყამს, მე მხოლოდ თვალებზე ვიფარებ ხელებს.

დღეს დანამდვილებით ვიცით, რომ ჩვენი ქალიშვილი გველის შხამს არ მოუკლავს, შრატმა დროულად და შედეგიანად იმოქმედა. სიკვდილის მიზეზი გახდა ფუძის ძვლის დიაგნოზდაუსმელი ფრაქტურა – compressio cerebri, რაც იმ პატარა კბოდედან გადმოვარდნამ გამოიწვია. დაშავებული ჰქონია arteria meningica media, ჩამოყალიბებულა ეგრეთ წოდებული ეპიდურალური ჰემატომა, რომელიც ქირურგიული ჩარევის შედეგად (როგორც მითხრეს) იოლად შეიძლებოდა მორჩენილიყო.

ჩაწერილია კარაკასში.

21 ივნისიდან 8 ივლისამდე.

მეორე გაჩერება

ათენი. საავადმყოფო. ჩანაწერი იწყება 19 ივლისიდან.

ჩემი «ჰერმეს-ბები» წამართვეს და თეთრ კარადაში ჩაკეტეს, რადგან შუადღისას საავადმყოფოში მკვდარი საათია გამოცხადებული. იძულებული ვარ, ხელით ვწერო! ხელით წერას ვერ ვიტან, წელზევით გაშიშვლებული ვზივარ საწოლში. ჩემი პატარა ვენტილატორი (ჰანას საჩუქარი) დილიდან საღამომდე ზუზუნებს, ისე სამარისებური სიჩუმეა. დღესაც ორმოცი გრადუსია ჩრდილში! ეს მკვდარი საათი (13.00 – 17.00) ყველაზე საშინელია. თან დღიურის საწერად დრო ისედაც ცოტა მაქვს. ჰანა ყოველდღე მნახულობს. ყოველთვის ვკრთები, თეთრ ორფა კარზე კაკუნის ხმას რომ გავიგონებ. შავებში ჩაცმული ჰანა ჩემს თეთრ ოთახში შემოდის. რატომ არასდროს არ ჯდება? ყოველდღე დადის საფლავზე და ინსტიტუტში – აი ეს არის სულ, რაც ჰანაზე ვიცი. ის ღია ფანჯარასთან დგას, მე კი იძულებული ვარ, ვიწვე. მისი დუმილი ნერვებს მიშლის. შეუძლია თუ არა მაპატიოს ყველაფერი? შემიძლია რამე გამოვასწორო? არც ის ვიცი, ჰანა მას შემდეგ რას აკეთებს. სიტყვა არ თქმულა ამაზე, ვკითხე, რატომ არ ჯდები-მეთქი. ჰანასი საერთოდ არაფერი მესმის. მისი ღიმილი, როცა ვეკითხები რამეს, მისი მზერა ჩემ მიღმა, ხანდახან შიშს მგვრის. მეშინია, ჭკუაზე არ შეცდეს. ექვსი კვირა გავიდა იმ დღიდან.

8. VI. ნიუ-იორკი.

ჩვეულებრივი Saturday-party[89] უილიამსთან.

წასვლა არ მინდოდა, მაგრამ იძულებული ვიყავი, თუმცა არა, ვერავინ დამაძალებდა, მაგრამ მაინც წავედი. ადგილს ვერ ვპოულობდი. საბედნიეროდ, ცნობა მაინც დამხვდა, ვენესუელისთვის განკუთვნილი ტურბინები, ბოლოს და ბოლოს, მონტაჟისათვის მზად არისო, მაშასადამე, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავფრენილიყავი... ჩემს თავს ვეკითხებოდი, გავართმევდი კი თავს დავალებას? როცა

უილიამსმა, ამ ოპტიმისტმა კაცმა, ხელი მხარზე დამადო, თავი დავუქნიე, მაგრამ ჩემს თავს მაინც იმავეს ვეკითხებოდი.

– Come on, Walter, have a drink![90]

ხან ვისთან ვდგავარ და ხან ვისთან...

– Roman holidays, oh, how marvellous![91]

არავისთვის მითქვამს, რომ ქალიშვილი მომიკვდა, რადგან არავინ იცოდა, ქალიშვილი თუ მყავდა, არც სამგლოვიარო ბაფთა მიკეთია ღილკილოში, არ მინდა ვინმემ მკითხოს რაიმე, ეს ამბავი არავისი საქმე არ არის.

– Come on, Walter, another drink![92]

უზომოდ ბევრს ვსვამ...

– Walter has trouble, – ყველას გასაგონად ამბობს უილიამსი, – Walter can’t find the key of his home![93]

უილიამსის აზრით, მე რაიმე როლი უნდა ვითამაშო, ჯობია, კომიკური, ვიდრე არავითარი. ხომ არ შეიძლება, კაცი ასე იდგე კუთხეში და ნუშს აკნატუნებდე.

– Fra-Angelico, oh, I just love it![94]

ყველას ჩემზე მეტი ესმის...

– How did you enjoy the Masaccio-Fresco?[95]

არ ვიცი, რა ვუპასუხო.

– Semantics! You’ve never heard of semantics?[96]

თავი იდიოტი მგონია...

სასტუმროში დავბინავდი, ტაიმს-სკვერზე. ჩემი გვარი ჯერ კიდევ ეწერა ბინის კარზე, მაგრამ კარისკაცმა გასაღებზე არაფერი იცოდა. აივის იგი მისთვის უნდა ჩაებარებინა. ჩემს საკუთარ კარზე დავრეკე. თავს უმწეოდ ვგრძნობდი. ყველაფერი ღიაა: დაწესებულებებიც, კინოებიც და მეტროს სადგურებიც, მხოლოდ ჩემი ბინაა დაკეტილი. დროის მოსაკლავად საექსკურსიო კატერით გავისეირნე. ცათამბჯენები საფლავის ქვებს მაგონებდა (ეს ადრეც ასე იყო), რეპროდუქტორს მივუგდე ყური: როკფელერის ცენტრი,

ემპაირ სტეიტ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობა და ასე შემდეგ. ყურს ისე ვუგდებდი, თითქოს მანჰეტენში თერთმეტი წელი არ მეცხოვროს. შემდეგ კინოში შევედი. მერე კი, ჩვეულებისამებრ, მეტროთი წავედი შინ: ექსპრესი პირდაპირ კოლუმბიის მოედნამდე მიდის. სადგურ «ინდეპენდენტიდან» ჩემს სახლთან უფრო ახლოს ამოვიდოდი, მაგრამ თერთმეტი წელი ამ გზით მივლია და ჩვეულებას ახლაც არ ვუღალატე. კოლუმბიის მოედანზე ამოვედი და ჩვეულებისამებრ, ჩინურ სამრეცხაოში შევიარე. იქ ჯერ კიდევ ვახსოვდი ხალხს.

– ჰელო, მისტერ ფეიბერ! – ჩემი სამი პერანგი რამდენიმე თვეა მელოდა. პერანგები გამოვიტანე, ისევ სასტუმროში დავბრუნდი, სადაც არაფერი მესაქმებოდა და მრავალჯერ ავკრიფე ჩემი საკუთარი ნომერი... რა თქმა უნდა, უშედეგოდ. შემდეგ კი, სამწუხაროდ, აქ აღმოვჩნდი.

– Nice to see you[97] და ა.შ.

მანამდე გარაჟში გავიარე. მინდოდა გამეგო, ჩემი სტუდებეკერი კიდევ არსებობდა თუ არა, მაგრამ კითხვაც არ დამჭირვებია, შორიდანვე მომხვდა თვალში შავ ბრანდმაუერებში ჩამდგარი ჩემი სტუდებეკერი.

შემდეგ, როგორც ვთქვი, აქეთ გამოვემართე.

– Walter, what’s the matter with you?[98]

ეს შაბათის თავყრილობები, კაცმა რომ თქვას, ყოველთვის მეჯავრებოდა. გონებამახვილობის ნიჭი არ მაქვს მომადლებული, მაგრამ ამის გამო არავის ხელის ჩამოდება არ მეპრიანება ჩემს მხარზე...

– Walter, don’t be silly![99]

ვიცოდი, დავალებას თავს ვერ გავართმევდი. ისიც ვიცოდი, რომ მთვრალი ვიყავი. მათ ეგონათ, ამას ვერ ვამჩნევდი... საკუთარი ხუთი თითივით ვიცნობ ამ ხალხს. წახვალ და არც მოგისაკლისებენ. წამოვედი კიდეც. ტაიმს-სკვერზე მივდიოდი (იმედი მქონდა, უკანასკნელად), მინდოდა, რომელიმე ჯიხურში ჩემი ნომერი ამეკრიფა – დღესაც ვერ გამიგია, როგორ აიღო ვიღაცამ ყურმილი.

– This is Walter,[100] – ვთქვი მე.

– Who?[101]

– Walter Faber, – ვეუბნები მე, – this is Walter Faber.

ვერ მცნობენ.

– Sorry![102] – ვეუბნები მე.

ალბათ, ნომერი შემეშალა. ვიღებ მანჰეტენის უზარმაზარ წიგნს, ჩემს ნომერს ვპოულობ და კიდევ ერთხელ ვრეკავ.

– Who’s calling?[103]

– Walter, – ვეუბნები მე, – Walter Faber.

იგივე ხმა მპასუხობს. ერთი წუთით ენა ჩამივარდა. არაფერი მესმის.

– Yes, what do you want?[104]

კაცმა რომ თქვას, რა მომივა, რომ ვუპასუხო. გამბედაობას ვიკრებ, სანამ ის ყურმილს დაკიდებდეს და ლაპარაკის გაბმის მიზნით ნომერს ვეკითხები.

– Yes, this is Trafalgar 4-55-71.[105]

მთვრალი ვარ.

– That’s impossible,[106] – ვეუბნები მე...

შეიძლება ჩემი ბინა გაქირავებულია, შეიძლება ნომერი შეიცვალა, ყველაფერი შესაძლებელია, ამას კარგად ვხვდები, მაგრამ საქმეს რას შველის.

– Trafalgar 4-55-71, – ვეუბნები მე, – that’s me![107]

მესმის, როგორ აფარებს ყურმილს ხელს და ვიღაცას როგორ ელაპარაკება (აივის ხომ არა?), სიცილის ხმაც კარგად მესმის:

– Who are you?[108]

მე კითხვითვე ვპასუხობ:

– Are you Walter Faber?[109]

ბოლოს ყურმილი დაკიდა. მე ბარში დავჯექი. თავბრუ მეხვეოდა, ვისკის ვეღარ ვიტან. შემდეგ ბარმენს ვთხოვე, მისტერ ვალტერ ფეიბერის ნომერი მოენახა და ამ ნომერზე

დაერეკა. მან ნომერი აკრიფა და ყურმილი მომაწოდა. მესმოდა გრძელი ზუმერი. როგორც იქნა, ყურმილი აიღეს.

– Trafalgar 4-55-71, Hello?

ისე დავკიდე, ხმა არ ამომიღია.

ოპერაცია სატკივარს სამუდამოდ მომაცილებს. სტატისტიკის თანახმად, ამგვარი ოპერაცია 100-დან 94,6 შემთხვევაში კეთილად მთავრდება. მე მხოლოდ ეს უსასრულო ცდა მანერვიულებს. ავადმყოფობას მიჩვეული არა ვარ. მანერვიულებს ჰანას ნუგეშისცემაც, მას ხომ სტატისტიკის არაფერი სჯერა. მე მართლა სავსებით იმედიანად ვარ, თან გახარებულიც, რომ ოპერაცია არც ნიუ-იორკში, არც დიუსელდორფში და არც ციურიხში არ გავაკეთებინე. ჰანას უნდა ვხედავდე, მას უნდა ველაპარაკებოდე. წარმოდგენა არა მაქვს, ჰანა ამ ოთახის გარეთ რას აკეთებს. ჭამს? სძინავს? ის ყოველდღე დადის ინსტიტუტში (08.00 – 11.00 და 17.00 – 19.00) და ყოველდღე დადის ჩვენი ქალიშვილის საფლავზე. ამას გარდა? ჰანას ვეხვეწები, დაჯდეს. რატომ არაფერს მეუბნება? დაჯდება და, წუთიც არ გავა, რაღაც დასჭირდება, ან საფერფლე, ან კვესი, ნივთის ასაღებად წამოდგება ხოლმე და მერე კვლავ ფეხზე დგომას ამჯობინებს. თუ ვძულვარ, მაშინ რატომ მოდის? ბალიშს მისწორებს. კიბო რომ მჭირდეს, მაშინვე გამჭრიდნენ – ეს ლოგიკური ამბავია, ჰანას ასეც ავუხსენი და ვგონებ, დავარწმუნე კიდეც. დღეს ნემსს არ მიკეთებენ. ჰანა ცოლად უნდა შევირთო.

9.VI. გაფრენა კარაკასში.

ამჯერად იუკატანში მაიამისა და მერიდის გავლით მივფრინავ, იქიდან თითქმის ყოველდღე გადის რაიმე კარაკასის მიმართულებით, მაგრამ მერიდაში ვიჩხირები (კუჭი მტკივა)...

შემდეგ ისევ კამპეჩეში ვარ.

(მერიდიდან კამპეჩემდე ექვსსაათნახევრის სავალია ავტობუსით).

პატარა სადგურში ვიცდი.

ვიწრო ლიანდაგის შპალებს შორის კაქტუსებია ამოსული. ამ ორი თვის წინ აქ ჰერბერტ ჰენკესთან ერთად ველოდებოდი მატარებელს. თვალდახუჭულს თავი კედელზე მაქვს

მიყრდნობილი, ფეხებგაჩაჩხული ვდგავარ და თითქოს ჰალუცინაციად მესახება ყველაფერი, რაც იმ დღიდან გადამხდა თავს. აქ არაფერი შეცვლილა: წებოვანი ჰაერი...

თევზისა და ანანასის სუნი...

გაძვალტყავებული ძაღლები...

მკვდარი ძაღლები, რომლებსაც არავინ მარხავს. ბაზარში სახურავებზე აურები სხედან, პაპანაქება სიცხეა, ზღვიდან შმორის სუნი მოდის, გაწეწილი მზე ზღვაზე აცხუნებს, ხმელეთზე ჩამოწოლილ შავ ღრუბლებში კი კვარცის ნათურის შუქივით მოლურჯო-მოთეთრო ციაგი გამოკრთის.

ისევ რკინიგზით ვმგზავრობ!

პალენკეს დანახვამ ძალიან გამახარა. ყველაფერი ძველებურად დამხვდა: ჰამაკებიანი ვერანდა, ჩვენი ლუდი, ჩვენი თუთიყუშიანი პინტე. აქაურებმა მიცნეს, ბავშვებსაც კი არ დავვიწყებივარ. ვყიდულობ და ვარიგებ მექსიკურ ტკბილეულს. ერთხელ ნანგრევებისკენაც კი გავისეირნე. იქაც უცვლელად დამხვდა ყველაფერი, კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ჩიტებიც ძველებურად ჟივჟივებდნენ. ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ორი თვის წინათ იყო. პალენკეს დიზელ-მოტორი რომ ჩაჩუმდება, ღამეც კი ისეთივეა: ვერანდის წინ, შემოღობილში ყოველ გაელვებაზე ისევ ისე ლოყლოყებს ინდაური, ყველაფერი ისევ ისეა, შველიც, პალოზე გამობმული შავი ნეზვიც, ბამბასავით მთვარეც, ღამეში მობალახე ცხენიც.

ყველგან თან მდევს უნაყოფო ფიქრი:

ნეტავ ის დღეები დააბრუნა! მხოლოდ ორი თვის წინანდელი დღეები, ორი თვისა, რომელსაც აქ არაფერი შეუცვლია. რატომ არ შეიძლება, აპრილი იყოს ახლა, სხვა ყველაფერი კი ჩემი ჰალუცინაცია?

შემდეგ მარტო ვზივარ «ლენდროვერში».

ველაპარაკები ჰერბერტს.

ველაპარაკები მარსელს.

ვბანაობ რიო-უსუმანსინტაში. მხოლოდ ის მეჩვენა შეცვლილი. მდინარე ახლა უფრო წყალუხვია, ზედაპირზე ბუშტულებიც აღარ ჩანს, რადგან უფრო სწრაფად მიედინება. ახლა კი

საეჭვოა, ამ მდინარეში «ლენდროვერით» შევიდეს კაცი და არ ჩაიხრჩოს...

მანქანა მაინც გავიდა გაღმა.

ჰერბერტი შეცვლილია. ამას ერთი შეხედვითაც შეატყობდა კაცი. წვერი მოუშვია, გარდა ამისა, უნდოც გამხდარა.

– ადამიანო, აქ რა გინდა?

ჰერბერტს ჰგონია, მე მისი ოჯახის ან, უფრო სწორად, მისი ფირმის დავალებით ჩამოვედი, რომ დიუსელდორფში წავიყვანო. არაფრით არ დამიჯერა, შენს სანახავად ჩამოვედი-მეთქი, რომ ვუთხარი, მაგრამ ეს ასეა. მე არც ისე ბევრი მეგობარი მყავს.

სათვალე გასტეხია.

– მერე რატომ არ შეაკეთებ? – ვკითხე მე.

სათვალე შევუკეთე...

კოკისპირულად წვიმს და ბარაკში ისე ვსხედვართ, როგორც ნოეს კიდობანში.

ვსხედვართ უსინათლოდ, რადგან ბატარეა, რომელიც ერთ დროს რადიოსაც კი კვებავდა, დიდი ხანია დაცლილა. თუმცა ჰერბერტს მაინც არ აინტერესებს, ქვეყანაზე რა ხდება. არც გერმანიის ამბავი აინტერესებს; არც გოტინგენის პროფესორების მოწოდებანი; პირად საქმეზე არაფერი მითქვამს.

მისი ნეში მოვიკითხე.

ჰერბერტი მას შემდეგ აღარ ყოფილა პალენკეში.

ხუთი კასრი ბენზინი ჩამოვუტანე. წასვლა მაინც შეძლოს, როცა მოუნდება, მაგრამ ის თურმე არც ფიქრობს აქედან დაძვრაზე.

ჰერბერტს ულვაშებში ეცინება.

ერთმანეთს სულ ვეღარ ვუგებთ.

აქ დენი არ არის და ჰერბერტს ეცინება, მე რომ ძველი სამართებლით ვიპარსავ წვერს. ეცინება, წვერი რომ მაწუხებს, ეცინება, წასვლა რომ მინდა.

თვითონ არავითარი გეგმა არ გააჩნია!

მისი ნეშ-55 ისევ ისე იდგა ფოთლებით გადახურულ ჩარდახქვეშ, გასაღებიც კი ისევ ისე ეკეთა. ეტყობა, ამ ინდიელებმა არც იციან მოტორის ამუშავება. მანქანას გაფუჭებული არაფერი ჰქონდა, მაგრამ ისეთი გავერანებული იყო, მაშინვე ხელები დავიკაპიწე.

– შენ თუ გეხალისება, გააკეთე! – მითხრა მან.

თვითონ გუანებზე სანადიროდ წავიდა.

მოტორი წვიმისაგან მთლად შლამითაა ამოტენილი. ყველაფერი გასასუფთავებელია, ყველაფერი დანაგვიანებული და გათხუპნილი; მანქანის ზეთში არეული ყვავილების მტვერი დამპალა და შმორის სუნს გამოსცემს, მაგრამ მიხარია, საქმე რომ გამომიჩნდა...

ირგვლივ მაიას ტომის ბავშვები მასევია.

მთელი დღეები არ მცილდებიან, უყურებენ, როგორ ვშლი მოტორს. მიწაზე ბანანის ფოთლები მაქვს გაფენილი და ზედ მანქანის ნაწილები მიწყვია...

ელავს, მაგრამ არ წვიმს.

ინდიელი დედებიც მომშტერებიან. ეტყობა, ისინი განუწყვეტლივ შობენ ბავშვებს, ყავისფერ მკერდზე მიკრული ჩვილები გამობერილ მუცლებზე უზით, ასე დგანან, სანამ მოტორს ვწმენდ და უსიტყვოდ მომშტერებიან. იციან, რომ მათი ინჩიბინჩი არ გამეგება.

ჰერბერტს გუანების აცმა მოაქვს...

გუანები ცოცხლები არიან, მაგრამ სანამ ხელს არ შეახებ, გატრუნულნი წვანან, მწარე კბენა იციან და ხვლიკისებური პირი ჩალით აქვთ აკრული. მოხარშულ გუანებს ქათმის ხორცის გემო აქვს.

საღამოს ჰამაკებში ვწევართ.

ლუდი არა გვაქვს. ვსვამთ ქოქოსის რძეს...

ციაგი გამოკრთის.

მეშინია, ისეთი რაიმე არ მოიპაროს ვინმემ, რისი შეცვლაც

შეუძლებელია. ჰერბერტი სულ არ ღელავს. დარწმუნებულია, ისინი მანქანის ნაწილებს ხელს არ ახლებენო. რის ჯანყი, რა ჯანყი, ბეჯითადაც კი მუშაობენო, ამბობს ჰერბერტი, თურმე უსიტყვოდ ემორჩილებიან თავიანთ ბატონს, თუმცა დარწმუნებულნი არიან, რომ მათი შრომა წყალშია გადაყრილი.

ჰერბერტს ულვაშებში ეცინება.

გერმანული სიგარის მომავალი!

ჰერბერტს ვეკითხები, მაინც რას ფიქრობ, აქ დარჩენას აპირებ თუ დიუსელდორფში დაბრუნებას, რა გეგმები გაქვს-მეთქი.

– Nada![110]

ერთხელ ვუთხარი, ჰანას შევხვდი, მის ცოლად შერთვას ვაპირებ-მეთქი, მაგრამ არც კი ვიცი, გაიგონა თუ არა.

ჰერბერტი ინდიელს დამსგავსებია.

პაპანაქება სიცხეა...

ციცინათელები...

თითქოს ორთქლის აბანოში იჯდე, ისე მოგდის ოფლი.

მეორე დღეს წვიმდა, მოულოდნელად თქეში წამოვიდა, სულ თხუთმეტი წუთი იწვიმა. შემდეგ ისევ გამოაჭყიტა მზემ, მაგრამ ყავისფერი წყლის გუბეები დადგა. მე კი ნეში ჩარდახიდან გარეთ გამოვაგორე, მინდოდა, სუფთა ჰაერზე მემუშავა. რა ვიცოდი, თუ მაინცდამაინც იქ გაჩნდებოდა დიდი გუბე.

ჰერბერტს ეცინებოდა, მე კი სასაცილოს ვერაფერს ვხედავდი. წყალი მანქანას ღერძამდე სწვდებოდა, მოტორის ნაწილებზე ხომ აღარ ღირდა ლაპარაკი. ისინი მიწაზე მქონდა გაშლილი. შევძრწუნდი, ეს რომ დავინახე. ჰერბერტმა დასამშვიდებლად ოცი ინდიელი მომცა. თვითონ კი ისე იქცეოდა, თითქოს მთელი ეს ორომტრიალი მას არ ეხებაო. მგონი, არც გაუგია, მანქანისთვის ქვემოდან შესაყენებლად ინდიელებს ხეების მოჭრა რომ ვუბრძანე. მთელი დღე მხოლოდ მოტორის ნაწილების ძებნაში დავკარგე. ტალახში დავაბოტებდი, თბილ ტლაპოში ვურევდი ხელს და ისე ვეძებდი ნაწილებს, მარტო მე, ჰერბერტი არავითარ ინტერესს არ იჩენდა.

– თავი დაანებე! – მითხრა მან, – რა საჭიროა?

ოც ინდიელს თხრილები გავაყვანინე, იქნებ, ბოლოს და ბოლოს, წყალი დაწრეტილიყო. მხოლოდ ასე თუ ვიპოვიდი დანარჩენ ნაწილებს. ეს საკმაოდ ძნელი საქმე გამოდგა, ზოგი ნაწილი ისე ღრმად ჩაკარგულიყო შლამში.

ჰერბერტი წამდაუწუმ იმეორებდა: «Nada!»

ბჟუტურში ხელს არ ვუშლიდი, პასუხს არ ვაძლევდი. უმანქანოდ ჰერბერტი დაიღუპებოდა. თავს ძალას ვატანდი, რომ მისი გუნება არ გადმომდებოდა და თავწაღუნული ვმუშაობდი.

– უმანქანოდ რა გეშველება? – ვუთხარი მე.

როგორც იქნა, ავაწყვე მოტორი და ავამუშავე კიდეც. ჰერბერტმა მხოლოდ ჩაიცინა, «ბრავოს» მეტი არაფერი უთქვამს. მხარზე ხელი დამკრა და დაუმატა: ახლა ეს ნეში შენთვის მიჩუქნია, მე რაში მჭირდებაო.

ჰერბერტის ჭკუაზე მოყვანა შეუძლებელი იყო: იგი მოძრაობის მომწესრიგებელი პოლიციელივით იდგა, სანამ საჭეს ვუჯექი და მორებზე შეყენებულ აწყობილ მანქანას ვამოწმებდი.

ირგვლივ მაიას ტომის ბავშვები გვეხვივნენ, თეთრპერანგიან დედებს ჩვილი ბავშვები მიეკრათ მკერდზე; მერე კაცებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ისინი ტევრს არ გამოსცილებიან. ყველას თამბაქოს საჭრელი დანები ეჭირა ხელში. აქაურობას მოტორის ხმა დიდი ხანია არ გაეგონა. მოტორი ავამუშავე. მანქანის ბორბლები ჰაერში დატრიალდა. ჰერბერტი მანიშნებს: სდექ! ვამუხრუჭებ, ვაძლევ სიგნალს. ჰერბერტი ხელს წევს: გზა გახსნილია! ინდიელები (ისინი თანდათან ბლომად შეგროვდნენ) თვალდაჭყეტილი უყურებენ ჩვენს მაიმუნობას, არც კი იცინიან, უსიტყვოდ დგანან და მოწიწებით შემოგვცქერიან, ჩვენ კი (კაცმა რომ თქვას, რისთვის?) ვითომ დიუსელდორფში ვართ და ავარიის სცენას ვთამაშობთ.

*

დისკუსია ჰანასთან! ჰანას თქმით, ტექნიკა არის ერთგვარი ხერხი, რომელიც საშუალებას იძლევა, ისე მოაწყო ქვეყანა, რომ ადამიანმა იგი ვეღარ შეიგრძნოს. ტექნიკოსს იმიტომ სჭირს

სამყაროს ათვისების მანია, რომ თვითონ, როგორც პარტნიორი, სუსტია, ტოლს ვერ უდებს მას. ტექნიკის მეშვეობით უნდათ მოსპონ სამყაროს წინააღმდეგობა, თუნდაც ტემპის აჩქარებით ისე უნდა შეასუსტონ იგი, რომ ადამიანმა ვეღარ შეიგრძნოს სამყარო. თვითონ ტექნიკოსს სამყარო არ გააჩნია (რას გულისხმობს ჰანა, არ ვიცი). ჰანა არ მსაყვედურობს, მას წარმოუდგენლად არ მიაჩნია ჩემი ურთიერთობა ზაბეტთან. მე, ჰანას აზრით, არასოდეს მცოდნია ასეთი ურთიერთობის ფასი, ახლაც ვერ ჩავწვდომივარ, მცდარად შემიფასებია იგი და თავისთვის ჩამიგონებია, შეყვარებული ვარ-მეთქი. ეს შემთხვევითი შეცდომა არ ყოფილა. ეს შეცდომა ჩემთვის ისეთივე ორგანულია, როგორც ჩემი პროფესია, როგორც მთელი ჩემი ცხოვრება. ჩემი შეცდომა ის არის, რომ ჩვენ, ტექნიკოსები, ვცდილობთ სიკვდილი უგულებელვყოთ. სიტყვასიტყვით: შენ ცხოვრებას უყურებ არა როგორც ერთ მთლიან ფორმას, არამედ როგორც შესაკრებთა ჯამს, ამიტომ უგულებელყოფ სიკვდილსაც და დროსაც. ცხოვრება არის დროის ფარგლებში მოქცეული ფორმა. ჰანა აღიარებს, ჩემი ნათქვამის ახსნა არ შემიძლიაო. ცხოვრება მხოლოდ მატერია როდია, რომ ის ტექნიკამ დაძლიოს. აი, რა შეცდომა მომივიდა ზაბეტთან: მე ისე ვიქცეოდი, თითქოს არავითარი ასაკი არ არსებობდა ამქვეყნად. აქედან გამომდინარე, ვიქცეოდი ბუნების საწინააღმდეგოდ. შეკრება ვერაფერს გვიშველის. ჩვენ არ ძალგვიძს ასაკის უგულებელყოფა, თუნდაც საკუთარი შვილები შევირთოთ ცოლად.

20. VI. ჩამოვედი კარაკასში.

ბოლოს და ბოლოს, საქმე მოგვარდა. ტურბინებიც ჩამოიტანეს და საჭირო მუშახელიც გამოიძებნა. სანამ შემეძლო, თავი არ დამიზოგავს და ახლა, როცა მონტაჟი, როგორც იქნა, დაიწყო, კუჭის ტკივილის გამო მწყობრიდან გამოვედი. ბედმა მიმუხთლა, მაგრამ რას ვიზამდი. რაც შეეხება ჩემს წინანდელ ჩამოსვლას (15 და 16. IV), მაშინ მე ღმერთივით ვიყავი, მაგრამ საქმე იყო აწეწილ-დაწეწილი. ახლა კი ავადმყოფობის გამო მონტაჟს თავზე ვერ ვედექი. ხუმრობა ხომ არაა, სასტუმროში ორ კვირაზე მეტხანს ვიწექი. იმედი მქონდა, კარაკასში ჰანასგან წერილს მივიღებდი. ათენში გაგზავნილ დეპეშაზე პასუხი არ მიმიღია. მინდოდა, ჰანასთვის წერილი გამეგზავნა, ბევრჯერ წამოვიწყე წერა, მაგრამ არ ვიცოდი, სად იყო გადაკარგული. სხვა აღარაფერი დამრჩენოდა (რაღაც ხომ უნდა

მეკეთებინა ამ სასტუმროში) და უმისამართო პატაკის წერას შევუდექი.

მონტაჟი უჩემოდაც წესიერად მიმდინარეობდა.

მოწყალების დამ, როგორც იქნა, მომიტანა სარკე. შემეშინდა. ყოველთვის გამხდარი ვიყავი, მაგრამ ასეთი გალეული ჩემი თავი არ მახსოვს. ნესტიან აკლდამებს რომ გვიჩვენებდა, იმ ბებერი პალენკელი ინდიელივით ჩამომხმარი არასოდეს ვყოფილვარ. ცოტა მართლა შევშინდი. სარკეში, ჩვეულებრივ, პირის გაპარსვის დროს თუ ვიხედები, თმას უსარკოდაც ვივარცხნი, მაგრამ ადამიანმა ყოველთვის იცის, როგორ გამოიყურება, უფრო სწორად, როგორ შეიძლება გამოიყურებოდეს. ცხვირი ყოველთვის გრძელი მქონდა, აი, ყურები კი არასდროს მომხვედრია თვალში. მართალია, უსაყელო პიჟამა მაცვია, რაც თავისთავად გრძელ კისერს მიჩენს, მაგრამ წინათ, თავს რომ მოვატრიალებდი, ეს ძარღვები და მათ შორის გაჩენილი ღრმულები თვალში არ მხვდებოდა. ყურები თავგადახოტრილი პატიმარივით დიდი მიჩანს. სერიოზულად ვერც კი წარმოვიდგენ, რომ თავი შეიძლება დამპატარავებოდა. ჩემს თავს ვეკითხები, ცხვირი უფრო სიმპათიური ხომ არ გამიხდა-მეთქი და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ცხვირი არასოდეს არ შეიძლება იყოს სიმპათიური. ცხვირი საერთოდ აბსურდული რამ არის, პირდაპირ უწმაწურიც კი. ალბათ, პარიზში (ორი თვის წინ) ასეთი შესახედავი ნამდვილად არ ვიყავი, თორემ ზაბეტი ოპერაში არ გამომყვებოდა. კანზე ახლაც საკმაოდ მატყვია ნამზეური, მხოლოდ კისერი მაქვს უფრო ღია ფერის. კისერზე გაპუტული ქათამივით მაჩნია ფორები. ჩემი პირი რატომღაც სიმპათიური მეჩვენება, განსაკუთრებით პირი და თვალები. თვალები თაფლისფერი კი არ მქონია, როგორც აქამდე მეგონა (პასპორტში ასე მიწერია), არამედ მომწვანო-მონაცრისფრო. სხვა ნაკვთები შეიძლება ყველას ასეთი ჰქონდეს, ვინც მუშაობით არის გადაღლილი. აი, კბილებს კი მთელი სიცოცხლე წყევლა-კრულვას ვუთვლიდი. როგორც კი ფეხზე დავდგები, კბილის ექიმთან წავალ ქვების გამო, იქნებ გრანულემის გამოც. ტკივილი არ მაწუხებს, მაგრამ ყბაში პულსაციას კი ვგრძნობ. თმას მუდამ მოკლედ ვიკრეჭდი – ასე უფრო პრაქტიკულია. თმა არც საფეთქლებზე შემთხელებია ჯერ და არც კეფაზე, ჭაღარა, კაცმა რომ თქვას, უკვე დიდი ხანია გამომერია, თმაშევერცხლილი ქერა ვარ, მაგრამ ეს სულაც არ მაწუხებს. აი,

ასე, გულაღმა რომ ვწევარ და სარკეში ვიხედები, ისეთივე ვარ, როგორიც ვიყავი, მხოლოდ ოდნავ გამხდარი მეთქმის, რაც ალბათ დიეტის ბრალია. იქნებ ჟალუზებიდან შემოსული მოთეთრო სინათლის ბრალიცაა, ფერმკრთალი რომ ვჩანვარ, გარუჯული კანის ქვეშ სახე თეთრი კი არა, ყვითელია. მხოლოდ კბილების საქმე მაქვს ცუდად, კბილების ყოველთვის მეშინოდა. რა არ ვიღონე, მაგრამ კბილები მაინც მიფუჭდება. საერთოდ რას წარმოადგენს ადამიანი! კონსტრუქციას კიდევ არა უშავს, მაგრამ მასალისა რა მოგახსენოთ: ხორცი მასალა კი არა, რაღაც გაუგებრობაა.

p.s. მე მგონი, ამდენი სიკვდილიანობა, რაც საუკუნის ამ ბოლო მეოთხედშია, არასოდეს ყოფილა. დღეს პროფესორი ო-ც მკვდარია. ერთი კვირის წინ არ იყო, ციურიხში პირადად რომ ვესაუბრე?

p.s. ეს-ესაა გავიპარსე პირი, შემდეგ მასაჟი გავიკეთე. სასაცილოა, უსაქმურობისაგან რას არ გამოიგონებს კაცი. საშიში არაფერია, მხოლოდ მოძრაობა და სუფთა ჰაერი მაკლია, ეს არის და ეს.

9-13. VII. კუბაში ვარ.

აი, როგორ მოვხვდი ჰავანაში: უნდა გამომეცვალა თვითმფრინავი. რაკი ნიუ-იორკის გავლით გაფრენა არაფრით არ მინდოდა, კარაკასიდან «კლმ»-ით გამოვფრინდი, «კუბანათი» კი ლისაბონში ჩავედი. ჰავანაში ოთხი დღე დავრჩი.

ოთხი დღე ქალაქში ხეტიალის მეტი არაფერი მიკეთებია...

ელ პრადო:

ჭადრებიანი ძველი ქუჩაა, როგორც რამბლა ბარსელონაში. საღამოს კორსოზე დავდიოდი ლამაზი ადამიანების ხეივანში. პირდაპირ თვალს არ ვუჯერებდი... მივდიოდი და მივდიოდი... სხვა საქმე არაფერი მქონდა.

აქ დაბინდებისას ყვითელ-ყვითელი ჩიტები იწყებენ ჟივჟივს.

ყველა ჩემს ფეხსაცმელს ეტანება გასაწმენდად...

ზანგისა და ესპანელის ნაჯვარი გოგონა ენას მიყოფს, იმიტომ, რომ აღტაცებით ვუცქერი. ყავისფერ სახეზე ენა ვარდისფრად

მოუჩანს. ვუცინი და ვესალმები, ისიც მიცინის, ყაყაჩოსავით წითელი ტუჩებიდან ქათქათა კბილები უელავს. მისგან არაფერი მინდა.

– How do you like Havana?[111]

ბრაზი მერევა, რახან თეთრი ვარ, ყველას ამერიკელი ვგონივარ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე დგანან სუტენიორები:

– Something very beautiful! d'you know what i mean? something very young![112]

ირგვლივ სეირნობენ, იცინიან...

თავი სიზმარში მგონია...

თეთრკანიანი პოლიციელები სიგარას აბოლებენ. მეზღვაურებიც სიგარას აბოლებენ: პატარა ბიჭებს თეძოები ვიწრო შარვლებში გამოუკვართავთ.

ფილიპე მეორის Castillo del Morro[113].

ფეხსაცმელს ვაწმენდინებ...

გადავწყვიტე, დღეიდან სხვანაირად დავიწყო ცხოვრება.

გული სიხარულით მევსება.

ვყიდულობ ორ კოლოფ სიგარას.

მზე ჩადის...

ზღვაში შიშველ ბიჭებს ვხედავ, თვალს მჭრის მათი ლაპლაპა კანი და სველ კანზე აელვარებული მზე. პაპანაქება სიცხეა. ვზივარ და სიგარას ვეწევი. თეთრი ქალაქის თავზე საავდრო ღრუბლები ჩამოწვა, შავ-იისფერი ღრუბლები. ცათამბჯენებზე უკანასკნელი მზის სხივი ციალებს.

ელ პრადო:

მწვანე დაისი... ნაყინის გამყიდველები...

ქვის მოაჯირზე ფარნების ქვეშ ჯგუფ-ჯგუფად სხედან გოგონები და იცინიან.

ტამალესი.

ეს ბანანის ფოთლებში გახვეული სიმინდის ტაროა. ქუჩაში

ყიდიან და გზადაგზა ჭამენ, დროს არ კარგავენ.

აფორიაქებული ვარ, მაინც რატომ?

ჰავანაში საქმე არაფერი მაქვს.

სასტუმროში ვისვენებ. ჩვეულებისამებრ ვბანაობ და საწოლზე შიშველი ვწვები, ვენტილატორიდან მონაბერი ნიავი მიქიქინებს. ვწევარ და სიგარას ვეწევი. ოთახის კარი არ ჩამიკეტავს. გარეთ დამლაგებელი გოგო დერეფანს წმენდს და ღიღინებს. ესეც ზანგისა და ესპანელის ნაჯვარია. შეუსვენებლივ ვეწევი.

სურვილი მივლის...

რატომ არ გააღებს კარს და არ შემოვა?..

თან ისეთი დაღლილი ვარ, საფერფლის მოტანის თავიც არა მაქვს. გულაღმა ვწევარ და სიგარა ისე მიჭირავს, რომ ფერფლი მკერდზე არ დამეყაროს.

«პარტაგასი».[114]

პრადოზე თითქოს ისევ ჰალუცინაცია მეწყება: მხოლოდ ლამაზი გოგონები მხვდებიან, მამაკაცებიც ძალიან ლამაზები არიან. საოცარი ხალხია, ზანგებისა და ესპანელების ნაჯვარი. თვალს ვერ ვაცილებ მათ წელგამართულ ფიგურებს. როგორ მირონინებენ! ქალიშვილებს ლურჯი ქვედაკაბები აცვიათ, თავზე თეთრი ხილაბანდები აქვთ წაკრული. ხელზე ზანგი ქალებივით სამაჯურები უკეთიათ, მათი შიშველი ზურგები ჭადრების ქვეშ დაფენილი ჩრდილებივით მუქია და ამიტომ პირველად მხოლოდ მათ ლურჯ ან ლილისფერ ქვედაკაბებს, თეთრ თავსაფრებს, სიცილის დროს მოელვარე თეთრ კბილებსა და თვალების თეთრონებს ვხედავ. ვხედავ, როგორ ბრწყინავს მათი საყურეები...

«The Caribbean Bar».[115]

მე ისევ სიგარა მაქვს პირში გაჩრილი.

«რომეო და ჯულიეტა».

ახალგაზრდა კაცი, რომელიც ჯერ სუტენიორი მეგონა, დღეს მამა გამხდარა და ჩამაცივდა, ვისკიზე მე დაგპატიჟებო.

– For the first time![116]

ის ყელზე მეხვევა და ჩამჩიჩინებს:

– Isn’t it a wonderful thing?[117]

თავს მაცნობს, მეც მეკითხება, რა გქვია და რამდენი შვილი გყავსო, პირველ რიგში, ბიჭი რამდენი გყავსო.

– Five.[118]

მაშინვე უკვეთავს ხუთ ვისკის.

– Walter, – მეუბნება იგი, – you’re my brother.[119]

ჭიქები მივაჭახუნეთ და გამეცალა, რომ ახლა სხვა დაეპატიჟებინა და ეკითხა, რამდენი შვილი გყავსო, პირველ რიგში, ბიჭები...

თავი საგიჟეთში გეგონება.

როგორც იქნა, დაიგრგვინა: თაღის ქვეშ მარტო ვზივარ ყვითელ სკამ-საქანელაში და მესმის წვიმის შხაპუნი. წვიმამ ერთბაშად დაუშვა, ქარიც ამოვარდა. ხეივანი უცბად დაცარიელდა, თითქოს განგაშიაო. ისმის დარაბების რახუნი, ასფალტზე წვიმა შხაპუნებს, თითქოს თეთრი ნარგიზების ჯარი ამოსულაო (განსაკუთრებით ფარნების ქვეშ).

ვქანაობ და წვიმას ვუყურებ. მიხარია, აქ რომ ვარ.

ხანდახან წვიმის შხეფები თაღის ქვეშაც აღწევს. წვიმას პაწაწკინტელა ყვავილები მოაქვს. ვგრძნობ ცხელი ფოთლების სუნსა და უეცარ სიცივეს კანზე, ხანდახან ელავს, მაგრამ წვიმის შხაპუნი ფარავს გრუხუნს. მე ვირწევი და ვიცინი. ქარია, ჩემ გვერდით ცარიელი საქანელები ირწევა, ფრიალებს კუბის დროშა.

მე ვუსტვენ.

ბრაზი მომდის ამერიკაზე!

ვქანაობ და ვითოშები...

«The American Way of Life!»[120]

გადავწყვიტე, სხვანაირად დავიწყო ცხოვრება...

ელვა თვალს მჭრის... მხოლოდ ერთი წამით ვხედავ გოგირდივით მომწვანო პალმას, მოლურჯო სხივგარეულ იისფერ ღრუბლებს, ზღვას, მოქანავე ტალღოვან თუნუქს რომ წააგავს. მესმის იმ თუნუქის გრუხუნი, ბავშვივით რომ მახარებს და მატკბობს... მე ვმღერი...

«The American Way of Life!»

მარტო ის რომ ვთქვათ, რას სვამენ და რას ჭამენ ეგ საცოდავები, უსახურები, ღვინო რომ არ იციან, რა არის, ეს ვიტამინყლაპიები ესენი, ცივ ჩაის რომ სვამენ, ბამბას ღეჭავენ და პურის გემო კი არ იციან. ეს კოკა-კოლათი გამოჭყეპილი ხალხი... არა, მათი ატანა აღარ შემიძლია...

მათი ფულით კი ვცხოვრობ!

ფეხსაცმელს ვაწმენდინებ...

მათი ფულით!

შვიდი წლის ბიჭუნა, რომელმაც ერთხელ უკვე გამიწმინდა ფეხსაცმელი, ახლა დამხრჩვალ ცინდალს ჰგავს. ხელს დაკვარკნილ თმაში ვავლებ.

ბიჭი იკრიჭება...

თმა შავი კი არა აქვს, უფრო ფერფლისფერი ეთქმის, ან მოწაბლისფრო-ნაცრისფერი, ცხენის ძუასავით გხვდება ხელში, მაგრამ დაკვარკნილია და მოკლე, თმის ქვეშ ბავშვური კეფა იგრძნობა, ისე თბილად გელამუნება, როგორც გაკრეჭილ პუდელს რომ მოავლებ ხელს.

ბიჭი იკრიჭება და წმენდას განაგრძობს...

მიყვარს ეს ბიჭი, მისი კბილები, მისი ნორჩი კანი...

მისმა თვალებმა ჰიუსტონი და ის ზანგი ქალი მომაგონა, საპირფარეშოში თავბრუ რომ დამეხვა და ჩემ გვერდით ჩაიჩოქა, მომაგონა მისი დიდი თვალების თეთრონები, სულ სხვანაირი, პირუტყვის მშვენიერი თვალები... მისი კანი!

მანქანების მარკებზე ვლაყბობთ.

ბიჭი მარდად ატრიალებს ხელებს.

ჩვენ ორს გარდა, ირგვლივ არავინ მოჩანს. წვიმს

კოკისპირულად. ბიჭი ჩაცუცქულია და ფეხსაცმელებს ნაჭრით ისე მიპრიალებს, რომ ნაჭერს ტკაცატკუცი გაუდის.

«The American Way of Life!»

ჯერ მარტო აქაურებს რომ შევადაროთ მათი მახინჯი სიფათები, მათი უგვანი, შემწვარი ძეხვივით საზიზღარი ვარდისფერი კანი. მათ ხომ პენიცილინით უდგათ სული. ახლა თავი როგორ მოაქვთ, იმას აღარ იკითხავთ? აქაოდა ბედნიერი ვართ, რახან ამერიკელები გვქვია და ცა ქუდად არ მიგვაჩნიაო. თან ერთი უშნო, აწოწილი, როხროხა ბიჭები კი არიან, აი, ისეთი, როგორიც დიკია, მუდამ ნიმუშად რომ მიმაჩნდა. ან როგორ დგანან! ფეხებგალაჯულებს მარცხენა ხელი შარვლის ჯიბეში უდევთ, მხრებით კედელს ეყრდნობიან, მარჯვენაში ჭიქა უჭირავთ, ძალდაუტანებლად დგანან. აბა როგორ! კაცობრიობის მფარველები არიან. მხარზეც რომ უყვართ ხელის ტყაპუნი. ახლა მათი ოპტიმიზმი იკითხეთ, სანამ გამოილეშებიან, მერე კი აღრიალდებიან, თეთრი რასა გადაშენების გზაზეაო, თვითონ კი ბარძაყებს შორის ვაკუუმი აქვთ.

ჩემს თავზე მომდის ბრაზი.

(ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს...)

ღამე ჰანას ვწერ წერილს...

მეორე დღეს, შუადღისას, ზღვის პირას გავედი. უღრუბლო ამინდია. ცხელა. ტალღები სუსტად ეტყლაშუნება ნაპირს. შემდეგ ისმის კენჭების ჩხრიალი. ყველა ზღვის პირი თეოდოჰორს მაგონებს.

ვტირი.

წყალი ისეთი კამკამაა, ზღვის ფსკერი მოჩანს. წყალში სახეჩარგული მივცურავ, რომ ზღვის ფსკერს ვუყურო. ზღვის ფსკერზე გართხმული ჩემი ჩრდილი იისფერ ბაყაყს მაგონებს.

წერილს ვწერ დიკს.

აი, რა შეუძლია ამერიკას შემოგთავაზოს: კომფორტი, მსოფლიოში საუკეთესო მოწყობილობა, ready for use.[121]

ამერიკანიზებულ ვაკუუმად ქცეული მსოფლიო, სადაც ფეხს დაადგამენ, ყველგან გზა ხსნილი აქვთ, სარეკლამო ფარივით

ორმხრივ მოხატული სამყარო, მათი ქალაქები, რომლებსაც ქალაქები არც ეთქმის, ილუმინაცია, დილით კი მათი ცარიელი ჩონჩხები, ინფანტილური გნიასი, ოპტიმიზმის რეკლამად ქცეული ნეონის შუქი ღამისა და სიკვდილისაგან თავდასაცავად.

ნავი დავიქირავე.

მარტო მინდოდა ყოფნა.

საბანაო კოსტიუმის ამარა რომ არიან, მაშინაც კი ეტყობათ, ჯიბე დოლარებით რომ აქვთ გამოტენილი. მათ აუტანელ ხმას (ვია აპიაზეც რომ გვესმოდა) ვერსად გაექცევი, მათი საღეჭი რეზინივით ხმა ისმის ყველგან, გაქსუებული პლებეების ხმა!

წერილს ვწერ მარსელს.

მარსელი მართალია: საზიზღარია მათი ყალბი ჯანმრთელობა, მათი ყალბი სიჭაბუკე, მათი ქალები, რომელთაც ძალა არ შესწევთ, აღიარონ, რომ ბერდებიან, მათი კოსმეტიკა გვამზეც კი, საერთოდ, მათი პორნოგრაფიული დამოკიდებულება სიკვდილთან, მათი პრეზიდენტი, რომელიც ყველა ჟურნალის ყდაზე უნდა იკრიჭებოდეს ვარდისფერლოყება ჩვილივით, თორემ მეორეჯერ აღარ აირჩევენ, საზიზღარია მათი ასაკისათვის შეუფერებელი ახალგაზრდული თავდაჭერა...

ზღვაში შორს გავედი.

პაპანაქება სიცხეა...

თავს ეულად ვგრძნობ.

გადავიკითხე დიკისა და მარსელის სახელზე დაწერილი ბარათები და დავხიე, რადგან საქმიანი არ მომეჩვენა, მერე ვხედავ ქაღალდის თეთრ ნაკუწებს წყალზე და ჩემს მკერდზე უხვად ამოსულ თეთრ ბალანს...

თავს ეულად ვგრძნობ.

შემდეგ პატარა ბიჭივით ვიქცევი. ცხელ ქვიშაზე ვხატავ ქალს, ზედ ვაწვები და იმ ქვიშის ქალს ხმამაღლა ველაპარაკები.

ველური ქალი!

აღარ ვიცოდი, როგორ დამეღამებინა ან ჩემი თავისთვის რა

მომეხერხებინა. უაზრო დღე იყო. საკუთარ თავს ვეღარ ვცნობდი. არ ვიცი, როგორ გავიდა დრო. ნაშუადღევი მარადისობას ჰგავდა, ლურჯი, აუტანელი, მაინც მშვენიერი და უსასრულო. საღამოს კი კვლავ პრადოზე გაყოლებულ ქვის მოაჯირზე ვიჯექი თვალდახუჭული. შევეცადე, წარმომედგინა, რომ ჰავანაში ვარ და პრადოზე გაყოლებულ ქვის მოაჯირზე ვზივარ. ვერ წარმოვიდგინე და შევშინდი.

ყველა ჩემს ფეხსაცმელს ეპოტინება გასაწმენდად.

ირგვლივ მხოლოდ ლამაზ ხალხს ვხედავ, უცხო ცხოველებივით ლამაზ ადამიანებს, მათი თეთრი კბილები ბინდბუნდში ელავს, ახლა მათი ყავისფერი მხრები და მკლავები, მათი თვალები, მათი სიცილი – იმიტომ, რომ სიცოცხლე უხარიათ, იმიტომ, რომ უქმე დღეა, იმიტომ, რომ ლამაზები არიან.

ვტკბები მათი ყურებით...

სურვილი მივლის...

ვაკუუმი ბარძაყებს შორის...

მე ფეხსაცმლის მწმენდავებისთვისღა ვარსებობ!

სუტენიორები...

ნაყინის გამყიდველები...

მათი საზიდარი საბავშვო ეტლის, ბუფეტისა და ნახევარი ველოსიპედის კომბინაციაა, ზედ კი დაჟანგული ჟალუზისაგან გაკეთებული ბალდახინია წამოსკუპებული.

კარბიდის შუქი...

ზარისებური ლურჯი ქვედაკაბებით შემკული მწვანე დაისი.

სოსანისფერი მთვარე...

შემდეგ ჩემი თავგადასავალი ტაქსიში: ჯერ ადრე იყო, მაგრამ ვეღარ ავიტანე ცოცხლებს შორის მიცვალებულივით ბორიალი და სასტუმროში დაბრუნება დავაპირე. ტაქსის ხელი დავუქნიე, ტაქსის კარი გამოვაღე და დავინახე, რომ შიგ ორი ქალი იჯდა: ერთი – შავგვრემანი, მეორე – ქერა. ბოდიში მოვიხადე და კარი მივკეტე, მაგრამ მძღოლი გადმოხტა და მეძახის. დაბრუნდითო.

–Yes, sir! – მეუბნება იგი და ტაქსის კარს აღებს, – For you, sir! [122] ასეთი სრულყოფილი «სერვისი» რომ შემომთავაზეს, გამეცინა და ჩავჯექი...

ჩვენი ძვირფასი ვახშამი.

შემდეგ სამარცხვინო მარცხი... ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამას ვერ ავცდებოდი. შემდეგ ვწევარ ჩემს ოთახში, ძილგატეხილი, მაგრამ დამცხრალი. ცხელი ღამეა, მალ-მალე შხაპით ვისველებ უილაჯო სხეულს, მაგრამ დასაძინებელ წამალს მაინც არ ვსვამ. ჩემი სხეული იმისთვისღა ვარგა, რომ ვენტილატორიდან მოქიქინე ნიავს მივუშვირო, რომელიც ხან მკერდზე მელამუნება, ხან ფეხებზე, ხან ისევ მკერდზე.

ტვინში იქსოვება აბლაბუდა: კუჭის კიბო მჭირს.

მაინც ბედნიერი ვარ...

გარიჟრაჟზე ჩიტების ჟივილ-ხივილი ისმის, ვიღებ ჩემს «ჰერმეს-ბების» და ბოლოს და ბოლოს, ვბეჭდავ «იუნესკოსთვის» გასაგზავნ პატაკს ვენესუელაში მონტაჟის დამთავრების თაობაზე.

შემდეგ შუადღემდე მძინავს.

უსაქმობისგან არ ვიცი, საით მივაწყდე და ხამანწკებს ვჭამ. ჩემი სამუშაო დასრულებულია. ვეწევი უამრავ სიგარას.

(ამიტომ მტკივა კუჭი).

საღამოს სიურპრიზი მელის:

პრადოზე ერთ უცნობ გოგონას მივუჯექი გვერდით და საუბარი გავუბი. ჩემი აზრით, ეს ის უნდა იყოს, გუშინწინ რომ ვარდისფერი ენა გამომიყო. ქალიშვილი ამ ამბავს ვერ იხსენებს. ეცინება, რომ ვეუბნები, ამერიკელი არა ვარ-მეთქი.

ესპანურად მიჭირს ლაპარაკი...

– Say it in English![123] – მეუბნება იგი.

ქალიშვილს შხვართი მკლავები აქვს...

ჩემი ესპანური მხოლოდ საქმიანი საუბრისთვის მყოფნის. სასაცილოა: იმას კი არ ვამბობ, რაც მე მინდა, არამედ იმას, რაც ჩემს ესპანურ ენას უნდა. ქალიშვილს ამიტომაც ეცინება, ჩემი

მცირე სიტყვის მარაგის მსხვერპლი ვარ. მისი გაოცება, მისი საყვარელი თვალები სიამეს მგვრის. მე კი ჩემი ცხოვრება მაოცებს, ცხოვრება, რომელიც, ასე ვთქვათ, ჩალის ფასადაც აღარ ღირს.

ხუანა თვრამეტი წლისაა.

(ჩვენს შვილზე ახალგაზრდა).

– Suiza, – ამბობს იგი და შვედეთს გულისხმობს.

ქალიშვილს ყავისფერი მკლავები უკან დაუბჯენია, თავით თუჯის ფარანს ეყრდნობა, შავ თმაზე თავსაფარი წაუკრავს, საოცრად მშვენიერი, შოლტივით ფეხები აქვს. ვეწევით. მე ჩემი ორივე თეთრი ხელი მარჯვენა მუხლზე მაქვს შემოჭდობილი...

მხიბლავს მისი უშუალობა.

მას ჯერ კუბადან ფეხი არ გაუდგამს...

მხოლოდ მესამე საღამოა აქ ვარ და ჩემთვის ყველაფერი ახლობელი და მშობლიურია. ნეონის რეკლამებით გაჩირაღდნებული მწვანე დაისი, ნაყინის გამყიდველები, ჭადრების ჭრელი ქერქი, აჟივჟივებული ჩიტები, მიწაზე მოქსოვილი ჩრდილი და ქალიშვილების ყაყაჩოსავით წითელი ტუჩები.

ნიუ-იორკში წასვლა ოცნებად აქვს ქცეული...

ზევიდან ჩიტების სკინტლი ცვივა...

მხიბლავს მისი უშუალობა:

ხუანა ხელობით შემფუთავია, პროსტიტუციით ფულს მხოლოდ კვირის ბოლოს შოულობს, ჰყავს ბავშვი, ჰავანაში არ ცხოვრობს.

ისევ მოყიალებენ მეზღვაურები.

ხუანას ჩემი გარდაცვლილი ქალიშვილის ამბავს მოვუყევი, არც ჩვენი საქორწინო მოგზაურობა გამომრჩენია, არც კორინთო და არც ასპიტი, რომელმაც მარცხენა ძუძუს ზემოთ უკბინა ჩემს ქალიშვილს, მერე მისი დაკრძალვის ამბავიც ვუამბე და ჩემს მომავალ გეგმებზეც ველაპარაკე.

– I’m going to marry her.[124]

სწორად ვერ გამიგო:

– I think she’s dead.[125]

მე ვუხსნი.

– Oh! – იცინის იგი, – You’re going to marry the mother of the girl, I see![126]

– As soon as possible.[127]

– Fine![128] – ამბობს იგი.

– My wife is living in Athens...[129]

მისი საყურე, მისი კანი...

აქ თავის ძმას ელოდება...

ვეკითხები, მომაკვდინებელი ცოდვა, უფრო სწორად, ღმერთები თუ გწამს-მეთქი. ხუანა თეთრ კბილებს აჩენს; მე კი ვეკითხები, გწამს თუ არა, რომ გველებს ღვთის ხელი მართავს, უფრო სწორად, დემონების ხელი-მეთქი.

– What’s your opinion, Sir?[130]

შემდეგ მოდის ზოლებიან ჰოლივუდურ ხალათში გამოწყობილი მისი ძმა, ყმაწვილი სუტენიორი, ის გუშინაც გამომელაპარაკა. ხელს მართმევს.

– Hello, camerad! [131]

უჩვეულო არაფერია: გუნება არავის უფუჭდება, ხუანა სიგარეტს ქუსლით სრესს და თავის ყავისფერ ხელს მხარზე მადებს.

– He’s going to marry his wife, he’s a gentlemen![132]

ხუანა გაქრა...

– Wait here! – ამბობს ყმაწვილი და უკან იხედება, რომ ხელიდან არ დავუსხლტე, – Just a moment, Sir, just a moment![133]

ჩემი უკანასკნელი ღამე ჰავანაში.

რა დროს ძილია!

არავითარი განსაკუთრებული საბაბი არ მქონდა, ბედნიერად

მეგრძნო თავი, მაგრამ მაინც ბედნიერი ვიყავი. ვიცოდი, რომ ყველაფერს, რასაც ვხედავდი, მივატოვებდი, მაგრამ არ დავივიწყებდი: არ დავივიწყებდი ღამეში წამომართულ თაღებს, სადაც სკამ-საქანელაში ვქანაობ და ვხედავ, უფრო სწორად, მესმის, როგორ ჭიხვინებს ეტლში შებმული ცხენი, ვხედავ ესპანურ ფასადს, მის შავ ფანჯრებში აფრიალებულ ყვითელ ფარდებს, საიდანღაც კვლავ მესმის იმ ტალღოვანი თუნუქის ჟრუანტელის მომგვრელი გრუხუნი. ამ ხმის გაგონებაზე სიხარულით მევსება გული. არ დამავიწყდება ქარი, პალმებს რომ არხევს, უღრუბლო ქარი, მე ვქანაობ და ოფლად ვიღვრები, მწვანე პალმა წკეპლასავით მოქნილია, მისი ფოთლები სალესი ქვასავით ზუზუნებს, ჰაერში მტვერი ტრიალებს, თუჯის ფანრები წკრიალებენ. მე ვქანაობ და ვიცინი. არ დამავიწყდება ფანრების ლიცლიცა შუქი, ეტყობა, ქარი მაგრად უბერავს. აჭიხვინებული ცხენი ეტლს ვეღარ ერევა, ყველაფერი გაქცევას ლამობს, საპარიკმახეროს სპილენძის აბრას რაკუნი გაუდის, უხილავი ზღვა შხეფებს ისვრის ბასტიონებზე, მიწაზე გრუხუნით ეხეთქება და შემდეგ ქშინავს ყავის სახარში მანქანასავით. მწყურია, ტუჩებზე მარილის გემოს ვგრძნობ, ქარიშხალი მძვინვარებს, ციდან კი წვიმის წვეთი არ ვარდება, ან საიდან ჩამოვარდება, ცაზე ღრუბელი არა ჩანს, მხოლოდ ვარსკვლავები კაშკაშებენ. ჰაერში ცხელი და მშრალი მტვერი ირევა, ჰაერი ღუმელივით არის გახურებული. მე ვქანაობ და ერთადერთ ჭიქა შოტლანდიურ ვისკის ვსვამ – სხვას ვერაფერს ვიკარებ – ვქანაობ და ვმღერი, ვმღერი დიდხანს... მე ხომ სიმღერა არ ვიცი, მაგრამ არავინ მისმენს, ქვაფენილზე მხოლოდ დროშკის ცხენი დგას, კაბაშრიალა ქალიშვილები უკვე კანტიკუნტად ჩანან, აფრიალებულ კაბაში ყავისფერი ფეხები მოუჩანთ, მათი შავი თმაც ფრიალებს ქარში, ჩამოგლეჯილი ჟალუზებიც, მათი თეთრი კბილები ელავს მტვერში, მწვანე ჟალუზი სისინით მიქრის ჰაერში, ზღვისაკენ, მტვერში გახვეულ თეთრ ქალაქს მეწამული შუქი ეფინება, პაპანაქება სიცხეა, ფრიალებს კუბის დროშა... მე ვქანაობ და ვმღერი, მეტი არაფერი. ჩემ გვერდით ცარიელი საქანელები ირწევა, თუჯი წკრიალებს, ჰაერში ყვავილები ბზრიალებენ, ოდას ვუმღერი სიცოცხლეს!

შაბათი, 13. VII, ვაგრძელებ გზას.

დილით პრადოზე გამოვიარე – ბანკში ფული გადავახურდავე და იქიდან ვბრუნდებოდი. ხეივანში კაციშვილი არ ჭაჭანებდა,

ჩიტების სკინტლითა და თეთრი ყვავილების ფურცლებით მოფენილ ქუჩაზე ფეხი მისხლტებოდა...

მზე აცხუნებს...

ამ დროს ყველა მუშაობს.

ჩიტები ჟივჟივებენ...

შემდეგ ერთი კაცი მთხოვს, სიგარაზე მომიკიდეო. საქმიანი კაცი ჩანს, მაგრამ ცოტაზე მაინც მომყვება და მეკითხება:

– How do you like Havana?[134]

– I love it![135] – ვეუბნები მე.

ესეც სუტენიორია, ჩემი დარდი აწუხებს:

– You’re happy, aren’t you?[136]

აღტაცებით მისჩერებია ჩემს კინოაპარატს.

– Something very beautiful! D’you know what I mean? Something very young![137]

როცა ვუთხარი, მივემგზავრები-მეთქი, აეროდრომზე რომელ საათზე უნდა გახვიდეთო, მკითხა.

– Ten o’clock, my friend, ten o’clock.[138]

ის საათზე იყურება.

– Well, – მეუბნება იგი, – now it’s nine o’clock, Sir, that’s, plenty of time![139]

მე ისევ ზღვისკენ მივხეტიალებ.

ზღვაზე მეთევზეთა ნავები გაბნეულან.

ვეთხოვები ზღვას.

ერთხელ კიდევ ვჯდები ნაპირზე მიხერგილ ლოდებზე და ერთხელ კიდევ ვაბოლებ სიგარას. არაფერს აღარ ვიღებ, რა საჭიროა! ჰანა მართალია: შემდეგ შენს გადაღებულს ფილმივით უნდა უყურო, ყველაფერი ხომ წარმავალია...

ვეთხოვები ზღვას.

*

ჰანა იყო აქ. ვუთხარი, პატარძალს ჰგავხარ-მეთქი. ძაძები რატომღაც გაუხდია და ერთთავად თეთრებში გამოწყობილა. თავი იმართლა, გარეთ ძალიან ცხელაო. აურებზე იმდენი ველაპარაკე, აღარ უნდა შავი ფრინველივით მეჯდეს საწოლთან. ჰგონია, მის მზრუნველობასა და ყურადღებას ვერ ვამჩნევ, იმიტომ, რომ ადრე (ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ) იმდენ რამეს ვერ ვამჩნევდი... ჰანა ნაირ-ნაირ ამბებს მიყვება.

p.s. ერთხელ, ბავშვობაში, თავის ძმას წაჰკიდებია და დაუფიცებია, არასოდეს შეეყვარებინა მამაკაცი, რადგან უმცროს ძმას ჰანა ბეჭებზე დაუნარცხებია. ჰანა აღშფოთებულა, მამაზეციერს ბიჭებისთვის მეტი ღონე რატომ მიუნიჭებიაო. ჰანას აზრით, მას უსამართლობა გამოუჩენია, ძმას კი არა, ღმერთს. ჰანას გადაუწყვეტია, მთელ მიუნხენ-შვაბინგის ბიჭებზე ჭკვიანი გამხდარიყო და იეღოვას დასამხობად გოგონების საიდუმლო კლუბი დაუარსებია. ერთი სიტყვით, მხოლოდ ისეთი ზეციური სამყარო უნდა ერწმუნათ, სადაც ღმერთებთან ერთად ქალღმერთებიც იქნებოდნენ. პირველად ჰანამ ღვთისმშობელს სცა თაყვანი. ხატზე ჰქონდა ნანახი შუაში ტახტზე დაბრძანებული მარიამი. ჰანა თავისი კათოლიკე მეგობრებივით იყრიდა მუხლს და პირჯვარსაც იწერდა, მაგრამ მამას ეს არ უნდა გაეგო. ერთადერთი მამაკაცი, ვისაც ჰანა ენდობოდა, მოხუცი არმინი იყო. ამ კაცს მის ბავშვობაზე გარკვეული კვალი დაუტოვებია. მე არ ვიცოდი, ჰანას თუ ძმა ჰყავდა. ჰანამ თქვა, ახლა ის კანადაში ცხოვრობს, გამრჯე კაცია და მგონი, ახლაც ბეჭებზე დებს ყველასო. ვეკითხები, როგორ ცხოვრობდა იოახიმთან, როგორ, სად და რამდენ ხანს – ბევრჯერ ვკითხე, მაგრამ ჰანა ერთ პასუხს მაძლევდა: ეგ შენც ხომ კარგად იციო. ურჩევნია, არმინზე ილაპარაკოს. არმინი თურმე ბრმა ყოფილა. ჰანას იგი ახლაც უყვარს, თუმცა კარგა ხანია, რაც მოხუცი მომკვდარა, უფრო სწორად, უგზო-უკვლოდ დაკარგულა. ჯერ კიდევ მოკლეკაბიანი გოგონა არმინს ინგლისურ პარკში ხვდებოდა სისტემატურად. მოხუცი ყოველთვის ერთსა და იმავე მერხზე იჯდა. ჰანა ხელს ჩაჰკიდებდა და მიუნხენში დაატარებდა. არმინს უყვარდა მიუნხენი. ჰანას თვალში მაშინ ის მოხუცი კი არა, მიხრწნილი ბებერი ჩანდა: ასე, ორმოცდაათიდან სამოც წლამდე. დრო ყოველთვის ცოტა ჰქონდათ, სამშაბათობით და

პარასკევობით ხვდებოდნენ ერთმანეთს, როცა ჰანას ვიოლინოს გაკვეთილები ჰქონდა. ხვდებოდნენ ყოველგვარ ამინდში. ჰანა მოხუცს ვიტრინებს ჩამოატარებდა ხოლმე. არმინი სავსებით ბრმა ყოფილა, მაგრამ რასაც მოუყვებოდი, იმის წარმოდგენა თურმე კარგად შეეძლო. ჰანა ამბობს, საუცხოო იყო მასთან ერთად ამ ქვეყანაზე სიარულიო. მე ისიც ვკითხე, ჩვენი შვილი როგორ დაიბადა-მეთქი. მე ხომ მაშინ მასთან არ ვიყავი. აბა, როგორ უნდა წარმომედგინა? იოახიმი, რა თქმა უნდა, ჰანას არ მოშორებია, მან კარგად იცოდა, რომ მამა თვითონ არ იყო, მაგრამ ბავშვს მაინც ნამდვილ მამობას უწევდა. იოლი მშობიარობა მქონდაო, თქვა ჰანამ. მხოლოდ ის ახსოვს, რომ დედობამ უდიდესი ბედნიერება მიანიჭა. ერთი რამ კიდევ, რაც მე არ ვიცოდი: თურმე დედაჩემს სცოდნია, რომ ბავშვი ჩემი იყო, სხვას არავის, მამაჩემსაც კი არ სცოდნია. ჰანას ვკითხე, მერე დედაჩემმა რატომ არ მომწერა ეს ამბავი-მეთქი. ქალებმა ალბათ კავშირი შეკრეს. ქალები ხომ იმას არასოდეს გეტყვიან, რაც ჩვენ არ გვესმის. ისინი, უბრალოდ, ისე გვექცევიან, როგორც ბავშვებს. ჰანას თქმით, ჩემი მშობლები სულ სხვანაირები ყოფილან, ვიდრე მე მეგონა. ყოველ შემთხვევაში, ჰანასთან სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონიათ. ჰანა რომ დედაჩემზე ლაპარაკობს, იძულებული ვარ, მხოლოდ ყური დავუგდო. თურმე ბრმა ვყოფილვარ, დედაჩემსა და ჰანას დიდხანს ჰქონიათ მიმოწერა. დედაჩემი მართლა ემბოლიით კი არ მომკვდარა, როგორც მე ვფიქრობდი. ჰანა გაოცებულია, რამდენი რამ არ გცოდნიაო. იგი დედაჩემის დაკრძალვასაც დასწრებია 1937-ში.

ჰანას სიყვარული ძველი ბერძნებისადმი იმავე ინგლისურ პარკში დაწყებულა. არმინს ბერძნული სცოდნია და გოგონა ხმამაღლა უკითხავდა თავისი სახელმძღვანელოდან ტექსტებს, რომ მოხუცს ზეპირად დაესწავლა ნაწყვეტები. არმინს ჰანა შინ არასოდეს წაუყვანია. ჰანამ არც კი იცის, სად ცხოვრობდა მოხუცი, როგორ ცხოვრობდა. ჰანა მას ინგლისურ პარკში ხვდებოდა და იქვე შორდებოდა. ქვეყანაზე კაციშვილს არ სცოდნია მათი შეთანხმების ამბავი, რომ ჰანა და არმინი ერთად აპირებდნენ საბერძნეთში წასვლას. ჰანას მისთვის ბერძნული ტაძრები უნდა ეჩვენებინა. მოხუცი ამას მართლა აპირებდა თუ არა, არავინ იცის, თვითონ კი მაშინ სერიოზულად ფიქრობდა თურმე. მოკლეკაბიანი ჰანა! მახსოვს, ერთხელ ციურიხში, კაფე «ოდეონში» ერთი მოხუცი კაცი იჯდა, რომელსაც ჰანა

სისტემატურად ტრამვაის გაჩერებამდე მიაცილებდა ხოლმე. ის კაფე ჭირის დღესავით მძულდა: ემიგრანტები, ინტელექტუალები, ბოჰემა, პროფესორები და სოფლიდან ჩამოსული საქმოსნების შესაფერისი კოკოტები იყრიდნენ იქ თავს. ის მოხუცი ფონტანას პანსიონატში ცხოვრობდა. მე გლორიაშტრასეს ახლოს პატარა სკვერში ვიმალებოდი, სანამ ჰანა თავის მოხუცს მიაცილებდა ხოლმე. მაშ, ის ყოფილა არმინი! იმ მოხუცზე სერიოზულად არასოდეს მიფიქრია. ჰანას თქმით, ის თურმე საკმაოდ სერიოზულად მეკიდებოდა. დღესაც ისე ლაპარაკობს არმინზე, თითქოს მოხუცი ახლაც ცოცხალი იყოს და ყველაფერს ხედავდეს. ჰანას ვკითხე, რატომ არ წახვედით-მეთქი საბერძნეთში. დამცინა, ეს ხომ ბავშვური ოცნება იყოო. პარიზში (1937-1940 წ.წ.) ჰანა თურმე ერთ საკმაოდ ცნობილ ფრანგ მწერალთან ცხოვრობდა. იმ მწერლის გვარი დამავიწყდა. არც ის ვიცოდი, რომ ჰანა მოსკოვშიც ყოფილა (1948 წელს) თავის მეორე ქმართან ერთად. ერთხელ ციურიხში ჩასულა (1953 წელს). ჩვენი ქალიშვილი თან არ წაუყვანია. იქ ნანახი სიმწარის მიუხედავად, ჰანას მაინც უყვარს ციურიხი. კაფე «ოდეონიც» მოუნახულებია. ვკითხე, არმინი როგორ მოკვდა-მეთქი. ლონდონში (1942 წელს) ჰანა მას კვლავ შეხვედრია. არმინი ემიგრაციაში აპირებდა წასვლას, ჰანას იგი გემზეც გაუცილებია. ეტყობა, ის გემი გერმანულმა წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. რაც მთავარია, გემს ამერიკამდე არ ჩაუღწევია.

15. VII. დიუსელდორფი.

რას იფიქრებდა ჩემზე ის ახალგაზრდა ტექნიკოსი, ფირმა «ჰენკე და ბოშის» პატრონებმა რომ მომამაგრეს, არ ვიცი. მხოლოდ ერთი შემიძლია ვთქვა: იმ დილას თავს, რაც შემეძლო, ძალას ვატანდი.

ქრომით მოპირკეთებული ცათამბჯენი...

ჰერბერტთან მეგობრობა მავალდებულებდა, ფირმისთვის მათი პლანტაციის ამბავი მომეხსენებინა. ლისაბონიდან დიუსელდორფში ისე ჩამოვფრინდი, არც კი დავფიქრებულვარ, დიუსელდორფში რა მესაქმებოდა ან სათქმელი რა მქონდა. ახლა კი ვიჯექი ფირმის შეფის კაბინეტში და არ ვიცოდი, რა მეთქვა. თავაზიანად მიმიღეს.

– თუ გნებავთ, კინოფირს გაჩვენებთ, – ვთქვი მე.

ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ფირმის მესვეურები იმ პლანტაციას სათვალავში აღარ აგდებდნენ და ინტერესს მხოლოდ თავაზიანობის გამო იჩენდნენ.

– რამდენ წუთიანია თქვენი ფილმი?

ეტყობოდა, ჩემთვის არავის ეცალა.

– უბედური შემთხვევა რა სახსენებელია, ჩემმა მეგობარმა თავი ჩამოიხრჩო, განა არ იცით?

რა თქმა უნდა, იცოდნენ.

ისეთი გრძნობა მქონდა, სერიოზულად არ მეკიდებიან-მეთქი, მაგრამ ახლა მეტი რა ჩარა იყო, გვატემალაში გადაღებული ფერადი ფილმი უნდა გაგვეშვა. ჩემი დამხმარე მექანიკოსი, რომელსაც ფირმის სხდომათა დარბაზში აპარატურა უკვე გაეწყო, ნერვებს მიშლიდა. ძალიან ახალგაზრდა იყო, სიმპათიურიც, მაგრამ მე არ მჭირდებოდა. მე მხოლოდ აპარატურა, ეკრანი და კაბელი მინდოდა, მექანიკოსს რა თავში ვიხლიდი.

– მადლობას მოგახსენებთ, – ვუთხარი ამ ყმაწვილს.

– არაფრის, ბატონო.

– აპარატურას ვიცნობ, – ვთქვი მე.

თავიდან მაინც ვერ მოვიცილე.

ფილმს მეც პირველად ვუყურებდი (დამონტაჟებულიც კი არ მქონდა). გამეორებები უეჭველად შეგვხვდებოდა. იმდენი მზის ჩასვლა მქონდა გადაღებული, მე თვითონ მიკვირდა. მარტო ტამაულიპასის უდაბნოში სამი მზის ჩასვლა გადამიღია. შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, მზის ჩასვლის აგენტად ხომ არ მუშაობსო. სასაცილოა. იმ ახალგაზრდა მექანიკოსის მრცხვენოდა და ამიტომაც ვიჩენდი მოუთმენლობას.

– უფრო ნათლად არ გამოჩნდება, ბატონო.

ჩვენი «ლენდროვერი» რიო უსუმანსინტასთან...

აურები გამალებით მუშაობენ.

– განაგრძეთ, თუ შეიძლება, – ვამბობ მე.

შემდეგ გამოჩნდნენ პირველი ინდიელები, რომლებმაც გვაცნობეს, ჩვენი სენიორი მკვდარიაო. აქ გათავდა მასრა. მასრის გამოცვლას დრო დასჭირდა. ამასობაში ორიოდე სიტყვა ითქვა ექტაქრომზე. ტყავის სავარძელში ვზივარ და ვაბოლებ, რადგან საქმე არაფერი მაქვს. ირგვლივ სხდომათა დარბაზის ცარიელი სავარძლები დგას, ოღონდ ესენი ქარში არ ირწევიან.

– გთხოვთ, განაგრძოთ, – ვთქვი მე.

იოახიმი მავთულზე.

– სდექ! – ვამბობ მე, – აი, ნახეთ!

სამწუხაროდ, კადრი ძალიან ბნელია, მაშინვე ვერც კი მიხვდები, რა არის. კადრს სინათლე არ ჰყოფნის. იმიტომ, რომ ბარაკში იგივე დიაფრაგმა მიხმარია, რომლითაც დილის მზეზე ვირის ლეშზე მისეულ აურებს ვიღებდი.

მე ვამბობ:

– ეს გახლავთ დოქტორი იოახიმ ჰენკე.

მექანიკოსი ეკრანს შეჰყურებს.

– ძალიან ვწუხვარ, ბატონო, მაგრამ უფრო ნათლად ვერ გამოჩნდება.

მას მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი.

– გთხოვთ, განაგრძოთ, – ვამბობ მე.

ისევ მავთულზე ჩამოკიდებული იოახიმი, მაგრამ ამჯერად გვერდიდან გადაღებული. ასე უკეთ ჩანს, რაც მომხდარა. საოცარია, რომ ეს სურათი ჩემს ახალგაზრდა მექანიკოსზე კი არა, ჩემზეც აღარ ახდენს შთაბეჭდილებას. ისეთივე ფილმია, რომლის მსგავსიც ბევრი გვინახავს კინოქრონიკაში. სურათს აკლია მყრალი სუნი, სინამდვილე. მე და ახალგაზრდა კაცი განათებაზე ვლაპარაკობთ, ამასობაში კი კადრში მლოცველი ინდიელებით გარშემორტყმული საფლავი ჩანს, კადრები მეტისმეტად გაჭიანურებულია; შემდეგ კი უცებ პალენკეს ნანგრევები და პალენკეს თუთიყუში გამოჩნდა. მასრა თავდება.

– იქნებ ფანჯარა გაგვეღო, – ვთქვი მე, – დარბაზში ნამდვილი ტროპიკული სიცხეა.

– სიამოვნებით, ბატონო.

საუბედუროდ, საბაჟოში ყველაფერი აურ-დაურიეს, ხოლო უკანასკნელ მასრებს (გემზე ასვლის დღიდან) წარწერები ისედაც არ ჰქონდა. მე კი «ჰენკე და ბოშის» პატრონებისთვის, რომლებიც 11 საათსა და 30 წუთზე აქ უნდა მობრძანებულიყვნენ, მხოლოდ გვატემალაში გადაღებული კადრები უნდა მეჩვენებინა, სწორედ ჰერბერტთან ჩემი უკანასკნელი შეხვედრის კადრები მჭირდებოდა.

– სდექ, ეს საბერძნეთია! – ვთქვი მე.

– საბერძნეთი?

– სდექ! – ვიყვირე, – სდექ!

– ბატონი ბრძანდებით.

ყმაწვილი ნერვებს მიშლიდა, მისი თავაზიანი «ბატონი ბრძანდებით», მისი ყოყლოჩინობა, თითქოს ის ყოფილიყოს პირველი ადამიანი, ვინც კინოაპარატურაში ერკვეოდა. მისი გაუთავებელი ლაპარაკი ოპტიკაზე, რისაც არაფერი გაეგებოდა, პირველ რიგში კი მაინც ეს «ბატონი ბრძანდებით» და ყოვლისმცოდნის პოზა, ბოლოს მიღებდა.

– სხვა გზა არ არის, ბატონო, უნდა გავუშვათ და ვნახოთ! აბა, რა ვქნათ, თუკი მასრებს წარწერები არა აქვს!

მასრებს რომ წარწერები არ ჰქონდა, ეს მისი ბრალი არ იყო, სიმართლეს ვერ დავუკარგავდი.

– როგორც მახსოვს, მასრა ასეთი კადრით იწყება: წვერმოშვებული ჰერბერტ ჰენკე ჰამაკში ზის.

სინათლე ჩაქრა. ისმის ფირის ზუზუნი.

თითქოს აზარტში შევედი. საკმარისი იყო რამდენიმე მეტრის გაშვება: აივი მანჰეტენში (ტელეობიექტივით გადაღებული კადრი). აივი ხელს მიქნევს. დილის მზე ჰუძონის თავზე. შავი საბუქსირო კატარღები, Manhattan-skyline,[140] თოლიები...

– სდექ! – ვთქვი მე, – გთხოვთ, გამოცვალოთ მასრა!

– თქვენ ნახევარი მსოფლიო მოგივლიათ, ბატონო, ჩემი ნატვრაც სწორედ ეგ არის...

11.00 შესრულდა.

აბები უნდა გადამეყლაპა. იქნებ ფირმის პატრონების მოსვლისათვის თავი მხნედ მეგრძნო. უწყლოდ გადავყლაპე, არ მინდოდა, იმ ყმაწვილს შეემჩნია.

– არა, არც ეგ, – ვთქვი მე.

მასრა ისევ გამოვცვალეთ.

– ეს რომის სადგური იყო, არა?

პასუხი არ გამიცია. შემდეგ მასრას გაფაციცებული ველოდი, რომ აპარატი მაშინვე გამეჩერებინა. ვიცოდი, რაც იქნებოდა: ზაბეტი გემზე, ზაბეტი პინგ-პონგს თამაშობს თავის ულვაშგაწკეპილ მეგობართან. ზაბეტი საბანაო კოსტიუმის ამარა, ზაბეტი ენას მიყოფს (შემამჩნია, რომ ვუღებდი). ყველაფერი ეს იმ მასრაში უნდა ყოფილიყო, რომელიც აივის კადრით იწყებოდა. ესეც გადავდეთ, მაგრამ ექვსი თუ შვიდი მასრა კიდევ ეწყო მაგიდაზე და უცებ, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, ეკრანზე მთელი ტანით აისვეტა ფერად ფირზე გადაღებული ზაბეტი.

ფეხზე წამოვდექი.

ზაბეტი ავინიონში.

აპარატი არ გამიჩერებია, მთელი ფირი გავუშვი, თუმცა მექანიკოსმა რამდენჯერმე მითხრა, ეს გვატემალა არ იქნებაო. ახლაც თვალწინ მიდგას ის კადრები.

მისი სახე, რომელიც აღარასოდეს გაცოცხლდება...

ზაბეტი მისტრალში, ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის, კადრში მოჩანს ტერასა, პაპის ბაღი, ზაბეტს თმა უფრიალებს, ქვედაკაბა ბუშტივით ებერება, აი, ახლა მოაჯირთან დგას და ხელს მიქნევს.

მისი მიხრა-მოხრა...

ახლა მტრედებს საკენკს უყრის.

იცინის, მაგრამ უხმოდ...

ავინიონის ძველი ხიდი, შუა მდინარეში რომ წყდება... ზაბეტი რაღაცას მიჩვენებს. აი, ახლა შეამჩნია, რომ იქით კი არ

ვიხედები, მას ვიღებ და გაგულისებული მიყურებს. შუბლზე, წარბებშუა ნაოჭი უჩნდება, რაღაცას მეუბნება.

პეიზაჟი...

რონის წყალი, ზაბეტი წყალში ფეხის ცერს ყოფს და თავს აქნევს. საღამოს მზე... ჩემი გრძელი ჩრდილი მზეზე...

მისი სხეული, რომელიც აღარ არსებობს...

ანტიკური თეატრი ნიმში.

საუზმე ჭადრების ქვეშ, ოფიციანტი, რომელსაც ჩვენთვის ხელმეორედ მოაქვს ბრიოშები. ზაბეტი ოფიციანტს ეტიტინება, მერე ჩემკენ იხედება და ფინჯანს შავი ყავით მივსებს.

მისი თვალები, რომლებიც აღარ არსებობს.

ზაბეტი ყიდულობს დედასთან გასაგზავნ ღია ბარათებს. შავი კოვბოური შარვალი აცვია, ვერ ამჩნევს, რომ ვუღებ. ცხენის კუდს წინ მოიგდებს.

სასტუმრო «ანრი IV».

ზაბეტი ფანჯრის რაფაზე ზის, ფეხი ფეხზე გადაუდვია, ფეხშიშველაა, ალუბალს ჭამს, ქვევით იყურება და კურკებს პირდაპირ პირიდან ყრის. წვიმს.

მისი ტუჩები...

აი, ახლა ფრანგული ჯიშის ჯორს ეთამაშება, რომელიც, მისი აზრით, მეტისმეტად მძიმედ არის დატვირთული.

მისი ხელები...

ჩვენი «სიტროენ-57».

მისი ხელები, რომლებიც აღარ არსებობს... იგი ჯორს ეფერება. მისი მკლავები... აღარც ეს მკლავები არსებობს სადმე...

ხარების ბრძოლა არლში.

ზაბეტი თმას ივარცხნის, ჯანსაღი კბილებით თმის სამაგრი უჭირავს, ისევ ამჩნევს, რომ ვიღებ, თმის სამაგრს პირიდან იშორებს და რაღაცას მეუბნება. ალბათ, ნუ მიღებო. უცებ იცინის.

მისი ჯანსაღი კბილები...

მისი სიცილი, რომელსაც ვეღარასოდეს გავიგონებ...

მისი ნორჩი შუბლი...

რაღაც პროცესია მიდის (მე მგონი, ეს ისევ არლი უნდა იყოს), ზაბეტი კისერს იგრძელებს, სიგარეტს თვალებმოჭუტული აბოლებს და კვამლს თავს არიდებს, ხელები ჯიბეებში ჩაუწყვია. აი, იგი კვარცხლბეკზე დგას, რომ პროცესიას ზევიდან უყუროს. ბალდახინი... ეტყობა, ამ დროს ზარების ხმა ისმის, მაგრამ ფირი უხმოა. ღვთისმშობელი... მგალობელი ბიჭები... მაგრამ ფირი უხმოა.

პროვანსის ხეივანი, ჭადრების ხეივანი.

ჩვენი პიკნიკი გზაში, ზაბეტი ღვინოს ბოთლიდან სვამს. დალევა უჭირს, თვალებს ხუჭავს და ღვინოს ხელახლა ეწაფება, შემდეგ პირს იწმენდს, არაფერი გამოსდის, ბოთლს უკან მიბრუნებს და მხრებს იჩეჩავს.

ფიჭვები მისტრალში.

ისევ ფიჭვები მისტრალში.

ზაბეტი მიაბიჯებს...

აი, მივიდა ჯიხურთან. სიგარეტს ყიდულობს, ჩვეულებრივ, თავისი შავი კოვბოური შარვალი აცვია. დგას ტროტუარზე და აქეთ-იქით იცქირება, კეფაზე წარამარა ეხლება ცხენის კუდი, შემდეგ ირიბად ჭრის ქუჩას და ჩემკენ მოემართება.

ხტუნვა-ხტუნვით მოდის...

ისევ ფიჭვები მისტრალში.

ზაბეტს სძინავს, თმაგაშლილს ბავშვური პირი ნახევრად ღია აქვს. ვხედავ მის სერიოზულ სახეს, დახუჭულ თვალებს.

მისი სახე, მისი სახე...

მისი მფშვინავი სხეული...

მარსელის ნავსადგურში გემიდან ხარებს ტვირთავენ. წაბლისფერი ხარები გაჭიმულ ბადეზე გაჰყავთ, შემდეგ მაღლა სწევენ, ჰაერში დაკიდებულ შეშინებულ ხარებს ფეხები

უზარმაზარი ბადის თვლებში ეხლართებათ, თვალები გადმოცვენაზე აქვთ.

ფიჭვები მისტრალში, L’unite d’Habitation (Gorbusier).[141]

მთლიანად ამ ფილმის განათება ცუდი არ არის, ყოველ შემთხვევაში, უკეთესია, ვიდრე გვატემალაში გადაღებულ ფირებში იყო. ფერები დიდებული გამოსულა. გაოცებული ვარ.

ზაბეტი ყვავილებს კრეფს...

ეტყობა, აპარატს აქეთ-იქით აღარ ვატრიალებდი და ობიექტის მოძრაობა გაცილებით მკვეთრად ჩანს.

ზღვის მოქცევა...

მისი თითები... ზაბეტმა პირველად ნახა კორპის ხე. ქერქს თითებით ამტვრევს და მე მესვრის!

(დეფექტი.)

მოქცევა შუადღისას. მეტი არაფერი. ზაბეტი ისევ თმას ივარცხნის, თმა სველი აქვს, თავი გვერდზე გადაუგდია, რომ მარჯვედ დაივარცხნოს, ვერ ხედავს, რომ ვიღებ და თმის ვარცხნაში რაღაცას მიყვება. სისველისაგან თმა ახლა ჩვეულებრივზე უფრო მუქი უჩანს, უფრო მოწითალო ფერი გადაჰკრავს. მისი მწვანე სავარცხელი, ეტყობა, ქვიშითაა სავსე. სავარცხელს წმენდს, მარმარილოსავით კანზე წყლის წვეთები აყრია, ისევ მიყვება რაღაცას...

წყალქვეშა ნავები ტულონთან.

ახალგაზრდა მაწანწალას ხელში ასთაკვა უჭირავს. ასთაკვა სხმარტალებს. ზაბეტი კრთის ასთაკვის ყოველ განძრევაზე...

ჩვენი პატარა სასტუმრო ლე-ტრაიაში.

ზაბეტი ჯორზე ზის...

ისევ მოქცევა.

(ძალიან გაჭიანურებულია ეს კადრები!)

ისევ ზაბეტი. ჯორზე ზის. შემდეგ კადრში ჩვენი გარდაცვლილი ქალიშვილი ფეხზე დგას და მღერის, ხელები ისევ შარვლის ჯიბეებში აქვს ჩაწყობილი, ჰგონია, რომ მარტოა და მღერის,

მაგრამ ხმა არ ისმის.

მასრა თავდება.

არ ვიცი, იმ ახალგაზრდა მექანიკოსმა ჩემზე რა იფიქრა ან თავის პატრონებს რა უთხრა. მე უკვე ვაგონ-რესტორანში ვიჯექი («ჰელვეცია-ექსპრესში» თუ «საექსკურსიო ექსპრესში», ეს აღარ ვიცი) და «შტაინჰეგერს» ვსვამდი. «ჰენკე და ბოშის» ფირმიდან როგორ წამოვედი, არც ეს ვიცი. წამოვედი ყოველგვარი ახსნა-განმარტებისა და მობოდიშების გარეშე.

მხოლოდ ფირები დავტოვე.

მექანიკოსს ვუთხარი, წასასვლელი ვარ-მეთქი და დახმარებისთვის მადლობა გადავუხადე. მოსაცდელში გავედი, ქუდი და პალტო ავიღე და მდივან ქალს ვთხოვე, ჩემი პორტფელი გამოეტანა. პორტფელი ჯერ ისევ დირექციაში იდო. უკვე ლიფტთან ვიდექი. 11 საათი და 32 წუთი იყო. ყველანი მზად იყვნენ ფილმის საცქერლად, მე კი კუჭის ტკივილი მოვიმიზეზე და ლიფტში შევედი. შემომთავაზეს, სასტუმროში ან თუნდაც საავადმყოფოში მანქანით მიგიყვანთო, მაგრამ კუჭი მართლა კი არ მტკიოდა. ყველას მადლობა მოვახსენე და გზას ფეხით დავადექი. არსად არ მიმეჩქარებოდა, არც ვიცოდი, საით უნდა წავსულიყავი. ისიც არ ვიცი, დღევანდელი დიუსელდორფი როგორია. ისე დავდიოდი ქალაქის ქუჩებში, მგონი, შუქნიშნებსაც არ ვაქცევდი ყურადღებას, ბრმასავით მივაბიჯებდი. სალაროსთან მივედი, ბილეთი ვიყიდე და პირველივე მატარებელში ჩავჯექი. ვზივარ ვაგონ-რესტორანში, ვსვამ «შტაინჰეგერს» და ფანჯარაში ვიყურები, არ ვტირი, მხოლოდ ის მინდა, სულ აღარ ვიყო ამ ქვეყანაზე. ან ფანჯარაში რისთვის ვიყურები? დასანახი არაფერი მაქვს. მისი ორი ხელი, რომლებიც არსად აღარ არსებობს, მისი ხელის მოძრაობა, როცა თმას კეფაზე იყრის ან ივარცხნის, მისი კბილები, მისი ტუჩები, მისი თვალები, რომლებიც არსად აღარ არსებობენ, მისი შუბლი. სადღა უნდა ვეძებო? ნეტავ სულ არ გავჩენილიყავი ქვეყანაზე! რა მინდა ციურიხში? რა მინდა ათენში? ვზივარ ვაგონ-რესტორანში და ვფიქრობ: რატომ არ ავიღებ ამ ორ ჩანგალს და ზედ თვალებს რატომ არ დავითხრი?

*

ჩემი ოპერაცია ზეგისთვის არის დანიშნული.

P.S. მთელი მოგზაურობის მანძილზე არაფერი ვიცოდი, რას აკეთებდა ჰანა ამ უბედურების შემდეგ. ჰანასგან არც ერთი წერილი არ მიმიღია! დღესაც არ ვიცი, რას აკეთებს. როცა ვეკითხები, მპასუხობს, რა უნდა ვქნაო. ვეღარ გამიგია, როგორ მიტანს იმის შემდეგ, რაც მოხდა? მოდის აქ იმისათვის, რომ მალე წავიდეს. მოდის ისევ, მოაქვს, რასაც ვისურვებ, ყურს მიგდებს. რას ფიქრობს ჰანა? თმაში მეტი ჭაღარა გაერია. რატომ არ ამბობს, რომ ცხოვრება სამსალად ვუქციე? იმის შემდეგ, რაც მოხდა, მისი სიცოცხლე ვერ წარმომიდგენია. მხოლოდ ერთადერთხელ გავუგე ჰანას, როცა ორივე მუშტი სახეში დამიშინა, მაშინ, მიცვალებულის სარეცელთან. მას შემდეგ მისი ვეღარაფერი გამიგია.

16. VII. ციურიხი.

დუსელდორფიდან ციურიხში, ჩემი ფიქრით, მხოლოდ იმისათვის გავემგზავრე, რომ ოცი წელი იყო მშობლიური ქალაქი არ მენახა.

ციურიხში საქმე არაფერი მქონდა.

უილიამსი პარიზში მელოდა...

ციურიხში პროფესორი ო. ისევ ვერ ვიცანი. მანქანა ჩემ ახლოს დაამუხრუჭა, მანქანიდან გადმოვიდა და ხელი ჩამომართვა. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ სულ არ შეცვლილიყო: თავის ქალაზე გადაკრული კანი ისევ მოყვითალო პერგამენტს მიუგავდა, მუცელი ბუშტივით გამობერვოდა, ყურები უშველებელი მოუჩანდა. მის გულითადობას, მის სიცილს რომ უყურებ, თითქოს მიცვალებულის თავი გიცინის, თვალები ჯერ კიდევ ცოცხლად უბრწყინავს, მაგრამ სადღაც ფოსოებში აქვს ჩაკარგული. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ამ კაცს ვიცნობდი, მაგრამ პირველ წუთებში მაინც ვერ მივხვდი, ვინ უნდა ყოფილიყო.

– სულ გეჩქარებათ, – გაიცინა მან, – სულ სადღაც მიგეჩქარებათ...

ციურიხში რას ვაკეთებ?

– ისევ ვერ მიცანით? – შემეკითხა იგი.

საშიშარი შესახედავი იყო. არ ვიცოდი, რა მეთქვა. რა თქმა უნდა, ვიცანი. უბრალოდ დავიბენი. შემდეგ შიშმა შემიპყრო,

რამე საშინელი არ წამოვროშო-მეთქი და ვუთხარი:

– რას ბრძანებთ, არსად არ მეჩქარება.

შემდეგ კარგა ხანს ვისხედით ერთად კაფე «ოდეონში».

– ძალიან ვწუხვარ, იმ დღეს პარიზში რომ ვერ გიცანით... – ვუთხარი მე.

სულაც არ მწყენიაო, გაიცინა. ყურს ვუგდებდი და თან მის ბებრულ კბილებს ვუცქერდი. კაცს მხოლოდ ერთი შეხედვით ეგონებოდა, იცინისო. კბილები მეტისმეტად დიდი ჰქონდა გალეულ სახესთან შედარებით და სახის კუნთები ღიმილჩამქრალ სახეს ვეღარ სწვდებოდა. ეს იყო საუბარი მიცვალებულის თავის ქალასთან. თავს ვიკავებდი, რომ არ მეკითხა, სიკვდილს როდის აპირებთ-მეთქი. იგი ისევ იცინოდა.

– რას ხატავთ მანდ, ფაბერ?

მარმარილოს მაგიდაზე სპირალს ვხატავდი, ყვითელ მარმარილოში გაქვავებული ნიჟარა სპირალს მივამსგავსე და იმიტომ. ბურთულიანი კალამი ისევ ჯიბეში ჩავიდე. საუბარმა საერთაშორისო მდგომარეობაზე გადაინაცვლა. მისი გაქვავებული სიცილი ისე მაღიზიანებდა, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობდი.

რატომ ვდუმვარ?

«ოდეონის» ერთმა ოფიციანტმა, ვენის ძველმა მკვიდრმა, მიცნო, სულ არ შეცვლილხართო.

პროფესორი ო. იცინის.

გული სწყდება, დისერტაცია (ე.წ. მაქსველის დემონზე) რატომ არ მოათავეო.

«ოდეონის» კოკოტები ძველებურად გამოიყურებიან.

– იცით, «ოდეონს» ანგრევენ! – იცინის იგი.

მოულოდნელად მეკითხება:

– როგორ არის თქვენი მშვენიერი ქალიშვილი?

მან ზაბეტი მაშინ ნახა პარიზში, კაფეში რომ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ახლახან პარიზში არ გნახეთო? – თქვა თვითონ.

ეს იყო იმ დღეს, მე და ზაბეტი ოპერაში რომ წავედით, ჩვენი საქორწინო მოგზაურობის წინა დღეს. არაფერი მითქვამს, მხოლოდ ის ვკითხე:

– საიდან მიხვდით, რომ ჩემი ქალიშვილი იყო?

– ასე ვიფიქრე! – თქვა და ისევ გაიცინა.

ციურიხში საქმე არაფერი მქონდა, იმ დღესვე (პროფესორ ო-სთან «ოდეონში» ლაპარაკის შემდეგ) კლოტენში წავედი და თვითმფრინავში ჩავჯექი...

ჩემი უკანასკნელი გაფრენა!

ისევ სუპერ-კონსტელეიშენით მივფრინავ.

მშვიდად მივფრინავდით. ალპებზე მხოლოდ სუსტი ქარი ქროდა. ალპებს სიყმაწვილიდან ვიცნობ, მაგრამ მის თავზე პირველად მივფრინავ. ჩვეულებრივი კაშკაშა დღეა, ქარი ქრის, მარცხნივ ფირვალდშტეტის ტბა მოჩანს, მარჯვნივ – ვეტერჰორნი, მის უკან – აიგერი და იუნგფრაუ, ან იქნებ ფინსტერაარჰორნია, – ასე კარგად არ ვიცნობ ჩვენს მთებს. თავში სხვა ფიქრი მიტრიალებს...

მაინც რა?

ხეობები გვიანი ნაშუადღევის ირიბ შუქში გახვეულან, ქარაფებზე ჩრდილები აფენია, თეთრი ნაკადულებით დაქსელილ ხეობებში ჩრდილები ჩაწოლილა, იალაღებიც ირიბ შუქშია ჩაფლული, ფერდობზე მზით მოვარაყებული არდგმულები გაბნეულან. ერთგან, ტყის პირას, თეთრი მატლებივით მოჩანს ფარა (ზაბეტი, რა თქმა უნდა, სხვანაირად იტყოდა, მაგრამ როგორ, არ ვიცი). თავში უაზრო ფიქრები მერევა. შუბლი ცივ მინას მივაყრდენი.

თივის დაყნოსვა მომინდა!

აღარასოდეს ვიფრენ!

მინდა მიწაზე გავიარო, მზის გულზე აშოლტილ ნაძვებქვეშ წიწვის სურნელი ვიყნოსო, ნაკადულის ჩუხჩუხი გავიგონო და წყალს დავეწაფო...

ყველაფერი კინოკადრებივით მიდის ჩემ თვალწინ!

მინდა მიწას შევახო ხელი...

ჩვენ კი სულ მაღლა და მაღლა მივიწევთ.

სიცოცხლის ზონა საკმაოდ პატარაა, რამდენიმე ასეულ მეტრს შეადგენს, ზევით ატმოსფერო უკვე გაიშვიათებულია და ცივი. ადამიანებით დასახლებული მიწა, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ოაზისია, ვიწროდ განტოტვილი ოაზისი, შემდეგ ოაზისი თავდება, ტყის ზოლი ისე მკვეთრად წყდება, თითქოს ვიღაცას გადაუჭრიაო (ჩვენში – 2000 მეტრზე, მექსიკაში – 4000-ზე), შემდეგ ცოტაზე კიდევ მოჩანს ცხვრის ფარები, ცხვრები იმ ზღვარზე ძოვენ ბალახს, სადაც სიცოცხლე ჯერ კიდევ შესაძლებელია. იქ ყვავილები (აქედან ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი) ჭრელია და ფესვმაგარი, მაგრამ პაწაწკინტელა... მწერები... შემდეგ მხოლოდ ღორღია, მერე კი ყინული იწყება.

ერთგან ახალი საგუბარი გამოჩნდა. შიგ პერნოსავით მომწვანო, მღვრიე წყალი დგას, სიღრმიდან თეთრად გამოსჭვივის ფირნის ანარეკლი, ჯებირთან კანჯოა გამობმული. კაციშვილი არ ჭაჭანებს...

მიქრის პირველი ნისლი...

მყინვარებში ბოთლივით მწვანე ნაპრალები მოჩანს. ზურმუხტივითო, იტყოდა ალბათ ზაბეტი. ისევ გამახსენდა ჩვენი თამაში ოცდაერთ ქულაზე. ნაგვიანევ შუქში ოქროსავით ელვარებს კლდეები. ჩემი აზრით, ქარვასავით, რადგან მქრქალად ჩანან, ოდნავ გამჭვირვალენი არიან, ან შეიძლება ძვალსაც ჰგვანან, მასავით უფერულნი და მყიფენი. თვითმფრინავის ჩრდილი მორენებსა და მყინვარებს აფენია.

როგორც კი ჩაყვინთავს თვითმფრინავი, გგონია, ჩრდილი სადღაც დაიკარგაო, ის კი ამ დროს უკვე მეორე კლდეს ეტყეპება ნიჩბით ნასროლი ბათქაშივით, მაგრამ ბათქაშივით კი არ რჩება ზედ, სხლტება და მთაგრეხილის მეორე მხარეს ეშვება სიცარიელეში. ჩვენი თვითმფრინავის ჩრდილი ღამურასავითაა, იტყოდა ზაბეტი. მე ვერაფერს ვიგონებ და ერთ ქულას ვკარგავ. თავში სხვა ფიქრი მიტრიალებს. თოვლზე დაჩნეული ადამიანის კვალი გვირისტსა ჰგავს, ზაბეტი ალბათ იტყოდა, ძეწკვს ჰგავსო, მოლურჯო ძეწკვს, გრძლად რომ ჰკიდია ქათქათა მწვერვალს მკერდზე. ჰო, რაზე ვფიქრობ? ახლა რომ აი, იმ მწვერვალზე ვიდგე, რას ვიზამდი? ჩამოსვლა გვიან არის. ხეობებში უკვე ბინდი წვება. დაისის ჩრდილები

მყინვარებს ეფინება და მერე ციცაბო კლდეებზე მიცოცავს. რა მეშველება? იმ მწვერვალს ჩავუფრინეთ. მწვერვალზე ეულად კაშკაშებს თეთრი ჯვარი. ამ შუქს მთამსვლელები ვერასოდეს ხედავენ, მანამდე უნდა მოასწრონ ქვევით ჩასვლა, მისი ხილვა სიცოცხლის ფასად უჯდება ადამიანს, მაგრამ წარმტაცი სანახაობა კი არის.

წუთიც და ცა ღრუბლებით იფარება. საჰაერო ორმოები გახშირდა, ალპების სამხრეთი კალთები, როგორც მოსალოდნელი იყო, ღრუბლებშია გახვეული. ღრუბლები ბამბის ქულებს ჰგავს, თაბაშირს, ყვავილოვან კომბოსტოს, საპნის ბუშტებით აელვარებულ ქაფს, არ ვიცი, ზაბეტი რას არ მოიფიქრებდა. პანორამა სწრაფად იცვლება. ხანდახან ხვრელი ჩნდება და სიღრმეში შავი ტყე მოჩანს, ნაკადული, ზღარბივით აბურძგნილი ტყე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წამით. ღრუბლები ისევ ერწყმიან ერთმანეთს, ზედა ღრუბლების ჩრდილი ფარდებივით ეფინება ქვედა ღრუბლებს. ღრუბლებში მივფრინავთ, ჩვენ წინ მზეზე აელვარებული ღრუბლები გაწოლილან, თითქოს თვითმფრინავი ეს-ესაა, ზედ უნდა შეასკდესო. წყლის ორთქლის მთელი მთებია აღმართული, მაგრამ ეს მთები დრეკადია, ბერძნული მარმარილოსავით თეთრი და ხოშორა...

ღრუბლებში შევდივართ.

ტამაულიპასში ჩემი იძულებითი დაშვების შემდეგ ყოველთვის ისეთ ადგილზე ვჯდები, რომ შასებს ვხედავდე და დაძაბული ვუყურებ, ასაფრენი ბილიკი უკანასკნელ წამს უდაბნოდ არ გადაიქცეს.

მილანი:

ჰანას დეპეშა გავუგზავნე, მოვდივარ-მეთქი.

აბა, სად უნდა წავიდე?

ერთი რამ ვერ გამიგია: ნუთუ შეიძლება წესსა და რიგზე გაპოხილი კრიალა ლითონისაგან დამზადებული შასი, რომელსაც აქვს ორი წყვილი თვალი და ჩინებული ამორტიზატორები, დემონივით მოიქცეს და დასაფრენი ბილიკი უცებ უდაბნოდ გადააქციოს. ჩემს ნაბოდვარზე თვითონვე მეცინება. მართლა სერიოზულად კი არ ვფიქრობ ასე. ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია დემონი, თუ არ ჩავთვლით, რა

თქმა უნდა, ე. წ. მაქსველის დემონს, ის კი, მოგეხსენებათ, დემონი სულაც არ არის.

რომი:

უილიამსსაც დეპეშით ვთხოვე, სამსახურიდან დამითხოვეთ-მეთქი.

ნელ-ნელა ვმშვიდდები.

ათენს რომ მივუახლოვდით, ღამე იყო, გეზი ოდნავ ჩრდილოეთისკენ გვეჭირა და სიბნელეში კორინთოს ყურე ვეღარ გავარჩიე.

ვეშვებით ჩვეულებრივად.

ღამეში გაბნეული ნაპერწკლების წვიმა...

მწვანე სინათლე ფრთაზე...

მთვარის ანარეკლი ფრთაზე...

მოტორის თალფაქი წითლად ვარვარებს...

ისე ვიყავი დაძაბული, თითქოს ჩემს სიცოცხლეში პირველად ვმჯდარიყავი თვითმფრინავში. ვუყურებდი, როგორ ნელ-ნელა გამოცურდა ფრთის ქვეშ შასები, როგორ აკაშკაშდა პროჟექტორი. მისი თეთრი შუქი პროპელერის დისკოში გაიხლართა, შემდეგ ისევ ჩაქრა. ჩვენ ქვემოთ სინათლეები ჩანს... ვხედავ ათენის ქუჩებს, უფრო სწორად, პირეის ქუჩებს. დაბლა დავეშვით, გამოჩნდა სასიგნალო ყვითელი სინათლეები, შემდეგ დასაფრენი ბილიკი დავინახე, ისევ აინთო პროჟექტორები და ბოლოს ჩვეულებრივი რბილი ბიძგი ვიგრძენი (მაშინდებურად არ გადავვარდნილვარ წყვდიადში), შასების უკან ჩვეულებრივ ავარდა მტვრის კორიანტელი.

ღვედები შევიხსენი.

ჰანა აეროდრომზეა. ფანჯრიდან ვხედავ: ძაძები აცვია.

თან მხოლოდ პორტფელი, «ჰერმეს-ბები», პალტო და ქუდი მქონდა და საბაჟოში არ დავყოვნებულვარ. გარეთ პირველი გამოვედი, მაგრამ ჰანასთვის ხელის დაქნევა ვერ გავბედე. ბარიერთან რომ მივსულვარ, ფეხი ვეღარ გადამიდგამს წინ, თურმე გაშეშებული ვმდგარვარ, სანამ თვითონ არ მოსულა

ჩემთან (ეს ჰანამ მითხრა). ჰანა პირველად ვნახე ძაძებში. მან შუბლზე მაკოცა. მირჩია, სასტუმრო «ესტია ემბორონში» გავჩერებულიყავი.

*

დღესაც მხოლოდ ჩაის მაძლევენ. კიდევ ერთხელ გამსინჯავენ და მომეშვებიან. ხვალ, ბოლოს და ბოლოს, ოპერაციას გამიკეთებენ.

დღემდე მხოლოდ ერთხელ ვიყავი მის საფლავზე. აქედან აღარ გამიშვეს (თუმცა მე მხოლოდ გამოკვლევა მოვითხოვე). მის ცხელ საფლავზე ყვავილები რამდენიმე საათში ჭკნება...

18.00

ჩემი «ჰერმეს-ბები» წაიღეს.

19.30

ჰანა ერთხელ კიდევ იყო ჩემთან.

24.00

წუთით არ მომიხუჭავს თვალი და არც მეძინება.

ყველაფერი ვიცი. ხვალ გამკვეთენ, რომ დაადგინონ ის, რაც უკვე იციან: გადარჩენა შეუძლებელია. ჭრილობას ამოკერავენ და როცა გონს მოვალ, მეტყვიან, ოპერაცია გაგიკეთეთო. მეც დავიჯერებ, თუმცა ყველაფერი ვიცი. არ გავამხელ, ტკივილი რომ ხელახლა დამეწყება, უფრო ძლიერი, ვიდრე ოდესმე. სულ ტყუილია, რომ ამბობენ: კუჭის კიბო რომ მჭირდეს, ტყვიას ვიკრავდი შუბლშიო. სიცოცხლეს ახლა ისე ვებღაუჭები, როგორც არასდროს და თუნდაც ერთი წელი ვიცოცხლო, გასაცოდავებული ერთი წელი, მეოთხედი, ორი თვე (ეს იქნებოდა სექტემბერი და ოქტომბერი), იმედი მაინც არ დამეკარგება, თუმცა ვიცი, რომ ჩემი საქმე წასულია, მაგრამ მე მარტო როდი ვარ, ჰანა ჩემი მეგობარია, მარტო არა ვარ.

02.40

ჰანას წერილი მივწერე.

04.00

განკარგულება სიკვდილის შემთხვევაში: ყველა ჩემი დოკუმენტი: პატაკები, წერილები, დღიურები და სხვა მისთანები უნდა განადგურდეს. ყველაფერი სიცრუეა. ამქვეყნად ყოფნა სინათლეში ყოფნას ნიშნავს. სულერთია, სადაც იქნები, რაც იქნები (თუნდაც ახლახან კორინთოში ნანახი მოხუცივით ვირს მიდენიდე), ვირის გაძღოლაც ჩვენი ხელობაა! მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, სინათლისა და სიხარულის ერთგული უნდა იყო (ჩვენი ამღერებული გოგონასავით), უნდა გწამდეს, რომ ქრები ნარშავებზე, ასფალტსა და ზღვაზე აელვარებულ სინათლეში, უნდა გაუძლო დროს, უფრო სწორად, უნდა გწამდეს წამის მარადისობა.

იყო მარადიული, ნიშნავს, არსებობდე ამქვეყნად.

04.15

მხოლოდ დღეს (არა, გუშინ!) გავიგე, რომ აღარც ჰანას აქვს ბინა. ახლა ის პანსიონში ცხოვრობს. კარაკასიდან გამოგზავნილ დეპეშას ჰანასთვის ბინაზე ვეღარ მიუსწრია. ეტყობა, ჩემი დეპეშის გამოგზავნა იმ დროს დაემთხვა, როცა ჰანა უკვე გემში იჯდა. პირველად უფიქრია, ერთი წელიწადი კუნძულებზე გაეტარებინა, იქ დელოსის გათხრების დროს შეძენილი ბერძენი ნაცნობები ჰყავს თურმე. იმ კუნძულებზე ცხოვრება ძალიან იაფი ყოფილა. მუკონოსში, ჰანას თქმით, სახლს ორას დოლარად იყიდი, ამორგოსში ას დოლარადაც კი. ინსტიტუტში აღარ მუშაობს, მე კი ვერაფერს ვხვდებოდი. ჰანას უცდია, ბინა ავეჯიანად გაექირავებინა, მაგრამ სიჩქარეში ვერ მოუხერხებია. შემდეგ ყველაფერი გაუყიდია, წიგნები კი გაუჩუქებია. ათენში გაძლება აღარ შემეძლოო, თქვა მან. ფიქრობდა პარიზში ან ლონდონში წასვლაზე. ყველა გეგმა სათუო იყო, რადგან არც ისე ადვილია ჩემი ხნის ქალისთვის ახალი სამსახურის, თუნდაც მდივნის ადგილის შოვნაო, ამბობს ჰანა. ერთი წუთითაც არ გაუვლია გულში, შემწეობა ჩემთვის ეთხოვა, ამიტომაც არ მწერდა წერილებს. სინამდვილეში ჰანას ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა – შორს საბერძნეთიდან! ისე წავიდა ქალაქიდან, აქაურ ნაცობებსაც არ გამომშვიდობებია, მხოლოდ ინსტიტუტის დირექტორს გამოეთხოვა. მას დიდ პატივს სცემდა. გამგზავრებამდე დარჩენილი უკანასკნელი საათები საფლავზე გაატარა, 14.00 საათზე გემზე უნდა ყოფილიყო. გემი 15.00 საათზე გადიოდა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო გასვლა თითქმის ერთი საათით შეყოვნებულა. უცებ (ამბობს ჰანა) თავისი განზრახვა უაზროდ მოსჩვენებია, ჩანთისთვის ხელი დაუვლია და გემიდან ჩამოსულა. ჩაბარებული სამი დიდი ჩემოდნის გამოტანა უკვე გვიან იყო. ჩემოდნები ნეაპოლში წავიდა და მალე უკანვე დააბრუნებენ. ჰანა ჯერ სასტუმრო «ესტია ემბორონში» ცხოვრობდა. ხანგრძლივად ამ სასტუმროში ცხოვრება მეტისმეტად ძვირი დაუჯდებოდა და ჰანამ ისევ შეიტანა განცხადება ინსტიტუტში, მაგრამ მისი ადგილი უკვე სხვა თანამშრომელს დაეკავებინა: ხელშეკრულება სამი წლით იყო გაფორმებული და ამ საქმეს აღარაფერი ეშველებოდა. მისი შემცვლელი საკმაოდ დიდხანს უცდიდა ჰანას ადგილს და თავისი ნებით

წასვლას არც იფიქრებდა. დირექტორი თურმე ძალიან წუხს, მაგრამ ინსტიტუტს სად შეეძლო, ერთ ადგილზე ორი თანამშრომელი აეყვანა. რაიმე შემთხვევითი სამუშაო თუ გამოუჩნდებოდათ, უარს არ ეტყოდნენ, ასევე სიამოვნებით გაუწევდნენ რეკომენდაციას, სადმე სხვაგან მუშაობას თუ მოისურვებდა, მაგრამ ჰანას ათენში უნდოდა დარჩენა. ჰანა აქ მე მიცდიდა, თუ მართლა აპირებდა ათენიდან წასვლას, რომ მე აღარ შემხვედროდა, არ ვიცი. რომიდან გამოგზავნილი დეპეშა დროზე შემთხვევით მიუღია. უკვე ცარიელ ბინაში მხოლოდ სახლის რწმუნებულს უცდიდა თურმე, რომ გასაღები ჩაებარებინა. აი, რას აკეთებს ჰანა ამჟამად: უცხოელ ტურისტებს დილით მუზეუმში დაატარებს, ნაშუადღევს აკროპოლისში, საღამოს კი სუნიონში. მეტწილად ისეთ ტურისტულ ჯგუფებს დაჰყვება, რომლებიც ერთ დღეში ასწრებენ ყველაფრის ნახვას. ეს გახლავთ ხმელთაშუა ზღვის ტურისტული საზოგადოება.

06.00

კიდევ ერთი წერილი მივწერე ჰანას.

06.45

მე არ ვიცი, რატომ ჩამოიხრჩო თავი იოახიმმა. ჰანა კი სულ მეკითხება და მეკითხება. საიდან უნდა ვიცოდე? ჰანა ისევ და ისევ უბრუნდება ამ თემას, თუმცა იოახიმის ამბები ჰანაზე გაცილებით ცუდად ვიცი. ბავშვი რომ შემეძინა, იოახიმს შენი სახელი ერთხელაც არ უხსენებიაო, ამბობს ჰანა, იმიტომ, რომ ის ჩემი შვილი იყო, მხოლოდ ჩემიო. იოახიმი სწორედ იმიტომ მიყვარდა, რომ ჩემი ბავშვის მამა არ იყო და პირველ წლებში ერთმანეთს იოლად ვუგებდითო. ჰანა ამბობს, ჩვენი შვილი ამ ქვეყანაზე არავითარ შემთხვევაში არ გაჩნდებოდა, მაშინ რომ არ დავშორებულიყავითო. ჰანას ეს მტკიცედ სჯერა. ეტყობა, ჰანას განშორება ჩემს ბაღდადში წასვლამდეც ჰქონდა გადაწყვეტილი. შვილი უნდოდა, მაგრამ მე ციურიხიდან წავედი თუ არა, მაშინვე იგრძნო, რომ შვილი უნდოდა უმამოდ (ასე ამბობს ჰანა). ჩვენი შვილი კი არ უნდოდა, თავისი შვილი უნდოდა. მარტო იყო, მაგრამ ბავშვის მოლოდინში ბედნიერად გრძნობდა თავს. იოახიმთან რომ მიდიოდა, უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ბავშვი შეენარჩუნებინა. ჰანას არც ის ეხამუშებოდა, იოახიმი მაშინ რომ იჩემებდა, ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მე მიგაღებინეო. ჰანა შეუყვარდა და მალე ცოლად შეირთო კიდეც. ჩემი დაწყევლილი სიტყვებიც, კრუხივით იქცევი-მეთქი, ღრმად ჩაბეჭდვია გულში, იმიტომ, რომ ერთხელ იოახიმსაც იგივე უთქვამს ჰანასთვის. იოახიმი თურმე ზრუნავდა ბავშვზე, მაგრამ მის აღზრდაში არ ერეოდა. ის ხომ მისი შვილი არ იყო, ის არც ჩემი შვილი იყო, ეს იყო უმამო ბავშვი, ჰანას საკუთარი შვილი, რომელთანაც არც ერთ მამაკაცს ხელი არ ჰქონდა. ამ ამბავს იოახიმი პირველ ხანებში, ეტყობა, ეგუებოდა, ეგუებოდა მანამ, სანამ გოგონა პატარა იყო და დედის კალთას ისედაც ვერ მოშორდებოდა, არაფერში არ უშლიდა ჰანას ხელს, რადგან ხედავდა, რომ ბავშვი ჰანას ბედნიერებას ანიჭებდა.

შენი სახელი არასოდეს გვიხსენებიაო, ამბობს ჰანა. იოახიმს ეჭვიანობის საბაბი არ ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, მე სათვალავში არ ვიყავი ჩასაგდები, ბავშვის მამად ხალხი კი არა – რომლებმაც, სხვათა შორის, არაფერი იცოდნენ – ჰანაც არ მთვლიდა. უბრალოდ დაგივიწყე (ასე მიმტკიცებს ჰანა), ისე, რომ საყვედურიც არ ჩამრჩენია გულშიო. ჰანასა და იოახიმს

ერთმანეთთან ურთიერთობა მაშინ გაუძნელდათ, როცა ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული საკითხები გართულდა. აქ საქმე ნაკლებად ეხებოდა აზრთა სხვადასხვაობას. იოახიმი ვერ იტანდა, რომ ჰანა ყველაფერში, რაც ბავშვს შეეხებოდა, თავის თავს ერთადერთ და უკანასკნელ ინსტანციად თვლიდა. ჰანა აღიარებს, იოახიმი დამყოლი ხასიათის კაცი იყო, ჭირვეულობას მხოლოდ ამ საკითხში იჩენდაო.

ეტყობოდა, იოახიმი სულ უფრო და უფრო ელოლიავებოდა გულში იმედს, რომ ბავშვი გაუჩნდებოდათ და ოჯახში მამის ადგილი დაუმკვიდრდებოდა. ალბათ, ფიქრობდა, მაშინ ყველაფერი თავისთავად მოგვარდებაო. ელზბეტი მას თავის მამად თვლიდა, უყვარდა კიდეც, მაგრამ იოახიმს მისი არ სჯეროდა, იგი თავს ზედმეტად გრძნობდა. მაშინ არსებობდა ბევრი ანგარიშგასაწევი მიზეზი, რომ შვილი არ გაგეჩინა, მით უმეტეს, ნახევრად ებრაელი გერმანელისათვის ბავშვის გაჩენა უმიზნო იყოო, ამტკიცებს ჰანა და დღესაც ისე ეჭიდება ამ მიზეზს, თითქოს მე ვეკამათებოდე. იოახიმს მისი არგუმენტების არ სჯეროდა. ეჭვიანობდა, შენ არ გინდა, სახლში მამა ტრიალებდესო. თურმე ფიქრობდა, ჰანა მხოლოდ იმ პირობით აჩენს შვილს, თუ მამა გაუჩინარდებაო.

აი, კიდევ რა არ ვიცოდი: იოახიმს ოკეანის გაღმა წასვლა ჯერ კიდევ 1935 წელს ჩაუფიქრებია, რომ ჰანას არ დაშორებოდა. არც ჰანა ფიქრობდა თურმე იოახიმთან დაშორებას. ისიც აპირებდა მასთან ერთად კანადაში ან ავსტრალიაში წასულიყო, დამატებით ლაბორანტის სპეციალობაც კი შეისწავლა, რომ ქმარს ყველგან მხარში ამოსდგომოდა, მაგრამ არ დასცალდათ. როცა იოახიმმა გაიგო, რომ ჰანამ მილები გადაიკვანძა, ბევრი აღარ უფიქრია, ვერმახტში მოხალისედ ჩაეწერა (თუმცა ჯარიდან თავის დახსნა ყოველთვის შეეძლო). ჰანას იგი არ დავიწყებია. იოახიმის შემდეგ უმამაკაცოდ არ უცხოვრია, მაგრამ მთელი სიცოცხლე მაინც თავის შვილს შესწირა. მუშაობდა პარიზში, შემდეგ ლონდონში, აღმოსავლეთ ბერლინში, ათენში... გარბოდა თავის შვილთან ერთად... ბავშვს თვითონ ამეცადინებდა, სადაც გერმანული სკოლა არ იყო და ორმოცი წლის ასაკში კვლავ მოჰკიდა ვიოლინოს ხელი, რომ შვილისათვის აკომპანემენტი გაეწია. ჰანა ნემსის ყუნწში გაძვრებოდა, თუ ეს შვილისთვის იყო საჭირო. ავადმყოფ ბავშვს სარდაფში უვლიდა, როცა ვერმახტი პარიზში იყო შემოსული და წამლების მოსატანად ქუჩაში გამოსვლასაც კი არ

ერიდებოდა. შვილი არ გაუნებივრებია. საამისო ჭკუა, ჩემი აზრით, ყოველთვის ჰქონდა, თუმცა თვითონ (ეს რამდენიმე დღეა) თავის თავს იდიოტს ეძახის. რატომ თქვი მაშინ «შენი შვილი» «ჩვენი შვილის» მაგიერ? – დაუსრულებლად მეკითხება ჰანა. სასაყვედუროდ ვთქვი თუ მხოლოდ სილაჩრით წამომცდა? მისი კითხვა არ მესმის. ვიცოდი კი მაშინ, რამდენად ვიყავი მართალი? ან ახლახან რატომ ვუთხარი, კრუხივით იქცევი-მეთქი! ჩემი სიტყვები უკვე რამდენჯერმე მოვინანიე, როცა გავიგე, რა არ გადაუტანია ჰანას, მაგრამ ჰანა ამ სიტყვებს მაინც არ ეშვება და არა. შემიძლია თუ არა, შევუნდო? ჰანა ატირდა და მუხლებზე დაიჩოქა, თუმცა ყოველ წუთს შეიძლებოდა მოწყალების და დაგვდგომოდა თავზე. ატირებულმა ხელები დამიკოცნა. ჰანა სულ არ მცნობია! მხოლოდ ეს ვიცი: ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, ჰანა ათენს აღარ მიატოვებს, ჩვენი შვილის საფლავს არ მიატოვებს. ორივენი აქ დავრჩებით. ისიც კარგად მესმის, თავისი ბინა იმ დაცარიელებული ოთახის გამო რომ მოიძულა. ქალიშვილის ნახევარი წლით გაშვებაც კი გაუჭირდა. ჰანამ ყოველთვის იცოდა, შვილი ოდესმე მიატოვებდა, მაგრამ იმას ხომ ვერ იფიქრებდა, რომ ზაბეტი მაინცდამაინც ამ მოგზაურობის დროს გადაეყრებოდა თავის მამას და ცა თავზე ჩამოექცეოდა...

08.05.

ჩემს წასაყვანად მოდიან.

[1] ნევადაში მომხდარი უდიდესი საჰაერო კატასტროფის პირველი ფოტოსურათები (ინგლ.)

[2] გამომცემლობა «როვოლტის» იაფფასიანი რომანების სერიის სახელწოდება, რომელიც ჰამბურგში გამოდის

[3] ყურადღება, ყურადღება (ინგლ.)

[4] თვითმფრინავი მზად არის ასაფრენად (ინგლ.)

[5] მეხიკოში, გვატემალასა და პანამაში მიმავალ მგზავრებს ვთხოვთ გამოვიდნენ მეხუთე გასასვლელში. გმადლობთ. (ინგლ.)

[6] მგზავრო ფეიბერ, მგზავრო ფეიბერ! (ინგლ.)

[7] გთხოვთ, გამოცხადდეთ ცნობათა ბიუროში (ინგლ.)

[8] მისს შერბონ, მისტერ და მისის როზენტალ! (ინგლ.)

[9] უკანასკნელად გთხოვთ (ინგლ.)

[10] აი, თურმე სად ყოფილხართ (ინგლ.)

[11] ვიგვიანებთ, მისტერ ფეიბერ, ვიგვიანებთ (ინგლ.)

[12] ბოდიშს ვიხდი (ინგლ.)

[13] სახიფათო არაფერია (ინგლ.)

[14] გმადლობთ (ინგლ.)

[15] საშიში არაფერია, სერ, დაახლოებით საათსა და ოც წუთში მეხიკო-სითიში დავფრინდებით (ინგლ.)

[16] მოწევა აკრძალულია (ინგლ.)

[17] გამოდით (ინგლ.)

[18] აი, ჩამოვედით (ინგლ.)

[19] სასტუმრო «სუპერკონსტელეიშენი». არდადეგები უდაბნოში – კომფორტითურთ (ინგლ.)

[20] ჩემო ძვირფასო (ინგლ.)

[21] პარიზის ჭერქვეშ (ფრანგ.)

[22] პანამაში, კარაკასსა და პერნამბუკოში მიმავალ ყველა მგზავრს...

[23] აი, ჩამოვედით კიდეც! (ინგლ.)

[24] დუქანი (ესპ.)

[25] მექსიკურად მომზადებული ტაფამწვარი (ესპ.)

[26] ლავაში (ესპ.)

[27] გმადლობთ (ესპ.)

[28] ადამიანი მწარმოებელი (ლათ.)

[29] იყო ერთი პაწაწინა გემი (ფრანგ.)

[30] ტევრი (ფრანგ.)

[31] ამერიკული ცხოვრების წესი. (ინგლ.)

[32] აი, «ნეშის» კვალი! (ფრანგ.)

[33] შეხედეთ! ხუმრობის გარეშე! (ფრანგ.)

[34] ჩვენი სენიორი მოკვდა (ესპ.)

[35] მაკიაჟი (ინგლ.)

[36] ყველაფერი რიგზეა (ინგლ.)

[37] ხვალ დილის თერთმეტ საათზე (ინგლ.)

[38] მზადა ხარ? (ინგლ.)

[39] კარგი, ძვირფასო, გეყოფა! (ინგლ.)

[40] გელოდები (ინგლ.)

[41] ტექნიკოსი (ინგლ.)

[42] ყველაფერი რიგზეა? (ინგლ.)

[43] ეს ჩემი მეგობარი გახლავთ (ინგლ.)

[44] დაიკარგა და დაიკარგოს (ინგლ.)

[45] მე ერთი გზააბნეული ბავშვი ვარ (ინგლ.)

[46] იცი, რომ სიკვდილი ქალია? (ფრანგ.)

[47] და დედამიწაც რომ ქალია? (ფრანგ.)

[48] ჩინებულია (ფრანგ.)

[49] კიბერნეტიკა, ანუ მართვა და კავშირი ცხოველებსა და მანქანებში (ინგლ.)

[50] ახალი ამბები (ინგლ.)

[51] პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა განაცხადა (ინგლ.)

[52] მისტერ ფეიბერი ინჟინერია (ინგლ.)

[53] ყური მიგდეთ... (ინგლ.)

[54] დიახ, გისმენთ! (ინგლ.)

[55] განაგრძეთ! (ინგლ.)

[56] სწორია, სავსებით სწორია (ინგლ.)

[57] განაგრძეთ! (ინგლ.)

[58] რა გაცინებთ? (ინგლ.)

[59] ვან გოგი თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანია. თქვენ თუ წაგიკითხავთ მისი წერილები? (ინგლ.)

[60] სტიპენდიას (ინგლ.)

[61] ხომ არ გიჭირთ, ქალიშვილო? (ფრანგ.)

[62] ნუ ჩქარობ, ჩემო პატარავ (ფრანგ.)

[63] ლიმონის წვენი (ფრანგ.)

[64] რა ბედნიერი ვარ, საყვარელო, რა ბედნიერი, საყვარელო! (ინგლ.)

[65] შენც ბედნიერი ხარ? (ინგლ.)

[66] იქნებ ცოტა დაგესვენათ, ვალტერ? (ინგლ.)

[67] თქვენ ისე გამოიყურებით, თითქოს... (ინგლ.)

[68] მისტერ ფეიბერი გისმენთ. (ინგლ.)

[69] დიახ, მუსიე, ეს წითელი ღვინო გახლავთ (ფრანგ.)

[70] წითელი ღვინო, წითელი ღვინო, თევზთან ერთად? (ფრანგ.)

[71] ინებეთ, მუსიო! (ფრანგ.)

[72] კარგია? (ფრანგ.)

[73] არა უშავს

[74] გადავიფიქრე (ინგლ.)

[75] რა მოხდა? (ინგლ.)

[76] კარგ დროსტარებას გისურვებ (ინგლ.)

[77] ეროვნული მუზეუმი (იტალ.)

[78] ცნობარი

[79] ო, რა საუცხოოა (ინგლ.)

[80] მაშ, ეს არის კამპანია? (ინგლ.)

[81] ო, რა კარგია აქ! (ინგლ.)

[82] ასული (ლათ.)

[83] ღმერთო ჩემო! (ინგლ.)

[84] ის იელის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს (ინგლ.)

[85] ჰო, კარგი, კარგი! (ინგლ.)

[86] მისტერ ფაბერ, მის ფაბერ – ღამე ნებისა! (ინგლ.)

[87] მისტერ ფაბერი ჩემი მეგობარია (ინგლ.)

[88] საბერძნეთის ნავთობგადამმუშავებელი სახელმწიფო ქარხანა (ინგლ.)

[89] თავშეყრა (ინგლ.)

[90] მოდი, ვალტერ, დავლიოთ (ინგლ.)

[91] რა კარგია შვებულების რომში გატარება (ინგლ.)

[92] მოდი, ვალტერ, თითო-თითო კიდევ დავლიოთ (ინგლ.)

[93] ვალტერს უსიამოვნება შეემთხვა, თავისი ბინის გასაღებს ვერ პოულობს (ინგლ.)

[94] ფრა-ანჯელიკო. ო, მე მას ვაღმერთებ (ინგლ.)

[95] როგორ მოგეწონათ მაზაჩოს ფრესკები? (ინგლ.)

[96] სემანტიკა! რა, სემანტიკა ჯერ არ გაგიგონიათ? (ინგლ.)

[97] მიხარია, რომ გხედავთ (ინგლ.)

[98] ვალტერ, რა დაგემართათ? (ინგლ.)

[99] ვალტერ, ნუ სულელობთ (ინგლ.)

[100] მე ვალტერი ვარ (ინგლ.)

[101] ვინ? (ინგლ.)

[102] უკაცრავად (ინგლ.)

[103] ვინ ლაპარაკობს? (ინგლ.)

[104] რა გნებავთ? (ინგლ.)

[105] დიახ, ტრაფალგარ 4-55-71 გახლავთ (ინგლ.)

[106] შეუძლებელია (ინგლ.)

[107] ეს ჩემი ნომერია (ინგლ.)

[108] ვინ ბრძანდებით? (ინგლ.)

[109] თქვენ ვალტერ ფეიბერი ხართ? (ინგლ.)

[110] არავითარი (ესპ.)

[111] როგორ მოგწონთ ჰავანა (ინგლ.)

[112] ძალიან ლამაზია! გესმით, რას ვამბობ? სულ ახალგაზრდაა (ინგლ.)

[113] მავრიტანული სასახლე (ესპ.)

[114] სიგარის სახელწოდებაა

[115] კარიბული ბარი (ინგლ.)

[116] პირველად (ინგლ.)

[117] დიდებულია, არა? (ინგლ.)

[118] ხუთი (ინგლ.)

[119] ვალტერ, შენ ჩემი ძმა ხარ (ინგლ.)

[120] ამერიკული ცხოვრების წესი (ინგლ.)

[121] მზად არის გემსახუროს (ინგლ.)

[122] დიახ, თქვენთვის გავაჩერე, სერ (ინგლ.)

[123] ინგლისურად თქვით (ინგლ.)

[124] მე ის ცოლად უნდა შევირთო (ინგლ.)

[125] მე მეგონა, ის მოკვდა (ინგლ.)

[126] თქვენ ირთავთ თქვენი ქალიშვილის დედას, გავიგე (ინგლ.)

[127] რაც შეიძლება მალე (ინგლ.)

[128] ჩინებულია (ინგლ.)

[129] ჩემი ცოლი ათენში ცხოვრობს (ინგლ.)

[130] თქვენ როგორ გგონიათ, სერ (ინგლ.)

[131] გამარჯობა, ამხანაგო!

[132] მას უნდა თავისი ცოლის შერთვა, ის ჯენტლმენია (ინგლ.)

[133] აქ მომიცადეთ ერთი წუთით, სერ, ერთი წუთით (ინგლ.)

[134] მოგწონთ ჰავანა? (ინგლ.)

[135] მე მიყვარს იგი (ინგლ.)

[136] ბედნიერი ხართ, არა? (ინგლ.)

[137] იცით, რა მშვენიერია! გესმით რაზე გეუბნებით? მართლა სულ ნორჩია! (ინგლ.)

[138] ათ საათზე, ჩემო მეგობარო, ათზე (ინგლ.)

[139] მერე რა, ჯერ ცხრა საათია, დრო ბევრი გვაქვს (ინგლ.)

[140] ქალაქის კონტურები (ინგლ.)

[141] საცხოვრებლის ერთიანობა (კორბუზიე) (ფრანგ.)